



სტრატეგიის და განვითარების ცენტრი  
CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

ნაშრომ:

# 75 წელი

უსაფრთხოების  
გამოწვევების  
კვლევებზე



This project is supported by  
NATO's Public Diplomacy Division

# სარჩევნი

ნატო-ს სტრატეგიული აღაპტაცია უსაფრთხოების ახალ გარემოში  
თინათინ აღნიავილი

დასავლეთის მიერ უკრაინისთვის გამოყოფილი სამხედრო დახმარება - ძირითადი  
ტენდენციები და მიგნებები  
სანდრო მემრელიძე

NATO-ს კიბერთავდაცვის პოლიტიკა და საქართველო  
ანდრო გოთრიძე

აშშ-ის საკრედიტო პრეზენტაციის გავლენა ალიანსზე: შესაძლებლობები და  
გამოწვევები  
მიხი ფიქლაური

ჩინეთის სტრატეგიული ინტერესი არქტიკაში - გამოწვევები ნატოს უსაფრთხოების  
არქტიკაში უსაფრთხოების  
ცაო კვაძაძე

ნატოს ტრანსფორმაცია: 75 წელი კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულებიდან  
ყოველწლიურად და მრავალპარტიულ ალიანსამდე  
ჯონი დიასიძე

რუსეთ-უკრაინის ომი და საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივები  
გაბრიელ ნიკოლეიშვილი

ალიანსი და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება რუსეთის უკრაინაში შეჭრის  
შემდეგ  
ლიკა კობახიძე

უინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანების გავლენა ბალტიისპირეთის  
ქვეყნების უსაფრთხოებაზე  
მარიამ ქასრაძე

მითები ნატოს შესახებ უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე  
სოფიკო ჭუმბურიძე

3

12

29

47

65

77

93

106

118

130



**CSD**

სტრატეგიის და განვითარების ცენტრი  
CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

# ნატო-ს სტრატეგიული ადავსება უსაფრთხოების ახალ გარემოში

ავტორი: თინათინ აღნიაშვილი



This project is supported by  
NATO's Public Diplomacy Division

# შესავალი

*„ჩვენ შეგვიძლია და დავიცავთ ნატო-ს ტერიტორიის ყოველ ინჩს და ჩვენ ამას*

*ერთად გავაკეთებთ“*

(ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრა, 2024)

თანამედროვე საერთაშორისო სისტემა კომპლექსურით, მრავალფეროვნებითა და დინამიურობით ხასიათდება. არსებულმა საფრთხეებმა, გამოწვევებმა და რისკებმა სახელმწიფოებს შორის დადგინილი საზღვრები მოშალეს, მშვიდობა, სტაბილურობა დაარღვიეს და წესებზე დამყარებული საერთაშორისო სისტემა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაზე განხორციელებულმა თავდასხმამ გლობალური უსაფრთხოების მრავალგანზომილებიანი და განუჭვრეტელი ბუნება ნათლად წარმოაჩინა. რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე ომმა შეცვალა არა მხოლოდ შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურა და არსებული ძალთა ბალანსი, არამედ გლობალური სტაბილურობა და დღის წესრიგი.

რუსეთ-უკრაინის ომი წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ ევროპის კონტინენტზე ყველაზე მასშტაბურ კრიზისს (პოლიტიკური კომიტეტი, 2022), რომელმაც მოიცვა როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო აქტორები მსოფლიო მასშტაბით. პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილება, რომ ეწარმოებინა ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანია უკრაინის წინააღმდეგ აღქმულია, როგორც ევროპის 9/11 სექტემბრის ტერაქტი (Gruyter, 2022).

ფართომასშტაბიანი ომი გასცდა შავი ზღვის რეგიონს და მსოფლიო მასშტაბით, მოიცვა ისეთი სფეროები, როგორცაა საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა, ეკონომიკა, ენერჯეტიკა, საერთაშორისო სამართალი, კიბერუსაფრთხოება, სტრატეგიული კომუნიკაციები, სოციალური საკითხები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ უკრაინას, რომელიც ნატო-ს ასპირანტ სახელმწიფოს და ევროპაში ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანას წარმოადგენს, ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობა აქვს. რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული ე.წ. „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ თავდაპირველი მიზნები უკრაინის „დემილიტარიზაცია და დენაციფიკაციის“ (United Nations, 2022) შესახებ ვერ შესრულდა, რამდენიმე ფრონტიდან ერთდროულად წარმოებული შეტევის მიუხედავად. აღმატებული მოწინააღმდეგის პირობებში, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს დედაქალაქ კიევის დაცვა და ჩრდილოეთის ფრონტის მოხსნა, თუმცა საგულისხმოა, რომ საბრძოლო მოქმედებები „ოპერაციის თეატრში“ ომის დაწყებიდან მესამე წელსაც აქტიურად გაგრძელდა.

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, სამუელ რამანი თავის წიგნში „პუტინის ომი უკრაინაში, რუსეთის გლობალური კონტრ-რევოლუციური კამპანია“ ასკვნის, რომ ფართომასშტაბიანი ომი ვლადიმერ პუტინისთვის წარმოადგენს „მემკვიდრეობის განმსაზღვრელ მისიას“, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის

გავლენის სფეროების გაფართოებას და უკრაინის გაბედული დემოკრატიული ექსპერიმენტის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას (Ramani, 2023). ავტორის მოსაზრებით, რუსეთის პრეზიდენტის მიერ წარმოებული გლობალური კონტრ-რევოლუციური პოლიტიკა განპირობებულია ეროვნული ასპექტებით, რაც გულისხმობს რუსი ხალხის გაერთიანებას საერთო ეროვნული პრინციპების გარშემო და პრეზიდენტის პერსონალური ავტორიტეტის განმტკიცებას. დაახლოებით მსგავს მოსაზრებას ავითარებს ბრიტანელი სამხედრო ექსპერტი, კეირ გილესი 2023 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „რუსეთის ომი ყველას წინააღმდეგ და რას ნიშნავს ეს ჩვენთვის“. ავტორი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტ პუტინის მოსაზრებით, „უკრაინას არ აქვს უფლება, რომ იყოს სახელმწიფო“ („Ukraine does not have the right to be a country“) და რუსეთის ფედერაციის სურვილი, რომ დაამყაროს კონტროლი ქვეყანაზე და განსაზღვროს მისი მომავალი, განპირობებულია მისი ძალაუფლებისა და განსაკუთრებულობისკენ სწრაფვის სურვილით (Giles, 2023). აკადემიური წრის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტი პუტინი და მისი გარემოცვა ზედმეტად თავდაჯერებულნი იყვნენ დედაქალაქ კიევის რამდენიმე დღეში აღებასა და მყისიერი გამარჯვების მოპოვებაში.

ნატო-ს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, როდესაც 2022 წელს უკრაინაში შეიჭრა. მან, ერთი მხრივ, სათანადოდ ვერ შეაფასა უკრაინელი ხალხის, პოლიტიკური ხელმძღვანელობის, შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა, თავდადება და გამბედაობა და მეორე მხრივ, ვერ განჭვრიტა ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა უკრაინისადმი (ნატო-ს გენერალური მდივანი, იენს სტოლტენბერგი, 2023). ყოველივე ზემოხსენებულმა ნატო-ს თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ცვლილებას ჩაუყარა საფუძველი, უსაფრთხოების არსებული გამოწვევების შესაბამისად.

## **შეკავებისა და თავდაცვის პოლიტიკის ტრანსფორმაცია**

როგორც აღინიშნა, ალიანსის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოებული აგრესიული საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, თუმცა გასათვალისწინებელია რომ ევროატლანტიკურ სტაბილურობასა და მშვიდობას სხვა ტიპის საფრთხეები და გამოწვევებიც ემუქრება. მაგალითად, როგორცაა ტერორიზმი, ჩინეთის გაცხადებული ამბიციები და იძულებითი პოლიტიკა, არასტაბილური უსაფრთხოების გარემო აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში, შეიარაღებაზე კონტროლის სისტემის ეროზია, კლიმატის ცვლილება და ა.შ. (ნატო-ს სტრატეგიული კონცეფცია, 2022). გარდა ამისა, ევროატლანტიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ალიანსი

მიისწრაფვის, რომ აღჭურვილი იყოს შესაბამისი ადამიანური და ლოჯისტიკური რესურსებით, საჭიროების შემთხვევაში, მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში საერთაშორისო მისიების სანარმოებლად.

უსაფრთხოების არსებული გამოწვევებისა და ახალი პარადიგმების წარმოშობა-განვითარების შემდგომ, ნატო-მ 2022 წლიდან მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადაპტაცია განიცადა და ტრანსფორმირდა არსებული რეალობების გათვალისწინებით. ყოველივე ეს აისახა კონცეპტუალური ბაზის განახლებაში, ახალი წევრების მიღებაში, სტრუქტურულ ცვლილებებში, ახალი ინიციატივებისა და შესაძლებლობების განვითარებაში, აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერებაში, სამხედრო წვრთნების გააქტიურებაში, უკრაინისადმი მხარდაჭერის გაზრდასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებაში.

## კონცეპტუალური ბაზის განახლება

2022 წლის ივნისში მადრიდის სამიტზე ნატო-ს წევრი ქვეყნების ლიდერები უსაფრთხოების ახალ კონცეფციაზე შეთანხმდნენ. აღსანიშნავია, რომ ნატო-ს უსაფრთხოების კონცეფცია, რომლის შემუშავება ხანგრძლივ პროცესს მოითხოვს და ყველა მოკავშირის თანხმობას ითვალისწინებს, 2010 წლის შემდგომ არ განახლებულა. თუმცა, რუსეთის ფედერაციის მიერ 2022 წელს უკრაინაზე განხორციელებული თავდასხმის შემდგომ რამდენიმე თვეში დოკუმენტი მოკავშირეებმა დაამტკიცეს. ნატო-ს რიგით მერვე უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ალიანსის გრძელვადიან ხედვას და პრიორიტეტებს ასახავს, მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების შემდეგ (Szenes, 2023. Reinforcing deterrence: Assessing NATO's 2022 Strategic Concept).

2010 და 2022 წლების ნატო-ს უსაფრთხოების დოკუმენტებში საერთო პასაჟები ფიქსირდება ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა ალიანსის ფუნდამენტური და სტრატეგიული მიზნები- კოლექტიური თავდაცვა, კრიზისის მართვა, თანამშრომლობითი უსაფრთხოება და ძირითადი პრინციპები- დემოკრატიის პატივისცემა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა და ა.შ. ორივე დოკუმენტი აქცენტს აკეთებს ალიანსზე, როგორც თავდაცვით ორგანიზაციაზე, ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, მედეგობის განმტკიცებასა და ტექნოლოგიურ წინსვლის აუცილებლობაზე (Szenes, 2023. Reinforcing deterrence: assessing NATO's 2022 Strategic Concept).

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ალიანსის პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში, განსაკუთრებით 2014 წლიდან ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინის დესტაბილიზაციის შემდგომ. ამდენად, თუ 2010 წლის ნატო-ს უსაფრთხოების კონცეფცია რუსეთის ფედერაციასთან სტრატეგიული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ამახვილებდა ყურადღებას და სხვადასხვა მიმართულებით პოლიტიკური კონსულტაციებისა და პრაქტიკული თანამშრომლობის გააქტიურებას ისახავდა მიზნად (NATO Strategic

Concept, 2010), 2022 წლის დოკუმენტში რუსეთისადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. კერძოდ, უსაფრთხოების ახალ კონცეფციაში რუსეთის ფედერაცია მოხსენიებულია, როგორც ევროატლანტიკური სივრცისა და მოკავშირეების ყველაზე მნიშვნელოვანი და პირდაპირი საფრთხე, რომელიც ცდილობს გავლენის სფეროების გაზრდას და პირდაპირი კონტროლის მოპოვებას იძულების, აგრესიისა და ანექსიის გზით (NATO Strategic Concept 2022). არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, 2022 წლის დოკუმენტი დიდ აქცენტს აკეთებს შეკავებისა და თავდაცვის შესაძლებლობების გააქტიურებაზე, კოლექტიური თავდაცვისადმი 360%-იანი მიდგომის დანერგვასა და უკრაინისადმი მხარდაჭერაზე. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის დოკუმენტი ასევე ყურადღებას ამახვილებს სტრატეგიულ კონკურენციაზე, რომელიც მოითხოვს გლობალური ცნობიერების ამაღლებას და ყველა განზომილებასა და სფეროში მზადყოფნის მაღალი დონის შენარჩუნებას.

საგულისხმოა, რომ 2022 წლის უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებას საფუძვლად დაედო კვლევა „ნატო 2030-გაერთიანებული ახალი ერისთვის“, რომელიც ალიანსის გენერალური მდივნის დავალებით, 2020 წელს დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა. რეკომენდაციები ეხმიანებოდა ალიანსის ერთიანობის განმტკიცებას, მოკავშირეებს შორის კონსულტაციების გაძლიერებისა და ნატო-ს სამომავლო პოლიტიკური როლის გამოკვეთას (NATO 2030: United for a new era, 2020).

## ახალი წევრების მიღება

რუსეთის ფედერაციის მიერ 2022 წელს უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული ფართომასშტაბიანი ომის შემდეგ ალიანსი გაფართოვდა და შედეგად, ორი ახალი წევრი შეემატა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემას. 2023 წლის აპრილში ფინეთის, ხოლო 2024 წლის მარტში შვედეთის ისტორიული განწევრიანების შემდეგ მოკავშირეების რაოდენობამ 32 ქვეყანას მიაღწია.

საგულისხმოა, რომ რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმიდან დაახლოებით 3 თვეში, 2022 წლის 18 მაისს, ორივე ქვეყანამ ერთდროულად განაცხადა ალიანსში განწევრიანების სურვილის შესახებ (NATO, Sweden and Finland submit applications to join NATO, 2022), თუმცა თურქეთისა და უნგრეთის წინააღმდეგობის გამო, ქვეყნების ინტეგრაციის პროცესი განსხვავებულად წარიმართა. საინტერესოა, რამ გამოიწვია შვედეთისა და ფინეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ტრანსფორმაცია? შვედეთი და ფინეთი წლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდნენ ალიანსთან სხვადასხვა ფორმატის ფარგლებში. 2014 წლიდან მათ ნატო-ს „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორის“ (Enhanced Opportunity Partners, EOP) სტატუსი მიენიჭათ და ალიანსის მაღალი დონის შეხვედრებსა და სამხედრო სწავლებებში ინტენსიურად მონაწილეობდნენ. რუსეთის ფედერაციის მიერ 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდგომ, ფინეთმა და შვედეთმა ნატო-სთან თანამშრომლობა ეტაპობრივად გააქტიურეს, ხოლო 2022

წელს უკრაინაზე ფართომასშტაბიანი თავდასხმის შემდგომ, ქვეყნებმა უსაფრთხოების გარანტიად ალიანსში განწევრიანება მიიჩნიეს. აღსანიშნავია, რომ მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში რუსეთის ფედერაციის პოლიტიკისა და ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვის გათვალისწინებით, ნატო-ში ინტეგრაციის მიმართ შვედეთისა და ფინეთის მოსახლეობის მხარდაჭერა საგრძნობლად გაიზარდა და რეკორდულ მაჩვენებლ მიაღწია 2022 წლის თებერვლის შემდგომ. რუსეთის ფედერაციის სტრატეგიულ ინტერსებში შედიოდა ფინეთისა და შვედეთის ნატო-ში განწევრიანების ხელიშეშლა და ალიანსის გაძლიერის არდაშვება. შვედეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, „ჩვენ უკან მოვიტოვებთ 200 წლიანი უბლოკო პოლიტიკა და ნეიტრალიტეტი და ცხადია, თუ რა იყო ამის მიზეზი, ეს იყო რუსეთის ფართომასშტაბიანი თავდასხმა უკრაინაზე“ (Swedish Defense Minister, Pål Jonson, 2023).

შვედეთისა და ფინეთის განწევრიანების შედეგად ალიანსი კიდევ უფრო გაძლიერდა და მისი, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის, ავტორიტეტი ამაღლდა რამდენიმე მიმართულებით: პოლიტიკური თვალსაზრისით, ევროპის 2 ქვეყნის ისტორიულმა განწევრიანებამ ალიანსის უსაფრთხოება და სტაბილურობა განამტკიცა და რუსეთის ფედერაციას მკაფიო სიგნალი გაუგზავნა, რომ მოკავშირეები ერთსულოვნები არიან, შეუძლიათ ინტეგრაციის მაღალი დონის მიღწევა და საერთო საფრთხის გარშემო გაერთიანება; გეოგრაფიული თვალსაზრისით, ახალი წევრების მიღებით, ნატო-რუსეთის საზღვარი დაახლოებით 1300 კმ.-ით გაიზარდა (Swedish Defense Minister, Pål Jonson, 2023) და ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგი გაძლიერდა, განსაკუთრებით ბალტიის ზღვის რეგიონის; ხოლო სამხედრო თვალსაზრისით, ალიანსის თავდაცვის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაძლიერდა ქვეყნების შეიარაღებული ძალების, მათი მზადყოფნის დონის, მაღალტექნოლოგიური სამხედრო ინდუსტრიისა და ბალტიის ზღვაში სტრატეგიული მდებარეობის მქონე კუნძულ გოტლენდის გათვალისწინებით.

## აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერება

რუსეთის ფედერაციის მიერ 2022 წელს უკრაინის წინააღმდეგ „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ წინამოსამზადებულ პერიოდში ქვედანაყოფების მობილიზების შემდეგ, ნატო-მ ეტაპობრივად დაიწყო მისი ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერება და საპასუხო ძალების (NRF) მზადყოფნაში მოყვანა. სამხედრო გეგმების ამოქმედების შედეგად, 40 000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც მხარდაჭერილნი იყვნენ საჰაერო და საზღვაო ძალებით და 10 ათასობით ეროვნული ქვედანაყოფებით, მობილიზდა ნატო-ს სარდლობის პირდაპირი დაქვემდებარების ქვეშ ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგზე (NATO, Relations with Russia, 2023).



გარდა ზემოხსენებულისა, აღსანიშნავია, რომ ნატო-მ წევრი ქვეყნების ლიდერების გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ შექმნა 4 ახალი მრავალეროვნული საბრძოლო ჯგუფი ბულგარეთში, უნგრეთში, რუმინეთსა და სლოვაკეთში, დამატებით ესტონეთში, ლატვიაში, ლიეტუვასა და პოლონეთში უკვე არსებული ბატალიონებისა (NATO, Relations with Russia, 2023). საერთო ჯამში, ნატო-ს 8 საბრძოლო ბატალიონი პასუხისმგებელია ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგის დაცვაზე ბალტიის ზღვიდან (ჩრდილოეთის მიმართულება) შავ ზღვამდე (სამხრეთ მიმართულება). საბრძოლო ჯგუფების ლოჯისტიკური უზრუნველყოფა კი დაკავშირებულია მათ პერმანენტულ მომარაგებასთან შეიარაღებითა და საბრძოლო მასალებით. ამასთან, რუსეთის ფედერაციის მიერ მეზობლებისა და ევროატლანტიკური საზოგადოების მიმართ გამოვლენილი აგრესიული პოლიტიკის საპასუხოდ, 2022 წლის მადრიდის სამიტზე მოკავშირეების ლიდერები ნატო-ს საპასუხო ძალების მნიშვნელოვან ტრანსფორმაციაზე შეთანხმდნენ და მაღალი მზადყოფნის ძალების 300 000-მდე გაზრდის გადაწყვეტილება მიიღეს (NATO, Relations with Russia, 2023).

ამდენად, ცივი ომის შემდგომ, არსებული გამოწვევების საპასუხოდ, ნატო-მ შეკავებისა და თავდაცვის პოლიტიკას რადიკალურად გადახედა და მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ალიანსი დაიცავს მოკავშირეების ტერიტორიებისა და საზოგადოებას ნებისმიერი სახის საფრთხისგან.

## სამხედრო წვრთნების გააქტიურება

ბოლო წლების განმავლობაში ალიანსის მიერ ჩატარებული სამხედრო წვრთნების ინტენსივობა და მასშტაბი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ფლანგზე, საგრძნობლად გააქტიურდა. წვრთნები მიზნად ისახავს მოკავშირეებს შორის ურთიერთთავსებადობის დონის ამაღლებას, ალიანსის მზადყოფნის დონის განმტკიცებას და მოწინააღმდეგეებისთვის შეკავების მკაფიო სიგნალის გაგზავნას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2024 წელს ალიანსის ისტორიაში ყველაზე ფართომასშტაბიანი წვრთნების ჩატარება - „მტკიცე მცველი 24“ („Steadfast Defender 24“). ეს უკანასკნელი 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და 2024 წლის მაისში დასრულდა (SHAPE, Steadfast Defender, 2024). „მტკიცე მცველი 24“-მა რეგიონული თავდაცვის გეგმები მოქმედებაში მოიყვანა და მოიცვა ყველა სფერო და განზომილება, როგორც სტრატეგიულ, ასევე ოპერატიულ-ტაქტიკურ დონეზე. წვრთნებში მონაწილეობა მიიღო 90 000-მა სამხედრო მოსამსახურემ, 50-ზე მეტმა ხომალდმა, 80 ზე მეტმა თვითმფრინავმა, შვეულმფრენმა და 1100-ზე მეტმა საბრძოლმა მანქანამ ალიანსის 32 წევრი ქვეყნიდან (SHAPE, Steadfast Defender, 2024).

უპრეცედენტო მასშტაბის წვრთნების ჩატარება მიმართული იყო ალიანსის შესაძლებლობების გამოცდისკენ, თუ რამდენად სწრაფად და ეფექტიანად შეუძლია ნატო-ს კოლექტიური თავდაცვის შესახებ V მუხლის ამოქმედება და

ჩრდილოეთ ამერიკიდან და სხვადასხვა რეგიონიდან სამხედრო ძალების მყისიერი გადასროლა (საბრძოლო დანაყოფებისა და სამხედრო ტექნიკის მობილობა ჰაერისა და ზღვის გავლით), აღმოსავლეთ ფლანგის დაცვის მიზნით. წვრთნებმა მკაფიო მესიჯი გაუგზავნა ალიანსის ყველა პოტენციურ მეტოქეს, რომ ტრანსატლანტიკური გაერთიანება მზად არის, ეფექტიანად გაუმკლავდეს ნებისიერ გამოწვევას, მოწოდებულია დაიცვას წევრი ქვეყნების უსაფრთხოება, სტაბილურობა და დემოკრატიული ღირებულებები.

## ახალი ინიციატივების შემუშავება და არსებული

### შესაძლებლობების განვითარება

ალიანსმა კოლექტიური თავდაცვის ახალ ერაში ეფექტიანად ნავიგაციის მიზნით, ბოლო სამიტების პერიოდში მნიშვნელოვანი ინიციატივები დაამტკიცა და შესაბამისი ღონისძიებებიც განახორციელა, რაც მოკავშირეების სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, პოტენციური აგრესორების შეკავებასა და პარტნიორებთან თანამშრომლობის განმტკიცებას ემსახურება.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ყველაზე მასშტაბური ზრდა დაფიქსირდა ყოველწლიურად მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2%-ის თავდაცვითი ხარჯებისთვის მობილიზების კუთხით. წევრი ქვეყნების 2/3-მა შეასრულა აღებული ვალდებულებები ამ მიმართულებით და შედეგად, ევროპელი მოკავშირეებისა და კანადის თავდაცვის ხარჯებმა 2024 წლისთვის 18%-ს მიაღწიეს (Washington Summit Declaration, 2024). გარდა ამისა, ნატო-მ რეგიონული თავდაცვის ახალი გეგმები დაამტკიცა, რუსეთის ფედერაციისა და ტერორიზმისგან მომდინარე საფრთხეების შესაკავებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდაცვის წარმოების სამოქმედო გეგმა (NATO, Relations with Russia, 2023), რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი შესყიდვების განვითარებას, ურთიერთთავსებადობის ამაღლებას, ინვესტიციებისა და წარმოების შესაძლებლობების გაძლიერებას.

ალიანსმა ასევე გაააქტიურა წევრი ქვეყნების საზოგადოებრივი და ინფრასტრუქტურის (განსაკუთრებით კრიტიკული ინფრასტრუქტურის) მედეგობის განმტკიცებისთვის საჭირო ღონისძიებები და ისეთი კრიტიკული შესაძლებლობების განვითარება, როგორცაა კიბერ თავდაცვა, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, სტრატეგიული კომუნიკაციები, სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლა, ენერჯო უსაფრთხოება, ბიოლოგიური, ქიმიური, ბირთვული და რადიოლოგიური საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა და ა.შ. (Washington Summit Declaration, 2024).

ალიანსის მიერ ბოლო პერიოდის განმავლობაში მიღებული ახალი ინიციატივებიდან აღსანიშნავია 2024 წლის სამიტის გადაწყვეტილება ნატო-ს ინტეგრირებული კიბერ თავდაცვის ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ქსელების დაცვას, სიტუაციური ცნობიერების ამაღლებას და სხვა

დონისძიებების განხორციელებას მშვიდობიანობის, კრიზისისა და კონფლიქტის დროს (Washington Summit Declaration, 2024).

2024 წელს ვაშინგტონში გამართულ სამიტზე ნატო-მ უკრაინის დახმარების კოორდინაციის მიზნით, მნიშვნელოვანი ინიციატივები დაამტკიცა, რომელთა შორის საგულისხმოა 2024 წლის სექტემბრიდან ახალი სამეთაურო სარდლობის ჩამოყალიბება გერმანიაში (700 თანამშრომლისგან იქნება დაკომპლექტებული და სამვარსკვლავიანი გენერალი უხელმძღვანელებს), მოკავშირეებისა და პარტნიორების მიერ უკრაინის დასახმარებლად, შეიარაღებისა და ტრენინგების ძალისხმევის კოორდინაცია, უსაფრთხოების სფეროში გრელვადიანი დახმარების ვალდებულების აღება, ნატო-უკრაინის ერთობლივი ანალიზის, ტრენინგის და განათლების (JATEC) ცენტრის შექმნა და ა.შ. (Washington Summit Declaration, 2024). ალიანსი განსაკუთრებით აქტიურად უჭერს მხარს მოკავშირეების გადარწმუნებებს, უკრაინის შეიარაღებითა და სამხედრო ტექნიკით მომარაგებასთან დაკავშირებით და აგრძელებს დახმარებების პაკეტის შეთავაზებას, ურთიერთავსებადობის გაზრდისა და რეფორმირების პროცესის წარმატებით განხორციელების მიზნით. საფრთხეებისა და გამოწვევების ურთიერთდამოკიდებული და კომპლექსური ბუნების გათვალისწინებით, ნატო ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტნიორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განმტკიცებას.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვათ, რომ დაარსებიდან 75 წლის შემდგომ ნატო კვლავ დგას უსაფრთხოების ახალი გამოწვევების წინაშე, რომლებიც მოითხოვენ თანამედროვე მიდგომების დანერგვას, მოკავშირეების ურთიერთავსებადობისა და მზადყოფნის დონის განმტკიცებას, პარტნიორებთან თანამშრომლობის გააქტიურებას და ყოვლისმომცველი მიდგომის დანერგვას. უსაფრთხოების ახალ გარემოში ნატო-ს სტრატეგიული ტრანსფორმაცია კი ემსახურება მშვიდობის, სტაბილურობის განმტკიცებას და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

## ბიბლიოგრაფია

- Valasek Tomas, General Report. NATO Parliamentary Assembly. 2022. NATO's Political and Security adaptation in response to Russia's war: Assessing the new strategic concept and implementation of the Madrid. <https://www.nato-pa.int/download-file?filename=/sites/default/files/2022-12/020%20PC%2022%20E%20rev.2%20fin%20-%20NEW%20STRATEGIC%20CONCEPT%20-%20VALASEK%20REPORT.pdf> (retrieved on 19.07.2024);
- Opening remarks by NATO Secretary General Jens Stoltenberg and U.S. President Joe Biden at the meeting of the North Atlantic Council at the level of Heads of State and Government. 2024. [https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions\\_227411.htm?selectedLocale=en](https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_227411.htm?selectedLocale=en), (retrieved on 19.07.2024);
- Gruyter Caroline, Putin's War is Europe's 9/1; February, 2022. <https://foreignpolicy.com/2022/02/28/putins-war-ukraine-europe-hard-power/>; (retrieved on 19.07.2024);
- NATO Secretary General Jens Stoltenberg, Opening Remarks, 2023. [https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions\\_218172.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_218172.htm); (retrieved on 20.07.2024);
- United Nations, Russian Federation Announces "Special Military Operation" in Ukraine as Security Council Meets in Eleventh-Hour Effort to Avoid Full-Scale Conflict; <https://press.un.org/en/2022/sc14803.doc.htm>; (retrieved on 22.07.2024);
- Ramani, Samuel. 2023. Putin's War on Ukraine: Russia's Campaign for Global Counter-Revolution. London: Hurst Publishers. 2023;
- Giles, Keir. 2023. Russia's War on Everybody and What it Means for You. London. Bloomsbury Academic. Bloomsbury Publishing Plc.;
- NATO 2022 Strategic Concept, 2022. Adopted by Heads of State and Government at the NATO Summit in Madrid;
- SHAPE. Steadfast Defender 2024; <https://shape.nato.int/stde24> (retrieved on 22.07.2024);
- Szenes, Zoltan. 2023. Reinforcing deterrence: assessing NATO's 2022 Strategic Concept, <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14751798.2023.2270230> (retrived on 21.07.2024);
- NATO Industry Forum in Stockholm, 2023. Swedish Defense Minister, Pål Jonson delivers a speech on Wednesday. <https://www.onedecision.com/article/are-sweden-and-finland-in-nato-ceCEgBHdEI>, (retrieved on 18.07.2024);





სტრატეგიის და განვითარების ცენტრი  
CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

# დასავლეთის მიერ უკრაინისთვის გამოყოფილი სამხედრო დახმარება - ძირითადი ცენდენსიები და მიზნებები

ავტორი: სანდრო მეგრელიძე



This project is supported by  
NATO's Public Diplomacy Division

## შესავალი

ორწელიწად-ნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთი, საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული უგულვებელყოფით, უკრაინაში შეიჭრა და ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები წამოიწყო. ომი, რომელსაც ათი ათასზე მეტი სამოქალაქო პირი და ასიათასობით სამხედრო ემსხვერპლა, რამდენიმე ფაზად, გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მოცემული მომენტისთვის, ინიციატივა რუსეთის ხელთაა, რომელიც აქტიურად უტევს უკრაინელთა პოზიციებს. იერიშების ძირითადი მიღწევა მცირე ზომის ტერიტორიული გარღვევებია, რომლებსაც ხშირად თან ახლავს დიდი ადამიანური და მატერიალური დანაკარგები. „გამოფიტვის ომად“ ქცეულ დაპირისპირებაში, ვერც რუსეთი და ვერც უკრაინა ამ ეტაპამდე ვერ ახერხებენ გადამწვეტი უპირატესობის მოპოვებას. სავარაუდოა, რომ ომი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდება.

ომის დინამიკის განმსაზღვრელ ფაქტორთა სიმრავლის გამო, მოვლენათა განვითარების არაერთი სცენარი არსებობს, პროგნოზების გაკეთება კი საკმაოდ რთულია. თუმცა ამგვარი მოცემულობა არ გამორიცხავს არსებული მომენტისათვის დამდგარი შედეგის გაანალიზებისა და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას. ცალსახაა, რომ რუსეთმა ამ დრომდე ვერ შეძლო თავდაპირველად დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევა. კერძოდ, მის ინტერვენციას არ მოჰყოლია უკრაინის სახელმწიფოებრიობის ჩამოშლა, სუვერენიტეტის დაკარგვა და ვასალურ სახელმწიფოდ გადაქცევა. უკრაინამ, რუსურსებში არსებული უზარმაზარი ასიმეტრიის მიუხედავად, მოახერხა რუსეთისათვის მძლავრი და ეფექტიანი წინააღმდეგობის გაწევა. მან მოახერხა ომის საწყის ეტაპზე ოკუპირებული ტერიტორიის დაახლოებით ნახევრის განთავისუფლება და რუსეთის შავი ზღვის ფლოტისათვის დიდი ზიანის მიყენება, რითაც გაიხსნა საზღვაო-სავაჭრო გზები. არსებითი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ უკრაინა ამ დრომდე აგრძელებს ბრძოლას და ინარჩუნებს ომში გამარჯვების შანსს.

რუსეთის ქმედებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უკრაინაში თავდაპირველი მიზნების მიღწევა მისთვის კვლავაც ძალაშია. შესაბამისად, უკრაინისთვის არ მოხსნილა ეგზისტენციალური საფრთხე. ამის მიუხედავად, უკრაინის მიერ ამ მომენტამდე სუვერენიტეტის, ქვეყნის ტერიტორიის 80%-ზე მეტის და ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება ხელშესახები გამარჯვებაა. აღნიშნული წარმატება არაერთმა ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, თავად უკრაინელი ხალხის მიერ გამოხატულმა ნებამ. თავდაპირველად არსებული მოლოდინის საპირისპიროდ, მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსურსებით მრავალჯერ აღმატებულ მტერს და შეძლეს მისთვის დიდი ზიანის მიყენება და შეკავება. ხაზგასასმელია, რომ ბრძოლისუნარიანობა და წინააღმდეგობის გაწევის მტკიცე სურვილი ომის დაწყებიდან ამ მომენტამდე ნარჩუნდება, მიუხედავად უდიდესი მსხვერპლის, ადამიანური ტანჯვისა და აურაცხელი მატერიალური ზიანისა.

საზოგადოების მტკიცე ნებასთან ერთად, მოცემული შედეგი უკრაინელთა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ხელმძღვანელობის მოწოდების სიმალღებზე ყოფნამ და მათმა ლიდერობამ უზრუნველყო. ომის სხვადასხვა ეტაპებზე, იყო მნიშვნელოვანი ჩავარდნები, თუმცა მთლიანობაში, უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმერ ზელენსკის მეთაურობით უკრაინის მთავრობამ კრიტიკულ მომენტებში წინააღმდეგობის სათანადოდ ორგანიზება და სიტუაციის ეფექტიანი მართვა შეძლო. ამის საპირისპიროდ, რუსეთის ხელმძღვანელობამ არაერთი შეცდომა დაუშვა, რომელთა

შორის უმთავრესი, თავად შეჭრის გადაწყვეტილებაა. კრემლში არასათანადოდ შეაფასეს უკრაინელთა პატრიოტული განწყობები და წინააღმდეგობის განვითარების მზაობა. ამასთან, როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, კრემლის მიერ დასახული პოლიტიკური მიზნები და არსებული სამხედრო შესაძლებლობები, არ იყო ერთმანეთთან თანხვედრაში (Franz-Stefan Gady and Michael Kofman, 2024).

ამ ფაქტორებთან ერთად, საკვანძო როლი ითამაშა უკრაინის მიერ დასავლეთიდან მიღებულმა სამხედრო დახმარებამ. ევროპის და ჩრდილო ამერიკის დედაქალაქებიდან მიღებული სამხედრო ტექნიკის მეშვეობით უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა შეძლო რესურსებში არსებული უზარმაზარი ასიმეტრიის დაბალანსება და არაერთ ბრძოლაში მტრის დამარცხება. დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ დასავლური სამხედრო დახმარების გარეშე უკრაინა კონვენციურ ომში დამარცხდებოდა. სავარაუდოდ, წინააღმდეგობა პარტიზანულ ხასიათს შეიძენდა. ალტერნატიულ სცენარში, უკრაინელები შეეგუებოდნენ მარცხს და მიიღებდნენ რუსეთის მიერ დაწესებულ პირობებს. უდავოა, რომ დასავლეთის სამხედრო დახმარებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებისთვის, არა მხოლოდ ომის საწყის, არამედ მის შემდგომ ეტაპებზეც.

ამ აშკარა დებულების მიღმა, არაერთი საკითხი თუ დეტალია, რომელიც სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს. მათ შორის, საინტერესოა, რამდენად და როგორ იცვლებოდა დინამიკაში დასავლეთის მიერ გამოყოფილი სამხედრო დახმარება და რამდენად პასუხობდა ის არსებულ საჭიროებებს. ასევე გამოსარკვევია, თუ რამდენად თანმიმდევრულია განუვლი სამხედრო დახმარება, არის თუ არა ის ერთიანი გააზრებული სტრატეგიის ნაწილი და რამდენად ქმნის უკრაინის ომში გამარჯვების პირობებს. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მოცემული ნაშრომი სწორედ ამ საკითხების ანალიზს და შესაბამისი დასკვნების გამოტანას ეცდება.

## გამოყენებული წყაროები

წარმოდგენილი ნაშრომი ძირითადად კიელის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის მონაცემებს (2024) ეყრდნობა, რომელიც 2022 წლის 24 იანვრიდან 2024 წლის 29 აპრილის პერიოდს მოიცავს და სიღრმისეულ, სანდო და მრავალმხრივ სტატისტიკას იძლევა. რიგ შემთხვევებში, მოვლენათა სრულყოფილი ანალიზისათვის, ასევე გამოყენებულია სხვა წყაროებიც, რომლებიც ტექსტში შესაბამისი მითითებებით არის ასახული.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის მიერ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გამოყოფა 2022 წლამდე დაიწყო. მათ შორის, ლეტალური იარაღის ერთ-ერთი პირველი პარტიის მიწოდება 2018 წელს მოხდა, (Reuters, 2018) როდესაც, აშშ-ს მთავრობამ უკრაინას და საქართველოს „ჯაველინის“ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო სისტემები გადასცა, თუმცა მოცემული ნაშრომი, მხოლოდ 2022 წლის 24 იანვრიდან პერიოდზე კონცენტრირდება, კიელის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის მონაცემების კვალდაკვალ.



# უკრაინისთვის გამოყოფილი დახმარების ძირითადი მონაცემები და ტენდენციები

კიელის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტების მონაცემებით (2024), 2022 წლის 24 იანვრიდან 2024 წლის 30 აპრილის ჩათვლით, დასავლეთის მთლიანმა დახმარებამ 156 მილიარდ ევროს გადააჭარბა, რაც, როგორც სამხედრო, ისე ფინანსურ და ჰუმანიტარულ დახმარებას მოიცავს. ტერმინი „დასავლეთი“ მოიაზრებს ევროპისა და ჩრდილო ამერიკის სახელმწიფოებს, მათ შორის გეოგრაფიული ევროპის იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირის წევრები არ არიან (დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია).

გაღებული თანხის დაახლოებით ორი მესამედი (100.94 მილიარდი ევრო) სამხედრო დახმარებამ შეადგინა, საიდანაც, 50.37 მილიარდი ევრო - აშშ-მა, ხოლო 47.87 მილიარდი ევრო ევროპულმა სახელმწიფოებმა (ევროკავშირის წევრებმა, ნორვეგიამ, დიდმა ბრიტანეთმა, შვეიცარიამ და ისლანდიამ) გაიღეს. ამავე პერიოდში, სხვა სახელმწიფოების მიერ უკრაინისთვის დაახლოებით 3 მილიარდი ევროს ოდენობის სამხედრო დახმარება გაიცა, რომლის უდიდესი წილი კანადაზე მოდის. ამასთან, უკრაინისთვის შედარებით მცირედი სამხედრო დახმარება თურქეთმა, სამხრეთ კორეამ, ავსტრალიამ და ახალმა ზელანდიამაც გამოყვეს.

სამხედრო დახმარების კოორდინაციისათვის ომის დაწყებიდან მალევე რამდენიმე საერთაშორისო მექანიზმი შეიქმნა. მათ შორის, თავისი მნიშვნელობით გამორჩეულია უკრაინის თავდაცვის საკონტაქტო ჯგუფი, რომელიც 2022 წლის აპრილში ჩამოყალიბდა და რამშტაინის სახელითაა ცნობილი (Ismay, 2022). ის 50-ზე მეტი სახელმწიფოსგან შედგება და ომის დაწყებიდან მალევე იქცა სამხედრო დახმარებს საჭიროებების განსაზღვრის, მობილიზების და კოორდინაციის მთავარ მექანიზმად. ჯგუფს ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) ხელმძღვანელობს და ამ დრომდე ჯამში 22-ჯერ შეიკრიბა.

ომის მიმდინარეობისას უკრაინის ბრძოლისუნარიანობის შესანარჩუნებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აშშ-მა ითამაშა, რაც ზემოთ ნახსენებ სტატისტიკაშიც მკაფიოდ იკვეთება. მთლიანობაში, აშშ-ზე უკრაინის სამხედრო დახმარების ნახევარზე მეტი მოდის. გარდა იმისა, რომ აშშ ამ მხრივ ყველაზე დიდი კონტრიბუტორია, ის გამორჩეულია თავისი სამხედრო ინდუსტრიული პოტენციალით. ამ მომენტისთვის, ევროპულ სახელმწიფოს მისი სრულფასოვნად ჩანაცვლება არ შეუძლიათ, რაც განსაკუთრებით ცხადად 2024 წლის დასაწყისში გამოჩნდა: უკრაინის მარაგში საარტილერიო ჭურვების რამდენიმეთვიანი დეფიციტი მხოლოდ აშშ-ის სამხედრო დახმარების დამტკიცების შემდეგ აღმოიფხვრა.

2022 წელს, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, აშშ-ის კონგრესმა უკრაინის დასახმარებლად ხუთი მნიშვნელოვანი კანონპროექტი მიიღო, რომლის შესაბამისადაც ამერიკის მთავრობამ უკრაინას სამხედრო დახმარება გაუწია. უკანასკნელი, 61 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარების პაკეტი, აშშ-ს კონგრესმა მიმდინარე წლის 24 აპრილს დაამტკიცა, რომელშიც გათვალისწინებულია ფინანსები კიევის შეიარაღებით უზრუნველსაყოფად, ეკონომიკური და ჰუმანიტარული დახმარების აღმოსაჩენად და უკრაინის დახმარების მიზნით, აშშ-ს სხვადასხვა სამხედრო აქტივობების, მათ შორის სადაზვერვო ოპერაციების განსახორციელებლად. დამტკიცებული პაკეტის შესაბამისად, აშშ-ის მიერ შეიარაღების მიწოდება სამი მექანიზმით არის გათვალისწინებული: 1) პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, როდესაც აშშ-ის თავდაცვის არსებული იარაღის რეზერვებიდან ხდება შეიარაღების პირდაპირი მიწოდება; 2) „უკრაინის უსაფრთხოების დახმარების ინიციატივის“ (USAI) პროგრამით,

რომლის ფარგლებშიც ამერიკის მთავრობა ამერიკულ კომპანიებს უკვეთავს უკრაინისათვის მისაწოდებელ სამხედრო ტექნიკას; 3) უცხოური სამხედრო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში, რომელიც ასევე გულისხმობს თანხების გამოყოფას უკრაინისათვის იარაღის შესაძენად. პაკეტის მიხედვით, უკრაინის უსაფრთხოების დახმარების ინიციატივის პროგრამით გათვალისწინებულია 13.77 მილიარდი დოლარი, ხოლო უცხოური სამხედრო დაფინანსების პროგრამით - 1.6 მილიარდი დოლარი. ამასთან, ამერიკის სამხედრო რეზერვების შესავსებად, გათვალისწინებულია 13.41 მილიარდი დოლარი, საიდანაც პრეზიდენტს შეუძლია უკრაინას შეიარაღება მიაწოდოს, თუმცა ამ თანხიდან, პრეზიდენტისათვის იარაღის მიწოდების დადგენილი ზედა ზღვარი 7.8 მილიარდს შეადგენს. აღნიშნული პაკეტის სრულად ათვისების შემთხვევაში, აშშ-ს სამხედრო დახმარებამ, 2024 წელს, შესაძლოა 23.5 მილიარდ დოლარამდე (21.6 მილიარდი ევრო) შეადგინოს, წინა პაკეტით გათვალისწინებული 300 მილიონი ევროს ჩათვლით.

აშშ-ს შემდეგ, უკრაინისთვის განეული სამხედრო დახმარების სიდიდით გამორჩეულია გერმანია. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ოფიციალური ბერლინი უკრაინისთვის მძიმე ტექნიკის გადაცემისგან თავს იკავებდა, რაც, გარკვეულწილად, გამომდინარეობდა როგორც სიფრთხილით, ისე გერმანიასა და რუსეთს შორის ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული განსაკუთრებული დამოკიდებულებებით, ოღაფ შოლცის მთავრობამ, საკმაოდ მალე შეცვალა პოლიტიკა და დროთა განმავლობაში, ევროპის მასშტაბით, სამხედრო დახმარების კუთხით, მთავარი კონტრიბუტორი გახდა.

კიელის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის მონაცემებით, 2022 წლის იანვრიდან 2024 წლის 29 აპრილის პერიოდში, გერმანიამ უკრაინის დასახმარებლად 14.65 მილიარდი ევრო გაიღო, საიდანაც სამხედრო დახმარებამ 10.20 მილიარდი ევრო შეადგინა. გერმანიის მიერ გამოყოფილი სამხედრო დახმარება დროთა განმავლობაში მკვეთრი ზრდით ხასიათდებოდა: 2022 წელს - 1.6 მილიარდი, ხოლო 2023 წელს 5 მილიარდი ევრო შეადგინა. მიმდინარე წლის ოთხი თვის მონაცემებით, გერმანიამ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების სახით უკვე 2.7 მილიარდი ევრო გაიღო. გერმანიის მთავრობის ვალდებულების მიხედვით, 2024 წელს უკრაინისათვის განკუთვნილი სამხედრო დახმარება ჯამში 7.1 მილიარდ ევროს მოიცავს. ამასთან, გერმანიას ამ ეტაპისთვის უკვე აღებული აქვს მომავალი წლებისათვის დამატებით 14 მილიარდ ევროზე მეტი სამხედრო დახმარების მიწოდების ვალდებულება (*Federal Government website*, June 14).

გერმანიასთან ერთად ასევე გამოსარჩევია ერთის მხრივ დიდი ბრიტანეთის წვლილი, რომელმაც, იმავე პერიოდში, 8.8 მილიარდი ევროს სამხედრო დახმარება გამოყო, და მეორეს მხრივ - ნორდიკული სახელმწიფოების (დანია, შვედეთი, ფინეთი, ნორვეგია, ისლანდია) კონტრიბუცია, რომელთა ჯამურმა სამხედრო დახმარებამ 11.26 მილიარდი ევრო შეადგინა. მათ შორის, ყველაზე დიდი წილი - 5.6 მილიარდი ევრო - დანიაზე მოდის, რომლის გამოყოფილი დახმარება განსაკუთრებით ომის ბოლო ფაზებში გაიზარდა. მაგალითად, 2023 წლის დეკემბერში, როდესაც აშშ-ს კონტრიბუცია კრიტიკულად შემცირდა, დანიის მიერ 1 თვეში გაღებული დახმარების სარეკორდო მაჩვენებელი, 1.18 მილიარდი ევრო დაფიქსირდა. ნორდიკულ სახელმწიფოებს მოსდევნენ ნიდერლანდების სამეფო (4.3 მილიარდი ევრო), პოლონეთი (3 მილიარდი ევრო) და საფრანგეთი (2.69 მილიარდი).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბალტიისპირეთის ქვეყნების კონტრიბუცია, რომლებიც უკრაინის ერთ-ერთ მთავარ მხარდამჭერებად ჩამოყალიბდნენ. მათი ასეთი დამოკიდებულება არ არის გასაკვირი, იმ უარყოფითი გამოცდილების

გათვალისწინებით, რაც რუსეთთან ურთიერთობაში ისტორიულად დაუგროვდათ. ეს ქვეყნები მოწინავე ადგილზე იმყოფებიან უკრაინისთვის გამოყოფილი სამხედრო დახმარებით, მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებით. მაგალითად, ესტონეთის მიერ უკრაინისთვის გამოყოფილი სამხედრო დახმარება (501 მილიონი ევრო) მისი 2021 წლის მშპ-ის 1.64%-ს შეადგენს. ამავე მაჩვენებლით გამოირჩევა დანია (მშპ-ის 1.61%-ით), ლიეტუვა (მშპ-ის 1.35%-ით), ლატვია (მშპ-ის 1,29%-ით), ფინეთი (0,82%-ით), პოლონეთი (მშპ-ის 0,68%). მათ საგრძნობლად ჩამორჩება გერმანია (მშპ-ის 0,37%) და აშშ (მშპ-ის 0,34%).


## უკრაინისთვის განუვლი სამხედრო დახმარება დროის დინამიკაში

დასავლეთის მიერ უკრაინისთვის აღმოჩენილი სამხედრო დახმარების სიღრმისეულად გასაანალიზებლად, მნიშვნელოვანია მისი დინამიკაში შეფასება, ომის ფრონტზე მიმდინარე მოვლენათა პარალელურად. ომის თითქმის სამწლიანი ხანგრძლივობა წლების მიხედვით ამგვარ დაკვირვებას შესაძლებელს ხდის. იკვეთება, რომ სამხედრო დახმარება უკრაინას სტაბილურად და სისტემატიურად მიეწოდებოდა. 2022 წელს, დასავლეთის მიერ უკრაინისადმი გამოყოფილმა სამხედრო დახმარებამ, ჯამურად, 35 მილიარდ ევროზე მეტი შეადგინა, ხოლო 2023-ში 48 მილიარდ ევროს გადააჭარბა. საგულისხმოა, რომ 2022 წლის სამხედრო დახმარების დიდი ნაწილი მხოლოდ 10 თვის განმავლობაში გამოიყო, რითიც შეიძლება აიხსნას 2023 წლის მონაცემებთან სხვაობა.

პოლიტიკურ პროცესებსა და სამხედრო დახმარების დინამიკაზე დაკვირვებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიმდინარე წელსაც მხარდაჭერის დონე 40 მილიარდი ევროს ფარგლებში შენარჩუნდება. კიელის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის 30 აპრილის მონაცემებით (IFW), უკრაინის დასავლელ პარტნიორებს აღებული აქვთ ვალდებულება, 2024-სა და მომდევნო წლებში, უკრაინას სამხედრო დახმარების სახით 39 მილიარდ ევრომდე გამოუყონ. სავარაუდოა, რომ აღნიშნული მხოლოდ ნაწილია იმ დახმარებისა, რომელიც უკრაინისათვის გამოიყოფა. Reuter-ის ექსკლუზიური ინფორმაციით, ნატოს სახელმწიფოები 2025 წელს უკრაინისათვის სამხედრო სახით 40 მილიარდი ევროს გამოყოფაზე შეთანხმდნენ (Siebold, 2024), რაც იმის მანიშნებელია, რომ დასავლეთის დახმარების არსებული დონე შენარჩუნდება. მოსალოდნელია, რომ ინფორმაცია 2025 წლის ვალდებულების შესახებ ნატოს ვაშინგტონის სამიტზე უკვე ოფიციალურად დადასტურდება.

სამხედრო დახმარებაში არსებული ტენდენციების კიდევ უფრო მკაფიო სურათს კვარტალური დაკვირვება იძლევა (იხილეთ დიაგრამა № 1). ამგვარი მიდგომით შესაძლებელია ლოგიკური ჯაჭვის დანახვა ფრონტზე არსებულ სიტუაციას და დასავლეთის დედაქალაქებში მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის. კვარტლების მიხედვით, ომის დაწყების პირველ წელს დაფიქსირდა სწრაფი ზრდისა და შემდგომ თანმიმდევრული კლების დინამიკა. 2023 წლის პირველ კვარტალში დახმარება ისევ გაიზარდა და აქამდე რეკორდულ ნიშნულს, 18,89 მილიარდ ევროს, მიაღწია, რასაც წლის განმავლობაში მოჰყვა თანდათანობითი კლება. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, წინა წლების საუკეთესო მონაცემებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელი, 7.99 მილიარდი ევრო, დაფიქსირდა, თუმცა ის აღემატებოდა 2023 წლის ბოლო კვარტლის შედეგს. მეორე კვარტლის პირველ თვეში (აპრილში) კი, დაფიქსირებულმა ნიშნულმა (8,56 მილიარდი ევრო), პირველი კვარტლის ნიშნულს გადააჭარბა.


## დასავლეთის მიერ უკრაინისთვის გამოყოფილი სამხედრო დახმარება, კვარტლების მიხედვით



დიაგრამა № 1

საინტერესოა, რომ კვარტალური მაჩვენებლით, აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოების სამხედრო დახმარების ზრდისა და კლების დინამიკა დიდწილად ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა არის გარკვეული სხვაობებიც (იხილეთ დიაგრამა № 2). 2022 წელს, აშშ-ის დახმარება სამი კვარტლის განმავლობაში იზრდებოდა, მე-4 კვარტალში კი შემცირდა. ევროპის შემთხვევაში, აშშ-ის მსგავსად, დახმარება პირველ და მეორე კვარტლებს შორის მკვეთრად გაიზარდა, თუმცა შემცირება უფრო ადრე, მესამე კვარტლიდან დაიწყო. 2023 წელს, აშშ-სა და ევროპის სამხედრო დახმარების მაჩვენებლები უფრო მეტად დაუახლოვდა ერთმანეთს. პირველ კვარტალში, ორივეს შემთხვევაში, სარეკორდო მაჩვენებელი დაფიქსირდა - აშშ 10.38 მილიარდი ევრო, ევროპა 8.34 მილიარდი ევრო, - რომელსაც შემდეგი კვარტლების განმავლობაში თანდათანობითი კლება მოჰყვა. რაც შეეხება 2024 წლის პირველ კვარტალს, ამ მონაკვეთში მკაფიო სხვაობა დაფიქსირდა: თუ აშშ-ის სამხედრო დახმარება 0.28 მილიარდ ევრომდე დაეცა, ევროპის დახმარება 7.49 მილიარდ ევრომდე გაიზარდა.

# უკრაინის სამხედრო დახმარება, კვარტლების მიხედვით, ევროპა და აშშ



დიაგრამა № 2

ომის საწყის ეტაპზე, სამხედრო დახმარება ძირითადად მსუბუქ შეიარაღებას მოიცავდა, მათ შორის ანტისატანკო და ანტისაჰაერო საშუალებებს, შაშხანებს, დრონებს, ტყვიამფრქვევებს, ჩაფხუტებს, ჟილეტებსა, და ტყვია-წამალს. ამ პერიოდისათვის გადაცემული იარაღი ეფექტური საშუალება გამოდგა რუსეთის ფართომასშტაბიანი სახმელეთო ოპერაციის შესაჩერებლად.

2022 წლის მე-2 და მე-3 კვარტლებში გამოყოფილი დახმარება, 12.6 და 11.23 მილიარდ ევრომდე გაიზარდა. ბრძოლის ეპიცენტრმა ჩრდილოეთიდან სამხრეთსა და აღმოსავლეთით გადაინაცვლა. აპრილის დასაწყისისთვის, უკრაინელებმა შეძლეს კიევის ტერიტორიის რუსული სამხედრო შენაერთებისგან სრული განმეხდა, რასაც მოჰყვა ჩერნიჰევისა და სუმის რეგიონების განთავისუფლება. დასავლეთმა უფრო აქტიურად დაიწყო უკრაინისთვის მძიმე ტექნიკის მიწოდება, მათ შორის უკრაინას დასავლური წარმოების ბუქსირებადი ლულიანი საარტილერიო სისტემა „M-777 ჰაუბიცა“, საბჭოური წარმოების ტანკები, შვეულმფრენები და საარტილერიო-სარაკეტო სისტემები გადასცა. განეული დახმარება, პასუხობდა ბრძოლის ველზე მიმდინარე მოვლენებს: რუსეთის ბლიცკრიგის ჩავარდნის შემდეგ, ომმა უფრო მეტად პოზიციური ბრძოლების სახე მიიღო, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა საარტილერიო დუელებს მიეცა. ამ ფაზაშიც უკრაინელებმა ეფექტურად გამოიყენეს მიწოდებული სამხედრო დახმარება და მტრის მოგერიებასთან ერთად, თანდათანობით კონტრშეტევაზე გადავიდნენ. შედეგად, განთავისუფლდა რუსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიის თითქმის ნახევარი - ქალაქი ხერსონი, მისი მიმდებარე არეალი და ქალაქ ხარკოვის ირგვლივ ოკუპირებული ტერიტორიები.

ომის შემდგომი ფაზა, 2022 წლის მეოთხე კვარტლიდან 2023 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით, შედარებით დაბალი ინტენსივობით ხასიათდებოდა. ამ დროისთვის, ერთი მხრივ, იკლო რუსეთის სახმელეთო იერიშებმა, მეორე მხრივ კი გამოიკვეთა უკრაინის ფართომასშტაბიანი კონტრშეტევის შესაძლებლობა. გამონაკლისს წარმოადგენდა

ბახმუტის რაიონი, სადაც რუსეთის აქტიურ შეტევას კერძო სამხედრო დაჯგუფება „ვაგნერი“ ედგა სათავეში. დასავლური დახმარების კლება, 2022 წლის ბოლოს დაკავშირებულია ბრძოლის ინტენსივობის შენელებასთან, ხოლო მისი რეკორდული ზრდა, 2023 წლის დასაწყისში, უკრაინის კონტრშეტევისათვის შეიარაღების გადაცემასთან. ამ პერიოდში, უკრაინის შეტევითი ოპერაციებისათვის საჭირო მძიმე ტექნიკა გამოიყო, რომელიც მოიცავდა როგორც თანამედროვე ტანკებს, მათ შორის გერმანულ „Leopard 2-ის“ ტიპის ტანკებს, ასევე რუსული წარმოების საბრძოლო თვითმფრინავებსა და ბრიტანული წარმოების შორი რადიუსის ფრთოსან რაკეტებს, „Storm Shadow“. აღსანიშნავია, რომ უკრაინის კონტრშეტევის შესაბამისი იარაღით უზრუნველყოფა, თვეების განმავლობაში გაიწვია, რამაც რუსეთს საკმარისი დრო მისცა თავდაცვითი პოზიციების გასამაგრებლად.

ომის აღნიშნულ ფაზაში რუსეთმა უმატა უკრაინის სიღრმეში, დრონებისა და სხვადასხვა სარაკეტო სისტემების გამოყენებით, კრიტიკულ ინფრასტრუქტურასა თუ სამოქალაქო ობიექტებზე იერიშებს. შედეგად, უკრაინელთა მხრიდან მოთხოვნა გაიზარდა საჰაერო თავდაცვით სისტემებზე, რასაც, ასევე პასუხად მოჰყვა, დასავლეთის მხრიდან საჰაერო თავდაცვის სისტემების მიწოდება. ასე მაგალითად, 2022 წლის დეკემბერში, აშშ-მა უკრაინას საჰაერო თავდაცვის სისტემა „Patriot-ის“ პირველი ბატარეა გადასცა.

2023 წლის უკანასკნელ კვარტალში, ომის დაწყების შემდეგ, სამხედრო დახმარების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 5.37 მილიარდი ევრო დაფიქსირდა, რაც, ერთი მხრივ განპირობებული იყო უკრაინის კონტრშეტევის მარცხის შემდეგ ბრძოლის ინტენსივობის კლებით, მეორე მხრივ კი, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში უკრაინის დახმარების კანონპროექტის გაჩერებით, რომლის საბოლოოდ მიღებაც 7 თვის მანძილზე გაიწვია.

დახმარების კლებასთან ერთად, რუსეთმა ფრონტზე თანდათანობით ინიციატივა დაიბრუნა, 2024 წლის პირველ ნახევარში კი გარკვეულ სამხედრო წარმატებებსაც მიაღწია. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო ქალაქ ავდიივკის დაკავება იყო. ფრონტზე გართულებულ სიტუაციასთან ერთად, კვლავ მკვეთრად გაიზარდა ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო დახმარება, რომელიც 2024 წლის პირველ კვარტალში ჯამურად 7.49 მილიარდ ევროს გაუტოლდა. სამხედრო დახმარების გაზრდით, ევროპის სახელმწიფოებმა ნაწილობრივ აღმოფხვრეს ის სიცარიელე, რომელიც ამერიკის დახმარების შეჩერებით გაჩნდა. როგორც წინა შემთხვევებში, ამ შემთხვევაშიც, სამხედრო დახმარების ზრდა დაკავშირებული იყო ბრძოლის ველზე არსებულ სიტუაციასა და უკრაინელთა გადაუდებელ საჭიროებებთან.

## **მიწოდებული სამხედრო იარაღის ტიპები და მათზე დაწესებული შეზღუდვები**

დასავლეთის სამხედრო დახმარების ძირითადი ტენდენციების სრულყოფილი სურათის დასანახად, არანაკლებ მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ უკრაინისათვის მიწოდებული სამხედრო იარაღის ტიპებს და მათზე დაწესებული შეზღუდვების თანდათანობით მოხსნას. ამ კუთხით დახმარებამ ომის მსვლელობისას პროგრესი განიცადა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. კერძოდ, თანდათანობით მოხდა მიწოდებული სამხედრო ტექნიკის ტიპების გამრავალფეროვნება და მათზე დაწესებული შეზღუდვების მოხსნა ან შეზღუდვა.

პირველი საგრძნობი ცვლილება ომის დაწყებიდან მალევე, 2022 წლის აპრილის თვეში დაფიქსირდა: უკრაინის თავდაცვის საკონტაქტო ჯგუფის ამოქმედებასთან ერთად, უკრაინის სამხედრო ძალებს თანამედროვე ტიპის სხვადასხვა შეიარაღება გადაეცა. მათ შორის გამოსარჩევია დასავლური წარმოების საარტილერიო სისტემები და მაღალი მობილობის საარტილერიო-სარაკეტო სისტემა, „HIMARS“. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა და ომის მოცემულ მონაკვეთში უკრაინას მნიშვნელოვანი უპირატესობა მოუტანა. ბერლინში შეცვლილი პოლიტიკის შედეგად, უკრაინამ ასევე მიიღო გერმანული წარმოების „Gepard-ის“ ტიპის საზენიტო-საბრძოლო მანქანები, რაც გერმანიის მხრიდან უკრაინისათვის მძიმე ტექნიკის მიწოდების პირველი შემთხვევა იყო. ამავე პერიოდში, ჩეხეთის რესპუბლიკამ, ომის განმავლობაში პირველად, უკრაინას საბჭოთა წარმოების ძირითადი საბრძოლო ტანკები გადასცა.

შემდეგი მნიშვნელოვანი პროგრესი, უკრაინის კონტრიერიშის მოსამზადებელ ფაზაში, 2023 წლის დასაწყისში დაფიქსირდა. 2023 წლის იანვარში დიდმა ბრიტანეთმა უკრაინისათვის თანამედროვე საბრძოლო ტანკების გადაცემის გადანაცვტილება მიიღო, რასაც მალევე აშშ-სა და გერმანიის მხრიდან იდენტური ქმედებები მოჰყვა. შედეგად, უკრაინამ მიიღო გარკვეული რაოდენობით ბრიტანული, გერმანული და ამერიკული წარმოების თანამედროვე ძირითადი საბრძოლო ტანკები.

კონტრშეტევის მომზადების ფაზაში, ასევე პირველად მოხდა უკრაინისათვის საბრძოლო თვითმფრინავების გადაცემა. კერძოდ, პოლონეთმა და შემდეგ სლოვაკეთმა კიევის თავის რეზერვში არსებული საბრძოლო თვითმფრინავები „Mig-29“ გადასცეს. უკვე მოგვიანებით, 2023 წლის აგვისტოში, უკრაინის პარტნიორებმა დასავლური წარმოების საბრძოლო თვითმფრინავების, კერძოდ კი „F-16-ის“ ტიპის ავიაგამანადგურებლების, მიწოდების გადანაცვტილება მიიღეს, რომელიც, მოსალოდნელია, რომ უკრაინაში უახლოეს კვირებში უნდა გამოჩნდეს. პარალელურად, აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოთა ავიაბაზებზე მიმდინარეობს უკრაინელ პილოტთა გადამზადება.

უკრაინის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით, ერთ-ერთი საკვანძო მომენტი შორ მანძილზე მოქმედი მაღალი სიზუსტის რაკეტების მიწოდება იყო. ამ შემთხვევაშიც, წამყვანი როლი დიდმა ბრიტანეთმა ითამაშა, რომელმაც 2023 წლის მაისში დაადასტურა ინფორმაცია უკრაინისათვის ბრიტანული წარმოების შორ მანძილზე მოქმედი რაკეტების, „Storm Shadow“ მიწოდების შესახებ, რასაც მალევე მოჰყვა საფრანგეთის მხრიდან ფრანგული წარმოების ანალოგიური იარაღის, „Scalp-EG“, უკრაინისთვის გადაცემა. როგორც აღმოჩნდა, აშშ-ში მსგავსი გადანაცვტილების მიღებას უფრო მეტი დრო დასჭირდა. ამერიკული შორ მანძილზე მოქმედი რაკეტების, „ATACAMS“ გადაცემა მხოლოდ მიმდინარე წლის აპრილში მოხდა (Gwadera, 2024). საუბარია მის იმ ვარიანტზე, რომელიც ხარისხობრივად აღემატება ბრიტანულ თუ ფრანგულ ანალოგებს და 300 კმ-ის რადიუსის მანძილზე შეუძლია მოწინააღმდეგის სამიზნეების განადგურება. მოგვიანებით, უკრაინელებმა ის ძალიან ეფექტურად გამოიყენეს რუსული S-300 და S-400 ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების წინააღმდეგ (Denisova, 2024). უკრაინელთა დაუნიებელი მოთხოვნის მიუხედავად, ანალოგიური ტიპის გერმანული წარმოების რაკეტების „Taurus“ მიწოდებისგან ოფიციალური ბერლინი ამ დრომდე თავს იკავებს.

დასავლეთის მიერ გაგზავნილ ტექნიკას რიგ შემთხვევაში მის გამოყენებაზე მნიშვნელოვანი შეზღუდვები ახლდა თან. ყველაზე ხშირად, შეზღუდვები მიწოდებული იარაღის რუსეთის საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე გამოყენების აკრძალვას გულისხმობდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც, დროსთან ერთად, გამოვლინდა

შეზღუდვების თანდათანობით შემსუბუქების ტენდენცია. მაგალითად, მიმდინარე წლის მაისში, დიდმა ბრიტანეთმა, შორს მოქმედ ფრთოსანი რაკეტებზე მანამდე დაწესებული შეზღუდვა ნაწილობრივ მოხსნა. ამის პარალელურად, რიგ შეიარაღებაზე კვლავაც მოქმედებს მნიშვნელოვანი შეზღუდვები. მათ შორის ამერიკული წარმოების შორს ფრთოსან რაკეტებზე, რომლის გამოყენება უკრაინას რუსეთის მხოლოდ კონკრეტულ რაიონებში შეუძლია.

მინოდებულ იარაღზე აკრძალვების მოხსნას, მსგავსად თავად შეიარაღების ტიპებზე გამოვლენილი თავშეკავებისა, ძირითად შემთხვევებში ბიძგს გადაუდებელი სამხედრო საჭიროება აძლევდა. მათ შორის, ხსენებულ რაკეტებზე („ATACAMS“) შეზღუდვის შერბილება დაკავშირებული იყო მიმდინარე წლის მაისში, რუსეთის მხრიდან ხარკოვის მიმართულებაზე წამოწყებულ იერიშთან. შეტევის ეფექტურად მოსაგერიებლად, აშშ-მა დაუშვა მისი რუსეთის ტერიტორიაზე, ხარკოვის მიმდებარედ გამოყენება. ამ გადაწყვეტილებამ, არსებითად გაზარდა უკრაინის უნარი შეეჩერებინა რუსეთის ჩრდილოეთიდან მომავალი ახალი იერიში.

ხაზგასასმელია, რომ სამხედრო ტექნიკის ტიპებსა და მათ გამოყენებაზე შეზღუდვების მოხსნა, ხშირ შემთხვევაში არ ხდებოდა ერთბაშად და ერთხმად. ძირითადად, ასეთ გადაწყვეტილებებს წინ უძღოდა ერთი მხრივ ფრონტზე გამოკვეთილი ამა თუ იმ იარაღის მინოდების მკაფიო სამხედრო საჭიროება, მეორე მხრივ კი, უკრაინელთა დაჟინებული მოთხოვნა, რის შემდეგაც, ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო იღებდა გადაწყვეტილებას მოთხოვილი იარაღის მინოდების შესახებ. ასეთი ნაბიჯები კი აჩენდა პრეცედენტს, რომელიც, თავის მხრივ, ქმნიდა ზეწოლას სხვა დასავლურ სახელმწიფოებზე. ხშირ შემთხვევაში, ამ გადაწყვეტილებებს წინ უძღოდა რუსეთის მიერ ტაქტიკური ხასიათის სამხედრო წარმატება ან მათ მიერ სამოქალაქო თუ კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე დამანგრეველი იერიშის მიტანა, რაც პოლიტიკურ ელიტებზე, დასავლეთში, მნიშვნელოვნად ზრდიდა წნეხს. აღნიშნული ციკლი პრაქტიკულად ყველა დამატებითი მაღალტექნოლოგიური სამხედრო ტექნიკის მინოდებას უძღოდა წინ.

## უკრაინელ სამხედროთა წვრთნა

დასავლური დახმარების არანაკლებ მნიშვნელოვან კომპონენტს უკრაინელ სამხედროთა სისტემური წვრთნა წარმოადგენს. აღნიშნული უკრაინას ეხმარება კრიტიკულად მნიშვნელოვანი დაჯგუფებების მომზადებასა და ომში დაკარგული ადამიანური რესურსის აღდგენაში. აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მონაცემებით, 2022 წლიდან, აშშ-მა და უკრაინის სხვა პარტნიორებმა ჯამურად 123 000 სამხედრო პირზე მეტი გაწვრთნეს (Congressional Research Service, June, 2024). წვრთნები ოთხ ძირითად ტიპს მოიცავდა: ახალწვეულების საბაზისო წვრთნას, სხვადასხვა დასავლური წარმოების შეიარაღების ათვისების სწავლებებს, უმცროს ოფიცერთა და მეთაურთა წვრთნას და სხვადასხვა კოლექტიურ სწავლებებს (Fornusek, 2024). საინტერესოა, რომ წვრთნების სისწრაფის და მასში მონაწილე სამხედროთა რაოდენობის გასაზრდელად, გაჟღერდა მისი უკრაინის ტერიტორიაზე ჩატარების იდეა (Phillippe Ricard and Cédric Pietralunga, 2024). აღნიშნულის მთავარი მხარდამჭერი საფრანგეთის პრეზიდენტი, ემანუელ მაკრონია, თუმცა ამ ეტაპამდე ასეთი გადაწყვეტილება მიღებული არ არის. საგულისხმოა, რომ ფართომასშტაბიანი წვრთნების უკრაინის ტერიტორიაზე ჩატარება, დასავლეთის ომში მონაწილეობის უფრო აქტიურ ჩართვას გულისხმობს.



## უკრაინის თავდაცვის შესაძლებლობების გრძელვადიანი განვითარება

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ომის უფრო გვიანდელ ფაზებში გარკვეული ყურადღება მიექცა უკრაინის თავდაცვითი შესაძლებლობების მდგრადობასა და გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარებას. ამგვარი მიდგომა სხვადასხვა შესაძლებლობის განვითარებისათვის სპეციალური კოალიციების შექმნითაც გამოიხატა. ჩამოყალიბდა რვა კოალიცია, რომლებიც უკრაინის თავდაცვითი შესაძლებლობების კონკრეტული მიმართულების გაძლიერებაზეა პასუხისმგებელი. მათ შორისაა ავიაციის, საჰაერო თავდაცვის, არტილერიის, საზღვაო უსაფრთხოების, განადმვის, ინფორმაციული უსაფრთხოების, ჯავშნისა და დრონების მიმართულებები (Claire Mills, 2024). თითოეულ კოალიციას ჰყავს ლიდერი და კონტრიბუტორი სახელმწიფოები.

მეორე მხრივ, 2024 წლიდან დაიწყო უკრაინასა და მის დასავლელ პარტნიორებს შორის უსაფრთხოების ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება. პირველი ხელშეკრულება, უკრაინასა და ბრიტანეთს შორის გაფორმა, რომელსაც მოჰყვა მსგავსი ხელშეკრულების დადება გერმანიასთან, საფრანგეთთან, დანიასთან, კანადასთან, იტალიასთან, ნიდერლანდების სამეფოსთან, ფინეთთან, ლატვიასთან, ესპანეთთან, ბელგიასთან, პორტუგალიასთან, შვედეთთან, ნორვეგიასა და ისლანდიასთან. მიმდინარე წლის ივნისში, ასევე გაფორმდა ორმხრივი უსაფრთხოების ხელშეკრულებები იაპონიასა და აშშ-სთან. ხელშეკრულებები თანამშრომლობის მრავალ ასპექტს მოიცავს და პარტნიორებს უკრაინის თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაში დახმარებას ავალდებულებს.

## უკრაინის სამხედრო დახმარების ძირითადი ტენდენციების ანალიზი

ზემოთ განხილულ ძირითად ტენდენციებზე დაკვირვება ცხადჰყოფს, რომ დასავლეთის სამხედრო დახმარება, ომის დაწყებიდან მოცემულ მომენტამდე, სტაბილურობით ხასიათდებოდა. მიუხედავად კვარტლებს შორის მნიშვნელოვანი რაოდენობრივი სხვაობისა, დაახლოებით 40 მილიარდი ევროს ოდენობის ყოველწლიური სამხედრო დახმარება უკრაინის მხარდაჭერის მდგრადობაზე მეტყველებს. გარკვეული ჩავარდნების გამოკლებით, რომლებიც ძირითადად შიდაპოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული, ომის პირველივე თვეებიდან მოყოლებული, ორწლიან-ნახევრის განმავლობაში, დასავლეთი უზრუნველყოფდა კრიტიკული მნიშვნელობის სამხედრო დახმარების მიწოდებას.

დასავლეთის მიერ უკრაინისადმი გაწეული სამხედრო დახმარება დიდწილად იყო რეაქციული ხასიათის: გადანვეტილებები უკრაინისათვის სხვადასხვა იარაღის მიწოდებაზე მიიღებოდა ფრონტზე გამოკვეთილი კრიტიკული საჭიროებების ფონზე. ძირითადად, გამოყოფილი დახმარება რუსეთის იერიშების მოგერიებასა და უკუგდებაზე იყო მიმართული. გამონაკლის შემთხვევებში, დახმარების მიზანს კონტრშეტვის საჭიროებების დაკმაყოფილება წარმოადგენდა.

დასავლეთის მიერ გამოყოფილი სამხედრო დახმარება ხშირად, რაოდენობრივად ჩამორჩებოდა უკრაინელთა მოთხოვნას, თუმცა მისი მიზნების სისტემატური ხასიათი და პარტნიორების მიერ კრიტიკულ მომენტებში გამოჩენილი მობილიზება ცხადყოფს, რომ დასავლეთისთვის უკრაინის სუვერენულ სახელმწიფოდ გადარჩენა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ომის მსვლელობისას მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ რუსეთის მიერ უკრაინის ვერდამარცხება დასავლეთის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს.

თუმცა, ამასთან ერთად, უკრაინის დახმარებას მნიშვნელოვნად ზღუდავს ესკალაციის საშიშროება. არსებობს რისკი, რომ უკრაინის მხრიდან რუსეთისათვის დიდი ზიანის მიყენებას, მათ შორის რუსეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ მასშტაბურ იერიშებს, მოსკოვის მხრიდან ატომური იარაღის გამოყენება მოჰყვეს. მიზნობრივი შეიარაღების გამოყენებაზე არაერთგზის დაწესებული „წითელი ხაზებით“ მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ამგვარი შიში დასავლეთში, განსაკუთრებით კი აშშ-სა და გერმანიაში, დახმარების პოლიტიკის მნიშვნელოვან შემზღვეველ ფაქტორს წარმოადგენს.

უკრაინის მარცხის არიდების ყველაზე ეფექტური გზა თავად რუსეთის სამხედრო მარცხი ან მისთვის ისეთი ზიანის მიყენებაა, რომელიც უკრაინაზე თავდასხმას აზრს დაუკარგავს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თუნდაც პირდაპირი ჩარევის გარეშე, დასავლეთს აქვს ამის რესურსი. მაგალითად, ვაშინგტონს შეუძლია გაზარდოს შორ მანძილზე მოქმედი რაკეტების მიზნობა და დაუშვას უკრაინის მიერ რუსეთის ტერიტორიაზე ნებისმიერი სამხედრო სამიზნის განადგურება, თუმცა მიჩნეულია, რომ ამგვარი ნაბიჯი ესკალაციის რისკების მატარებელია და გაზრდის რუსეთის მიერ ატომური იარაღის გამოყენების შანსებს. მეორე მხრივ, ესკალაციის რისკის მინიმუმამდე დაყვანა, დასავლეთის მიერ უკრაინის დახმარების შემცირებას ან საერთოდ შეჩერებას მოითხოვს, რაც, უდიდესი ალბათობით, უკრაინის მარცხს გამოიწვევს. პრაქტიკაში, დასავლეთი ცდილობს ამ ორ მიზანს შორის ბალანსის პოვნას, რაც, რიგ შემთხვევებში, ესკალაციური ნაბიჯების გადადგმას გულისხმობს, ზოგიერთ შემთხვევებში კი უკრაინის ქმედებების შეზღუდვას.

ხაზგასასმელია, რომ დასავლეთის სამხედრო დახმარებას სხვა ფაქტორებიც ამცირებს. მათ შორის გამოსაყოფია დასავლეთში არასაკმარისი საბრძოლო მარაგები და წლების მანძილზე შემცირებული სამხედრო ინდუსტრია. აღნიშნული განსაკუთრებით თვალშისაცემია ევროპის კონტინენტზე. ასევე მნიშვნელოვანია დედაქალაქებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და ქვეყნების სხვადასხვა პრიორიტეტები. სამხედრო მხარდაჭერა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, დასავლელ ლიდერებს კი უჭირთ ან, რიგ შემთხვევაში, თავად არ ეთანხმებიან უკრაინის მასშტაბურ სამხედრო მხარდაჭერას. ამ ეტაპისთვის, ჩანს, რომ არ არსებობს პოლიტიკური ნება დახმარების მასშტაბის არსებითად გასაზრდელად.

ამ ვითარებაში, საგულისხმო ნაბიჯია უკრაინის შეიარაღებული ძალების გრძელვადიან განვითარებაზე კონცენტრირება და შესაბამისი ვალდებულებების აღება. განსხვავებით მიმდინარე კრიტიკულ საჭიროებაზე რეაგირებისა, რომელსაც ხშირად თან ახლავს საზოგადოების მაღალი მხარდაჭერა, სამომავლო დახმარებაზე ვალდებულებების აღება მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული. ირონიულია ის, რომ დახმარების სტაბილურობა, გარკვეულწილად განპირობებული იყო ომის მიმდინარეობისას კრიტიკული საჭიროებების პრაქტიკულად მუდმივი არსებობით. გრძელვადიანი მხარდაჭერა კი მოითხოვს თავდაცვის ხარჯების პრიორიტეტიზაციას, მაშინ, როდესაც ამის საჭიროება საზოგადოებისთვის რთულად შესამჩნევი და გასაგებია.

შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის სახელმწიფოების მიერ გრძელვადიანი ვალდებულებების აღება, თუნდაც შეზღუდული დროითა და რაოდენობით, ეხმარება ომის მიმდინარეობას და მასთან დაკავშირებულ აღქმებს და მოლოდინებს. 2023 წელს, უკრაინის კონტრიერიშის ჩავარდნასთან ერთად, გამოიკვეთა, რომ დაპირისპირება „გამოფიტვის ომში“ გადაიზარდა, რომელშიც წარმატების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი არის რესურსები - გაიმარჯვებს ის მხარე, რომელიც უფრო დიდხანს გაძლებს. გრძელვადიანი ვალდებულებების აღება და უკრაინის სამხედრო შესაძლებლობების მდგრადობის უზრუნველყოფა, ამ ვითარებაში, არსებითი მნიშვნელობისაა. გარდა უშუალოდ მისი სამხედრო ეფექტისა, ის სტრატეგიულად გამართლებული ნაბიჯია - ამით რუსეთი მიიღებს სიგნალს, რომ დასავლეთის მხარდაჭერა არ შეწყდება და შესაბამისად, ის ვერ აჯობებს უკრაინას რესურსების სიმრავლით. ამ ხედვის გამოძახილი იყო, ნატოს გენერალური მდივნის, იან სტოლტენბერგის, კომენტარი: „...რაც უფრო გრძელვადიანი იქნება ჩვენი ვალდებულება, მით უფრო სწრაფად მიიღებს უკრაინა მშვიდობას“ (NATO Official Website, 2024).

თუმცა გადამწყვეტია ორი საკითხი: პირველ რიგში, საკითხავია, თუ რამდენად შეძლებს დასავლეთი მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, მათ შორის ულტრა მემარჯვენე განწყობების მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით, მომდევნო წლების განმავლობაში დახმარების თუნდაც არსებული დონის შენარჩუნებას. ყველაზე მკაფიო რისკი აშშ-ს უკავშირდება, რომელზეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკრაინის სამხედრო დახმარების დაახლოებით ნახევარი მოდის. მიმდინარე წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში, დონალდ ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში, შესაძლოა დახმარება საგრძნობლად შემცირდეს ან სრულად შეწყდეს. ამ ვითარებაში, გარკვეულ გარანტიას ქმნის, ერთი მხრივ გაჟღერებული ინფორმაცია, (Sabine, 2024) უკრაინისათვის მომავალ წელსაც 40 მილიარდი ევროს ოდენობის სამხედრო დახმარების გამოყოფის შესახებ, მეორე მხრივ კი, უკრაინის საკითხის პრიორიტეტულობა, ამ დრომდე სისტემატური დახმარების ტენდენცია და ევროპელი ლიდერების თანმდევი რიტორიკა, „დაეხმარონ უკრაინას მანამ, სანამ საჭირო იქნება“. თუმცა საკმაოდ დინამიკური და ცვალებადი პოლიტიკური პროცესების პირობებში, გადაჭრით თქმა რთულია, რა დროის განმავლობაში გააგრძელებს დასავლეთი არსებული დახმარების უკრაინისათვის მიწოდებას.

მეორე მხრივ, საკითხავია, თუ რამდენად საკმარისია 40 მილიარდი ევროს სამხედრო დახმარება უკრაინის საბოლოო გამარჯვების უზრუნველსაყოფად. ესტონეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებული გაანგარიშებით, ყოველწლიურად, საჭიროა დაახლოებით 120 მილიარდი ევროს ექვივალენტის სამხედრო დახმარების გამოყოფა, რათა უკრაინამ „გამოფიტვის ომში“ ხელშესახები უპირატესობა მიიღოს (Ministry of Defense of Estonia, 2023, p. 21). მითითებული თანხა სამჯერ მეტია არსებულ დახმარებაზე და დაახლოებით უტოლდება რუსეთის მხრიდან ყოველწლიურად ომისთვის გამოყოფილ ფინანსებს (Ministry of Defense of Estonia, 2023, p. 8). გაზრდილი რესურსებით, უკრაინის ისეთი უპირატესობის ფონზე როგორც ერთი მხრივ უკრაინელთა მოტივაცია და ბრძოლისუნარიანობაა, მეორე მხრივ კი დასავლური იარაღის რუსულ სამხედრო ტექნიკაზე აღმატებულობა, უკრაინა უდავოდ მიიღებდა გამარჯვების ძალიან კარგ შანსს. თუმცა, ამ დროისთვის, დასავლეთის მხრიდან სამხედრო მხარდაჭერის გაზრდა ნაკლებად სავარაუდოა.

არსებული წლიური დახმარებით, უკრაინა ინარჩუნებს წინააღმდეგობის გაგრძელების შესაძლებლობას, რომელიც მას გამარჯვების თეორიულ შანსს უტოვებს. თუმცა,

დახმარების არსებული დონე, მას ბევრად მონწყვლადს ტოვებს, საბოლოო შედეგი კი, სხვა არაერთ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული.

## დასკვნა

დასავლეთის მიერ უკრაინისათვის გამოყოფილმა დახმარებამ რუსეთ-უკრაინის ომზე დიდი გავლენა იქონია. უკრაინამ, დასავლელი პარტნიორებისგან მიღებული სამხედრო მხარდაჭერით, არაერთ ბრძოლაში შეძლო გამარჯვება და სუვერენიტეტისა და ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება მოახერხა. დასავლეთის მიერ გამოყოფილი სამხედრო დახმარება, რომელიც წლიურ 40 მილიარდ ევროს უტოლდება და სტაბილურობით ხასიათდება, მნიშვნელოვანი გამოდგა ომის თითოეულ ფაზაში კრიტიკული სამხედრო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. გამოფიტვის ომად ქცეულ დაპირისპირებაში, სამხედრო დახმარების დაფიქსირებული დონე უკრაინას ამ ეტაპამდე უნარჩუნებს საბოლოო გამარჯვების შანსს, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ არსებული ნიშნული კრიტიკულ მინიმუმს წარმოადგენს. მისი შეზღუდულობიდან გამომდინარე, მიწოდებული იარაღი ვერ უზრუნველყოფს უკრაინის გარანტირებულ გამარჯვებას, რითაც ტოვებს შესაძლებლობას, რომ ომის საბოლოო შედეგებზე გადამწყვეტი გავლენა სხვა ფაქტორებმა იქონიონ. შესაბამისად, შესაძლოა, რუსეთ-უკრაინის ომი, რუსეთის საფრთხის განეიტრალების და ევროპაში უსაფრთხოების პრობლემის მომდევნო ათწლეულების მანძილზე მოგვარების კუთხით, გამოუყენებელ შესაძლებლობად დარჩეს.

## ბიბლიოგრაფია

- Denisova, Kateryna, "Ukraine hit Russian S-400, S-300 systems in occupied Crimea overnight, General Staff says", *Kyiv Independent*, June 10, <https://kyivindependent.com/ukraine-hit-russian-s-400-s-300-systems-in-occupied-crimea-overnight-general-staff-says/>
- F. Cancian, Mark and Chris H. Park, "What is in the Ukraine Aid Package, and What Does it Mean for the Future of the War?", Centre for Strategic and International Studies, May 1, 2024, <https://www.csis.org/analysis/what-ukraine-aid-package-and-what-does-it-mean-future-war>
- Gady, Franz-Stefan and Michael Kofman, "Making Attrition Work: A Viable Theory of Victory for Ukraine", *Survival*, N 66, Vol. 1, 2024, pp. 7-24,
- Gwadera, Zuzanna, "Missile transfers to Ukraine and wider NATO targeting dilemmas", *ISS*, June 17, 2024, <https://www.iiss.org/online-analysis/missile-dialogue-initiative/2024/06/missile-transfers-to-ukraine-and-wider-nato-targeting-dilemmas/>
- Ismay, John. „A new U.S.-led international group will meet monthly to focus on aiding Ukraine“, *The New York Times*, April 26, 2022 <https://www.nytimes.com/2022/04/26/world/europe/lloyd-austin-ukraine-contact-group.html>
- Martić Fornusek, "General Staff: Over 100,000 Ukrainian soldiers trained in partner countries", *The Kyiv Independent*, November 2, 2024 <https://kyivindependent.com/general-staff-over-100-000-ukrainian-soldiers-trained-in-partner-countries/>
- Masters, Jonathan, and Will Merrow, "How Much U.S. Aid Is Going to Ukraine?", *Council on Foreign Relations*, May 9, 2024, <https://www.cfr.org/article/how-much-us-aid-going-ukraine>
- Mills, Claire, "Military assistance to Ukraine since the Russian invasion", *House of Commons Library*, Number 9477, May 2, 2024 <https://commonslibrary.parliament.uk/research-briefings/cbp-9477/>
- Ricard, Philippe and Cédric Pietralunga, "Macron wants to form a European coalition of military instructors in Ukraine", *Le Monde*, May 30, 2024 [https://www.lemonde.fr/en/international/article/2024/05/30/macron-wants-to-form-a-european-coalition-of-military-instructors-in-ukraine\\_6673124\\_4.html](https://www.lemonde.fr/en/international/article/2024/05/30/macron-wants-to-form-a-european-coalition-of-military-instructors-in-ukraine_6673124_4.html)
- Siebold, Sabine, "NATO members pledge 40 billion euros in military aid for Ukraine, diplomats say", *Reuters*, July 3, 2024 <https://www.reuters.com/world/europe/nato-members-agree-40-billion-euro-financial-pledge-ukraine-diplomats-say-2024-07-03/>
- "NATO Secretary General: "the longer we commit, the sooner Ukraine can have peace", *NATO Official Website*, June 13, 2024 [https://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_226436.htm#:~:text=%E2%80%9CThe%20paradox%20is%20that%20the,cannot%20wait%20out%20Allied%20support.](https://www.nato.int/cps/en/natohq/news_226436.htm#:~:text=%E2%80%9CThe%20paradox%20is%20that%20the,cannot%20wait%20out%20Allied%20support.)
- "Setting Transatlantic Defence up for Success: A Military Strategy for Ukraine's Victory and Russia's Defeat", Ministry of Defense of the Republic of Estonia, December 27, 2023 <https://kaitseministeerium.ee/en/setting-transatlantic-defence-success-military-strategy-ukraines-victory-and-russias-defeat>
- "The arms and military equipment Germany is sending to Ukraine", *Federal Government website*, June 14, 2024, [https://www.bundesregierung.de/breg-en/news/military-support-ukraine-2054992#:~:text=Funds%20for%20the%20security%20capacity,Union%20\(EPF\)%20are%20financed](https://www.bundesregierung.de/breg-en/news/military-support-ukraine-2054992#:~:text=Funds%20for%20the%20security%20capacity,Union%20(EPF)%20are%20financed)
- "Ukrainian Military Performance and Outlook," *Congressional Research Service*, June 3, 2024, <https://crsreports.congress.gov/product/pdf/IF/IF12150>

- "Ukraine receives U.S. Javelin systems: Poroshenko", *Reuters*, April 30, 2018, <https://www.reuters.com/article/us-ukraine-javelin/ukraine-receives-us-javelin-systems-poroshenko-idUSKBN1I11ZY/>
- Ukraine Support Tracker, *Kiel Institute for the World Economy*, June 6, 2024 <https://www.ifw-kiel.de/topics/war-against-ukraine/ukraine-support-tracker/>
- "U.S. Security Assistance to Ukraine", *Congressional Research Service*, May 22, 2024 <https://crsreports.congress.gov/product/pdf/IF/IF12040>



**CSD**

სტრატეგიის და განვითარების ცენტრი  
CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

# NATO-ს კიბერთავდასვის პოლიტიკა და საქართველო

ავტორი: ანდრო გოცირიძე



This project is supported by  
NATO's Public Diplomacy Division

## შესავალი

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში კიბერსივრცე საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო და კოსმოსურის მხარდამხარ დაპირისპირების მეხუთე დომეინად ჩამოყალიბდა. კიბეროპერაციების გამოყენება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო მიზნების მისაღწევად, გეოპოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად, თანამედროვე მსოფლიოს რეალობაა და ისინი, როგორც წესი, საინფორმაციო, შეზღუდული მასშტაბის, ჰიბრიდული თუ სრულმასშტაბიანი ომის ნაწილია, თუმცა, ხშირად მშვიდობიან დროსაც მიმდინარეობს.

განვითარებული ქვეყნების კიბერუსაფრთხოების სფეროში ჩართული დანაყოფების რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, ბიუჯეტი კი მილიარდობით დოლარს უტოლდება. მიუხედავად ეკონომიური კრიზისებისა თუ ფინანსური სირთულეებისა, ჯერ არც ერთ სახელმწიფოს ეს ხარჯი არ შეუმცირებია. ცხადია, სახელმწიფოთა კიბერშესაძლებლობები მხოლოდ თავდაცვას არ ემსახურება; ცხადია, რთულია ზუსტი პროპორციის დადგენა შემტევ და თავდაცვით საშუალებებზე დახარჯულ თანხებს შორის, რადგან შეტევით პოტენციალზე არსებული მონაცემები არ არის გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი.

ეს რეალობა NATO-სთვის, როგორც სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებისათვის კიბერთავდაცვას მეტად მნიშვნელოვან კომპონენტად აცეცხ. უელსის სამიტის (2014 წ.) წინ არსებული მონაცემებით, ოცდაათამდე ქვეყანას უკვე გააჩნდა შემტევი პოტენციალი, რაც მოწინააღმდეგის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე განხორციელებულ კიბერშეტევებსაც გულისხმობს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს სულ უფრო ხშირად უწევს კომპლექსურ დესტრუქციულ კიბერუსაფრთხოებასთან კონფრონტაცია. კრიტიკულ ინფრასტრუქტურასა თუ ქსელზე პრაქტიკულად ყოველდღიურად განხორციელებული სხვადასხვა ინტენსივობისა და ტექნოლოგიური სირთულის კიბეროპერაციების პასუხად, ალიანსი და წევრი ქვეყნები აძლიერებენ მავნე კიბერზემოქმედების აღმოჩენის, პრევენციისა და რეაგირების შესაძლებლობებს. ითვლება, რომ ალიანსის კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის პირველი ნაბიჯი საკუთარ დედაქალაქებში კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების ზრდაა<sup>1</sup>.

კიბერუსაფრთხოების მიმართ მაღალი მდგრადობა, რაც კიბერთავდაცვის გაძლიერებით მიიღწევა, ალიანსის ძირითადი ამოცანების, შეკავების,

---

<sup>1</sup> 2 Press Conference by NATO Secretary General Anders Fogh Rasmussen following the meeting of the North Atlantic Council at the level of Heads of State and Government during the NATO Wales Summit. ხელმისაწვდომია 03.11.2018 [https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions\\_112871.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_112871.htm)



კრიზისების პრევენციის და მართვის, კოლექტიური უსაფრთხოების ერთ-ერთი საფუძველია. კიბერსაფრთხეები მზარდი კომპლექსურობისა და მასშტაბების ფონზე, NATO-ს მნიშვნელოვანი ამოცანაა საკუთარი ქსელური ინფრასტრუქტურისა და ოპერაციების დაცვა, ასევე წევრი ქვეყნების კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე განხორციელებული კიბერშეტევების პრევენცია და საჭიროების შემთხვევაში, კოლექტიური პასუხი.

2016 წელს მოკავშირეებმა, დაადასტურეს რა ალიანსის თავდაცვითი მანდატი, კიბერსივრცე საოპერაციო დომენად აღიარეს. ალიანსი ფოკუსირდება საკუთარი ქსელების დაცვაზე, მისიებსა თუ ადგილსამყოფელ ქვეყნებში კიბერსივრცეში ოპერაციების უსაფრთხოებაზე. ამას გარდა, იგი ეხმარება წევრ ქვეყნებს ეროვნული მდგრადობის გაძლიერებასა და კოლექტიური მოქმედებების პლატფორმის შექმნაში. NATO სამხედრო-პოლიტიკური ალიანსია და ეს ბუნებრივია, ვრცელდება კიბერსივრცისამდი ალიანსის მიდგომებზეც. ორგანიზაცია წევრ ქვეყნებს გარდა კიბერშესაძლებლობებისა, პოლიტიკური კონსულტაციების, კიბერსაფრთხეებზე ინფორმაციის გაცვლის, ეროვნული მიდგომების, ეროვნული თუ კოლექტიური პასუხის პლატფორმას სთავაზობს. ამას გარდა, წევრი ქვეყნები ჩართულნი არიან ინფორმაციის გაზიარებისა და ურთიერთდახმარების პროექტებში, რაც ემსახურება კიბერშეტევის პრევენციას, მიტიგაციას, მდგრადობის გაზრდას და კიბერშეტევაზე შესაძლო პასუხს.

ღია, მშვიდობიანი და დაცული კიბერსივრცე NATO -ს პრიორიტეტია. ალიანსი მუშაობს სტაბილურობის გაზრდასა და კიბერრისკების შემცირებაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სამართლის დაცვის ვალდებულებას და კიბერსივრცეში პასუხისმგებლობის მექანიზმების ნორმების წახალისებას. ამ მიზნების მისაღწევად, ალიანსი 2016 წლიდან მუდმივად ზრდის წევრი ქვეყნების ვალდებულებას, გააძლიერონ ეროვნულ დონეზე კიბერთავდაცვა, განსაკუთრებით კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის თვალსაზრისით. კიბერშესაძლებლობების ზრდა, ალიანსის მიდგომით, სხვა მექანიზმებთან ერთად, მიიღწევა განათლების, წვრთნებისა და სავარჯიშოების საშუალებით.

NATO -ს მიერ 2021 წელს მიღებული კომპლექსური კიბერთავდაცვის პოლიტიკა ხელს უწყობს ალიანსის ძირითადი ამოცანების განხორციელებას, შეკავებისა და თავდაცვის სტრატეგიის უზრუნველყოფას ალიანსის მდგრადობის შემდგომი გაძლიერებისათვის. 2023 წლის ვილნიუსის სამიტზე მოკავშირეებმა მხარი დაუჭირეს NATO -ს შეკავებისა და თავდაცვის სტრატეგიაში კიბერთავდაცვის კომპონენტის ზრდას. ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვანი კიბერინციდენტების ზარალის შემცირების ძალისხმევის მხარდასაჭერად დაფუძნდა კიბერინციდენტების ვირტუალური დახმარების შესაძლებლობა (VCISC).

კიბერუსაფრთხოების მიმართულებით საერთაშორისო პარტნიორობის თვალსაზრისით, NATO აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან.

## **NATO -ს კიბერთავდაცვის პოლიტიკა და მიდგომები**

დესტრუქციული კიბეროპერაციების მეშვეობით ხდება კრიტიკული ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოყვანა, სახელმწიფო სერვისების მოშლა ან შეფერხება, სადაზვერვო ინფრომაციის მოპოვება, ინტელექტუალური საკუთრების მოპარვა და სამხედრო მომქედებების შეფერხება. დასავლური მიდგომით დესტრუქციულ კიბერაქტორებად რამდენიმე სახელმწიფოს კიბერდაჯგუფებები მოიაზრება.

**რუსეთი**, რომელიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს მოწინააღმდეგედ განიხილავს, მნიშვნელოვან კიბერშეტევის პოტენციალს ფლობს და კიბეროპერაციებს თანამედროვე კონფლიქტის ერთ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილავს, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა თუნდაც უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ არაპროვოცირებულ და სასტიკ ომში. რუსული ჰიბრიდული აქტივობები უკრაინით არ შემოიფარგლება და ისინი NATO -ს და მოკავშირე ქვეყნების მიმართაც გამოიყენება, როგორც ზემოქმედების შედარებით იაფი და დაუსჯელი საშუალება.

რუსეთის გარდა, ალიანსისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ჩინეთის კიბეროპერაციები, რომელიც ასევე მოიცავს დეზინფორმაციის გავრცელებას და კონფრონტაციული რიტორიკის ხელშეწყობას. ჩინეთის კიბერაქტივობების დაინტერესების საკითხების სპექტრი ფართოა, ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციით დაწყებული, სენსიტიური ეკონომიკური მონაცემებითა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტი კომპანიების ინტელექტუალური საკუთრებით დამთავრებული.

**ირანის** კიბერპოტენციალი რუსეთის და ჩინეთისას ჩამოუვარდება, თუმცა იგი რეალური საფრთხეა განვითარებული ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურისთვის. ამასთან, ალიანსისთვის ასევე საფრთხეს წარმოადგენს ირანის მიერ მხარდაჭერილი ტერორისტული ორგანიზაციების კიბეროპერაციები.

**ჩრდილოეთ კორეა** კიდევ ერთი აქტორია, რომელიც კიბერშესაძლებლობებს პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს. სპეციფიური პოლიტიკური რეჟიმის გათვალისწინებით, ამ სახელმწიფოს კიბერდანაყოფების სამიზნე ძირითადად ალიანსის წევრი ქვეყნების კრიტიკული ინფრასტრუქტურა ან თავისუფალი მედიაა.<sup>2</sup>

დესტრუქციული აქტორებისგან მომდინარე მრავალფეროვან ჰიბრიდულ საფრთხეების, მათ შორის კიბეროპერაციების გათვალისწინებით, NATO-ს განახლებული კიბერპოლიტიკა 2021 წელს, ბრიუსელში გამართულ სამიტზე დამტკიცდა. იგი უზრუნველყოფს ალიანსის ძირითადი ამოცანების შესრულებას, ასევე შეკავებისა და თავდაცვის სტრატეგიის განხორციელებას. ალიანსის თავდაცვითი მანდატის გათვალისწინებით, წევრი ქვეყნები აძლიერებენ საკუთარ კიბერშესაძლებლობებს კიბერსაფრთხეების ფართო სპექტრისგან თავდასაცავად, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმის ამოქმედებასაც გულისხმობს.

ალიანსის ხედვით, კიბერშეტევაზე პასუხად შესაძლოა გამოყენებულ იქნას დიპლომატიური, პოლიტიკური და სამხედრო ინსტრუმენტები. კიბერსივრცის ბუნებიდან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ღონისძიებების ერთობლიობა. NATO-ს კიბერპოლიტიკის თანახმად, კუმულატიური კიბერაქტივობა გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით შესაძლოა ჩათვლილ იქნას სამხედრო შეტევად და ცალკეულ შეთხვევებში, გამოიწვიოს ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედება.

კიბერსივრცეში ნებისმიერი მოქმედებისას, ალიანსი ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის პრინციპებით, გაეროს წესდებით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით და ადამიანის უფლებათა დაცვის კანონმდებლობით.

კიბერსაფრთხეებისადმი მდგრადობა, მათგან მომდინარე პოტენციური თუ დამდგარი ზარალის მითიგაცია ალიანსის უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. 2023 წლის ვილნიუსის სამიტზე მიღებული შეკავებისა და თავდაცვის სტრატეგიაში კიბერთავდაცვის მნიშვნელობის გაზრდის კონცეფციის ძირითადი მიზნებია კიბერთავდაცვის პოლიტიკური, სამხედრო და ტექნიკური ღონეების შემდგომი ინტეგრაციის ხარისხის ზრდა, სამხედრო-სამოალაქო თანამშრომლობის უზრუნველყოფა, კერძო სექტორის ჩართულობა

---

<sup>2</sup> ავტორთა კრებული. ჰიბრიდული ომების ანატომია. ა.გოცირიძე. კიბერსაფრთხეები და მათთან ბრძოლის სტრატეგიული მიმართულებები საქართველოს პერსპექტივიდან. გვ. 365-395. გამომცემლობა პალიტრა L.

კიბერთავდაცვის ორგანიზებაში როგორც მშვიდობის, ისე კრიზისისა და ომის პირობებში.<sup>3</sup>

იმავე ვილნიუსის სამიტზე მოკავშირეებმა განაახლეს ალიანსის კიბერთავდაცვის ვალდებულებები და შეათანხმეს ახალი ამოცანები ეროვნულ დონეზე კიბერთავდაცვის გასაძლიერებლად. კიბერსაფრთხეების კომპლექსურობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას. წევრი ქვეყნების ეროვნული ძალისხმევის გაძლიერების მიზნით შეიქმნა კიბერინციდენტებზე რეაგირების ხელშეწყობის ვირტუალური შესაძლებლობა (Virtual Cyber Incident Support Capability -VCISC).

## **NATO -ს კიბერშესაძლებლობები**

NATO-ს ქსელური ინფრასტრუქტურის დაცვასა და კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელია ალიანსის კიბერუსაფრთხოების ცენტრი (NATO Cyber Security Centre -NCSC), რომელიც წარმოადგენს უაღესად მაღალტექნოლოგიურ და სწრაფადგანვითარებად სტრუქტურას. იგი განთავსებულია მოკავშირეთა ძალების ევროპის უმაღლესი სარდლობის შტაბში (Supreme Headquarters Allied Powers Europe -SHAPE) ქ. მონსში.

NATO-ს კიბეროპერაციების ცენტრი ახდენს სამხედრო მეთაურების, ალიანსის ოპერაციების და მისიების ინფორმაციულ უზრუნველყოფას. ცენტრი ასევე კოორდინაციას უწევს ალიანსის ოპერაციებს კიბერსივრცეში, უზრუნველყოფს კიბერსაფრთხეებისადმი მდგრადობას.

ალიანსის მასშტაბით კიბერთავდაცვის ერთიანი მიდგომების შესამუშავებლად, NATO, თავდაცვის დაგეგმარების პროცესის მეშვეობით, განსაზღვრავს წევრი სახელმწიფოების ეროვნული კიბერუსაძლებლობების განვითარების სამიზნე პარამეტრებს. ალიანსი ასევე ეხმარება წევრ ქვეყნებს კიბერთავდაცვის გაძლიერებაში ინფორმაციის გაზიარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის პლატფორმებით. ამასთან, თითოეულ წევრ სახელმწიფოს აქვს საშუალება

---

<sup>3</sup> Vilnius Summit Communiqué. Issued by NATO Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Vilnius 11 July 2023.

[NATO - Official text: Vilnius Summit Communiqué issued by NATO Heads of State and Government \(2023\), 11-Jul.-2023](#)

ალიანსის ხელსეწყობით დაეხმაროს მოკავშირეს ეროვნული კიბერშესაძლებლობების განვითარების მიმართულებით.

კიდევ ერთი სტრუქტურა, NATO Cyber Rapid Reaction Teams მუდმივ მზადყოფნაშია, ალიანსის თანხმობით წევრი სახელმწიფოებისთვის გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად.

კიბერთავდაცვის სფეროში NATO, გარდა ტექნოლოგიებისა და ადამიანური რესურსებისა, მნიშვნელოვან აქცენტებს აკეთებს განათლებაზე, წვრთნასა და სავარჯიშოებზე. ამ თვალსაზრისით ალიანსს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები გააჩნია როგორც ტექნიკური, სავარჯიშო თუ სასწავლო პლატფორმებისა და ინფრასტრუქტურის, ასევე სხვადასხვა ქვეყანაში ბაზირებული საგანმანათლებლო თუ კვლევითი ცენტრების სახით.

ეროვნული თუ კოლექტიური კიბერშესაძლებლობების განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია NATO - ს მიერ ორგანიზებული კიბერსავარჯიშოები. ალიანსი ატარებს რეგულარულ კიბერსავარჯიშოებს, როგორცაა ყოველწლიური Cyber Coalition Exercise. სავარჯიშოების ძირითადი მიზანი კიბერთავდაცვის ელემენტების და მიდგომების კრიზისის მენეჯმენტში ინტეგრაციაა.

განათლებისა და წვრთნების მეშვეობით შესაძლებლობების ზრდის კიდევ ერთი მექანიზმია ესტონეთში ბაზირებული პლატფორმა NATO Cyber Range. ეს პლატფორმა წარმოადგენს მონაცემთა ცენტრს, რომელიც უზრუნველყოფს ალიანსის ფართომასშტაბიანი კიბერსავარჯიშოების ჩატარებას, როგორცაა Cyber Coalition და Coalition Warrior Interoperability exercise (CWIX). აღნიშნული სავარჯიშოები მეტად მნიშვნელოვანია კიბერშეტევების მიმართ მდგრადობის გამოსამუშავებლად.

ალიანსის წევრებს შორის კიბერინციდენტების შესახებ ინფორმაციის გაზიარების ემსახურება მავნე პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის გაზიარების პლატფორმა (NATO's Malware Information Sharing Platform). გაზიარებული ტექნიკური ინფორმაცია კიბერინციდენტების შესახებ საშუალებას აძლევს მოკავშირეთა კიბერდანაყოფებს, მოახდინონ დროული რეაგირება მოსალოდნელ კიბერსაფრთხეებზე.

ტალინში ბაზირებული კოოპერაციული კიბერთავდაცვის ცენტრი (The NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence -CCDCOE) წარმოადგენს NATO -ს მიერ აკრედიტებულ კიბერთავდაცვის დაწესებულებას, რომელიც ფოკუსირებულია კიბერთავდაცვით განათლებაზე, კონსულტაციებზე, კვლევასა და განვითარებაზე. კიბერშესაძლებლობების ზრდის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული ცენტრის ბაზაზე არსებული ყოველწლიური კაბერსავარჯიშო Locked Shields, რომელიც რეალურთან მიახლოებული

სცენარებისა და მაღალტექნოლოგიური შეტევების სიმულაციით ახდენს კიბერთავდაცვითი ჯგუფების მომზადებას ალიანსის წევრი ქვეყნებისათვის.

The ატარებს ტრენინგს ალიანსის წევრი და მოკავშირე ქვეყნების პერსონალს NATO -სთან დაკავშირებით. NCI აკადემია მათ ასევე სთავაზობს კიბერთავდაცვის ტრენინგს და განათლებას.

კიბერთავდაცვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ტრენინგებს და კურსებს სამხედრო-პოლიტიკურ, სტრატეგიულ თუ საოპერაციო საკითხებში კიბერთავდაცვის კომპონენტის ინტეგრირებაზე ახორციელებენ NATO -ს სკოლა ობერამაერგაუში და თავდაცვის კოლეჯი რომში, ასევე კომუნიკაციებისა და ინფორმაციის აკადემია (NCI), რომელიც კონცენტრირებულია საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემების ოპერირებაზე.

## **საერთაშორისო თანამშრომლობა**

კიბერსივრცის სპეციფიკა, კერძოდ კი ის გარემოება, რომ კიბერსაფრთხეები სცდება სახელმწიფო და ორგანიზაციულ საზღვრებს, განაპირობებს ალიანსის თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საერთო უსაფრთხოების გასაძლიერებლად. 2023 წლის ვილნიუსის სამიტზე მოკავშირეებმა მიიღეს ვალდებულება განავითარონ ეფექტური პარტნიორობა პარტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ინდუსტრიასთან და აკადემიურ წრეებთან. აღსანიშნავია, რომ პარტნიორ ქვეყნებთან ჩართულობა ეფუძნება საერთო ღირებულებებსა და კიბერთავდაცვის საერთო მიდგომებს. ალიანსთან თანამშრომლობის მოთხოვნები განიხილება ინდივიდუალურად.

კიბერთავდაცვა NATO -ს და ევროკავშირის შორის გაძლიერებული თანამშრომლობის ერთ-ერთი სფეროა. ეს ორი ორგანიზაცია კოორდინირებულად მოქმედებს ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ. ალიანსის კიბერუსაფრთხოების ცენტრსა (NATO Cyber Security Centre) და ევროკავშირის კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფს (CERT-EU) შორის არსებული კიბერთავდაცვის შესახებ ტექნიკური შეთანხმების საფუძველზე, NATO-ს და ევროკავშირის კიბერინციდენტებზე რეაგირების ჯგუფები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას და ცვლიან საუკეთესო

პრაქტიკას. თანამშრომლობა ასევე ღრმავდება ტრენინგის, კვლევისა და კიბერსაგარჯიშოების სფეროებში<sup>4</sup>.

## **ინდუსტრიასთან თანამშრომლობა**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კერძო სექტორი არის კიბერსივრცის მეტად მნიშვნელოვანი მოთამაშე; საკმარისია აღინიშნოს, რომ კრიტიკული ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი დემოკრატიულ ქვეყნებში კერძო სექტორშია/ გარდა ამისა, კერძო სექტორის განკარგულებაშია კარგად აღჭურვილი და შესაბამისი ცოდნის მქონე კიბერუსაფრთხოების სპეციალისტები. კოლექტიური კიბერთავდაცვისთვის ასევე საჭიროა ბიზნეს-სექტორზე განხორციელებული კიბერთავდაცვების შესახებ ინფორმაციის გაზიარება. ტექნოლოგიური ინოვაციები და კერძო სექტორის ექსპერტიზა უმნიშვნელოვანესია, რათა NATO-ს და მოკავშირეებს საშუალება მიეცეს ეფექტურად უპასუხონ კიბერ საფრთხეებს.

სწორედ ამ მოსაზრებებით, ვილნიუსის სამიტზე მოწონებული „კიბერთავდაცვის როლის გაძლიერება NATO -ს საერთო თავდაცვაში“ კონცეფციის- შესაბამისად, ალიანსი და მისი მოკავშირეები ინფორმაციის გაზიარების, საგარჯიშოების, ტრენინგისა და განათლების მიმართულებებზე მუშაობენ ინდუსტრიასთან და აკადემიურ წრებთან ჩართულობის გასაძლიერებლად.

## **NATO-ს კიბერთავდაცვითი პოლიტიკის ევოლუცია კიბერსაფრთხეების ზრდის კვალდაკვალ**

ალიანსის კიბერთავდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბება და ევოლუცია დიდწილად განაპირობა რუსეთის დესტრუქციულმა კიბეროპერაციებმა.

ზოგადად, კიბერსივრცის პოლიტიკური მიზნით გამოყენების ისტორიაში ათვლის წერტილად 2007 წლის ესტონეთზე განხორციელებული შეტევა მიიჩნევა. არაკინეტიკურ თავდასხმაზე რეაგირების მექანიზმის არარსებობამ საშუალება

---

<sup>4</sup> Bruno Lété, Piret Pernik. EU-NATO Cybersecurity and Defense Cooperation: From Common Threats to Common Solutions. The German Marshal Fund. Policy Brief. No. 38, 2017. <https://www.gmfus.org/sites/default/files/EU-NATO%2520Cybersecurity%2520and%2520Defense%2520Cooperation%2520edit.pdf>

მისცა რუსეთს, ქმედითი შეტევა განეხორციელებინა **NATO-ს** წევრ ქვეყანაზე, ისე, რომ მისი ჩართულობის პირდაპირი მტკიცებულებები არ ყოფილიყო ხელმისაწვდომი.

რუსეთის მმართველი ელიტისათვის თვალსაჩინო გახდა პოლიტიკური, ეკონომიკური და საინფორმაციო ინსტრუმენტების მხარდამხარ მეზობლებზე ზეწოლისათვის კიბერელემენტების გამოყენების პერსპექტივაც და იგი შემდგომი კონფლიქტების ერთ-ერთ საკვანძო მდგენელად იქცა. ამავე პერიოდს უკავშირდება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსშიც დისკუსიები კიბერსივრცის სპეციფიკასა და მისი დაცვის აუცილებლობაზე. ამავე დროს ჩამოყალიბდა ტალინში **NATO-ს** კიბერთავდაცვის ცენტრი (NATO Cooperative Cyber Defense Centre for Excellence (CCDCOE)<sup>5</sup>.

უკვე 2008 წლის იანვარში NATO -მ დაატკიცა თავისი პირველი კიბერ თავდაცვის პოლიტიკა, ხოლო 2010 წლის ლისაბონის სამიტზე მიიღო სტრატეგიული კონცეფცია, რომელმაც პირველად აღიარა, რომ კიბერშეტევებმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეროვნულ და ევროატლანტიკურ კეთილდღეობას, უსაფრთხოებას და სტაბილურობას. 2011 წლის ივნისში კი დამტკიცდა კიბერთავდაცვის მეორე პოლიტიკა.

2012 წლის აპრილში მოხდა თავდაცვის დაგეგმარების პროცესში კიბერთავდაცვის საჭიროებების იდენტიფიცირება და კიბერთავდაცვა, როგორც პრიორიტეტული მიმართულება, შევიდა NATO -ს თავდაცვის დაგეგმვის პროცესში.

2012 წლის ჩიკაგოს სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ალიანსის ყველა ქსელი ცენტრალიზებული დაცვის ქვეშ გაერთიანებაზე. ამავე პერიოდში სააგენტოების რეფორმის ფარგლებში, შეიქმნა NATO -ს კომუნიკაციებისა და ინფორმაციის სააგენტო.

2014-2016 წლებში უკრაინის კონფლიქტში რუსულმა კიბერშეტევებმა კიდევ უფრო მეტი განვითარება ჰპოვა. რუსეთმა განახორციელა მაღალტექნოლოგიური თავდასხმა უკრაინული ენერგოსისტემის ნაწილზე, მწყობრიდან გამოიყვანა იგი, რითაც შექმნა კინეტიკური ეფექტის მქონე კიბერთავდასხმის გამოყენების პრეცედენტი. მომდევნო წლებში რუსეთის დესტრუქციული კიბერაქტივობები პოსტსაბჭოთა ქვეყნების არეალს გასცდა და ევროპისა თუ აშშ-ის საარჩევნო პროცესები მრავალჯერ გახდა რუსეთის სამთავრობო სტრუქტურებთან დაკავშირებული ჰაკერების სამიზნე

---

<sup>5</sup> Michael Connell, Sarah Vogler. Russia's Approach to Cyber Warfare. 2017. CNA's Occasional Paper series. The work, performed under Federal Government Contract No. N00014-16-D-5003. Copyright © 2017 CNA



ალიანსს შესაბამისი რეაგირება ჰქონდა მოვლენების ამგვარ განვითარებაზე: 2014 წელს უელსის სამიტზე, მოკავშირეებმა მხარი დაუჭირეს კიბერთავდაცვის ახალ პოლიტიკას, რომლის თანახმადაც კიბერთავდაცვა აღიარებულ იქნა NATO -ს კოლექტიური თავდაცვის მთავარი ამოცანის ნაწილად. პირველად გაჩნდა წინაპირობა იმისა, რომ კიბერშეტევა შეიძლება გახდეს NATO -ს დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-5 მუხლის გამოყენების საფუძველი. მოკავშირეებმა ასევე აღიარეს, რომ საერთაშორისო სამართალი მოქმედებს კიბერსივრცეშიც.<sup>6</sup>

უკრაინის ენერგოსექტორზე თავდასხმამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი დარგები, კრიტიკული ინფრასტრუქტურა, რომელიც ბიზნესის მფლობელობაშია, ვერ იქნება დაცული კერძო სექტორთან და აკადემიურ წრეებთან თანამშრომლობის გარეშე. 2014 წლის სექტემბერში NATO -მ წამოიწყო ინიციატივა კიბერ საფრთხეებსა და გამომწვევებთან დაკავშირებით კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

ამავე პერიოდს უკავშირდება კიბერთავდაცვის თვალსაზრისით ურთიერთობის გაღრმავება ალიანსსა და ევროკავშირის შორის. 2016 წლის თებერვალში NATO -მ და ევროკავშირმა დადეს ტექნიკური შეთანხმება კიბერთავდაცვის შესახებ. შეთანხმება ამ ორგანიზაციების კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების ჭგუფებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას უზრუნველყოფს.<sup>7</sup>

ვარშავაში 2016 წლის NATO -ს სამიტზე მოკავშირეთა სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს NATO -ს თავდაცვითი მანდატი და აღიარეს კიბერსივრცე, როგორც ოპერაციების სფერო, რომელშიც NATO-მ უნდა დაიცვას თავი. ამრიგად, ცას, ხმელეთს, ზღვას და კოსმოსს მეხუთე საოპერაციო დომენი შეემატა.

იმავე სამიტზე, მოკავშირეებმა აიღეს ვალდებულება, გააძლიერონ თავიანთი ეროვნული ქსელებისა და ინფრასტრუქტურის კიბერდაცვა, როგორც პრიორიტეტული საკითხი. დადგინდა, რომ წევრი ქვეყნები გაზრდიან

---

<sup>6</sup> Wales Summit Declaration. Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Wales. Issued on 05 sept. 2014.

[NATO - Official text: Wales Summit Declaration issued by NATO Heads of State and Government \(2014\), 05-Sep.-2014](#)

<sup>7</sup> EEAS Press Release archive. EU and NATO increase information sharing on cyber incidents. 10.02.2016. [https://www.eeas.europa.eu/node/5253\\_en](https://www.eeas.europa.eu/node/5253_en)

დალისხმევას, გააუმჯობესონ მდგრადობა და კიბერ საფრთხეებზე ეფექტურად რეაგირების უნარი, მათ შორის ჰიბრიდული კამპანიების ფარგლებში.<sup>8</sup>

2017 წლის თებერვალში მოკავშირეთა თავდაცვის მინისტრებმა დაამტკიცეს განახლებული კიბერ თავდაცვის სამოქმედო გეგმა, ისევე როგორც საგზაო რუკა კიბერსივრცის, როგორც ოპერაციების დომენის, გასაუმჯობესებლად. ამან გაზარდა მოკავშირეების ერთობლივი მუშაობის, შესაძლებლობების განვითარებისა და ინფორმაციის გაზიარების უნარი.

იმავე წლის დეკემბერში NATO და ევროკავშირი შეთანხმდნენ ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის გაღრმავებაზე კიბერუსაფრთხოებასა და თავდაცვაში. თანამშრომლობის სფეროები მოიცავს კიბერსაფრთხეების ანალიზს და ინციდენტებზე რეაგირების გუნდებს შორის თანამშრომლობას.<sup>9</sup>

ბრიუსელში 2018 წლის NATO -ს სამიტზე გადაწყდა კიბერსივრცის ოპერაციების ახალი ცენტრის შექმნა. ცენტრი უზრუნველყოფს სიტუაციური ცნობიერების ამაღლებას და კოორდინაციას უწევს NATO -ს საოპერაციო საქმიანობას კიბერსივრცეში. მოკავშირეები ასევე შეთანხმდნენ, რომ NATO -ს შეუძლია გამოიყენოს ეროვნული კიბერ შესაძლებლობები თავისი ოპერაციებისა და მისიებისთვის. მოკავშირეები ინარჩუნებენ სრულ საკუთრებას ამ კონტრიბუციაზე, ზუსტად ისევე როგორც NATO -ს ოპერაციებსა და მისიებში გამოყენებულ სამხედრო ტექნიკაზე.

ბრიუსელში 2021 წლის სამიტზე მოკავშირეებმა მხარი დაუჭირეს კიბერ თავდაცვის ახალ ყოვლისმომცველ პოლიტიკას NATO -ს სამი ძირითადი ამოცანის მხარდასაჭერად, ისევე როგორც მისი საერთო შეკავებისა და თავდაცვის პოზიციის. NATO -მ აქტიურად უნდა შეაკავოს, დაიცვას და დაუპირისპირდეს კიბერ საფრთხეების სრულ სპექტრს ნებისმიერ დროს - მშვიდობის, კრიზისისა და კონფლიქტისას - პოლიტიკურ, სამხედრო და ტექნიკურ დონეზე.<sup>10</sup>

---

<sup>8</sup> NATO Cyber Defence Pledge. Press Release 2016, 124. Issued on 08 July. 2016. [NATO - Official text: Cyber Defence Pledge, 08-Jul.-2016](#)

<sup>9</sup> Statement on the implementation of the Joint Declaration signed by the President of the European Council, the President of the European Commission, and the Secretary General of the North Atlantic Treaty Organization. [NATO - Official text: Statement on the implementation of the Joint Declaration signed by the President of the European Council, the President of the European Commission, and the Secretary General of the North Atlantic Treaty Organization, 06-Dec.-2016](#)

<sup>10</sup> Brussels Summit Communiqué. Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Brussels 14 June 2021. Para 32. [NATO - Official text: Brussels Summit Communiqué issued by NATO Heads of State and Government \(2021\), 14-Jun.-2021](#)

მოკავშირეებმა აღიარეს, რომ მნიშვნელოვანი მავნე კუმულაციური კიბერ აქტივობების გავლენა შესაძლოა, გარკვეულ პირობებში, შეიარაღებულ თავდასხმად შეფასდეს, აქედან გამომდინარე შედეგებით. მოკავშირეები ასევე შეთანხმდნენ, რომ უფრო მეტად გამოიყენონ NATO, როგორც პოლიტიკური კონსულტაციების პლატფორმა, ეროვნული მიდგომების გაცვლისა და შესაძლო კოლექტიური პასუხების შესამუშავებლად.

2023 წლის სამიტზე ვილნიუსში, მოკავშირეებმა მხარი დაუჭირეს ახალ კონცეფციას, რათა გაზრდილიყო კიბერთავდაცვის წვლილი NATO -ს შეკავებისა და თავდაცვის სტრატეგიაში. ეს გააძლიერებს ალიანსის საერთო სიტუაციურ ცნობიერებას და კიბერსაფრთხეებისადმი მდგრადობას, გახდის მას უფრო უსაფრთხოს და შეამცირებს კიბერ საფრთხეების მნიშვნელოვანი ზიანის პოტენციალს.

ვილნიუსის სამიტზე მოკავშირეებმა დაადასტურეს ეროვნული კიბერ თავდაცვის გაძლიერების პრიორიტეტი, განსაკუთრებით, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის თვალსაზრისით. კიბერსაფრთხეებზე სწრაფი რეაგირების და ალიანსის წევრებისათვის დროული დახმარების აღმოსაჩენად, შეიქმნა ახალი სტრუქტურა - Virtual Cyber Incident Support Capability (VCISC).<sup>11</sup>

## **სამხედრო პასუხი კიბერშეტევაზე და მე-5**

### **მუხლის პრობლემატიკა**

2014 წლის უელსის სამიტის შემდგომ დამკვიდრდა მიდგომა, რომ კიბერშეტევა ალიანსის ერთ წევრზე აღიქმებოდა ყველა წევრზე თავდასხმად, რაც გამოიწვევდა კოლექტიურ პასუხს, მათ შორის კონვენციური საშუალებებითაც. პრობლემური აღმოჩნდა კიბერთავდასხმის ხარისხის განსაზღვრა, რომელიც საპასუხო შეტევისათვის ერთგვარი ზღურბლი იქნებოდა. აღნიშნული პრობლემა NATO -ს წევრი ქვეყნებისათვის და საკუთრივ ალიანსისთვისაც ახლაც აქტუალურია.

თავდაცვის განახლებული პოლიტიკის თანახმად, კოლექტიური პასუხის გამოსაწვევად კიბერშეტევა ისეთივე ზიანის მომტანი უნდა ყოფილიყო, როგორც კონვენციური. ასეთ შემთხვევაში, ალიანსის გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებით, მნიშვნელოვანი კიბერთავდასხმა გამოიწვევს

---

<sup>11</sup> Vilnius Summit Communiqué. Issued by NATO Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council in Vilnius 11 July 2023. [NATO - Official text: Vilnius Summit Communiqué issued by NATO Heads of State and Government \(2023\), 11-Jul.-2023](#)

NATO -ს ვაშინგტონის შეთანხმების მე-5 მუხლის ამოქმედებას და კოლექტიურ პასუხს. მისივე განცხადებით, NATO „კიბერსივრცეშიც ისევე ეფექტურად დაიცავს თავს, როგორც ხმელეთზე, ზღვასა და ჰაერში“.<sup>12</sup>

არსებობული მიდგომით, კიბერშეტევა, საპასუხო რეაგირებას იწვევს მნიშვნელოვანი ზარალის ან მსხვერპლის შემთხვევაში. ბუნებრივია, გადანწყვეტილება საპასუხო დარტყმის შესახებ ყოველი კონკრეტული შემთხვევის კონტექსტში ყოველთვის პოლიტიკური ხასიათის იქნება, ისევე, როგორც კონვენციური შეტევის შემთხვევაში, რადგან არ არსებობს განსაზღვრება რას ნიშნავს მნიშვნელოვანი ზარალი ან რა რაოდენობის მსხვერპლის შემთხვევაში ხდება რეაგირება. მეორეს მხრივ, სახიფათო იქნებოდა მკაფიოდ დაფიქსირებულიყო ზუსტი ზღვარი, რომლის შემდეგაც ხდება რეაგირება: ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე შეგნებულად იმოქმედებს ისე, რომ არ გადაკვეთოს ის ზღვარი, რომლის მიღმაც ღია ომი იწყება. NATO -ს წევრ ქვეყანაზე კიბერშეტევის შემთხვევაში, ამ ზღვარს მიღმა მოქმედება საშუალებას მისცემს აგრესორს თავიდან აიცილოს კოლექტიური საპასუხო ქმედებები.

კონვენციური ომისას სარაკეტო დარტყმა, საავიაციო შეტევა ან ჯავშანტექნიკის კოლონების გადაადგილება ცალსახად გამოიწვევდა კოლექტიური თავდაცვის მექანიზმის ამოქმედებას, თუმცა კიბერსივრცესთან ალიანსის სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-5 მუხლის ადაპტირების პრობლემატურობა, რუსეთის მონაწილეობით განხორციელებულმა რამდენიმე კიბეროპერაციამაც დაადასტურა.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ 2007 წელს ესტონეთზე განხორციელებულ კიბერთავდასხმაში კრემლის ორგანიზატორული როლი და მის მიერ კოორდინირებული საინფორმაციო კამპანია აშკარაა, პირდაპირი ტექნიკური მტკიცებულებები რუსეთის სამთავრობო ინსტიტუტების ჩართულობისა არ არსებობს. უფრო მეტიც, რუსეთი ამ თავდასხმას პატრიოტულად განწყობილი ჰაკერების, ჰაქტივისტების მიერ განხორციელებულ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის არაკრიმინალური აქტად მიიჩნევს. ბუნებრივია, ამ პირობებში კიბერსივრცესა თუ კონვენციური მეთოდებით საპასუხო დარტყმაზე კონსენსუსის მიღწევა ალიანსის წევრებს შორის გართულებულია.

კიბერდომეინზე მე-5 მუხლის გავრცელებისათვის კიდევ ერთი დილემაა კიბერსივრცის საზღვრების არარსებობა. 2017 წელს რუსეთმა უკრაინის

---

<sup>12</sup>NATO will defend itself. Article by NATO Secretary General Jens Stoltenberg published in Prospect's new cyber resilience supplement.  
[https://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_168435.htm#:~:text=Cyberspace%20is%20the%20new%20battleground, London%20in%20December%20and%20beyond](https://www.nato.int/cps/en/natohq/news_168435.htm#:~:text=Cyberspace%20is%20the%20new%20battleground, London%20in%20December%20and%20beyond).

კრიტიკულ ინფრასტრუქტურას მალტექნოლოგიური მალვეარის- NotPetya-ს<sup>13</sup> საშუალებით შეუტია, ხოლო უკრაინიდან მალვეარი ალიანსის წევრ ქვეყნებში გავრცელდა და კრიტიკულ ინფრასტრუქტურას მილიარდობით დოლარის ზარალი მიაყენა. თეორიულად, ალიანსს უკრაინაზე უნდა განეხორციელებინა საპასუხო შეტევა, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს სახელმწიფო თავად იყო რუსული აგრესიის მსხვერპლი და შესაბამისად, ყველაზე მეტად დაზარალდა რუსული დესტრუქციული კიბერშეტევის შედეგად.

ცალკე პრობლემაა კრიმინალური აქტორების ატრიბუცია ამა თუ იმ სახელმწიფოსთან: 2020 წელს რუსეთში ბაზირებულმა კრიმინალურმა დაჯგუფებებმა აშშ-ის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე რამდენიმე მალტექნოლოგიური შეტევა განახორციელეს. შედეგად, ალიანსის ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორის ეკონომიკას მილიარდობით დოლარის ზარალი მიადგა და აშშ-ი, ცალკეულ შემთხვევებში, იძულებული გახდა საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა. ამ კიბერშეტევებში კრემლის მონაწილეობის პირდაპირი მტკიცებულებები არ არსებობს, თუმცა, საყოველთაოდ ცნობილია ოფიციალური მოსკოვის შემწყნარებლობა მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებიდან მოქმედი ჰაკერული დაჯგუფებების მიმართ. კრემლი, შესაბამისი ზომების მიუღებლობით (აქტორების დაპატიმრება და შიფრის გასაღებების მიღება) მინიმუმ ახალისებს კიბერკრიმინალის მოქმედებას, რაც დასავლეთის, მათ შორის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დასუსტებას ემსახურება. ის გარემოება, რომ კიბერკრიმინალი რუსეთშია ბაზირებული, ოფიციალურ მოსკოვს გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს. შესაბამისად, 2021 წლის ჟენევის სამიტზე პრეზიდენტმა ბაიდენმა პუტინს გადასცა კრიტიკული ინფრასტრუქტურის სია, რომელზე თავდასხმაც, თუნდაც კრიმინალის მხრიდან, პრეზიდენტის განცხადებით, აშშ-ის შესაბამის რეაგირებას გამოიწვევდა. რთულად პროგნოზირებადია, ამოქმედდებოდა თუ არა კოლექტიური თავდაცვის მექანიზმი იმ შემთხვევაში, თუკი ამერიკული მხარე გადაწყვეტდა რუსეთის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე საპასუხო შეტევის განხორციელებას.

ყველა ზემოთგანხილულ შემთხვევაში იგულისხმებოდა კონკრეტული კიბერშეტევა, რომლის შედეგებსაც უნდა გამოეწვია საპასუხო მოქმედებები ალიანსის მხრიდან, თუმცა 2021 წელს ბრიუსელის სამიტის შემაჯამებელ დოკუმენტში მიდგომები შეიცვალა და მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ ერთი და იგივე აქტორის მხრიდან წარმოებული მცირე ინტენსივობის

---

<sup>13</sup> რუსეთის სახელმწიფო აქტორების მიერ განხორციელებული მალტექნოლოგიური შეტევა, რომელმაც გაანადგურა მონაცემები უკრაინის საბანკო და ენერგეტიკული სექტორის, სახელმწიფო უწყებებისა და აეროპორტების სერვერებზე. მოგვიანებით, მალვეარი გავრცელდა ევროპაშიც და მილიარდობით ზარალი მიაყენა ლოგისტიკურ კომპანიებს, ფარმაცევტულ სექტორს და სახელმწიფო უწყებებს. NotPetya დღეისათვისაც ითვლება უძლიერესი დესტრუქციული პოტენციალის მქონე მალვეარად, რომელმაც უზარმაზარი ზარალი მიაყენა ათეულობით ქვეყნის ინფრასტრუქტურას

კიბეროპერაციების კუმალაციური ეფექტიც კი გამოიწვევდა საპასუხო დარტყმას ალიანსის მხრიდან, რადგან კიბეროპერაციების დროში გავრცობილი შედეგი შესაძლოა ისეთივე საზიანო იყოს, როგორც ერთი მძლავრი კიბერშეტევის შემთხვევაში<sup>14</sup>.

მიდგომების მსგავსი კორექტირება ცხადყოფს, რომ ალიანსმა გადაწყვიტა უფრო მეტი აქცენტი გააკეთოს მტრული აქტორების მიერ განხორციელებულ კამპანიურ კიბეროპერაციებზე, ასევე, აპირებს გაითვალისწინოს მის საზღვრებს გარეთ მომხდარი კიბეროპერაციები, რომლებსაც გავლენა აქვთ ალიანსის წევრი ქვეყნების უსაფრთხოებაზე.<sup>15</sup>

მიუხედავად აღნიშნული პოზიტიური ცვლილებებისა, რეაგირების მიღმა რჩება კიბერკრიმინალების მიერ განხორციელებული კიბეროპერაციები ან მტრული სახელმწიფო აქტორების მიერ წარმოებული არადესტრუქციული კიბერშპიონაჟის ოპერაციები.

კიბერუსაფრთხოების რუსული მიდგომა ითვალისწინებს ჩვეულებრივ სამხედრო ძალებთან ერთად საინფორმაციო ოპერაციების, პროვოკაციების, კიბერთავდასხმების, საბოტაჟის და ეკონომიკური დივერსიებისა თუ ზეწოლის განხორციელებას. კიბეროპერაციებს აღნიშნულ ტაქტიკაში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი უჭირავს და სულ უფრო მეტი ამოცანის გადასაჭრელად გამოიყენება. მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობრივი სამართლებრივი ბაზისა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსს კოლექტიური კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების განსავითარებლად საუკეთესო გზად სამხედრო ოპერაციებთან კიბერშესაძლებლობების ინტეგრირება რჩება. სამხედრო წვრთნებსა თუ კრიზისის მართვის სავარჯიშოებში კიბერელემენტის მზარდი მოცულობით გამოყენება, ასევე წევრებისა თუ პარტნიორებისათვის ურთიერთდახმარების პლატფორმების და ფორმატების შეთავაზება ალიანსს კიბერსივრცის სანდო და ანგარიშგასაწევ მოთამაშედ წარმოაჩენს.

---

<sup>14</sup> Stefan Soesanto. "When does a 'Cyber Attack' Demand Retaliation? NATO Broadens Its View" <https://www.defenseone.com/ideas/2021/06/when-does-cyber-attack-demand-retaliation-nato-broadens-its-view/175028/>

<sup>15</sup> მაგალითად, ირანული სახელმწიფო აქტორების მიერ 2012 წელს საუდის არაბეთის ნავთობის მრეწველობის გიგანტ Aramco-ზე განხორციელებულ თავდასხმას მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება შეძლო მეკავშირეებისთვის, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მიწოდების უფრო ხანგრძლივი ვადით სენყვეტის პირობებში.

# NATO და საქართველოს თანამშრომლობა

## კიბერსივრცეში

2014 წლის უელსის სამიტზე მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოსთან არსებითი პაკეტის შემუშავების შესახებ, რომლის მიზანია ალიანსთან თავსებადობის ამაღლება, თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება და განვრიანებისთვის საქართველოს მომზადება. არსებითი პაკეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად კიბერთავდაცვის შესაძლებლობების განვითარება იქნა მიიჩნეული. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს კიბერთავდაცვამ მნიშვნელოვანი ფინანსური, ორგანიზაციული თუ საექსპერტო დახმარება მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების, ესტონეთის, დიდი ბრიტანეთის და სხვა მოკავშირეების მხრიდან. დახმარება კონცენტრირებულია ცნობიერების ამაღლების, კიბერშესაძლებლობების განვითარების, საჯარო-კერძო თანამშრომლობის, ინფორმაციის გაზიარების და წვრთნებისა და კიბერსავარჯიშოების მიმართულებაზე.

2016 წლიდან საქართველო, როგორც ალიანსის არაწევრი ქვეყანა, გამონაკლისის სახით, ჩართულია MISIP (Malware Information Sharing Platform)-ის მუშაობაში, რომელსაც 2012 წლის მაისში NATO-ს ჩიკაგოს სამიტზე ჩამოყალიბებული გონივრული თავდაცვის ინიციატივის (Smart Defence Initiative) ნაწილია. პროექტი ემსახურება საფრთხეებისა და მავნე პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის მიმოცვლით NATO-ს წევრი ქვეყნების კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესებას. მავნე კოდების შესახებ ინფორმაციის გაცვლის პლატფორმა ითვალისწინებს კონტენტის გარეშე კიბერინციდენტების შესახებ ინფორმაციის უსაფრთხო მიმოცვლას NATO-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან.

2015-2016 წლებიდან საქართველო რეგულარულად მონაწილეობს ალიანსის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა კიბერსავარჯიშოებში, როგორცაა Locked Shields და Cyber Coalition. Locked Shields ყოველწლიური, რეალურ დროში მიმდინარე კიბერსავარჯიშოა, რომელიც CCDCOE-ს ორგანიზებით ტარდება. სწავლება მიზნად ისახავს მონაწილე გუნდების კიბერთავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას.

Cyber Coalition-ი ალიანსის ყველაზე ფართომასშტაბიანი კიბერსწავლებაა, რომლის აღსრულების ფაზაში NATO -ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების 1 000-ზე მეტი წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას. კიბერსწავლების მიზანს კიბერსივრცეში NATO-ს მოკავშირე და პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაფართოება, კიბერინციდენტების მართვისა და ინფორმაციის გაცვლის მექანიზმების გაუმჯობესება წარმოადგენს.

2022 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიუროს გუნდმა ესტონელ კოლეგებთან ერთად კიბერწვრთნაში მესამე ადგილი მოიპოვა, რაც ალიანსის კიბერთავდაცვის ძალებთან თავსებადობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

კიბერთავდაცვის სფეროში NATO-სთან თანამშრომლობა საქართველოს მნიშვნელოვნად ეხმარება მიაღწიოს ალიანსთან თავსებადობის მაღალ ხარისხს და წარმოადგენდეს კარგად გაწვრთნილ, შესაბამისი აღჭურვილობის და რესურსების მქონე კიბერუსაფრთხეებისადმი მდგრად სახელმწიფოს.





სტრატეგიის და განვითარების ცენტრი  
CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

# აშშ-ის საპრეზიდენტო ერჩევნების გავლენა აღიანსზე: შესაძლებლობები და გამოწვევები

ავტორი: გიგი წიკლაური



This project is supported by  
NATO's Public Diplomacy Division

## შესავალი

დაახლოებით 30 წლიანი „უნიპოლარული მომენტი“<sup>1</sup>, რომელშიც ამერიკის შვერთებული შტატების გლობალური დომინირება მოიაზრება, ყველაზე მეტად კითხვის ქვეშ დადგა უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად.

მანამდე კი, 1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის სოციალიზმის იდეოლოგიის ქვეშ მოსკოვის მიერ გაერთიანებული ბანაკის ჩამოშლის შემდეგ აშშ ერთადერთ ზესახელმწიფოდ შენარჩუნდა, რომელსაც გააჩნდა სათანადო სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი და, ამავე დროს, სურვილი, გადაედგა ნაბიჯები გლობალურად დემოკრატიის ხელშესაწყობად და ლიბერალური საერთაშორისო წესრიგის ჩამოსაყალიბებლად.

იმ პერიოდში ბევრი მიიჩნევდა, რომ ვერაფერი დაუდგებოდა წინ მსოფლიოში ამერიკის დომინირებას. ჩანდა, რომ „ამერიკული საუკუნის“<sup>2</sup> ცნობილ კონცეფციას მიეცა სრულად გამოვლენის საშუალება. ამერიკისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი იდეალიზმისა და პრაგმატიზმის ნაზავით, ცივი ომის შემდგომ ათწლეულებში ჯერ პრეზიდენტ კლინტონის (1993-2001) მიერ განცხადებული დემოკრატიული მშვიდობის თეორიის მიზნების მისაღწევად, მომდევნო ათწლეულში კი ბუშის (43) ადმინისტრაციის (2001-2009) ნეოკონსერვატიული ხედვების შთაგონებით, ხოლო შემდგომ კი პრეზიდენტ ობამას (2009-2017) „პრაგმატული რეალიზმის“ პირობებში, აშშ მხარს უჭერდა მსოფლიო წესრიგის შენარჩუნებასა და დემოკრატიების ჩამოყალიბებას აღმოსავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და მსოფლიოს სხვა ისეთ ადგილებში, სადაც მანამდე თავისუფლად ცხოვრების მინიმალური გამოცდილება თუ არსებობდა.

ათობით წლის განმავლობაში ამერიკულ სამხედრო კოლექტებსა და აკადემიებში მომავალ ამერიკელ ოფიცრებსა და დიპლომატებს ასწავლიდნენ, რომ თავის დროზე ბუშისა (41) და კლინტონის ადმინისტრაციებმა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი წარმატებულად მართეს. ამას ობიექტური მიზეზები აქვს, მაგალითად, არ მომხდარა ბირთვული იარაღის ან თუნდაც რაიმე მნიშვნელოვანი ოდენობით რადიაციული მასალის გაჟონვა, რაც სამომავლოდ არასასურველ აქტორებს ბირთვული ბომბის შექმნის შესაძლებლობას მისცემდა გაუთვალისწინებელი შედეგებით. ამავე დროს, ბირთვული იარაღის პოტენციურად ოთხი ახალი მფლობელის (რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, ყაზახეთი) ნაცვლად, მხოლოდ რუსეთის ხელში აღმოჩნდა საბჭოთა ბირთვული არსენალი. ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოში, რუსეთის ხელშეწყობით ან მისი უშუალო მონაწილეობით

<sup>1</sup> Krauthammer, Charles. 1991. „The Unipolar Moment.“ *Foreign Affairs* 70 (1).

<sup>2</sup> Walker, William O. 2018. *The Rise and Decline of the American Century*. Cornell University Press.

გაჩაღებული ლოკალური კონფლიქტები არ გადაზრდილა მასშტაბურ რეგიონულ კონფლიქტში და „გაყინული“ კონფლიქტების სახით შენარჩუნდა ათობით წლის განმავლობაში.

ნატოს მნიშვნელობას აშშ-ის ეროვნული ინტერესებისათვის ამერიკის ორივე წამყვანი პარტიის ლიდერები მუდამ სათანადოდ აფასებდნენ და მისი საჭიროების შესახებ კითხვები არცერთი ადმინისტრაციის მიერ არ გაუღერებულა. პირიქით, ცივი ომის შემდგომ პერიოდში ალიანსმა ახალი დატვირთვა შეიძინა, უფრო მეტად იქცა დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირად. თავის მხრივ, აშშ-ის ადმინისტრაციები უპირობოდ უჭერდნენ მხარს ალიანსის გაძლიერებასა და განვრცობის მსურველი ჯერ ყოფილი სოციალისტური ბანაკის (ვიეტნამის ჯგუფი), შემდეგ კი ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების (ვიტონიუსის ჯგუფი) ძალისხმევას.

ამ მხრივ აღსანიშნავია 1998 წელს აშშ-ის მიერ ბალტიის სამ ქვეყანასთან ბალტიის ქარტიის გაფორმება, რითაც კლინტონის ადმინისტრაცია მხარს უჭერდა ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვის ტრანსატლანტიკურ ალიანსში განვრცობას, რაც ნატოს გაფართოების ცივი ომის შემდგომი მეორე ტალღით დაგვირგვინდა 2004 წელს. მოგვიანებით, 2008-2009 წლებში, ანალოგიური ქარტიები სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ გაფორმდა ინდივიდუალურად უკრაინასა და საქართველოსთან.<sup>3</sup> ამ და სხვა მექანიზმებით ამერიკის შეერთებული შტატები ხელს უწყობდა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების უსაფრთხოების ზრდას და უპირობოდ უჭერდა მხარს ალიანსის თავდაცვითი ქოლგის გაფართოებას.

ასე იყო 2017 წლამდე, დონალდ ტრამპის პრეზიდენტობამდე, რომელმაც სრულიად ახალი ნარატივი შეიტანა ევროპელ მოკავშირეებთან დისკურსში. მის გამოსვლებსა და ტვიტერით გავრცელებულ გზავნილებში ტრამპი ძირითად ყურადღებას მისთვის კარგად ნაცნობ საფინანსო საკითხებზე ამახვილებდა და მოკავშირეებს თავდაცვის ხარჯების ზრდისკენ მოუწოდებდა, რაც გულისხმობს 2006 წელს ნატოს თავდაცვის მინისტრების მიერ შეთანხმებულ და შემდგომ 2014 წელს „თავდაცვაში ინვესტიციების პირობით“ გამტკიცებულ ვალდებულებას, რომლის მიხედვით ნატოს წევრი სახელმწიფოები თავდაცვაზე მშპ-ის სულ მცირე 2 პროცენტს უნდა ხარჯავდნენ.

თავად ამერიკის შეერთებული შტატებისთვის 2 პროცენტის ბიუჯეტის გადალახვა არასოდეს ყოფილა პრობლემური. თავდაცვის ხარჯების ყველაზე დაბალი ნიშნულის დროსაც კი 1998-2001 წლებში ქვეყანა მშპ-ის 3 პროცენტზე ცოტათი მეტს გამოჰყოფდა თავდაცვაზე, ხოლო 2023 წელს თავდაცვის ბიუჯეტი

---

<sup>3</sup> აშშ-უკრაინას შორის დადებული ქარტია 2021 წლის ნოემბერში განახლდა.

მშპ-ის 3,4 პროცენტს შეადგენდა, რაც თანხობრივად 820 მილიარდ დოლარს უდრის 6,1 ტრილიონი დოლარით განსაზღვრულ ფედერალურ ბიუჯეტში.<sup>4</sup>

2023 წლის მდგომარეობით, ნატოს წევრი სახელმწიფოების ნაწილი კვლავ ვერ აკმაყოფილებს დადგენილი 2 პროცენტიანი ნიშნულის პირობებს, თუმცა 2014 წლიდან დღემდე უკლებლივ ყველა წევრ სახელმწიფოს გაზრდილი აქვს თავდაცვისთვის გათვალისწინებული ხარჯები, ზოგიერთმა სახელმწიფომ კი იგი გააორმაგა კიდევ. ეს განსაკუთრებით ეხება აღმოსავლეთი ევროპისა და ბალტიის ქვეყნებს - პოლონეთს, ლიეტუვას, ლატვიას, სლოვაკეთს და სხვებს, რომლებმაც 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ აქტუალურად (თუ არა საგანგაშოდ) მიიჩნიეს რუსეთიდან მომდინარე საფრთხე და როგორც საკუთარი ქვეყნის თავდაცვაში, ისე კოლექტიურ უსაფრთხოებაში სცადეს შესაბამისად გაზრდილი წვლილის შეტანა.

## **2024 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნები და ალიანსში აშშ-ის მონაწილეობის მიმართ მოლოდინი**

მართალია, ამერიკაში ჯერ არ ჩატარებულა ორი წამყვანი პარტიის ეროვნული კონვენცია,<sup>5</sup> სადაც ოფიციალურად მოხდება საპრეზიდენტო კანდიდატების დასახელება, მაგრამ ცალკეულ შტატებში შიდა პარტიული არჩევნების პრაიმერის შედეგად კანდიდატებად გამოვლინდნენ 2021 წლის იანვრიდან მოქმედი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი და 2017-2021 წლებში ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი. 2024 წლის ივნისის ბოლოსთვის, ორივე პარტიაში ჯერ კიდევ არის კონვენციებზე საპრეზიდენტო კანდიდატებად გარკვეული ჯგუფების მიერ სხვა კანდიდატების წარდგენის მცდელობა, რაც დემოკრატიული პარტიის შემთხვევაში უფრო მეტად ლიბერალური კანდიდატის დასახელებას, ხოლო რესპუბლიკური პარტიის შემთხვევაში უფრო მეტად კონსერვატიული კანდიდატის წარდგენას ითვალისწინებს.

ზოგადი საარჩევნო გარემოს პოლარიზაციისა და კანდიდატების რადიკალურად განსხვავებული პოზიციების გამო, მოსალოდნელია, რომ 2024 წლის ნოემბრის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ისტორიული მნიშვნელობა

---

<sup>4</sup> SIPRI-ს (Tian , et al. 2024) გაანგარიშებით, 2023 წელს აშშ-ის ნაერთი ხარჯები ეროვნულ თავდაცვაზე 916 მილიარდ დოლარს უტოლდება, რადგან ანალიტიკური ცენტრის მკვლევრები მასში ითვალისწინებენ არა მხოლოდ თავდაცვის დეპარტამენტისთვის დამტკიცებულ ხარჯებს, არამედ იმ ხარჯებსაც, რომლებიც თავდაცვითი მიზნებისთვის გათვალისწინებულია ენერჯეტიკის დეპარტამენტის, სახელმწიფო დეპარტამენტისა და ეროვნული სადაზვერვო პროგრამების ფარგლებში.

<sup>5</sup> რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კონვენცია მილუოკიში 15-18 ივლისს გაიმართება, ხოლო დემოკრატიული პარტიის ეროვნული კონვენცია ჩიკაგოში 2024 წლის 19-22 აგვისტოს ჩატარდება.

ეწეება, რამაც, შესაძლოა, განაპირობოს გლობალური პროცესები მომდევნო ათწლეულის განმავლობაში.

ორივე საპრეზიდენტო კანდიდატს პოლიტიკაში განსხვავებული პოლიტიკური გამოცდილება აქვს, მაგრამ მათ მიერ გამოვლენილი საგარეო პოლიტიკური პრეფერენციები მსჯელობის საფუძვლიან საშუალებას გვაძლევს იმაზე, თუ როგორი საგარეო პოლიტიკა გატარდება სამომავლოდ აშშ-ის მიერ გლობალურად და კონკრეტულად ალიანსის პერსპექტივის თვალსაზრისით.

შეიძლება ითქვას, რომ ორივე კანდიდატს მხოლოდ ერთი საზიარო მახასიათებელი გააჩნია - ხნიერი ასაკი. 2024 წელს მოქმედი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი 81 წლისაა, მისი ოპონენტი დონალდ ტრამპი კი 78 წლის. მედია საშუალებები ხშირად აპელირებენ პრეზიდენტ ბაიდენის ასაკზე, ასეთი რეპორტაჟებით განსაკუთრებით კონსერვატიული მედია გამოირჩევა, რომელიც ბაიდენს შებლუდული ფიზიკური და ფსიქიკური უნარის მოხუცად წარმოაჩენს (ზოგჯერ ამას მანიპულირებული ვიდეორგოლების მეშვეობითაც კი აკეთებენ).<sup>6</sup> თავად დონალდ ტრამპიც აქტიურად ჩართულია ოპონენტის წინააღმდეგ კამპანიაში. სოციალური მედიის მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით გავრცელებული შარჟის შემცველი ვიდეორგოლით ტრამპი გვახსენებს მისი მოწინააღმდეგის ასაკს და მას მოხუცთა სახლში ჩაბარებას უპირებს.

სინამდვილეში, რამდენად ითამაშებს არჩევნების დღეს კანდიდატთა ასაკი გადამწყვეტ როლს? ამ თემაზე საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს ამერიკის პრეზიდენტების მკვლევარი ჯოშუა სპივაკი, რომელიც ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მას შემდეგ, რაც ამერიკის საპრეზიდენტო კანდიდატების შერჩევის პროცესი მეტად ეგალიტარული გახდა და 1970-იანი წლებიდან პარტიების, ფაქტობრივად, ყველა წევრს მიეცა პრაიმერის და კოკუსის სისტემით კენჭისყრაში მონაწილეობის საშუალება, ამერიკელები ამჭობინებენ ასაკოვან კანდიდატებს. ამას ადასტურებს კონგრესის შემადგენლობაც, სადაც ამომრჩევლების მიერ კანდიდატების პირდაპირი წესით არჩევის შედეგად ამერიკამ ერთ-ერთი ყველაზე უხუცესი სენატი და წარმომადგენელთა პალატა მიიღო.<sup>7</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ფედერალური წყობის წყალობით, ამერიკის პრეზიდენტს, ფაქტობრივად, მხოლოდ საგარეო პოლიტიკაზე აქვს დიდი და ხშირად მაფორმირებელი გავლენა. ამერიკის პრეზიდენტი განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის კურსს და ამაში უმთავრესად მისი ადმინისტრაციის რამდენიმე წამყვანი წევრი მონაწილეობს - სახელმწიფო მდივანი, თავდაცვის მდივანი და მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში. კონგრესს თავისი წილი

<sup>6</sup> Olorunippa, Toluse, and Usero, Adriana. „How Republicans used misleading videos to attack Biden in a 24-hour period.“ *The Washington Post*, 11 June, 2024.

<sup>7</sup> Spivak, Joshua. 2024. „Actually, Americans like older presidential candidates.“ *The Hill*, 28 February, 2024.

პასუხისმგებლობა აქვს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში და ეს გამოიხატება სასურველი პოლიტიკის გასატარებლად ბიუჯეტის დამტკიცებაში, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებასა და ასევე აქტების (კანონების) მიღებაში, რაც ადმინისტრაციისთვის შესასრულებლად სავალდებულოა. ხელისუფლების მესამე შტო, სხვადასხვა რგოლის სასამართლოების სახით, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში ერევა საგარეო პოლიტიკის საკითხებში და ეს კარგად გამოჩნდა 2017-2018 წლებში საოლქო სასამართლოების მიერ პრეზიდენტ ტრამპის გადაწყვეტილებების გაბათილებისას, როდესაც იგი ცდილობდა რამდენიმე ისლამური ქვეყნის მოქალაქეებისთვის ამერიკაში შესვლა სრულად აეკრძალა. საბოლოოდ, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ (ამჟამად კონსერვატიული შემადგენლობით) გადაწყვიტა, რომ პრეზიდენტის პრეროგატივაა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ამერიკაში შესვლის შეზღუდვა.

## ჯო ბაიდენის მეორე საპრეზიდენტო ვადა

2024 წლის ნოემბრის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები აქტიური დაკვირვების საგანი იქნება მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპაში. როგორ საგარეო პოლიტიკას უნდა ველოდოთ აშშ-ის მხრიდან თითოეული კანდიდატის არჩევის შემთხვევაში? პრეზიდენტ ბაიდენის გამარჯვების შემთხვევაში პროგნოზი შედარებით ერთმნიშვნელოვანია. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ მეორე ვადით არჩევის შემდეგ, პრეზიდენტი ბაიდენი მეტწილად გააგრძელებს არსებული პოლიტიკის გატარებას. პრეზიდენტ ბაიდენის საგარეო პოლიტიკას ახასიათებენ როგორც კლასიკური მეოცე საუკუნის ლიბერალური ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიის, „ამერიკის განსაკუთრებულობისა“ და პრაგმატიზმის ნიშნების მატარებელს. წინამორბედებისგან განსხვავებით, მისი ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანის უფლებებს, პრესის, გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლებას მსოფლიოში და ცდილობს, საგარეო საქმეთა წარმართვაში ეს საკითხები ასახოს.

პრეზიდენტმა ბაიდენმა ნათლად გამოხატა მისი მოსაზრება რუსეთის პრეზიდენტის პუტინის მიმართ, როდესაც მას ჯერ მკვლელი<sup>8</sup>, შემდეგ კი ყასაბი უწოდა, რომელიც არ უნდა მართავდეს რუსეთს,<sup>9</sup> და განაცხადა, რომ

---

<sup>8</sup> Kim, Lucian. 2021. „It Takes One To Know One, Putin Says After Biden Agrees Russian Leader Is A Killer.“ *NPR*. 18 March. retrieved on 2024 22 June. <https://www.npr.org/2021/03/18/978751414/it-takes-one-to-know-one-putin-says-after-biden-agrees-that-putin-is-a-killer>.

<sup>9</sup> Liptak, Kevin, and Vazquez, Maegan. 2022. „Biden says Putin ‘cannot remain in power’.“ *CNN*. 26 March. retrieved on 2024 წლის 22 June. <https://edition.cnn.com/2022/03/26/politics/biden-warsaw-saturday/index.html>. ამ მეორე შემთხვევაში პრეზიდენტმა ბაიდენმა ეს სიტყვები პოლონეთში უკრაინელ ლტოლვილებთან შეხვედრის შთაბეჭდილების ქვეშ წარმოთქვა. მოგვიანებით მისი ადმინისტრაციის წევრებს მოუწიათ განმარტებების გაკეთება, რომ პრეზიდენტი რუსეთში

მეზობლების ტერიტორიების ძალით მითვისებით რუსეთი ურცხვად არღვევს გაეროს ქარტიას. მისი ადმინისტრაციის მიერ 2022 წლის ოქტომბერში გამოცემული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია,<sup>10</sup> რომელიც ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ათასობით ადამიანისთვის, ამჟამად შექმნილ გლობალურ პოლიტიკურ ვითარებას ავტოკრატიებისა და დემოკრატიების დაპირისპირების ახალ ბიპოლარულ ქრილში აღწერს (თავად ტერმინის „ბიპოლარულის“ გამოყენების გარეშე) და ამას საგანგაშოდ მიიჩნევს, ვინაიდან „ავტოკრატები თავდაუზოგავად ცდილობენ დემოკრატიებისათვის ძირის გამოთხრას და მმართველობის ფორმის გავრცელებას, რომელიც შინ რეპრესიებისა და უცხოეთში იძულების მეთოდებით ხასიათდება“.

ამ მხრივ, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ორ ავტოკრატიულ რეჟიმს ასახელებს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განზრახვაზე საუბრობს, რომლის მიზანია (რისი უნარიც სულ უფრო მზარდად აქვს) საერთაშორისო წესრიგის ცვლილება გლობალური სათამაშო ველის მის სასარგებლოდ გადასახრელად. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში მეორე ავტოკრატიულ რეჟიმად დასახელებული ქვეყანა, რასაკვირველია, რუსეთია, რომელსაც ბოლო წლებში უკვე ხშირად ჩინეთის უმცროს პარტნიორად მოიხსენიებენ<sup>11</sup> და რომლის სასტიკმა და პროვოცირების გარეშე წამოწყებულმა ომმა მისი მეზობელი უკრაინის წინააღმდეგ ევროპაში მშვიდობა დაარღვია და გლობალურ სტაბილურობაზე უარყოფითი გავლენა იქონია, ხოლო ბირთვული იარაღით მისი უგუნური მუქარა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას საფრთხის ქვეშ აყენებს.<sup>12</sup>

კონსერვატიული ხედვის ანალიტიკური ცენტრის ჰუვერის ინსტიტუტის ონლაინ გამოცემაში „ქარავანი“ ბაიდენის „დიდ სტრატეგიად“ სახელდება „პროგრესული ტრანსფორმაცია შინ და გარეთ“.<sup>13</sup> ამ ტრანსფორმაციის გასათარებლად ბაიდენის ადმინისტრაციისთვის ალიანსები ერთგულ მოკავშირეებთან ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი ეს ეხება კანადასა და ევროპის სახელმწიფოებთან სამოკავშირეო ურთიერთობებს ნატოს ალიანსის ფარგლებში. მისი გამყარება და „ჩანგრეული ხიდების“ გამთლიანება ბაიდენის პრეზიდენტობის პირველივე თვეებში დაევალა სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენს, რომელმაც სახელმწიფო მდივნის რანგში ევროპაში პირველი

---

ხელისუფლების გარედან ცვლილებაზე არ საუბრობდა, არამედ მხოლოდ მის მორალურ ბუნებას აღწერდა.

<sup>10</sup> The White House. 2022. *National Security Strategy of the United States of America*. The White House.

<sup>11</sup> Brookings Institution. 2024. „The Current: The Dynamics of the Russia-China partnership.“ edited by Adriana Pita, Angela Stent and Yun Sun.

<sup>12</sup> The White House. 2022. *National Security Strategy of the United States of America*. The White House.

<sup>13</sup> Dueck, Colin. 2024. „The Biden Doctrine.“ *Caravan* (Hoover Institution).

ოფიციალური შეხვედრები ნატოს მინისტრიალის ფარგლებში გამართა. მან ორმხრივი შეხვედრები ჩაატარა ევროპული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან უმთავრესი გზავნილით: „ამერიკა დაბრუნდა და ევროპა მისთვის ძირითადი მოკავშირეა დემოკრატიებსა და ავტოკრატიებს შორის ისტორიულ კონკურენციაში“. ალიანსის შტაბბინაში გამოსვლისას მდივანმა ბლინკენმა დიპლომატიის საუკეთესო ენით ისაუბრა ნატოს მიმართ აშშ-ის ერთგულებაზე: „გაძლევთ ურყევ პირობას - ამერიკა ნატოს მიმართ სრულად ერთგულია, მათ შორის მისი მე-5 მუხლის მიმართაც“. დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ამ სიტყვებს ევროპის დედაქალაქებში შვებით შეხვდნენ ტრამპის ოთხნობიანი მმართველობის და, ზოგიერთის აზრით, ნატოს სიკვდილთან მიახლოების შემდეგ.<sup>14</sup>

უკანასკნელი პერიოდის უმთავრეს გლობალურ გამოწვევას, რასაკვირველია, წარმოადგენს რუსეთის მიერ 2022 წლის თებერვალში უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ომი. რეაგირების სახით, ბაიდენის ადმინისტრაციამ თავიდანვე კოლექტიური პასუხის გზა აირჩია და მისი ინიციატივით შექმნილი „უკრაინის თავდაცვის საკითხებზე საკონტაქტო ჯგუფი“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად იქცა. ამ შეხვედრებს ასევე რამშტაინის ფორმატსაც უწოდებენ, რადგან პირველი შეხვედრა გერმანიაში მდებარე აშშ-ის საჰაერო ძალების რამშტაინის ავიაბაზაზე შედგა აშშ-ის თავდაცვის მდივნის ლოიდ ოსტინის და აშშ-ის გაერთიანებული შტატების სარდლობის მეთაურის მარკ მილის ინიციატივით. ორი წლის განმავლობაში ამ ფორმატით გამართული ოცზე მეტი შეხვედრა ნამდვილ გლობალურ გაერთიანებად იქცა და მასში ნატოს ყველა წევრ სახელმწიფოსთან ერთად იაპონიის, სამხრეთ კორეის, ავსტრალიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

## **დონალდის ტრამპის მეორე პრეზიდენტობა**

2024 წლის ნოემბერში ამერიკის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის ხელახლა არჩევის შემთხვევაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკური პერსპექტივები არ არის იმდენად ცალსახა, როგორც მისი ოპონენტის შემთხვევაში.

ჯერ კიდევ 2016 წლის ნოემბერში ტრამპის პირველი ვადით პრეზიდენტად არჩევისას, წინასაარჩევნოდ გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე, ევროპულ დედაქალაქებში შეშფოთება სუფევდა. თუმცა, გარკვეულ დამაიმედებელ ფაქტორს წარმოადგენდა 2017-2021 წლების ტრამპის ადმინისტრაციაში უმაღლეს თანამდებობებზე, განსაკუთრებით

---

<sup>14</sup> Baranowski, Michael. 2021. „For the Biden Administration, It's All about Alliances... and China.“ *The German Marshall Fund of the United States (GMF)*. Retrieved on 2024 28 June. <https://www.gmfus.org/news/biden-administration-its-all-about-alliancesand-china>.



უსაფრთხოებასა და საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პოზიციებზე, უმეტესწილად კლასიკური ტიპის კონსერვატორი რესპუბლიკელების დანიშვნა. შეგვიძლია გავიხსენოთ ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი, პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონი (მსახურობდა 2018-2019 წლებში) და თავდაცვის მდივანი ჯეიმს მეთისი (მსახურობდა 2017-2019 წლებში). მათ კარგად ესმოდათ მოკავშირეებისა და სამხედრო-პოლიტიკური ალიანსების კრიტიკული როლი აშშ-ის გლობალური დომინირებისა და ჰეგემონიის შენარჩუნებაში.

სხვა საქმეა, რომ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას პრეზიდენტი ტრამპი მისი გარემოცვის მოსაზრებებს ხშირად არ ითვალისწინებდა მაგალითად, 2018 წელს სირიიდან სამხედრო ძალების გამოყვანის გადაწყვეტილება პრეზიდენტმა ტრამპმა თავდაცვის მდივნის ჯეიმს მეთისის, სახელმწიფო მდივნის მაიკ პომპეოსა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველის ჯონ ბოლტონის მოსაზრებების საპირისპიროდ მიიღო. ტრამპის მრჩეველები მიიჩნევდნენ, რომ სირიიდან აშშ-ის ძალების ნაჩქარევი გამოყვანა გამოიწვევდა ამერიკის მოკავშირე ქურთების პოზიციების შესუსტებას და გააძლიერებდა რეგიონში აშშ-ისადმი მტრულად განწყობილი ძალების, რუსეთისა და ირანის გავლენებს.<sup>15</sup>

მოგვიანებით, დონალდ ტრამპი პიროვნულ დაპირისპირებაში შევიდა მრავალ ადამიანთან წარსულში მისი გარემოცვიდან და არც ყოფილმა თანამდებობის პირებმა დაიშურეს მემუარებსა და ინტერვიუებში მის მიმართ უარყოფითი შეფასებები, რაც სამომავლოდ მათ თანამშრომლობას გამოიცილავს. 2020 წლის ივნისში „ამერიკის ხმის“ მიერ ჩანერილ ინტერვიუში ჯონ ბოლტონმა მას „სახიფათო“ და „ქაოტური“ უწოდა, „რომელიც მზად არის ამერიკის მოწინააღმდეგეებთან საზიანო დათმობებზე წავიდეს საკუთარი პოლიტიკური პოზიციების სასარგებლოდ“.<sup>16</sup>

ზოგადად, ტრამპის პრეზიდენტობის დროს მის საგარეო პოლიტიკას ახასიათებდა არათანმიმდევრული მიდგომები. არასტაბილურობის განცდას ხელს უწყობდა ადმინისტრაციაში უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე პასუხისმგებელი წამყვანი პირების ხშირი ცვლა. მაგალითად, ტრამპის ოთხნობიანი პრეზიდენტობის დროს აშშ-ში ოთხი თავდაცვის მდივანი და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ასევე ოთხი მრჩეველი შეიცვალა. წარსულში, აშშ-ის ადმინისტრაციები მოკავშირეების ან პარტნიორების

<sup>15</sup>Liptak, Kevin. „In Syria withdrawal, Trump discards advice from allies and officials.“ *CNN Politics*. 20 December, 2018. retrieved on 2024 29 June.

<sup>16</sup> Padden, Brian. „Bolton, in VOA Interview, Calls Trump Erratic, Dangerous.“ *Voice of America*. 2020, 26 June. retrieved on 2024 23 June. [https://www.voanews.com/a/episode\\_bolton-voa-interview-calls-trump-erratic-dangerous-4336801/6110921.html](https://www.voanews.com/a/episode_bolton-voa-interview-calls-trump-erratic-dangerous-4336801/6110921.html).

მთავრობებში თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის ხშირ ცვლას არასტაბილურობის ნიშნად განიხილავდნენ ხოლმე.

პრეზიდენტ ტრამპის გამოსვლები ხშირად იზოლაციონიზმის ნიშნებს შეიცავს და არათანმიმდევრულობით გამოირჩევა, რაც ზოგჯერ გადაწყვეტილებებშიც აისახებოდა. მსგავს გადაწყვეტილებებად შეიძლება ჩაითვალოს, ერთი მხრივ, მოკავშირეებთან კოორდინაციის გარეშე სამხედრო ოპერაციების დასრულება სირიასა და ავღანეთში (ამ უკანასკნელთან დაკავშირებით 2020 წლის 29 თებერვალს კატარის დედაქალაქ დოჰაში თალიბანთან დადებული შეთანხმების შედეგად<sup>17</sup>), ხოლო, მეორე მხრივ, თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამების დაფინანსების ზრდა (მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის დეკემბერში თავად ტრამპი თავდაცვის ხარჯების დონეს „სიგიჟედ“ აფასებდა).<sup>18</sup>

პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციის დახასიათებისას, უნდა აღინიშნოს ასევე იმ ადამიანთა სიუხვე, რომლებიც დონალდ ტრამპის უახლოესი გარემოცვიდან რუსეთთან ფარული თანამშრომლობის გამო სამსახურიდან დაითხოვეს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ან თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ყველაზე მაღალი თანამდებობის პირი, ვისი გათავისუფლება ტრამპს ვიცე-პრეზიდენტ მაიკ პენსის მოთხოვნით მოუწია, იყო გენერალი ფლინი, რომელმაც ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის ფუნქციების შესრულება სულ ორიოდე კვირა თუ მოასწრო. თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიზეზი გახდა მისი ფარული საუბრები ამერიკაში რუსეთის ელჩთან სერგეი კისლიაკთან და შემდგომ ვიცე-პრეზიდენტისა და გამომძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებისთვის ამ ფაქტის დამალვა.

საგულისხმოა, რომ პირველი ვადის დროს პრეზიდენტ ტრამპის ადმინისტრაციის წევრების უდიდესი ნაწილი 2024 წლის გაზაფხულისთვის ღიად მოუწოდებს ამომრჩევლებს, რომ მისთვის ხმის მიცემისგან თავი შეიკავოს. მედიასთან ინტერვიუებსა და მემუარებში ისინი ღიად აკრიტიკებენ დონალდ ტრამპს მისი თვისებების, დამოკიდებულებების, ასევე გადაწყვეტილებების მიღების სტილის გამო. უდავოდ, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, როდესაც ადმინისტრაციის ყოფილი წევრები კი არ ამაყოფენ მათი პრეზიდენტით, არამედ მეტად არასახარბიელო დეტალებს ასაჯაროებენ. ყოფილი მაღალჩინოსნების შეფასებები მართლაც საგულისხმოა, რადგან მათ უწევდათ პრეზიდენტთან ყოველდღიური მუშაობა და მსოფლიო პოლიტიკისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებაში უშუალო მონაწილეობის მიღება.

---

<sup>17</sup> U.S. Department of State. 2020, February 29. „Agreement for Bringing Peace to Afghanistan between the Islamic Emirate of Afghanistan which is not recognized by the United States as a state and is known as the Taliban and the United States of America.“

<sup>18</sup> Miller, James N., and O'Hanlon, Michael E. 2019. *Quality Over Quantity: U.S. Military Strategy and Spending in the Trump Years*. Policy Brief, Brookings Institution.

საგანგაშოდ შეიძლება ჩაითვალოს დონალდ ტრამპის მიერ 2024 წლის თებერვალში გაკეთებული განცხადება, რომ მისი არჩევის შემთხვევაში იგი არ დათანხმდება ნატოს იმ წევრების დაცვას, რომლებიც თავდაცვაზე არ ხარჯავენ მშპ-ის 2 პროცენტს. ამ განცხადებას წინ უსწრებდა დონალდ ტრამპის კიდევ უფრო რადიკალური განცხადება, რომლითაც ის რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდებდა, მისივე სიტყვებით, „რაც უნდა, ის უქნას“ (Do whatever the hell they want) ნატოს ნებისმიერ წევრ ქვეყანას, რომელიც თავდაცვაზე მშპ-ის 2 პროცენტიანი ხარჯების დაწესებულ პირობას არ აკმაყოფილებს.<sup>19</sup>

რესპუბლიკური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატის მსგავსი განცხადებები თავად რესპუბლიკელებშიც გარკვეულ შეშფოთებას იწვევს.<sup>20</sup> ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში პრევენციის ფორმით მიღებულ ერთგვარ დაცვის მექანიზმად უნდა მივიჩნიოთ აშშ-ის კონგრესის მიერ 2023 წლის დეკემბერში მიღებული ორპარტიული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, ამერიკის პრეზიდენტს ეკრძალება ნატოს ალიანსიდან აშშ-ის გაყვანა სენატის თანხმობის გარეშე. კანონპროექტის ერთ-ერთმა ინიციატორმა, რესპუბლიკელმა სენატორმა მარკო რუბიომ სენატში კანონპროექტის წარდგენისას აღნიშნა, რომ ის მიმართულია „ჩვენი ეროვნული ინტერესებისა და ჩვენი დემოკრატიული მოკავშირეების უსაფრთხოების დაცვისკენ“.<sup>21</sup>

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, ტრამპის სამომავლო საგარეო პოლიტიკის დამაიმედებელ სურათს გვთავაზობს მისი პრეზიდენტობის დროს მეოთხე და უკანასკნელი მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში რობერტ ო'ბრაიენი, რომელიც ცდილობს გარკვეულწილად გააბათილოს ამერიკულ საზოგადოებაში ტრამპის გამარჯვებისადმი არსებული შიში. მისი მტკიცებით, ტრამპისეული „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ არ ნიშნავს „ამერიკის მარტო დარჩენას“. ტრამპის საგარეო პოლიტიკის წარმატების მისაღწევად, ის ითვალისწინებს მსოფლიო მასშტაბით მეგობრულ მთავრობებთან ძალების გაერთიანებას. ო'ბრაიენის სიტყვებით, ტრამპის პოლიტიკა არ არის ტრანზაქციული, იზოლაციონისტური ან მტრული ალიანსების მიმართ. ო'ბრაიენი იხსენებს, რომ ტრამპის პრეზიდენტობის დროს სამხედრო თვალსაზრისით

---

<sup>19</sup> Smeltz, Dina, and Daalder, Ivo H. 2024. *As NATO Reaches 75th Year, Americans Say It Is Still Essential to US Security*. Research Paper, The Chicago Council for Global Affairs.

<sup>20</sup> რესპუბლიკურ პარტიაში ამჟამად ორი წამყვანი მიმდინარეობა შეიმჩნევა. პირველ ჯგუფს შეადგენენ ე.წ. MAGA რესპუბლიკელები, ანუ დონალდ ტრამპის მომხრეები, ხოლო მეორე ჯგუფს წარმოადგენენ 1980-იანი წლების რესპუბლიკური პარტიის იდეოლოგიის მომხრეები.

<sup>21</sup> Kelly, Laura. 2023. „Congress approves bill barring any president from unilaterally withdrawing from NATO.“ *The Hill*, 14 December.

კავშირები გამტკიცდა ნატოსთან, იაპონიასთან, ისრაელთან და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან.<sup>22</sup>

## Vox Populi

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ალიანსის პერსპექტივების განხილვისას საინტერესოა თავად ამერიკელების მოსაზრებები, თუ რას ფიქრობენ ისინი. 2024 წლის აპრილში „Pew Research Center“-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიხედვით, ამერიკელების უმრავლესობა, 58 პროცენტი (75 პროცენტი დემოკრატების მომხრე და 43 პროცენტი რესპუბლიკელების მომხრე) კვლავ დადებითად აფასებს ალიანსს, თუმცა გასულ წელთან შედარებით შეინიშნება კლება, რაც ალიანსის მომხრეებში რესპუბლიკელების რიცხვის შემცირებითაა განპირობებული. 2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ რესპუბლიკელების მომხრეებში ნატოს მიმართ კეთილგანწყობას ავლენდა რესპუბლიკელთა მომხრეების 55 პროცენტი.

ამერიკელ ზრდასრულთა დაახლოებით ორი მესამედი ალიანსში აშშ-ის წევრობაში სარგებელს ხედავს, თუმცა 2022 წელთან შედარებით ამ მაჩვენებლითაც შემცირებულია მომხრეთა რიცხვი და კვლავ კლება რესპუბლიკელთა ბანაკშია. ამავე დროს, ორი წლის წინ ჩატარებულ გამოკითხვასთან შედარებით, შემცირდა იმ ამერიკელთა რიცხვი, ვინც მიიჩნევს, რომ ნატო ძლიერდება. ამ ნაწილში შემცირება უკვე თანაბრად ნაწილდება დემოკრატებსა და რესპუბლიკელთა შორის.


ნიშანდობლივია, რომ ნატოს შესახებ სათანადო ინფორმაციის მქონე გამოკითხული პირები უფრო დადებითად აფასებენ ალიანსს. ეს შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ მინიშნებად, რომ ალიანსის საწინააღმდეგო კამპანია არა მხოლოდ ასპირანტ ქვეყნებშია ფეხმოკიდებული, არამედ დემოკრატიის მძლავრი ტრადიციების მქონე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, და ფართო მასებისთვის ნატოს გაცნობისა და პოპულარიზაციის კამპანია ამერიკაშიც სასარგებლო იქნებოდა.

---

<sup>22</sup> O'Brien, Robert C. 2024. „The Return of Peace Through Strength: Making Cace for Trump's Foreign Policy.“ *Foreign Affairs* 103 (4).

## Many see NATO positively, but sharp partisan divides persist

% who have a(n) \_\_\_ opinion of NATO



Note: Those who did not answer are not shown.  
Source: Survey of U.S. adults conducted April 1-7, 2024. Q4e.  
"Growing Partisan Divisions Over NATO and Ukraine"


PEW RESEARCH CENTER

წყარო: Pew Research Center

ნახ. 2. მრავალი ადამიანი ნატოს დადებითად აფასებს, თუმცა სახეზეა პარტიული ნიშნით მკვეთრი დაყოფა. წყარო: Pew Research Center

## More Democrats than Republicans say U.S. benefits from NATO membership

% who think the U.S. benefits \_\_\_ from being a member of NATO



Note: Those who did not answer are not shown.  
Source: Survey of U.S. adults conducted April 1-7, 2024. Q97a.  
"Growing Partisan Divisions Over NATO and Ukraine"

PEW RESEARCH CENTER

ნახ. 1. უფრო მეტი დემოკრატი, ვიდრე რესპუბლიკელი ხედავს აშშ-ის სარგებელს ნატოს წევრობის შედეგად.

რესპუბლიკელთა მომხრეებში ნატოს მიმართ დადებითი განწყობების კლება შეიძლება ავხსნათ ორი ფაქტორით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ნატოს მისამართით დონალდ ტრამპის მიერ გაჟღერებული არასახარბიელო განცხადებები და, მეორე რიგში, რუსეთის პოლიტიკის მიმართ კეთილგანწყობილი ამერიკული კონსერვატიული (ხშირ შემთხვევაში ულტრაკონსერვატიული) წყაროების ძალისხმევა.

## დასკვნა

ამჟამად არსებული რეალობის გათვალისწინებით, 2024 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენის გამარჯვება ნატოსთვის საუკეთესო პერსპექტივის მატარებელია. თავის გამოსვლებში მოქმედი პრეზიდენტი ყურადღებას ამახვილებს ამერიკის გლობალური ლიდერობის შენარჩუნებაზე მოკავშირეებთან ალიანსებით უზრუნველყოფილი კოლექტიური თავდაცვის მექანიზმების მეშვეობით. მისი გამარჯვების შემთხვევაში, დიდი ალბათობით,

აშშ-ის ადმინისტრაცია გააგრძელებს ნატოს მოკავშირეებთან ჩართულობას და ალიანსში წამყვანი როლის შესრულებას. ამჟამად არსებული სურათით თუ ვიმსჯელებთ, მომდევნო წლებში ალიანსს უფრო მეტად მოუწევს მისი კოლექტიური შეკავებისა და თავდაცვის ფუნქციის შესრულება „ავტოკრატების ღერძის“ საპირისპიროდ, რომელიც ჩინეთის, რუსეთის, ირანისა და ჩრდილოეთი კორეის შემადგენლობით მიზიდულობის ახალ ბირთვს ქმნის ავტოკრატისკენ მიდრეკილი რეჟიმებისთვის მსოფლიო მასშტაბით.

საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენის გამარჯვების შემთხვევაში, ასევე გასათვალისწინებელია, თუ როგორი შედეგით დასრულდება იმავე დღეს გამართული აშშ-ის კონგრესის არჩევნები, სადაც ამერიკელები წარმომადგენელთა პალატის ყველა წევრს და სენატის ერთ მესამედს აირჩევენ. თუ რომელიმე პალატაში ე.წ. MAGA რესპუბლიკელები დაიკავებენ ადგილების უმრავლესობას, რაც სულ მცირე წარმომადგენელთა პალატაში სავსებით დასაშვებია, ეს ბაიდენის საგარეო პოლიტიკის წარმოებაში შეფერხებას გამოიწვევს. საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ადმინისტრაციის მრავალი ინიციატივა, დიდი ალბათობით, კონგრესის მიერ დაბრკოლდება დაფინანსების შეყოვნებისა და სხვა ბერკეტების მეშვეობით.

საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის გამარჯვების შემთხვევაში, ნატოს ალიანსის პერსპექტივები, დღევანდელი სურათიდან გამომდინარე, მასში ამერიკის მონაწილეობის თვალსაზრისით, რთულად პროგნოზირებადია. ყველაფერი დამოკიდებულია, ალბათ, იმაზე, თუ რამდენად მომგებიანად და სარგებლის მომტანად ჩათვლის პრეზიდენტი ტრამპი ალიანსში აშშ-ის მონაწილეობას. პირველი პრეზიდენტობის დროს ტრამპის ყურადღების ფოკუსში ფინანსური საკითხები მოექცა და ნატოს წევრ სახელმწიფოებს თავდაცვის ხარჯების მშპ-ის 2 პროცენტიან ნიშნულამდე გაზრდას ითხოვდა. დღესაც, კანდიდატობის პერიოდში, ტრამპი იმავე მოთხოვნას აჟღერებს, ოღონდ გაცილებით დაჟინებულად და ზოგჯერ უკიდურესი ლექსიკით.

მიუხედავად იმისა, რომ ტრამპის გამოსვლები გაჯერებულია იზოლაციონისტური ტექსტებით, როგორც ჩანს, მისი სამომავლო ადმინისტრაციის პოტენციური წევრები სხვაგვარი სურათის წარმოჩენას ცდილობენ. მაგალითად, მისი უკანასკნელი მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ო'ბრაიენი მიიჩნევს, რომ ამერიკის მიერ ევროპის დაცვა დამოკიდებული იქნება თავად ევროპელების მიერ წვლილის შეტანაზე. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებული ომის შემთხვევაში, მისი აზრით, ევროპელებმა უნდა გააბათილონ განწევრების სტანდარტული ბიუროკრატიული მექანიზმები და დაუყოვნებლივ მიიღონ უკრაინა ევროკავშირის წევრად, რითაც მძლავრ გზავნილს გაუგზავნიან პუტინს, რომ დასავლეთი უკრაინას არ დათმობს. ტრამპის ყოფილი მრჩეველი გვარწმუნებს, რომ მისი საპრეზიდენტების შემთხვევაში, აშშ განაგრძობს უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებას, თუმცა ამას ევროპელების დაფინანსებით გააკეთებს, და, ამავდროულად, რუსეთთან დიპლომატიის კარს

ლიას დატოვებს. რაც შეეხება პოლონეთში განლაგებულ ალიანსის სახმელეთო და საჰაერო ძალებს, ობრაიენის განცხადებით, ტრამპი აიძულებს ნატოს მოკავშირეებს, რომ ამერიკულ შენაერთებთან ერთად, როტაციის პრინციპით, ძალების გაზრდილი რაოდენობის განთავსება მოახდინონ და დაანახონ რუსეთს ალიანსის სრული ტერიტორიის საგარეო აგრესიისგან დაცვის უწყვეტი ნება.<sup>23</sup>

ზოგადად, ტრამპისა და მისი მომხრეების შემთხვევაში ხშირად ვაკვირდებით გარკვეულ ორმაგ პოლიტიკურ თამაშს, რაც აისახება როგორც რიტორიკაში, ისე ქმედებებში. ეს, სავარაუდოდ, განპირობებულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შიდა პოლიტიკურ მიზნებზე მორგებით. 2022 და 2023 წლებში კონგრესში ტრამპის მომხრეები ხშირად აკრიტიკებდნენ ბაიდენის ადმინისტრაციას უკრაინის არასათანადო დახმარების გამო, ხოლო მაშინ, როდესაც ბაიდენის ადმინისტრაციამ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების დიდი პაკეტის დამტკიცება ითხოვა, წარმომადგენელთა პალატა, ზუსტად ტრამპის მომხრეების აქტიურობის წყალობით, ექვსი თვის განმავლობაში ბლოკავდა მას. ამავდროულად, დღეს, თავად ტრამპი და რესპუბლიკელი კონგრესმენები ადგილობრივ ამომრჩეველს არწმუნებენ, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია უკრაინას არასათანადო სამხედრო დახმარებას უწევს და ამ ომის დასრულების გეგმა არ აქვს.

---

<sup>23</sup> O'Brien, Robert C. 2024. „The Return of Peace Through Strength: Making Cace for Trump's Foreign Policy.“ *Foreign Affairs* 103 (4).

## ბიბლიოგრაფია

- Avdaliani, Emil. 2023. „Ukraine War Ushers in a New Bipolar World Led by the US and China.“ *Stimson Center*. 22 May. Retrieved on 2024 15 June. <https://www.stimson.org/2023/ukraine-war-ushers-in-a-new-bipolar-world-led-by-the-us-and-china/>.
- Baranowski, Michael. 2021. „For the Biden Administration, It’s All about Alliances... and China.“ *The German Marshall Fund of the United States (GMF)*. Retrieved on 2024 28 June. <https://www.gmfus.org/news/biden-administration-its-all-about-alliancesand-china>.
- Bergmann, Max. 2024. *How European Transatlanticists Might Approach and Isolationist U.S. Administration*. Center for Strategic and International Studies.
- Bredemier, Ken. 2020. „Trump Unleashes Attacks on Bolton Book.“ *Voice of America*. 18 June. Retrieved on 2024 28 June. [https://www.voanews.com/a/usa\\_us-politics\\_trump-unleashes-attacks-bolton-book/6191345.html](https://www.voanews.com/a/usa_us-politics_trump-unleashes-attacks-bolton-book/6191345.html).
- Brookings Institution. 2024. „The Current: The Dynamics of the Russia-China partnership.“ edited by Adriana Pita, Angela Stent and Yun Sun.
- Butler, John. 2024. „Open Forum: Those closest to Trump have provided ample warning.“ *The Winchester Star*, 24 June.
- Congressional Budget Office. 2001. *NATO Burdensharing After Enlargement, A CBO Paper*. Congress of the United States.
- Doyle, Michael. 2024. „Why They Don't Fight.“ *Foreign Affairs*.
- Dueck, Colin. 2024. „The Biden Doctrine.“ *Caravan* (Hoover Institution).
- Fix, Liana, and Kimmage, Michael. 2024. „Trump's Threat to Europe.“ *Foreign Affairs*.
- Groupe d'études géopolitiques. 2021. „European Strategic.“ Working Paper.
- Kelly, Laura. 2023. „Congress approves bill barring any president from unilaterally withdrawing from NATO.“ *The Hill*, 14 December.
- Kim, Lucian. 2021. „It Takes One To Know One, Putin Says After Biden Agrees Russian Leader Is A Killer.“ *NPR*. 18 March. Retrieved on 2024 22 June. <https://www.npr.org/2021/03/18/978751414/it-takes-one-to-know-one-putin-says-after-biden-agrees-that-putin-is-a-killer>.
- Koenig, John Monroe. 2021. *NATO and President Biden: What in the World?* Foundation Paper, NATO Defense College.
- Krauthammer, Charles. 1991. „The Unipolar Moment.“ *Foreign Affairs* 70 (1).
- Liptak, Kevin. 2018. „In Syria withdrawal, Trump discards advice from allies and officials.“ *CNN Politics*. 20 December. Retrieved on 2024 29 June.



<https://edition.cnn.com/2018/12/19/politics/trump-syria-advisers-congress/index.html>.

- Liptak, Kevin, and Vazquez, Maegan. 2022. „Biden says Putin ‘cannot remain in power’.“ *CNN*. 26 March. Retrieved on 2024 6 June. <https://edition.cnn.com/2022/03/26/politics/biden-warsaw-saturday/index.html>.
- Miller, James N., and O'Hanlon, Michael E. 2019. *Quality Over Quantity: U.S. Military Strategy and Spending in the Trump Years*. Policy Brief, Brookings Institution.
- NATO. 2024. *Defence Expenditures and NATO's 2% Guideline*. NATO.
- NATO. 2023. *Public Diplomacy Division*. NATO.
- Nye, Joseph S. 2023. *Soft Power and Great-Power Competition*. Springer, Center for China and Globalization.
- O'Brien, Robert C. 2024. „The Return of Peace Through Strength: Making Cace for Trump's Foreign Policy.“ *Foreign Affairs* 103 (4).
- Olorunippa, Toluse, and Usero, Adriana. 2024. „How Republicans used misleading videos to attack Biden in a 24-hour period.“ *The Washington Post*, 11 June.
- Padden, Brian. 2020. „Bolton, in VOA Interview, Calls Trump Erratic, Dangerous.“ *Voice of America*. 26 June. Retrieved on 2024 23 June. [https://www.voanews.com/a/episode\\_bolton-voa-interview-calls-trump-erratic-dangerous-4336801/6110921.html](https://www.voanews.com/a/episode_bolton-voa-interview-calls-trump-erratic-dangerous-4336801/6110921.html).
- Pew Research Center. 2024, May. „Growing Partisan Divisions Over NATO and Ukraine.“
- Smeltz, Dina, and Daalder, Ivo H. 2024. *As NATO Reaches 75th Year, Americans Say It Is Still Essential to US Security*. Research, The Chicago Council for Global Affairs.
- Spivak, Joshua. 2024. „Actually, Americans like older presidential candidates.“ *The Hill*, 28 February.
- The White House. 2017. *National Security Strategy of the United States of America*. The White House.
- The White House. 2022. *National Security Strategy of the United States of America*. The White House.
- Tian , Nan, Diego Lopez Da Silva, Xiao Liang, and Lorenzo Scarazzato. 2024. *Trends in World Military Expenditure, 2023*. SIPRI Fact Sheet, SIPRI.
- U.S. Department of State. 1998. „A Charter of Partnership Among The United States of America And The Republic of Estonia, Republic of Latvia, and Republic of Lithuania.“ Retrieved on 2024 18 June. [https://1997-2001.state.gov/www/regions/eur/ch\\_9801\\_baltic\\_charter.html](https://1997-2001.state.gov/www/regions/eur/ch_9801_baltic_charter.html).

- U.S. Department of State. 2020, February 29. „Agreement for Bringing Peace to Afghanistan between the Islamic Emirate of Afghanistan which is not recognized by the United States as a state and is known as the Taliban and the United States of America.“
- Walker, William O. 2018. *The Rise and Decline of the American Century*. Cornell University Press.



სტრატეგიის და განვითარების ცენტრი  
CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

# რინეთის სტრატეგიული ინტერესი არქიტექტურა - გაემოწმებული ნაშრომის უსაფრთხოების არქიტექტურისთვის

ავტორი: ტაშო კვამლაძე




This project is supported by  
NATO's Public Diplomacy Division

## შესავალი

ცივი ომის დროს, არქტიკის რეგიონი ითვლებოდა გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან სივრცედ ნატოსა და კომუნისტური ბლოკისთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის და ბირთვული საფრთხის გაქრობის შემდეგ არქტიკის რეგიონმა გარკვეული დროით დაკარგა სტრატეგიული მნიშვნელობა ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოებისთვის. კლიმატის ცვლილებამ, რომელიც მკვეთრ ზეგავლენას ახდენს არქტიკის ყინულის ქუდზე, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ნატოს, ევროკავშირის, რუსეთის და ჩინეთის მხრიდან. რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა განაპირობებს არქტიკის წრის ქვეყნებს (აშშ ალიასკით, კანადა ჩრდილო არქტიკული რეგიონით, რუსეთი ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანის სანაპიროთი, დანია გრენლანდიითა და ნორვეგია კუნძულ სვალბარდით) შორის კონკურენციის ზრდასა და კონფლიქტის პოტენციურ წყაროს. საზღვაო-სატრანზიტო მარშრუტის და ბუნებრივი რესურსის უზარმაზარი მარაგი ანიჭებს მას კრიტიკულ მნიშვნელობას, როგორც ენერგო-უსაფრთხოებისთვის და სტრატეგიული ტრანზიტული დერეფნის კუთხით.

## რეგიონის აქტუალობა

არქტიკულ წრეს აქვს ყველაზე სწრაფად ცვალებად კლიმატი დედამიწაზე, რომელიც ერთ საუკუნეში მკვეთრად გაუარესდა. ჩრდილო პოლარული ყინულის ქუდი დღეს 25%-ით ნაკლებია, ვიდრე იყო 1970-ებში (იხილეთ გრაფიკული გამოსახულება No1). ჩრდილო-ყინულოვან ოკეანეში ზაფხულის პერიოდში ყინულის ქუდის მოცულობა დაახლოებით 8% მცირდება წლიურად. აღნიშნული ტენდენციების გაგრძელებით არქტიკის ყინულის ქუდის მდგომარეობა უახლოვდება იმ ნიშნულს, რის შედეგადაც ველარასოდეს მოხდება ზღვის ყინულის აღდგენა პირვანდელ კონდიციამდე.



გრაფიკული გამოსახულება იო1 - არქტიკის ყინულის ქუდი 1970-დან 2100 წლისთვის<sup>1</sup>

1996 წელს დაარსდა ე.წ. **არქტიკული საბჭო**, რომლის მუდმივი წევრებიც არიან ექვსი არქტიკის წრის ქვეყნები და მოსაზღვრე სამი სახელმწიფო (ფინეთი, შვედეთი და ისლანდია). იგი ერთადერთი სამართლებრივი ჩარჩო-ორგანიზაციაა, რომელიც პასუხისმგებლობაშია არქტიკის მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება ცივი ომის დასრულების შემდეგ. მიუხედავად რეგიონის გარემოსდაცვითი, პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობის სწრაფი ცვლილებებისა. საბჭო არ არის სამხედრო ხასიათი, აქვს შეზღუდული ბიუჯეტი (1.5 მილიონი აშშ დოლარი), რომლის დაფინანსების 50% უზრუნველყოფილია ნორვეგიის მიერ, რაც ფინანსური მხარდაჭერის სიმწირის გამო ზღუდავს რიგ ღონისძიებების გატარებაში. საბჭოს შექმნის საწყის პერიოდში შეზღუდული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა გლობალურმა დათბობამ ეკონომიკური პერსპექტივები და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა, შესაბამისად საბჭო გარდაიქმნა მცირე მასშტაბის საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვან ფორუმად.<sup>1</sup>

არქტიკის ყინულის ქუდის ღლობამ გახსნა ახალი სივრცეები და მეტად ხელმისაწვდომი გახდა საზღვაო-სანაოსნო გადაადგილება, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც გემების საწვავის და რესურსის და დროის დაზოგვის კუთხით, შემოკლებული მარშრუტის შედეგად. სწორედ ეს გახდა ჩინეთისთვის ყველაზე ეკონომიური მარშრუტი ტვირთის ევროპაში ჩატანის, რომელიც მსოფლიოში პროდუქციის გასაღების ყველაზე დიდი ბაზარია. გარდა ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში საზღვაო გადაზიდვების უსაზღვრო პოტენციალისა, რეგიონს აქვს ეკონომიკური გაფართოების მნიშვნელოვანი შესაძლებლობები უხვი ბუნებრივი

<sup>1</sup> Michael Byers, *Who Owns the Arctic?: Understanding Sovereignty Disputes in the North* (D & M Publishers, 2010).

რესურსებით. არქტიკის ეკონომიკურ მიმზიდველობაში თავმოყრილია ნავთობი (მსოფლიოში აღმოჩენილი ნავთობის 13%), ბუნებრივი აირი (30%), ქვანახშირი, იშვიათი ლითონები და მეთევზეობა. ნავთობისა და გაზის უმეტესი ნაწილი მდებარეობს 500 მეტრზე ნაკლებ სიღრმის წყლებში და შესაბამისად მოქცეულია არქტიკული წრის სახელმწიფოს ტერიტორიულ იურისდიქციაში, რომელიც ამჟამად დავის საკითხია.<sup>2</sup> შესაბამისად ყინულის გაქრობის შედეგად უფრო მეტ ბუნებრივ რესურსზე შესაძლებელი გახდება წვდომა, რის შედეგადაც განპირობებულია ინტერესი არა არქტიკის წრის ქვეყნის მხრიდან, როგორცაა ჩინეთი. მინერალური და ენერგეტიკული რესურსის მოპოვების სტიმული განაპირობებს კონკურენციისა და თანამშრომლობის მოტივს. არქტიკული წრის ყველა სახელმწიფომ გამოთქვა სურვილი კონტინენტის გარე შეღწხე მათი ექსკლუზიური ეკონომიკური ზონების მიღმა ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვებისა და ექსპლუატაციის.<sup>3</sup> სწორედაც, რომ აღნიშნული მისწრაფებების შედეგად წარმოიშვა ტერიტორიების დავები არქტიკაში (იხილეთ გრაფიკული გამოსახულება No2).



გრაფიკული გამოსახულება no2 - არქტიკის წრეში ექსკლუზიური ეკონომიკური ზონები<sup>4</sup>

<sup>2</sup> Harri Mikkola, "The Geostrategic Arctic: Hard Security in the High North," *FIIA Briefing Paper 259* (2019).

<sup>3</sup> Byers, *Who Owns the Arctic?*

<sup>4</sup> The Arctic Institute, "Arctic Maps."

არქტიკის რეგიონში ტერიტორიული პრეტენზიების განხილვის ერთადერთი ფორუმი გაეროა, რომელიც განიხილავს საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციის მიხედვით (UNCLOS). სამწუხაროდ ინტერესთა კონფლიქტის ართულებს გაეროს შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ყველა სახელმწიფოს ტერიტორიული პრეტენზია, რაც ხდის აღნიშნული სამართლებრივი დავის დროში უსასრულოდ განელვას. შესაბამისად, საზღვრების გაურკვევლობა ქმნის კონფლიქტის პოტენციალს რეგიონში, რომელიც კრიტიკულ როლს თამაშობს ნავთობზე, ბუნებრივ აირზე, მინერალებზე, თევზჭერასა და საზღვაო-სატრანსპორტო მარშრუტებზე წვდომაზე.<sup>5</sup>

მიუხედავად იმისა, რომ არქტიკის ყინულის ქუდის დნობის გამო უსაზღვრო შესაძლებლობებს იძლევა ეკონომიკური თანამშრომლობისთვის, ის ასევე განაპირობებს სამხედრო ბალანსის ცვლილებას რეგიონში, რაც დამატებით მოითხოვს ტექნოლოგიური განვითარებისთვის და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ინვესტიციების აუცილებლობას, რომელიც მოიცავს მუდმივი სანაპირო დაცვის და სამაშველო შესაძლებლობების გაზრდას, პორტების ადაპტირებას, ახალი ენერგორესურსების წვდომას და ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების თანამედროვე ტექნოლოგიებს. ასევე, გარემოს დაცვის მექანიზმებს ნავთობისა და ქიმიური ნივთიერებების დაღვრის პრევენციის მიზნით.<sup>6</sup>

## უსაფრთხოების არქიტექტურა რეგიონში

ცივი ომის პერიოდში, არქტიკა წარმოადგენდა ნატოსა და საბჭოთა კავშირს შორის ბირთვული დაპირისპირების შემთხვევაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საბრძოლო თეატრს, ევროპული თეატრის შემდეგ. საბჭოთა კავშირის ხმელეთზე განთავსებული კონტინენტაშორისი ბალისტიკური რაკეტების უმეტესი ნაწილი, სწორედ ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანის სანაპიროს გასწვრივ იყო კონცენტრირებული, ხოლო საბჭოთა კავშირის ფლოტის ბალისტიკური წყალქვეშა ნავების თითქმის უმრავლესობაც არქტიკის ყინულის ქუდის ქვეშ ოპერირებდა. შესაბამისად, აშშ-მა და კანადამ, ნატოს მართვა და კონტროლის სისტემის ქოლგის ქვეშ, შექმნეს ერთიანი რაკეტსაწინააღმდეგო და ადრეული გაფრთხილების სისტემა, საბჭოთა კავშირის მხრიდან პოტენციური ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად. დამატებით, აშშ-ს განთავსებული ყავდა ალიასკასა და ამერიკის ჩრდილოეთ შტატებში სტრატეგიული ბომბდამშენების ფლოტი, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საპასუხო რეაგირება საბჭოთა კავშირზე ბალისტიკური რაკეტების დარტყმით ჰაერიდან. ისტორიულად, არქტიკა ყოველთვის იყო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი ნატოსთვის. ცივი ომის დასრულების

<sup>5</sup> Ian G. Brosnan, Thomas M. Leschine, and Edward L. Miles, "Cooperation or Conflict in a Changing Arctic?," *Ocean Development & International Law* 42, no. 1–2 (February 17, 2011): 173–210, <https://doi.org/10.1080/00908320.2011.543032>.

<sup>6</sup> Charles Emmerson, *The Future History of the Arctic: How Climate, Resources and Geopolitics Are Reshaping the North, and Why It Matters to the World* (Vintage, 2011).

შემდეგ ცოტა ხანი დაეკარგა აქტუალობა, მაგრამ ახალი შესაძლებლობების გამოჩენიდან, დაიბრუნა ისევ გლობალური სახელმწიფოების მხრიდან ინტერესი.<sup>7</sup>

სამხედრო სფეროში თანამშრომლობა ნატოს უმეტესი წევრი ქვეყნების პოლიტიკურ დღის წესრიგს დაუბრუნდა. როგორც უკვე აღინიშნა, არქტიკის რეგიონში საზღვაო აქტივობა იზრდება, რაც იწვევს სხვადასხვა სახის მოთხოვნას სანაპირო დაცვის ამოცანები, როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო ორგანიზაციების მხრიდან. არქტიკული წრის სახელმწიფოები და მათი სხვადასხვა სანაპირო დაცვის ქვედანაყოფები გაზრდილი რისკის წინაშე დგანან, რათა შეძლონ განავითარონ სამხედრო შესაძლებლობები მთელი რიგი ამოცანებისთვის.<sup>8</sup> ნატოს უსაფრთხოებისთვის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს არქტიკის რეგიონი, რომლებიცაა სარაკეტო თავდაცვა და ადრეული გაფრთხილება, საზღვაო და საჰაერო პლატფორმების დისლოკაცია სტრატეგიული საზღვაო და საჰაერო გადაზიდვები, ბირთვული შეკავების და საზღვაო-სამაშველო უსაფრთხოების ოპერაციებისთვის.<sup>9</sup> დამატებით, რეგიონის გახსნა გარდა სავაჭრო პოტენციალისა, მიმზიდველი იქნება ტურიზმისთვის, რის შედეგადაც რისკი გაჩნდება ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებების და ტერორისტული ორგანიზაციების გამოჩენის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს აქვს სტრატეგიული ინტერესი რეგიონში, მას არ გააჩნია საჭირო მექანიზმები და არ აქვს მობილიზებული საჭირო სამხედრო შესაძლებლობები, რათა უზრუნველყოს მშვიდობა და უსაფრთხოება არქტიკის რეგიონში.<sup>10</sup>

ნატოსგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაცია წლებია უკვე აქცევს ყურადღებას არქტიკის რეგიონს და შესაბამისად ზრდის მილიტარიზაციის პროცესს. სამხედრო წვრთნების მზარდი რაოდენობა და მასშტაბები უარყოფით გავლენას ახდენს რეგიონის სტაბილურობასა და მშვიდობაზე. გაზრდილი სამხედრო ყოფნა საფრთხეს უქმნის გარემოს უსაფრთხოებასაც. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სამხედროები მოსამსახურეების ათწლეულის მანძილზე აბინძურებენ არქტიკის წრეში არსებულ კუნძულებს, რამაც სამომავლოდ შეიძლება გამოიწვიოს გარემოს შემდგომი რისკი და დაბინძურება, მათ შორის ფართომასშტაბიანი ინციდენტები. 2019 წლის ზაფხულში არხანგელსკის ოლქის საცდელ პოლიგონზე მომხდარი ინციდენტი პოტენციური რისკების მხოლოდ ერთი მაგალითია.<sup>11</sup> რუსეთი არის უმნიშვნელოვანესი მოთამაშე არქტიკის რეგიონის უსაფრთხოებაში, ვინაიდან, ხელმისაწვდომი და ღია საერთაშორისო საზღვაო მარშრუტები არის გლობალური ეკონომიკური არტერიების ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება. ნატოს წევრ ქვეყნებს მიაჩნიათ რომ ჩრდილო-დასავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის

<sup>7</sup> Siemon T. Wezeman, "Military Capabilities in the Arctic," *SIPRI*, SIPRI Background Paper, 2012, 16.

<sup>8</sup> Andreas Østhagen, "Coastguards in Peril: A Study of Arctic Defence Collaboration," *Defence Studies* 15, no. 2 (April 3, 2015): 143–60, <https://doi.org/10.1080/14702436.2015.1035949>.


<sup>9</sup> NATO, "NATO 2022 Strategic Concept," June 29, 2022, [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_210907.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_210907.htm).

<sup>10</sup> Frederic Lasserre, Jérôme Le Roy, and Richard Garon, "Is There an Arms Race in the Arctic?," *Journal of Military and Strategic Studies* 14, no. 3 & 4 (2012), <https://jmss.org/article/view/58063>.

<sup>11</sup> Ekaterina Klimenko, "The Geopolitics of a Changing Arctic" (SIPRI, December 2019), <https://www.sipri.org/publications/2019/sipri-background-papers/geopolitics-changing-arctic>.



საზღვაო-სატრანსპორტო მარშრუტები (იხილეთ გრაფიკული გამოსახულება №3) არის საერთაშორისო საზღვაო სამართლის ობიექტი, რომლებიც უნდა რეგულირდებოდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებით და მექანიზმებით, რის მონინაადმდეც არის მოსკოვი. რუსეთის ფედერაცია ლებულობს სარგებელს თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის 20% არქტიკის ეკონომიკური აქტივობიდან, რის შედეგადაც კრემლი ცდილობს დააფუძნონ ახალი ან განაახლონ მიტოვებული სამხედრო ბაზები რეგიონში. ამ ძალისხმევის მიზნები მოიცავს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვაო მარშრუტის განვითარებას და მისი ეკონომიკური ინტერესების დაცვას. როგორც უკვე აღინიშნა, ჩრდილოეთის საზღვაო მარშრუტებს აქვს პოტენციალი, რომ რუსეთს დიდი სარგებლობა მოუტანოს პირდაპირი ვაჭრობის ან აზიასა და ევროპას შორის ვაჭრობის ხელშეწყობის გზით. შესაბამისად, მზარდი მილიტარიზაცია არის მცდელობა ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად, რაც ქმნის კონფლიქტის ძლიერ შესაძლებლობას.<sup>12</sup>



გრაფიკული გამოსახულება №3 - ჩრდილო-დასავლეთის (NWP) და ჩრდილო-აღმოსავლეთის (NSR) საზღვაო-სატრანსპორტო მარშრუტები<sup>13</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩრდილო-დასავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვაო-სატრანსპორტო მარშრუტები არის საკმაოდ მიმზიდველი ტვირთის გადაზიდვისთვის, რომლის ფუნქციონირებისთვის საჭიროა ყინულმჭრელი გემები.

<sup>12</sup> Geir Hønneland, *Russia and the Arctic: Environment, Identity and Foreign Policy* (Bloomsbury Academic, 2016).

<sup>13</sup> The Arctic Institute, "Arctic Maps."

ამ ეტაპზე ჩრდილო-დასავლეთის მარშრუტი, მხოლოდ ოთხი თვე არ არის გაყინული და ჩრდილო-აღმოსავლეთის კი ნახევარი წელი, შესაბამისად სრული წელი რომ იყოს გახსნილი საჭიროა სატრანსპორტო ან სამხედრო გემებს არქტიკის ყინულის ქუდი გაუჭრას ყინულმჭრელებმა.<sup>14</sup> 2019 წლის მონაცემებით, ყინულმჭრელების რბოლაში რუსეთის ფედერაცია ლიდერია, მის მარაგში 53 ყინულმჭრელია, მათ შორის 6 არის ბირთვულ ძრავაზე მოქმედი და მხოლოდ მას ყავს ანალოგიური საზღვაო პლატფორმები. დამატებით, 6 ყინულმჭრელია წარმოებაში და 12 დაგეგმვის ფაზაშია. რუსეთი, თავისი ყინულმჭრელების ფლოტით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვაო-სატრანსპორტო დერეფანში ოპერირებისთვის და შესაბამისად ყველა სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ინტერესი არქტიკის გავლით ევროპაში ტვირთის ჩატანის, მასთან სამომავლო თანამშრომლობა დღის წესრიგში უნდა დააყენოს, როგორც არის ჩინეთი, დანარჩენ არქტიკული წრის ქვეყნებს შეზღუდული რაოდენობით ყავთ ყინულმჭრელები.<sup>15</sup>

რუსეთის შემდეგ, კანადა მეორე ადგილზეა, თავისი 10 ყინულმჭრელით და 9 ერთეულის წარმოება სამომავლო გეგმაშია. აშშ-ის სანაპირო დაცვის კუთვნილებაში მხოლოდ 5 ყინულმჭრელია და 3 წარმოების პროცესშია, რის შედეგადაც აშშ-ს შეზღუდული წვდომა აქვს რეგიონზე. შესაბამისად, უფრო ძლიერი ყინულმჭრელის ფლოტი კრიტიკულად მნიშვნელოვანი აშშ-ს სამხედრო ოპერაციების მხარდასაჭერად, ეკონომიკური და სხვა ინტერესების შესანარჩუნებლად რეგიონში. თუ რუსეთის 7 უახლეს ყინულმჭრელს შევადარებთ, მას აქვს მრავალი მისიის შესაძლებლობები და იკვებება ბირთვულ ძრავაზე მომუშავე, რომლებსაც შეუძლიათ ორჯერ მეტი სისქის ყინულის გარღვევა და ოკეანეში უფრო ხანგრძლივად ყოფნა, ბაზიდან სანჯავისა და მარაგების შევსების აუცილებლობის დაბალი ინტენსივობით, ვიდრე აშშ-ს ყინულმჭრელებს. დანიას პატარა ზომის 4 ერთეული ყინულმჭრელი ყავს მარაგში, ხოლო ნორვეგია, 1 და დამატებით ერთს გამოშვებას გეგმავს. აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ ჩინეთი, რომელის საკმაოდ შორს არის არქტიკული წრიდან, ყავს 4 ყინულმჭრელი და ასევე ორს ამატებს თავის ფლოტს. სწორედ ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მისთვის არქტიკის რეგიონი ინტერესის სფეროშია და რუსეთთან თანამშრომლობაც სამომავლოდ ფართო მასშტაბებს მიაღწევს.<sup>16</sup>

---

<sup>14</sup> Felicity Aston, "Rise of the Icebreaker: Arctic Ocean Vessels," *Engineering and Technology* 12, no. 1 (February 1, 2017): 48–51, <https://doi.org/10.1049/et.2017.0104>.

<sup>15</sup> D. L. Zverev et al., "Nuclear Power Plants for the Icebreaker Fleet and Power Generation in the Arctic Region: Development Experience and Future Prospects," *Atomic Energy* 125, no. 6 (April 2019): 359–64, <https://doi.org/10.1007/s10512-019-00494-5>.

<sup>16</sup> Megan Drewniak et al., "Geopolitics of Arctic Shipping: The State of Icebreakers and Future Needs," *Polar Geography* 41, no. 2 (April 3, 2018): 107–25, <https://doi.org/10.1080/1088937X.2018.1455756>.

## ჩინეთის მზარდი ინტერესი რეგიონში

ჩინეთის მისწრაფება არქტიკის რეგიონში ზეგავლენის გაფართოების, არის ნათელი მაგალითი მის გლობალურ ამბიციებზე, რომლის მთავარი მამოძრავებელი ინტერესი არის ეკონომიკური და ფინანსური სარგებელის ნახვა და მიზნად ისახავს წვდომას საზღვაო-სატრანსპორტო მარშრუტების გახსნაზე. ამის დასტურად, 2018 წლის იანვარში პეკინმა გამოაქვეყნა თავისი პირველი არქტიკული პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც არქტიკის რეგიონის მიმართ ინტერესებს წარმოადგენს. პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, ჩინეთისთვის პრიორიტეტული მიმართულებებია სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების განხორციელების მუდმივი ინტერესი, ეკოლოგიური გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება, ჩრდილო-აღმოსავლეთის მარშრუტი, როგორც საზღვაო-სატრანსპორტო არტერია კომერციული პროექტების განვითარების მათ შორის ენერჯეტიკის, მეთევზეობისა და ტურიზმში სფეროში არქტიკული საბჭოს მმართველობაში მონაწილეობა და საზღვაო უსაფრთხოება.<sup>17</sup> აღნიშნული დოკუმენტის მთავარი მიზანი იყო ჩინეთის პოზიციის გამოაშკარავება არქტიკის რეგიონზე, რამაც გააძლიერა ჩინეთის მუდმივი მცდელობა, დაეფიქსირებინა საკუთარი თავი როგორც ახლო არქტიკული წრის სახელმწიფო. როგორც არა-არქტიკულ სახელმწიფოს, ჩინეთს შეზღუდული გავლენა აქვს არქტიკულ საბჭოში, როგორც მუდმივი დამკვირვებლის სტატუსით. პეკინი მიიჩნევს რომ, არქტიკის საბჭოში ჩართვა მას გარდაქმნის ლეგიტიმურ არქტიკულ მოთამაშედ, რითაც გააძლიერებს ჩინეთის არქტიკულ გავლენას დროთა განმავლობაში. თუმცა, საკუთარი თავის არქტიკის რეგიონის დაინტერესებულ მხარედ გამოცხადებით, იგი ამტკიცებს, რომ მას აქვს პრეტენზია წვლილი შეიტანოს არქტიკის რეგიონის განვითარებაში.

ეკონომიკური ინტერესები ჩრდილო-აღმოსავლეთის მარშრუტზე და არქტიკაში ბუნებრივი რესურსების მოძიება რჩება ჩინეთის მთავარ ინტერესად და აღნიშნულის განსახორციელებლად სამომავლოდ რუსეთთან თანამშრომლობით გაღრმავებით იქნებ შესაძლებელი. გარდა რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობისა, პეკინმა გააუმჯობესა თავისი ორმხრივი ურთიერთობები სკანდინავიის რეგიონში და 2013 წელს ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ისლანდიასთან და ფინეთთან, მხარს უჭერს ინვესტიციებს ჩინური კერძო სექტორიდან, როგორცაა გრენლანდიის სამთო მრეწველობის განვითარება. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის ფაქტი, რომ ჩინეთს სურს სამხედრო ბაზის ფლობა არქტიკის რეგიონში, რაც თავის თავში მოიცავს სტრატეგიული შეიარაღების განლაგებას, რომელიც პირველ რიგში საფრთხეს გაზრდას ნატოს უსაფრთხოების არქიტექტურისთვის.

ჩინეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესი არქტიკის რეგიონში ნატოსთვის დიდი მოტივატორია რეგიონს დაუთმოს მეტი ყურადღება. აღნიშნული შეშფოთება, ორგანიზაციამ დააფიქსირა 2020 წლის ნოემბერში მიღებულ „ნატო

---

<sup>17</sup> Matti Puranen and Sanna Kopra, "China's Arctic Strategy – a Comprehensive Approach in Times of Great Power Rivalry" 6, no. 1 (December 26, 2023): 239–53, <https://doi.org/10.31374/sjms.196>.

2023: გაერთიანებული ახალი ერისთვის“ დოკუმენტში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ალიანსმა უნდა გააძლიეროს თავისი ყოფნა არქტიკის რეგიონში და, ამისთვის უნდა შეიმუშაოს სტრატეგია, რომელიც მოითხოვს უფრო ფართო შეკავებისა და თავდაცვის გეგმების გათვალისწინებას. ამ რეგიონალურმა სტრატეგია მჭიდროდ უნდა გააძლიეროს კოორდინაცია ნატოს მოკავშირეების პერსპექტივები, რომლებიც არქტიკის წრის ქვეყნები და საზღვაო-სატრანსპორტო თავისუფლების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, უნდა გადაიხედოს მოქმედი 2011 წლის ალიანსის საზღვაო სტრატეგია და აისახოს ახალი საფრთხეები ტრანსატლანტიკურ სივრცეში. დოკუმენტში ასევე ნახსენებია, რომ არქტიკის რეგიონში ალიანსმა უნდა გააძლიეროს შესაძლებლობები ჩინეთის მზარდი ძალისგან დასაცავად და პრიორიტეტად ისახავს გამოყოს მეტი რესურსი, რათა გაუმკლავდეს ჩინეთისგან გამომწვეულ საფრთხეს.<sup>18</sup> სწორედაც, რომ ნატოს წევრი ქვეყნები, რომლებიც არიან არქტიკულ წრეში, აშშ, კანადა, ნორვეგია და დანია გამომწვევის წინაშე დგანან, რაც თავის მხრივ ბრიუსელი თვლის, რომ რეგიონი სამხედრო და პოლიტიკური კუთხით საფრთხეს შეიცავს. რუსეთისა და ჩინეთის დომინანტობა რეგიონში ნატოს ინტერესებში არ შედის.<sup>19</sup>

## დასკვნა

ახალი გეოპოლიტიკური სივრცე საზღვაო-სატრანსპორტო მარშრუტებით, მიმზიდველი ეკონომიკური შესაძლებლობებითა და სერიოზული გარემოსდაცვითი გამოწვევებით, არქტიკის რეგიონი უფრო დიდი ინტერესის ობიექტი ხდება სხვადასხვა სახელმწიფოების და საერთაშორისო პოლიტიკური თუ სამხედრო ორგანიზაციების მხრიდან, როგორც არქტიკის წრის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. ყველა არქტიკულ წრის ქვეყანას აქვს საკუთარი ინტერესი რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რათა მაქსიმალური პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებელი მიიღონ. შესაბამისად, არქტიკამ დაკარგა შეზღუდული რეგიონის სტატუსი და გარდაიქმნა გლობალური სივრცედ, რომელიც სამომავლოდ უფრო და უფრო კონკურენციისა და დაპირისპირების ასპარეზი გახდება. შესაბამისად, ნატო მაქსიმალურად შეეცდება ჩინეთის გავლენის სფეროების შეზღუდვას, რათა ვერ შეძლოს ფეხის მოკიდება რეგიონში, რაც თავისთავად ნატოს ინტერესისთვის საფრთხის შემცველი იქნება. თუმცა, არქტიკის წრის ქვეყნების პოლიტიკიდან და განხორციელებული ქმედებებიდან გამომდინარე, აქცენტი დარჩება მხოლოდ ტერიტორიების დაცვაზე სამართლებრივი კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ეს შედარებით თავშეკავებული მიდგომა ექსტენსიური ეკონომიკური ზონების მიღმა დარჩენილი ტერიტორიული

---

<sup>18</sup> NATO, “NATO 2030 and the New Strategic Concept” (NATO Reflection Group Final Report, November 25, 2020), [https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/2020/12/pdf/201201-Reflection-Group-Final-Report-Uni.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2020/12/pdf/201201-Reflection-Group-Final-Report-Uni.pdf).

<sup>19</sup> Jason Blessing et al., *NATO 2030: Towards a New Strategic Concept and Beyond* (Brookings Institution Press, 2021).

პრეტენზიების მოგვარება მისასაღმებელია. რაც შეეხება ნატოს მხრიდან სამხედრო ძალების ზრდა რეგიონში, ეს პრიორიტეტული უნდა იყოს არქტიკის წრის ხუთივე სახელმწიფოს დღის წესრიგისთვის.

## ბიბლიოგრაფია

- Aston, Felicity. "Rise of the Icebreaker: Arctic Ocean Vessels." *Engineering and Technology* 12, no. 1 (February 1, 2017): 48–51. <https://doi.org/10.1049/et.2017.0104>.
- Blessing, Jason, Katherine Kjellström Elgin, Nele Marianne Ewers-Peters, and Raket Tideman. *NATO 2030: Towards a New Strategic Concept and Beyond*. Brookings Institution Press, 2021.
- Brosnan, Ian G., Thomas M. Leschine, and Edward L. Miles. "Cooperation or Conflict in a Changing Arctic?" *Ocean Development & International Law* 42, no. 1–2 (February 17, 2011): 173–210. <https://doi.org/10.1080/00908320.2011.543032>.
- Byers, Michael. *Who Owns the Arctic?: Understanding Sovereignty Disputes in the North*. D & M Publishers, 2010.
- Drewniak, Megan, Dimitrios Dalaklis, Momoko Kitada, Aykut Ölçer, and Fabio Ballini. "Geopolitics of Arctic Shipping: The State of Icebreakers and Future Needs." *Polar Geography* 41, no. 2 (April 3, 2018): 107–25. <https://doi.org/10.1080/1088937X.2018.1455756>.
- Emmerson, Charles. *The Future History of the Arctic: How Climate, Resources and Geopolitics Are Reshaping the North, and Why It Matters to the World*. Vintage, 2011.
- Hønneland, Geir. *Russia and the Arctic: Environment, Identity and Foreign Policy*. Bloomsbury Academic, 2016.
- Klimenko, Ekaterina. "The Geopolitics of a Changing Arctic." SIPRI, December 2019. <https://www.sipri.org/publications/2019/sipri-background-papers/geopolitics-changing-arctic>.
- Lasserre, Frederic, Jérôme Le Roy, and Richard Garon. "Is There an Arms Race in the Arctic?" *Journal of Military and Strategic Studies* 14, no. 3 & 4 (2012). <https://jmss.org/article/view/58063>.
- Mikkola, Harri. "The Geostrategic Arctic: Hard Security in the High North." *FIIA Briefing Paper* 259 (2019).
- NATO. "NATO 2022 Strategic Concept," June 29, 2022. [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_210907.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_210907.htm).
- — — —. "NATO 2030 and the New Strategic Concept." NATO Reflection Group Final Report, November 25, 2020. [https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/2020/12/pdf/201201-Reflection-Group-Final-Report-Uni.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2020/12/pdf/201201-Reflection-Group-Final-Report-Uni.pdf).
- Østhagen, Andreas. "Coastguards in Peril: A Study of Arctic Defence Collaboration." *Defence Studies* 15, no. 2 (April 3, 2015): 143–60. <https://doi.org/10.1080/14702436.2015.1035949>.
- Puranen, Matti, and Sanna Kopra. "China's Arctic Strategy – a Comprehensive Approach in Times of Great Power Rivalry" 6, no. 1 (December 26, 2023): 239–53. <https://doi.org/10.31374/sjms.196>.
- The Arctic Institute. "Arctic Maps." Accessed July 1, 2024. <https://www.thearcticinstitute.org/arctic-maps/>.
- Wezeman, Siemon T. "Military Capabilities in the Arctic." *SIPRI*, SIPRI Background Paper, 2012, 16.
- Zverev, D. L., Yu. P. Fadeev, A. N. Pakhomov, and V. I. Polunichev. "Nuclear Power Plants for the Icebreaker Fleet and Power Generation in the Arctic Region: Development Experience and Future Prospects." *Atomic Energy* 125, no. 6 (April 2019): 359–64. <https://doi.org/10.1007/s10512-019-00494-5>.



სტრატეგიის და განვითარების ცენტრი  
CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

# ნატოს ტრანსფორმაცია: 75 წელი კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულებიდან ყოველსაშემსვლელ და მრავალპროფილურ აღიანსამდე

ავტორი: ჯონი დიანსამიძე



This project is supported by  
NATO's Public Diplomacy Division

## შესავალი

ცივი ომის დროს სსრკ-ის მიერ განპირობებული საფრთხეების პასუხად შექმნილი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის თავდაპირველი მიზნები დროთა განმავლობაში, ახალი რეალობების შესაბამისად იცვლებოდა და ფართოვდებოდა. ესეს მიზანია, ალიანსის სტრატეგიულ დოკუმენტებსა და მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე დაყრდნობით, გასცეს პასუხი კითხვას, თუ როგორ ხდებოდა ნატოს მანდატის გავრცობა არა გეოგრაფიულად, არამედ შინაარსობრივად, სფეროების მიხედვით.

ნაშრომის პირველ ნაწილში მიმოხილული იქნება ალიანსის შექმნის კონტექსტი, თავდაპირველი გამონვევები, ის სფერო, რომელზეც ალიანსის მანდატი ვრცელდებოდა. სანწყის ეტაპზე ალიანსი ფოკუსირებული იყო უსაფრთხოების კონვენციურ გამონვევებზე, რაც გულისხმობს უშუალოდ, პირდაპირი გაგებით სამხედრო, შეიარაღებული ძალებისგან შექმნილ საფრთხეებს.

ესეში ყურადღება ძირითადად დაეთმობა ჰიბრიდული ომის და ახალი ტიპის საფრთხეების გამოჩენის გავლენას ნატოს მულტიპროფილურ ორგანიზაციად ჩამოყალიბებაზე. დროთა განმავლობაში მას მოუწია არეალის გაფართოება ისეთი ჰიბრიდული საფრთხეების პასუხად, როგორცაა ტერორიზმი, კიბერუსაფრთხოება და ა.შ. ასეთ არაკონვენციურ, ე.წ. ასიმეტრიულ საფრთხეებს სპეციფიკური რეაგირება ესაჭიროება. მაგალითად, თუნდაც სამხედრო შეიარაღების გაძლიერება არ არის საკმარისი კიბერთავდასხმების შესაკავებლად. შესაბამისად, ყველა სახის საფრთხეს შესაფერისი მზაობა და საპასუხო რეაქცია სჭირდება. სწორედ ასეთი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გამონვევების იდენტიფიცირება, ცალ-ცალკე განხილვა, მათზე რეაგირების პროცესი და ნატოს მულტიპროფილურ ორგანიზაციად გარდაქმნა იქნება ესეს ძირითადი ნაწილი.

ორგანიზაციის ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ალიანსის მიერ გაფართოების პოლიტიკის ცვლილება დროთა განმავლობაში. შესაბამისად, ნაშრომში ადგილი დაეთმობა ახალი წევრების მიღებით გამოწვეულ ცვლილებებს, ოღონდ არა ფორმის, არამედ შინაარსის ცვლილებას - გარდაქმნეს თუ არა მათ ნატოს პროფილი.



## ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება და მისი დადების კონტექსტი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ცხადია, აშკარა გახდა თავდაცვითი ალიანსების საჭიროება. გაერთიანებულ სამეფოსა და საფრანგეთს შორის 1947 წელს იდება დიუნკერკის ხელშეკრულება გერმანიისა და საბჭოთა კავშირის საფრთხეების დასაბალანსებლად, ხოლო 1948 წელს ბრიუსელის ხელშეკრულებით ამ ქვეყნებს შეუერთდა ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. ბერლინის ბლოკადის, ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური გადატრიალებისა და ევროპული სახელმწიფოების წინაშე არსებული საფრთხეების გამო, ცხადი გახდა ამერიკის ევროპის უსაფრთხოებაში ჩართვის საჭიროება. მომდევნო წელს კი ამ ქვეყნებს შეუერთდა აშშ, კანადა, დანია, ნორვეგია, იტალია, პორტუგალია და ისლანდია და მათ შორის დაიდო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება. ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას ხელი 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში, თვეების განმავლობაში მოლაპარაკებების შემდეგ მოეწერა. (Kaplan 2019, 19-24)

მის საფუძველზე შეიქმნა ნატო - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. ხელშეკრულების თანახმად, ყველა წევრი ვალდებული იყო, ემოქმედა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ხელშეკრულებაში ძირითად საფრთხეებად დასახელებულია ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების რისკები (The North Atlantic Treaty 1949, Article 4). ალიანსის მთავარი, ყველაზე ეფექტური და ქმედითი ნაწილი არის მისი მე-5 მუხლი, რომელიც გულისხმობს კოლექტიურ თავდაცვას რომელიმე წევრზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში (The North Atlantic Treaty 1949, Article 5). აქვე, აღსანიშნავია, ნატოს პირველი სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც ძალაში 1950 წელს შევიდა და დეტალურად განიხილავდა სამხედრო საკითხებს, საერთო მზაობის უზრუნველყოფასა და კონკრეტულ მხარეთა პასუხისმგებლობებს ამ მიმართულებით (NATO Strategic Concept 1949). ერთი სიტყვით, ნატოს დამფუძნებელი ხელშეკრულების ძირითადი აქცენტები კონვენციური უსაფრთხოებაზე, ანუ სამხედრო რისკებზე და მათზე რეაგირებაზე გაკეთდა.

მართალია, ხელშეკრულება ძირითადად სამხედრო პარტნიორობას შეეხებოდა, თუმცა ზოგიერთ მხარეს სურდა, ასახულიყო სოციალური და ეკონომიკური თანამშრომლობის პრინციპები, რაც ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მეორე მუხლში აისახა კიდევ: „მხარეები ხელს შეუწყობენ მეგობრული და მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას დამოუკიდებელი ინსტიტუტების გაძლიერებით, ამ ინსტიტუტების საბაზისო პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებითა და

სტაბილურობისა და კეთილდღეობის განმტკიცების ხელშეწყობით. მხარეები მიისწრაფვიან, აღმოფხვრან წინაღობები თავიანთ საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაში და ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ურთიერთთანამშრომლობას<sup>1</sup>. შესაბამისად, ჩანს, რომ, ამ მუხლიდან გამომდინარე, ალიანსის ქვეყნები პასუხისმგებლობას იღებენ, იმუშაონ თავისუფალი ინსტიტუტების, ანუ დემოკრატიის და ეკონომიკური თანამშრომლობის განსავითარებლად. გარდა კონვენციური უსაფრთხოების საკითხებისა, სწორედ ეს ორი პრინციპია, რომლებზე მუშაობასაც ხელშეკრულება მის წევრებს ავალდებულებს.

შეიძლება, ითქვას, რომ ალიანსის შექმნაში დიდია ღირებულებათა როლი. ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ქვეყნები მიზნად ისახავენ მათ ხალხთა თავისუფლების, საერთო მემკვიდრეობის და ცივილიზაციის დაცვას, ასევე ხაზგასმულია, რომ მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიულ პრინციპებს, ინდივიდუალურ თავისუფლებასა და კანონის უზენაესობას (The North Atlantic Treaty 1949). მართალია, ეს ჩანაწერი წარმოადგენს ხელშეკრულების ერთგვარ საფუძველს და არა საკითხს, რომელზეც მხარეებმა უნდა იმუშაონ, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეორე მუხლში ხაზგასმული თავისუფალ ინსტიტუტთა გაძლიერება უკვე წარმოადგენს ვალდებულებას ამ მიმართულებით.

მართალია, ხელშეკრულებაში აღნიშნული ჩანაწერი არსებობს, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ერთადერთი ნაწილი, რომელიც არაკონვენციურ უსაფრთხოებას შეეხება.

## **ახალი გამოწვევები და რეაგირება**

ცივი ომის მიმდინარეობისას, საერთაშორისო მოვლენების განვითარებასთან ერთად, იცვლებოდა ბრძოლის სახეები, იქმნებოდა ან იხვენებოდა დაპირისპირების ახალი საშუალებები და, შესაბამისად, ალიანსსაც ახალი ტიპის გამოწვევები გაუჩნდა. ამ გამოწვევების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირების ინსტრუმენტის შემუშავება ნატოს ამოცანად იქცა.

---

<sup>1</sup> "The Parties will contribute toward the further development of peaceful and friendly international relations by strengthening their free institutions, by bringing about a better understanding of the principles upon which these institutions are founded, and by promoting conditions of stability and well-being. They will seek to eliminate conflict in their international economic policies and will encourage economic collaboration between any or all of them." (The North Atlantic Treaty 1949, Article 2)

## კომუნიზმის გავრცელება

ცივ ომში საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი სტრატეგია იყო ქვეყნებში კომუნიზმის გავრცელებით თავისი გავლენის სფეროს გაფართოება. ჯერ კიდევ ნატოს შექმნამდე მოვლენები ასე განვითარდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. უკვე ჩინეთში კომუნისტური რევოლუციის შემდეგ აშშ აქტიურად გადავიდა ე.წ. „შეკავების“ (containment) პოლიტიკაზე, რაც ქვეყნებში საბჭოთა გავლენის შემცირებას გულისხმობდა (Gaddis 1982, 41).

შესაბამისად, ნატოს მეორე, 1952 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხეთა შორის ჩაიწერა შესაძლო დივერსია და საბოტაჟი მთელ მსოფლიოში. მაგალითად, ეს შესაძლოა, გამოხატულიყო მოსკოვის მიერ სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიების მიმართ ღია თუ შეფარულ მხარდაჭერაში (NATO Strategic Concept 1952, Article 13). მსგავსი შინაარსის ჩანაწერები გვხვდება შემდგომ სტრატეგიულ დოკუმენტებშიც, მაგალითად, 1968 წელს ჩრდილოატლანტიკურმა სამხედრო კომიტეტმა საბჭოთა კავშირიდან მომავალ საფრთხეთა შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო საშუალებებთან ერთად დაასახელა პროპაგანდა და დივერსია, რაც, მათ შორის, კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელებასაც გულისხმობდა (NATO Strategic Concept 1968, Article 3). აღსანიშნავია, რომ სხვებთან შედარებით, ამ გამოწვევას არ ჰქონია დიდი გამოხმაურება ნატოს სტრატეგიულ დოკუმენტებში, რაც, ერთი მხრივ, აიხსნება იმით, რომ მსგავსი გამოწვევები, ძირითადად, იმ არეალში ვრცელდებოდა, რომელიც ალიანსის დაფარვის ზონაში არ შედიოდა და მეორე მხრივ, იმით, რომ პარალელურად არსებობდა აშშ-ს „შეკავების“ პოლიტიკა და ნატოსგან, როგორც სამხედრო ალიანსისგან, საჭირო აღარ იყო დანარჩენ მსოფლიოში კომუნიზმის შეკავებისთვის ძალისხმევის განწევა. ხოლო უკვე ცივი ომი და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კომუნიზმის გავრცელება რელევანტური აღარ იყო და, შესაბამისად, ნატოს სტრატეგიულ დოკუმენტებშიც აღარ გვხვდება.

## ტერორიზმი

მიუხედავად იმისა, რომ ნატოს ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმები მანამდეც ხორციელდებოდა, 90-იან წლებამდე ალიანსს ამ საფრთხეზე ყურადღება არ გაუმახვილებია. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად მასშტაბური ომის საფრთხე შემცირდა და ალიანსმაც სხვა მიმართულებით გაამახვილა ყურადღება (Bebler 2004, 163-164). 1991 წლის ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში ტერორიზმი ერთ-ერთ საფრთხედ დასახელდა (NATO Strategic Concept 1991, Article 12), ხოლო 1999 წლის კონცეფციაში კი ჩაიწერა, რომ ტერორისტული თავდასხმებისგან დაცული უნდა ყოფილიყო

ალიანსის ძალები და ინფრასტრუქტურა (The Alliance's Strategic Concept 1999, Article 24).

შეიძლება ითქვას, რომ მწირმა ყურადღებამ გამოიწვია ის, რომ ალიანსი არასაკმარისად მომზადებულად შეხვდა 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმებს. ეს თარიღი გადამწყვეტი იყო როგორც ნატოს ანტიტერორისტული პოლიტიკის ჩამოყალიბების, ისე, ზოგადად, ალიანსის ისტორიაში. თავდასხმამ პირველად და, ჯერჯერობით, ერთადერთხელ გამოიწვია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედება. იმავე წლის ოქტომბერში, ამოქმედდა ნატოს ანტიტერორისტული ოპერაციები “Operation Eagle Assist” და “Operation Active Endeavour”, რომლებიც ალიანსის ძალების მიერ კონტროლისა და მონიტორინგის გაძლიერებას გულისხმობდა ამერიკის საჰაერო სივრცესა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში. 2002 წელს რეიკიავიკში გამართულ შეხვედრაზე მოკავშირეებმა ხაზგასმით განაცხადეს, რომ ალიანსი ნებისმიერ ადგილას შეებრძოლებოდა ტერორიზმს, სადაც საჭირო იქნებოდა. იმავე წლის ნატოს პრალის სამიტზე მოკავშირეებმა დაადასტურეს ანტიტერორისტული მზაობის აუცილებლობა და შეიმუშავეს ე.წ. პრალის პაკეტი: იმ ზომების ერთობლიობა, რომლებსაც ალიანსი ტერორიზმისგან თავდაცვისთვის მიიღებდა. სწორედ ნატო ჩაუდგა სათავეში 2003 წელს გაეროს მიერ ინიცირებულ საერთაშორისო უშიშროების დახმარების ძალებს, რისი მიზანიც იყო ავღანეთში მთავრობის ეფექტურობის გაძლიერება და ქვეყანაში ტერორიზმთან ბრძოლა. (NATO Topics 2023)

2010 წლის ნატოს სტრატეგიული კონცეფცია წინამორბედთან შედარებით, ბევრად უფრო ღრმად მიმოიხილავს ტერორიზმს, როგორც საფრთხეს, რაც, ცხადია, ამ შუალედში, 1999 წლიდან 2010 წლამდე მოვლენების შედეგია. აღსანიშნავია, რომ ნატოს ტერიტორიაზე 2001 წლის შემდეგ არაერთი ტერაქტი განხორციელდა. ამ შემთხვევაში, ალიანსი ბევრად უფრო მკაფიო იყო ტერორიზმიდან მომდინარე გამოწვევებთან დაკავშირებით და იგი ნატოს ქვეყნების მოსახლეობის პირდაპირ საფრთხედ დაასახელა (NATO Strategic Concept 2010) (NATO Strategic Concept 1999). 2012 წლის ჩიკაგოს სამიტზე შედგენილი კონტრტერორისტული პოლიტიკის გაიდლაინებში დასახელებულია სამი ძირითადი საშუალება: საფრთხეების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ადეკვატური შესაძლებლობები და პარტნიორების ჩართულობა (Chicago Summit Declaration 2012, Article 51). ამის მაგალითია ნატოს მისია ერაყში, რომელიც არასაბრძოლო მისიაა და მისი მიზანია ქვეყნის შესაძლებლობების და მზაობის გაძლიერება ტერორიზმთან საბრძოლველად (NMI Factsheet 2024).

2022 წლის ნატოს სტრატეგიული კონცეფცია კიდევ უფრო მკაფიოა ტერორიზმის მიმართ. ეს ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ 2010-იან წლებში მის ტერიტორიაზე გახშირებულ თავდასხმებს, რაც, თავისთავად,

განპირობებული იყო ნატოს სახელმწიფოების ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ერაყის ომისა და სირიის სამოქალაქო ომში ჩართვით. 2022 წლის კონცეფციაში ტერორიზმის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზრდილია და ნათქვამია, რომ იგი არის ალიანსის ყველაზე პირდაპირი ასიმეტრიული საფრთხე (NATO Strategic Concept 2022, Article 10). ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონვენციური საფრთხეების მერე ტერორიზმი ჩამოყალიბდა ალიანსის მთავარ გამოწვევად.

## ენერგოსაფრთხოება

ენერგოსაფრთხოება დღეს ალიანსის მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ეს სფერო ძირითადად უშუალოდ სახელმწიფოების პასუხისმგებლობაა, თუმცა ალიანსის ფარგლებშიც არსებობს საერთო ძალისხმევა. აღსანიშნავია, რომ ენერგოსაფრთხოება ალიანსის არსებობის განმავლობაში ძირითადად არ ყოფილა პრიორიტეტული თემა, თუმცა 2000-იან წლებში ეს შეიცვალა.

2007 წლის აშშ-ს კონგრესის კვლევის სამსახურის მიერ მომზადებულ მოხსენებაში საუბარია ნატოს ქვეყნების წინაშე არსებულ საფრთხეებზე, კონკრეტულად იმაზე, რომ სახელმწიფოები პოლიტიკური ზენოლის ინსტრუმენტად იყენებდნენ ენერგიის ექსპორტს. ამ სახელმწიფოებში ძირითადად იგულისხმებოდა რუსეთი, განსაკუთრებით მოსკოვის მიერ 2005-2006 წლებში უკრაინისთვის ბუნებრივი აირის ფასის ხელოვნურად გაზრდა, ასევე ევროკავშირის სახელმწიფოების მზარდი დამოკიდებულება რუსულ ენერგორესურსებზე. ასევე, ნახსენები იყო ამ სფეროში ირანიდან მომდინარე რისკები (Gallis 2007). შესაბამისად, 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ ალიანსს ექნებოდა როლი ენერგოსაფრთხოებაში (Bucharest Summit Declaration 2008, Article 48).

უკვე 2010 წლის ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ენერგოსაფრთხოებას, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ წინა სტრატეგიულ კონცეფციებში ამ კონკრეტულ საკითხს არ ეთმობოდა ყურადღება. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ ნატოს „ენერგოსაფრთხოებაში წვლილის შესატანად უნდა განევითარებინა ძალისხმევა, მათ შორის მნიშვნელოვანი ენერგოინფრასტრუქტურის, სატრანზიტო არეალისა და ხაზების დაცვით, პარტნიორებთან კოოპერაციით და მოკავშირეთა შორის კონსულტაციებით სტრატეგიული შეფასებისა და საგანგებო დაგეგმვის საფუძველზე“<sup>2</sup>.

---

<sup>2</sup> “develop the capacity to contribute to energy security, including protection of critical energy infrastructure and transit areas and lines, cooperation with partners, and consultations among

ნატოს პასუხისმგებლობა ენერგოსაფრთხოებაზე გამოიხატება ძირითადად ინფრასტრუქტურის დაცვისთვის საჭირო მზაობის გაზრდით ნევრ სახელმწიფოებში ადგილობრივი შესაბამისი სამსახურების გადამზადებით, ტრენინგებითა და ცნობიერების ამაღლებით. ასევე, ნატოს ენერგოსაფრთხოების ერთ-ერთი ამოცანაა სამხედრო შენაერთებისა და ინფრასტრუქტურის ენერგომომარაგების უზრუნველყოფა და ჰარმონიზაცია. ამასთან, ნატოს მოვალეობაა ენერგოსაფრთხოების რისკების დადგენა, მათ შორის, სხვა აქტორებთან ურთიერთობისას. ეს შეეხება ისეთ პროექტებს, რომლებიც მოიცავენ რუსეთთან და სხვა არამეგობრულ ძალებთან ენერგოთანამშრომლობის პოტენციურ დამყარებას (NATO Topics 2024). ამის მიზანია, არ მოხდეს ისეთი შეცდომის გამეორება, როგორც იყო Nord Stream-ის ამუშავება და ევროპული სახელმწიფოების რუსეთზე დამოკიდებულების ზრდა. შესაბამისად, ეს შემთხვევა მაჩვენებელია იმისა, რომ ნატოს პასუხისმგებლობა ენერგოსაფრთხოებაზე განაპირობებს არა მხოლოდ ენერგორესურსებით უზრუნველყოფას, არამედ სახელმწიფოების წინაშე არსებული პოლიტიკური რისკების შემცირებას.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიითა და დონბასში ომით გამოწვეულმა ენერგოტრანსპორტირების პრობლემებმა კიდევ უფრო გამოაჩინა ნატოს მნიშვნელობა ალიანსის ქვეყნების ენერგოსაფრთხოების უზრუნველყოფაში (Bocse 2020, 8). თუმცა, ამავდროულად, განსაკუთრებით საფრანგეთსა და გერმანიაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ალიანსის მიერ ამ სფეროზე პასუხისმგებლობის აღება გაზრდიდა არასაჭირო სამხედრო ესკალაციის რისკებს, რომ ეს იყო კონკრეტული სახელმწიფოებისა და ევროკავშირის საქმე და, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება არ ღირდა (Bocse 2020, 9). ამასთან, დღის წესრიგში შევიდა საკითხი, უნდა გავრცელებულიყო თუ არა კოლექტიური თავდაცვის მუხლი ალიანსის ნევრი სახელმწიფოს ენერგოსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ბევრი სირთულე, როგორცაა საფრთხეების განსაზღვრის ბუნდოვანება, ესკალაციის შანსების ზრდა თუ დამნაშავის დადგენის სირთულე, საბოლოოდ, 2022 წლის ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში ჩაიწერა, რომ ჰიბრიდული ოპერაციების, მათ შორის ენერგიასთან დაკავშირებული საკითხების ალიანსის წინააღმდეგ გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედება (NATO Strategic Concept 2022, Article 7). მართალია, ბუნდოვნად რჩება, თუ რა შემთხვევაში შეიძლება მივიდეს საქმე კოლექტიურ თავდაცვაზე გადასვლამდე, თუმცა სტრატეგიულ კონცეფციაში ენერგოსაფრთხოებისა და მე-5 მუხლის ერთად მოხსენიებაც უკვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური განაცხადია.

---

Allies on the basis of strategic assessments and contingency planning." - (NATO Strategic Concept 2010, 17)

## კიბერუსაფრთხოება

ნატოს ტრანსფორმაციის და მისი ახალ გამოწვევებზე მორგების მაგალითია ალიანსის კიბერუსაფრთხეებთან დამოკიდებულება. ტრადიციულად, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებიდან მოყოლებული, ნატოს აქვს სამი სამოქმედო სივრცე: სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო. თუმცა დღეს ეს ასე არ არის - ამ სიაში პირველი დანამატი კიბერსივრცე იყო.

ჯერ კიდევ შექმნის დღიდან წარმოადგენს ნატოს ერთ-ერთ ამოცანას კომუნიკაციის ხაზების დაცვა როგორც ალიანსის, ისე წევრების ეროვნულ ძალებში. თუმცა ეს საკითხი წინ წამოიწია კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად. ერთი მხრივ, ნატოს მონაცემებისა და ოპერაციების დიდი ნაწილი სწორედ ციფრულ სფეროში გადავიდა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ სფეროს განვითარებასთან ერთად განვითარდა მისთვის საფრთხის შექმნის საშუალებები.

ამ მიმართულებით გარდამტეხი მომენტი იყო 2007 წელს კიბერთავდასხმები ესტონეთის, ნატოს წევრი სახელმწიფოს კერძო თუ საჯარო დაწესებულებებზე რუსეთის მხრიდან. ამ პრეცედენტმა აჩვენა, რომ ალიანსის კიბერუსაფრთხოების სტრატეგია გადახედვას საჭიროებდა და ეს საკითხი დღის წესრიგში უნდა წამოწულიყო. შესაბამისად, 2008 წელს, ნატომ მიიღო პირველი კიბერთავდაცვის პოლიტიკის დოკუმენტი (Pernik 2014, 4). 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომმა აჩვენა, რომ კონვენციური ომის ნაწილი კიბერ სივრცეში ინაცვლებდა. ეს იყო ისტორიაში პირველი შემთხვევა, როცა კიბერშეტევა ხდებოდა რეალური სამხედრო დაპირისპირების პარალელურად (Markoff 2008).

აღსანიშნავია, რომ ნატო მეოცე საუკუნიდან მოყოლებული იცავდა წევრი ქვეყნების საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემებს, ხოლო 2002 წლის პრატის სამიტზე მოკავშირეებმა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა პირველად მიანიჭეს უშუალოდ კიბერთავდაცვას (Prague Summit Declaration 2002, Article 4f.), რაც შემდეგ სამიტებზე დადასტურდა (NATO Topics 2023). უკვე 2010 წლის ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში საუბარი იყო კიბერ უსაფრთხოებაზე და აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით გამოწვევების ზრდასთან ერთად ალიანსს საპასუხო ზომები უნდა მიეღო (NATO Strategic Concept 2010, 16).

ყირიმის ანექსიასა და რუსეთის მიერ განხორციელებულმა კიბერთავდასხმებმა კიდევ უფრო ცხადი გახადა, თუ რა საფრთხეებს შეიცავს ჰიბრიდული ომის ეს ტაქტიკა (Przetacznik and Tarpova 2022, 2-3). სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობდა დისკუსია იმის შესახებ, უნდა ამოქმედებულიყო თუ არა ნატოს მე-5 მუხლი კიბერთავდასხმის შემთხვევაში. როგორც 2014 წლის გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმოხილვაშია ნახსენები, ნატოს არ ჰქონდა მზაობა,

აემუშავებინა კოლექტიური თავდაცვის მუხლი ესტონეთის 2007 წლის შემთხვევის მსგავსი კიბერშეტევებისგან თავის დასაცავად და მათზე საპასუხოდ, ამის მიზეზი კი სფეროს ბუნდოვანება და არაზუსტი დასკვნების გაკეთების საფრთხე იყო (House of Commons Defence Committee 2014, 30). 2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე, პირველად დაფიქსირდა, რომ მომავალში წევრ სახელმწიფოებზე კიბერთავდასხმების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა მე-5 მუხლის ამოქმედება (Wales Summit Declaration 2014). 2016 წლის ვარშავის სამიტზე კი მოკავშირეებმა აღნიშნეს, რომ ნატო თავის ოპერირების სფეროდ აღიქვამს კიბერსივრცეს, ისევე, როგორც საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო სივრცეებს (Warsaw Summit Communiqué 2016).

კიბერ შეტევები რუსეთის მხრიდან განსაკუთრებით გააქტიურდა 2022 წლიდან, ცხადია, ძირითადად უკრაინაზე, თუმცა ასევე გახშირდა შეტევები ნატოს წევრ სახელმწიფოებზე. გუგლის საფრთხეების ანალიზის ჯგუფის მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ნატოს ქვეყნების წინააღმდეგ ძირითადად ხორციელდებოდა ე.წ. ფიშინგ შეტევები (phishing), რომლითაც მოიპოვებდნენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ინფორმაციას ამ ქვეყნების სამთავრობო თუ სხვა სახის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დაწესებულებებიდან, მათ შორის, ნატოს კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრიდან, ევროპული სამხედრო დაწესებულებებიდან, ამერიკის ბირთვული კვლევების ლაბორატორიებიდან და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის თავდასხმები ნატოს სახელმწიფოებზე 2020 წელთან შედარებით გაზრდილია 300%-ზე მეტით (Huntley 2023). ამ ყველაფრის შედეგი იყო 2023 წლის ვილნიუსის სამიტზე „ვირტუალური კიბერ ინციდენტების მხარდაჭერის შესაძლებლობის“ (VCISC) ამოქმედება, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს წევრი სახელმწიფოების კიბერსაფრთხეების წინააღმდეგ მზაობას და იმავე წლის ნოემბერში პირველი ნატოს კიბერ თავდაცვის კონფერენციის გამართვა (NATO Topics 2023).

## კოსმოსი

კოსმოსს საერთაშორისო პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა ჯერ კიდევ ცივი ომის „კოსმოსური რბოლიდან“ მოყოლებული. ამ სივრცეში დომინაცია გლობალურ აქტორთა კონკურენციის ერთ-ერთი მიმართულება იყო და არის, თუმცა ნატოს შექმნისას ეს არ ყოფილა ალიანსის მანდატის დაფარვის ქვეშ მყოფი სფერო.

კოსმოსი დღეს ნატოსთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც თავისთავადი, განყენებული, ასათვისებელი სივრცე, არამედ იგი ალიანსისთვის ნავიგაციისა და კომუნიკაციების ხელშეწყობისთვისაც მნიშვნელოვანია: კოსმოსში არსებული თანამგზავრების უმეტესობა ნატოს



წევრ სახელმწიფოებში არსებულ კომპანიებს ეკუთვნის (NATO Topics 2024). კოსმოსის ათვისებამ ახალ შესაძლებლობებთან ერთად საფრთხეები წარმოქმნა. სატელიტების მზარდმა მნიშვნელობამ გაზარდა რისკები, რომ მტრული ძალის მიერ მათზე მიტანილი კიბერ თუ ფიზიკური იერიში დიდ ზარალს გამოიწვევს.

შესაბამისად, 2019 წლის ივნისში, ალიანსის თავდაცვის მინისტრიალზე მიიღეს ნატოს კოსმოსის პოლიტიკა. ხოლო იმავე წლის დეკემბერში მოკავშირეთა ლიდერებმა კოსმოსი ნატოს მეხუთე საოპერაციო სივრცედ გამოაცხადეს ხმელეთთან, წყალთან, ჰაერთან და კიბერსივრცესთან ერთად (NATO Topics 2024). ამ ქმედებას ჰქონდა ორი მიზეზი: ერთი, ცხადია, იყო რუსეთისა და ჩინეთის სამხედრო აქტივობები კოსმოსში და, მეორე, წმინდად პოლიტიკური მიზეზი - პრეზიდენტ ტრამპის ალიანსის ეფექტურობისადმი უკმაყოფილების გამო მოკავშირეების მცდელობა, რომ ნატოს მნიშვნელობა გაეზარდათ (Winter 2019). ცხადია, ამას მოჰყვა რუსეთისგან კრიტიკა, რომ ნატო კოსმოსის შეიარაღებას ახდენდა (Hainaut 2024, 2). რაზეც გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ნატოს კოსმოსში იარაღის განთავსების არანაირი მიზანი არ აქვს და მისი ქმედებები საერთაშორისო სამართლის ფარგლებში იქნება (Banks 2019). 2022 წლის ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში თითქმის გამეორდა 2021 წლის ბრიუსელის კომუნიკეში ჩანერილი ტექსტი, რომ „კოსმოსზე, კოსმოსიდან ან კოსმოსში თავდასხმა ალიანსის უსაფრთხოებისთვის მკაფიო გამოწვევას წარმოადგენს, რომლის ზეგავლენამაც, შეიძლება, ეროვნული და ევროატლანტიკური კეთილდღეობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა საფრთხის ქვეშ დააყენოს და თანამედროვე საზოგადოებებისთვის ისეთი სახიფათო იყოს, როგორც კონვენციური თავდასხმა. ასეთმა თავდასხმამ, შეიძლება, მე-5 მუხლის ამოქმედება გამოიწვიოს. გადანყვეტილებას იმის შესახებ, როდის უნდა ამოქმედდეს ასეთი თავდასხმის შემთხვევაში მე-5 მუხლი, მიიღებს ევროატლანტიკური საბჭო კონკრეტული შემთხვევების მიხედვით.“<sup>3</sup> კოსმოსის კოლექტიური თავდაცვის „ქოლგის“ ქვეშ მოქცევა ყველაზე დიდი და ეფექტური უსაფრთხოების გარანტიაა, რისი შეთავაზებაც ნატოს შეუძლია.

გარდა მე-5 მუხლის საშუალებით კოსმოსური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა, აღსანიშნავია, ნატოს ორი ინიციატივა: „სტრატეგიული კოსმოსის სიტუაციური ცნობიერების სისტემა“ (3SAS), რომელიც კოსმოსურ მოვლენებს შეისწავლის და „ალიანსის კოსმოსიდან მუდმივი დაზვერვა“ (APSS), რაც პასუხისმგებელია კოსმოსიდან სატელიტების მეშვეობით დედამიწის დაზვერვაზე, რაც მნიშვნელოვანი იქნება როგორც

---

<sup>3</sup> “attacks to, from, or within space present a clear challenge to the security of the Alliance, the impact of which could threaten national and Euro-Atlantic prosperity, security, and stability, and could be as harmful to modern societies as a conventional attack. Such attacks could lead to the invocation of Article 5. A decision as to when such attacks would lead to the invocation of Article 5 would be taken by the North Atlantic Council on a case-by-case basis.” - (Brussels Summit Communiqué 2021, 33)

მოწინააღმდეგე სამხედრო შენაერთების გადაადგილების საკონტროლებლად, ისე თავად ალიანსის ძალების შეთანხმებული ოპერირებისთვის (NATO Topics 2024).

## **ნატოს გაფართოების როლი მის ტრანსფორმაციაში**

ცივი ომის დასრულების შემდეგ დაწყებულმა დიდმა გეოპოლიტიკურმა ძვრებმა ალიანსის გაფართოებისთვის ნიადაგი შეამზადა და სწორედ ამ პერიოდიდან ნატოს ახალი წევრები, ყოფილი აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნები ემატება. ეს, თავად, უდიდესი ტრანსფორმაციაა, თუმცა ფორმის და არა შინაარსის. მაგრამ, საინტერესოა, რომ ამ პროცესებს შინაარსის, ანუ ნატოს ბუნების, მისი სამოქმედო სფეროების ცვლილება, უფრო სწორად, გაფართოება მოჰყვა.

არსებობს თეორია, რომ ორგანიზაციის პროფილი და სამოქმედო არეალი თემატურად ფართოვდება ორგანიზაციის ზომაში ზრდასთან ერთად. ამ თეორიის ავტორების, კორემენოსის, ლიპსონისა და სნაიდალის თანახმად, ახალ აქტორებს, რომლებიც ორგანიზაციას უერთდებიან, მოჰყვებათ თავიანთი, განსხვავებული გამონვევები, მაგალითად, მაშინ, როცა ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოები განვითარებული სახელმწიფოების ჯგუფს უერთდებიან (Koremnos, Lipson and Snidal 2001, 785-786). ანუ, ნატოში ახალი სახელმწიფოების მიღებას მოჰყვება ამ სახელმწიფოების წინაშე არსებული გამწვანების დღის წესრიგში დაყენება და, ბოლოს, ალიანსის პასუხისმგებლობად ქცევა.

მსგავსად მოხდა ენერგოსაფრთხოებასთან დაკავშირებით: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც ცივი ომის დროიდან მოყოლებული დამოკიდებულნი იყვნენ რუსულ ენერჯიაზე, აქტიურად უჭერდნენ მხარს ნატოს მანდატის აღნიშნულ საკითხზე განვრცობას (Bocse 2020, 7-8). იგივე შეიძლება ითქვას კიბერუსაფრთხოების ნატოს ერთ-ერთ პასუხისმგებლობად ქცევაზე. მართალია, ადრე თუ გვიან, ეს საფრთხე ნატოს „ძველ“ წევრებსაც შეექმნებოდა, თუმცა, მნიშვნელოვანი სტიმული გახდა ესტონეთზე 2007 წლის რუსეთის კიბერთავდასხმა. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ გაფართოებამ ნატოს „საქმედ“ აქცია არა მხოლოდ ახალი წევრების კონვენციურ საფრთხეებზე ზრუნვა, არამედ მათ ახალ, სპეციფიკურ საფრთხეებზე ყურადღების გამახვილებაც.

## დასკვნა

ნატოს დაარსებიდან 75 წელი გავიდა. დღეს იგი გარკვეულწილად განსხვავდება მისი თავდაპირველი სახისგან როგორც გეოგრაფიული დაფარვით, ისე სამანდატო სფეროებით. ესეც საკვლევი კითხვაც სწორედ ამ უკანასკნელს შეეხებოდა. ნაშრომში პასუხი გაცა იმას, თუ როგორ, ფართოვდებოდა ნატოს შინაარსი: ჩნდებოდა ახალი სფეროები, როგორიცაა ტერორიზმი, კიბერუსაფრთხოება, რომლებიც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო იმატებდა მნიშვნელობას (მაგ. ტერორიზმი, კიბერ უსაფრთხოება), ან რაღაც ეტაპის მერე დღის წესრიგში აღარ იდგა (კომუნიზმის შეკავება). ეს ყველაფერი აისახებოდა როგორც ალიანსის სტრატეგიულ დოკუმენტებში, ისე მის ქმედებებში.

საკვლევი კითხვის მეორე ნაწილი იყო ამ ცვლილებების მიზეზების დასახელება. შეიძლება გამოიყოს ტრანსფორმაციის ორი გამომწვევი ფაქტორი: დროსთან, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ახალი ჰიბრიდული საფრთხეების წარმოქმნა, გაფართოება და ახალი სახელმწიფოების მიღებასთან ერთად მათი გამომწვევების „დამატება“. ესეში გამოიკვეთა აშკარა პატერნი, რომ საფრთხის გააქტუალურების შემდეგ ნატოც აფართოებს თავის სამოქმედო არეალს: თავიდან გამომწვევას ძირითადად კონვენციური საფრთხე წარმოადგენდა, ტერაქტების გახშირების შემდეგ ტერორიზმიც დაემატა, მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა ენერჯის როლი უსაფრთხოებაში, ამაზეც აიღო ალიანსმა პასუხისმგებლობა.

## ბიბლიოგრაფია

- Banks, Martin. 2019. "NATO names space as an 'operational domain,' but without plans to weaponize it." *DefenseNews*, November 21. <https://www.defensenews.com/smr/nato-2020-defined/2019/11/20/nato-names-space-as-an-operational-domain-but-without-plans-to-weaponize-it/>.
- Bebler, Anton. 2004. „NATO and Transnational Terrorism.“ *PERCEPTIONS: Journal of International Affairs* 9 (4): 159-175.
- Bocse, Alexandra-Maria. 2020. „NATO, energy security and institutional change.“ *European Security*. doi:10.1080/09662839.2020.1768072.
- 2021. "Brussels Summit Communiqué." *North Atlantic Treaty Organization*. June 14. [https://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_185000.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/news_185000.htm).
- 2008. "Bucharest Summit Declaration." *North Atlantic Treaty Organization*. April 3. [https://www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_8443.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_8443.htm).
- 2012. "Chicago Summit Declaration." *North Atlantic Treaty Organization*. May 20. [https://www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_87593.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_87593.htm).
- 2023. "Countering Terrorism." *North Atlantic Treaty Organization*. December 5. [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_77646.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_77646.htm).
- 2023. "Cyber Defence." *North Atlantic Treaty Organization*. September 14. [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_78170.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_78170.htm).
- 2024. "Energy security." *North Atlantic Treaty Organization*. January 11. [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_49208.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49208.htm).
- Gallis, Paul. 2007. *NATO and Energy Security*. Congressional Research Service, U.S. Congress, The Library of Congress. <https://sgp.fas.org/crs/row/RS22409.pdf>.
- Hainaut, Béatrice. 2024. „NATO's New Ambitions for Space.“ *French Institute of International Relations*. [https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/ifri\\_hainaut\\_nato\\_spatial\\_ambitions\\_2024.pdf](https://www.ifri.org/sites/default/files/atoms/files/ifri_hainaut_nato_spatial_ambitions_2024.pdf).
- House of Commons Defence Committee. 2014. "Towards the next Defence and Security Review: Part Two— NATO." *Third Report of Session 2014–15*. London. <https://publications.parliament.uk/pa/cm201415/cmselect/cmdfence/358/358.pdf>.
- Huntley, Shane. 2023. „Fog of war: how the Ukraine conflict transformed the cyber threat landscape.“ *Google Threat Analysis Group (TAG)*. <https://blog.google/threat-analysis-group/fog-of-war-how-the-ukraine-conflict-transformed-the-cyber-threat-landscape/>.

- Kaplan, Lawrence S. 2019. "Origins of NATO: 1948 -1949." *Emory International Law Review* 11-28.  
<https://scholarlycommons.law.emory.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1220&context=eilr>.
- Koremenos, Barbara, Charles Lipson, and Duncan Snidal. 2001. "The Rational Design of International Institutions." *International Organization* 55 (4): 761-799. doi: 10.1162/002081801317193592.
- Markoff, John. 2008. „Before the Gunfire, Cyberattacks." *The New York Times*.  
<https://www.nytimes.com/2008/08/13/technology/13cyber.html>.
- 2022. "NATO 2022 Strategic Concept." *North Atlantic Treaty Organization*. June 29.  
[https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf).
- 2024. *NATO Mission Iraq (NMI)*. Factsheet, Public Diplomacy Division (PDD), North Atlantic Treaty Organization. <https://jfcnaples.nato.int/nmi/news-room/fact-sheets-2/nato-mission-iraq-fact-sheet-english>.
- 2024. "NATO's approach to space." *North Atlantic Treaty Organization*. March 21.  
[https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_175419.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_175419.htm).
- North Atlantic Council. 1991. "The Alliance's New Strategic Concept." *North Atlantic Treaty Organization*. November 7-8.  
[https://www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_23847.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm).
- —. 1999. "The Alliance's Strategic Concept." *North Atlantic Treaty Organization*. April 24.  
[https://www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_27433.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_27433.htm).
- North Atlantic Defense Committee. 1949. "The Strategic Concept for The Defense of the North Atlantic Area." December 1. <https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/a491201a.pdf>.
- North Atlantic Military Committee. 1968. "North Atlantic Treaty Organization." *Overall Strategic Concept for the Defense of the North Atlantic Treaty Organization Area*. January 16. <https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/a680116a.pdf>.
- 1952. "North Atlantic Treaty Organization." *Report By the Standing Group on Strategic Guidance*. December 9. <https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/a521209a.pdf>.
- Pernik, Piret. 2014. „Improving Cyber Security: NATO and the EU." *International Centre for Defence Studies*, სექტემბერი: 1-18. [https://icds.ee/wp-content/uploads/2010/02/Piret\\_Pernik\\_-\\_Improving\\_Cyber\\_Security.pdf](https://icds.ee/wp-content/uploads/2010/02/Piret_Pernik_-_Improving_Cyber_Security.pdf).
- 2002. "Prague Summit Declaration." *North Atlantic Treaty Organization*. November 21.  
[https://www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_19552.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_19552.htm).

- Przetacznik, Jakub, and Simona Tarpova. 2022. *Russia's war on Ukraine: Timeline of cyber-attacks*. European Parliament, European Parliamentary Research Service. Russia's war on Ukraine: Timeline of cyber-attacks.
- 2010. "Strategic Concept for the Defence and Security of the Members of the North Atlantic Treaty Organization." *North Atlantic Treaty Organization*. November 19-20. [https://www.nato.int/nato\\_static\\_fl2014/assets/pdf/pdf\\_publications/20120214\\_strategic-concept-2010-eng.pdf](https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20120214_strategic-concept-2010-eng.pdf).
- 1999. "The Alliance's Strategic Concept." *North Atlantic Treaty Organization*. April 24. [https://www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_27433.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_27433.htm).
- 1949. "The North Atlantic Treaty." *North Atlantic Treaty Organization*. April 4. [https://www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_17120.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm).
- 2014. „Wales Summit Declaration." *North Atlantic Treaty Organization*. 5 სექტემბერი. [https://www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_112964.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm).
- 2016. „Warsaw Summit Communiqué." *North Atlantic Treaty Organization*. 9 ივლისი. [https://www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_133169.htm#russia](https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm#russia).
- Winter, Laura. 2019. "NATO declares space an 'operational domain'." *Aljazeera*, December 4. <https://www.aljazeera.com/economy/2019/12/4/nato-declares-space-an-operational-domain>.



სტრატეგიის და განვითარების ცენტრი  
CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

# რუსეთ-უკრაინის ომი და საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივები

ავტორი: გეორგი ნიკოლეიშვილი



This project is supported by  
NATO's Public Diplomacy Division

## შესავალი

უკვე რამდენიმე წელია, უკრაინა და საქართველო ხშირად მოიხსენიება ერთად, როგორც ქვეყნების გარკვეული ტანდემი, რომლებიც იზიარებენ საერთო მისწრაფებებს, გამონწვევებსა და პერსპექტივებს. გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ კიევი და თბილისი უკვე დიდი ხანია ოფიციალურად იზიარებენ თავიანთ საშინაო და საგარეო პრიორიტეტებს. ევროინტეგრაციის მისწრაფებები საქართველოსა და უკრაინას დიდი ხანია ერთმანეთთან აკავშირებს.<sup>1</sup> ამ პროცესის კვალდაკვალ გაიზარდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მნიშვნელობა. NATO-მ უკრაინის კონფლიქტის საპასუხოდ რეგიონში სამხედრო წარმომადგენლობა გაზარდა, მათ შორის ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგზე დამატებითი ჯარებისა და აღჭურვილობის განლაგებით. და მაინც, უკრაინაში რუსეთის რეალური შეჭრის მიზეზიც ხომ სწორედ ისაა, რომ რუსეთი ვერ ეგუება უკრაინის სუვერენულ არჩევანს დაახლოვდეს დასავლეთთან და გახდეს ალიანსის წევრი ქვეყანა, ომის დაწყებამდე ის სწორედ 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა, რომლის თანახმად უკრაინა და საქართველო აუცილებლად გახდებიან ალიანსის წევრები მომავალში. ამგვარად, რუსეთის აგრესიის ფონზე, ამ ორი ქვეყნის NATO-ში გაწევრიანების პროცესი და მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა, მათი და რეგიონის უსაფრთხოებისთვის. საქართველოსა და უკრაინას პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე ძლიერი ინსტიტუციური, სამართლებრივი და პრაქტიკული კავშირები აქვთ NATO-სთან.<sup>2</sup>

უკრაინაში მიმდინარე ომი ღრმა გავლენას ახდენს აღმოსავლეთ ევროპისა და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების დინამიკაზე. ეს კონფლიქტი არა მხოლოდ უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება, არამედ მეზობელ ქვეყნებზეც, განსაკუთრებით კი საქართველოზეც მოქმედებს. საქართველოს სწრაფვას ნატო-ში გაწევრიანებაზე პირდაპირი გავლენა აქვს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს, რაც ხაზს უსვამს რეგიონული უსაფრთხოების ურთიერთდაკავშირებულ ხასიათს და რუსეთსა და დასავლეთს შორის უფრო ფართო გეოპოლიტიკურ კონკურენციას.

საქართველოს სწრაფვა ნატო-ში გაწევრიანებაზე სავსეა გამონწვევებით. 2008 წლის ომმა რუსეთსა და საქართველოს შორის, რასაც მოჰყვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია, შექმნა პრეცედენტი, რომელიც რეზონანსულია უკრაინის ამჟამინდელ კრიზისში. ჩნდება კითხვა: რა გავლენას ახდენს უკრაინის ომი საქართველო-ნატოს ურთიერთობების პერსპექტივაზე? ამ ურთიერთობის გააზრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რეგიონის

<sup>1</sup> Dubovyk, V. "Ukraine and Georgia: How Much of a Common Fate?" Georgian Institute of Politics, 2016.

<sup>2</sup> Tkeshelashvili, I. "Georgia's and Ukraine's Cooperation With NATO: Past, Status Quo and Future Perspective." Journal in Historical & Political Sciences 2022: 100-112.



განვითარებადი უსაფრთხოების არქიტექტურისა და ნატო-სა და რუსეთის სტრატეგიული გათვლების გასაგებად.

## საერთო ისტორია და პარტნიორობა

რა კავშირია უკრაინაში რუსეთის ომსა და საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივებს შორის? ამ კითხვაზე პასუხი უნდა ვეძებოთ, პირველყოფლისა, რუსეთსა და დასავლეთს შორის ფართო გეოპოლიტიკური ბრძოლის ანალიზში. ორივე ქვეყანა, საქართველო და უკრაინა, აგრძელებენ მჭიდრო კავშირებს დასავლურ ინსტიტუტებთან, განსაკუთრებით ნატო-სთან, როგორც მათი პოსტსაბჭოთა განვითარების სტრატეგიის ნაწილი დემოკრატიული მმართველობისა და ევროპასთან ეკონომიკური ინტეგრაციისკენ. ეს მისწრაფება პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე გავლენის შენარჩუნებაში.

მიუხედავად მათი განსხვავებული წარმომავლობისა, საქართველო და უკრაინა თითქმის 200 წლის განმავლობაში ერთი და იგივე სახელმწიფოების ნაწილი იყვნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო იმედგაცრუებული იყო რუსეთის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერით და თბილისს სხვა არჩევანი არ ჰქონდა გარდა ალიანსებში ჩართვისა, სადაც იყო როგორც მცირე რეგიონალური, ისე დიდი სახელმწიფოები რეგიონის გარეთ. საქართველოს პოლიტიკური გათვლები ასევე მოიცავდა სწრაფვას ახლო მეზობელი სახელმწიფოების პოვნისკენ, რომელთაც დაეყრდნობოდა, როგორც სტრატეგიულ პარტნიორებს. საბოლოო ჯამში, საქართველოს მიერ პოსტსაბჭოთა რეგიონში „სულიკოს“ - სოულმეითის ძიებამ გამოიწვია სტრატეგიული ურთიერთობების დამყარება უკრაინის ახალ სახელმწიფოსთან.<sup>3</sup> მათი საერთო ისტორიისა და მსგავსი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების გამო, ორმა სახელმწიფომ მიაღწია პოლიტიკური, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის მაღალ დონეს. იმ ფაქტმა, რომ ორივე ერი მართლმადიდებელია, ასევე ითამაშა როლი მათი რეგიონალური კავშირების დამყარებაში მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და უკრაინას შორის მნიშვნელოვანი შიდა და გარე პოლიტიკური განსხვავებებია, ერთობლივი ძალისხმევით შედეგად შეიქმნა GUAM<sup>4</sup> -ის ჯგუფი (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა), რომლის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი რეგიონში რუსეთის გავლენის დაბალანსების მცდელობა იყო. აშშ-ის დახმარებით, ეს ორი ქვეყანა, ასევე, აქტიურად ჩაერთო სხვა რეგიონულ ინიციატივებში, როგორცაა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის

<sup>3</sup> Makarychev, A., Yatsyk, A., Kakachia, K., Valiyev, A., & Ter-Matevosyan, V. (2014). The South Caucasus and the Ukraine Crisis. *Caucasus Analytical Digest*, 1-24.

<sup>4</sup> GUAM- დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია. შეიქმნა 1997 წელს საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანის და მოლდოვის პარტნიორობით.

ორგანიზაცია (BSEC). მოგვიანებით, როცა საქართველომ და უკრაინამ, შავი ზღვის ორმა სახელმწიფომ, განიცადა დემოკრატიული რევოლუციები, ორივემ თანდათან დაიწყო ევროკავშირის, NATO-სა და შეერთებული შტატების, როგორც უსაფრთხოების პარტნიორების მჭიდრო იდენტიფიკაცია. ევროინტეგრაციის პროცესში ამ ორი ქვეყნის დაწყვილების კულმინაცია 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება იყო, რომლის თანახმად, უკრაინა და საქართველო აუცილებლად გახდებოდნენ ალიანსის წევრები.<sup>5</sup> ეს მისწრაფება პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებზე გავლენის შენარჩუნებაში. გარდა ამისა, რუსეთი ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებას განიხილავს, როგორც მნიშვნელოვან საფრთხეს მისი ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

ისტორიულად, უკრაინა და საქართველო იყვნენ რუსეთის ბუფერული ზონის ნაწილი, რაც გადამწყვეტია მისი თავდაცვის სტრატეგიისთვის.<sup>6</sup> 2008 წლის რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, რასაც მოჰყვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო დამოუკიდებლობა, იყო მკვეთრი გაფრთხილება ნატო-ს ხელყოფის წინააღმდეგ.<sup>7</sup> ანალოგიურად, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია 2014 წელს და სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში 2022 წელს მიზნად ისახავდა უკრაინის ნატო-სა და ევროკავშირთან შეერთების თავიდან აცილებას.<sup>8</sup>

რუსეთის ტაქტიკა უკრაინასა და საქართველოში ცხადყოფს ამ ქვეყნების დესტაბილიზაციის უფრო ფართო სტრატეგიას მათი გავლენის სფეროში შენარჩუნების მიზნით. უკრაინაში რუსეთმა გამოიყენა როგორც კონვენციური, ისე ჰიბრიდული ომი - სამხედრო ძალის გამოყენება, კიბერშეტევები და დეზინფორმაციული კამპანიები შიდა არასტაბილურობის შესაქმნელად<sup>9</sup>. მსგავსი სტრატეგია აქვს რუსეთს საქართველოშიც, სადაც მიმდინარე ტერიტორიული კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არის ბერკეტი, რომელიც ხელს უშლის საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის ამბიციებს<sup>10</sup>.

საქართველოსთვის, უკრაინის ომმა გაამძაფრა მისი უსაფრთხოების შიშები, რაც ხაზს უსვამს ნატო-ში განწევრიანების გადაუდებელ აუცილებლობას, როგორც დამცავ ზომას. უკრაინასი მიმდინარე კონფლიქტი ხაზს უსვამს რუსული აგრესიის რისკებს, რაც ნატო-ს უსაფრთხოების გარანტიებს უფრო მიმზიდველს

---

<sup>5</sup> Honigstein, Michael. "Will Ukraine and Georgia Join NATO?" Interview by G. Nikoleishvili, April 13, 2023

<sup>6</sup> Hill, Fiona, and Clifford G. Gaddy. Mr. Putin: Operative in the Kremlin. Washington, DC: Brookings Institution Press, 2013.

<sup>7</sup> Gerrits, Andre W.M., and Max Bader. "Russian Patronage over Abkhazia and South Ossetia: Implications for Conflict Resolution." *East European Politics* 32, no. 3 (2016): 297-313. <https://doi.org/10.1080/21599165.2016.1166104>

<sup>8</sup> Sakwa, Richard. *Frontline Ukraine: Crisis in the Borderlands*. London: I.B. Tauris, 2015.

<sup>9</sup> Galeotti, Mark. *Russian Political War: Moving Beyond the Hybrid*. London: Routledge, 2019.

<sup>10</sup> Cohen, Ariel. "Russia's War Against Georgia: The Potential for Escalation." *Heritage Foundation Backgrounder*, no. 2179 (August 11, 2008): 1-9.

ხდის. თუმცა, საქართველოს გზა ნატო-ში განწევრიანებისკენ სავსეა გამოწვევებით.

ნატო-ს პასუხი უკრაინის ომზე იყო მისი პარტნიორობის გაძლიერება უკრაინასთან და საქართველოსთან, თუმცა სრულუფლებიანი წევრობის შეთავაზების გარეშე. ეს ფრთხილი მიდგომა მიზნად ისახავს ამ ქვეყნების სუვერენიტეტის მხარდაჭერას რუსეთთან პირდაპირი სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილებასთან ერთად.<sup>11</sup> გაძლიერებული სამხედრო თანამშრომლობა, წვრთნა და მხარდაჭერა ნატო-ს სტრატეგიის ნაწილია მათი თავდაცვის გასაძლიერებლად.

ამ დინამიკის უფრო ფართო შედეგები მნიშვნელოვანია ევროპის უსაფრთხოებისთვის. უკრაინისა და საქართველოს კონფლიქტები გავლენას ახდენს ნატო-ს თავდაცვის პოზიციაზე აღმოსავლეთ ევროპასა და შავი ზღვის რეგიონში. ნატო-ს გაზრდილი ყოფნა რეგიონში და შეკავების ზომები გამიზნულია მისი აღმოსავლელი წევრების უსაფრთხოების გაზრდისა და რუსეთის შემდგომი აგრესიის შესაჩერებლად.<sup>12</sup>

ამგვარად, რუსეთის ომი უკრაინაში და საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივები ღრმად არის გადაჭაჭვული. რუსეთის ქმედებები უკრაინაში საქართველოსთვის პრეცედენტი და გაფრთხილებაა, რაც აძლიერებს ნატო-ს როლის მნიშვნელობას რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. რაც შეეხება გეოპოლიტიკურ ურთიერთკავშირს, NATO-სთვის შავი ზღვის რეგიონი არის გეოგრაფიული ერთეული, სადაც არის ალიანსის წევრი სამი ქვეყანა - თურქეთი, ბულგარეთი და რუმინეთი, და ორი სტრატეგიული პარტნიორი - საქართველო და უკრაინა<sup>13</sup>. თუმცა, საქართველოსთვის ნატო-ში განწევრიანების გზა რთული რჩება რუსეთის სტრატეგიული გათვლების გავლენით. უკრაინის კონფლიქტის მოგვარება, სავარაუდოდ, ღრმა გავლენას მოახდენს საქართველოს უსაფრთხოების ლანდშაფტზე და მის მომავალზე ნატო-სთან ერთად, რაც ამ პროცესში ევროპული უსაფრთხოების უფრო ფართო დინამიკას აყალიბებს.

---

<sup>11</sup> Motyl, Alexander J. "The Surrealism of Realism: Misreading the War in Ukraine." *World Affairs* 177, no. 1 (2014): 75-84.

<sup>12</sup> Tsygankov, Andrei P. "Vladimir Putin's Last Stand: The Sources of Russia's Ukraine Policy." *Post-Soviet Affairs* 31, no. 4 (2015): 279-303. <https://doi.org/10.1080/1060586X.2015.1005903>

<sup>13</sup> Kutelia, B. (2023, May 17). Ukraine's NATO Integration and Implications on Georgia-NATO relationships. (G. Nikoleishvili, Interviewer)

# საქართველოს საგარეო სტრატეგიული

## კონცეფცია

2022 წელს, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ, საქართველოს საგარეო პოლიტიკა ინტენსიური ყურადღების ქვეშ მოექცა. ისტორიულად, საქართველო ცდილობდა დაემყარებინა უფრო მჭიდრო კავშირები დასავლეთთან, განსაკუთრებით ნატო-სა და ევროკავშირთან. თუმცა, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მიუთითებს საგარეო სტრატეგიული კონცეფციის ცვლილებაზე, რომელიც ართულებს მის ურთიერთობას ამ დასავლურ ინსტიტუტებთან.<sup>14</sup>

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკა გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი დაძაბულობით ხელისუფლებისა და საზოგადოებრივ განწყობებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცნების მთავრობამ მიიღო პოლიტიკა და რიტორიკა, რომელიც დასავლელი პარტნიორების შეფასებით, უფრო მჭიდროდ შეესაბამება რუსეთის ინტერესებს, ქართველი ხალხი აგრძელებს დასავლეთთან მჭიდრო კავშირების ადვოკატირებას. ეს განსხვავება წარმოადგენს კრიტიკულ გამოწვევას საქართველოს სამომავლო ტრანსფორმაციისთვის, განსაკუთრებით ნატო-სა და ევროკავშირში განწევრიანებისკენ მის სწრაფვაში. ნატო-მ და ევროკავშირმა გამოხატეს შეშფოთება საქართველოს ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებებისა და მათი შედეგების შესახებ დემოკრატიულ მმართველობასა და სამოქალაქო თავისუფლებებზე. წინსვლისას საქართველოს უნარს, გაუმკლავდეს ამ შიდა და გარე ზეწოლას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მისი ადგილის განსაზღვრაში ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში.

## მოლოდინი და რეალობა

როდესაც რუსეთი 2022 წელს შეიჭრა უკრაინაში, დასავლელი მოკავშირეები, საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში განწევრიანების დიდი ხნის სწრაფვის გათვალისწინებით, ელოდნენ ძლიერ და სოლიდურ პასუხს საქართველოსგან, რომელიც მჭიდროდ დაემთხვეოდა დასავლეთის კოლექტიურ პოზიციას. დასავლეთი ელოდა, რომ საქართველო შეუერთდებოდა რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებს, გამოხატავდა უკრაინისადმი ხმოვან და მატერიალურ მხარდაჭერას, გამოავლენდა დემოკრატიული ღირებულებებისა და კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპებისადმი მტკიცე ერთგულების დემონსტრირებას. ეს დამოკიდებულება გადამწყვეტად განიხილებოდა

<sup>14</sup> Honigstein, Michael. "Will Ukraine and Georgia Join NATO?" Interview by G. Nikoleishvili, April 13, 2023

საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის როლის დასამტკიცებლად რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურაში.<sup>15</sup>

პრაქტიკაში, საქართველოს რეაქცია უკრაინის კონფლიქტზე იმაზე ფრთხილი იყო, ვიდრე ამას დასავლეთი მოელოდა.<sup>16</sup> მმართველმა პარტიამ აირჩია არ მიეღო მონაწილეობა რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებში, ეკონომიკური დამოკიდებულებისა და ძლიერი მეზობლის გაღიზიანების პოტენციური რისკების მოტივით. ეს გადაწყვეტილება განიხილებოდა, როგორც რთული გეოპოლიტიკური ლანდშაფტის ნავიგაციის მცდელობა, რითაც შესაძლებელი იქნებოდა დასავლური მისწრაფებების დაბალანსება მისი გეოგრაფიული და ეკონომიკური მდგომარეობის რეალობასთან.<sup>17</sup>

შინაგანად საქართველოს ხელისუფლება მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. "უცხო ქვეყნის აგენტის" კანონის მიღებამ, რომელიც მიზნად ისახავს უცხოური დაფინანსების მიმღები ორგანიზაციების კონტროლს, ფართო კრიტიკა მოჰყვა დასავლელი მოკავშირეების მხრიდან და დასავლეთისგან, ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისგან. კანონი აღიქმება, როგორც რუსეთის ტაქტიკა სამოქალაქო საზოგადოების ჩასახშობად. ეს კანონი დასავლელ მოკავშირეებში კი განიხილება როგორც მნიშვნელოვანი უკუსვლა ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში.<sup>18</sup>

მიუხედავად ხელისუფლების ფრთხილი მიდგომისა, ქართველმა მოსახლეობამ გამოხატა ძლიერი მხარდაჭერა უკრაინის მიმართ, უამრავი საჯარო პროტესტითა და სოლიდარობის გამოვლინებით. პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ასევე გამოხატა მტკიცე მხარდაჭერა უკრაინის მიმართ, რამაც მკვეთრი კონტრასტი შექმნა მთავრობის ნეიტრალურ პოზიციასთან.<sup>19</sup> ეს განსხვავება განსაკუთრებით აშკარა იყო 2023 წლის ნატო-ს ვილნიუსის სამიტზე, სადაც ნატო-ს ლიდერებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს ერთობლივი თანადგომა უკრაინის მიმართ და გამოკვეთეს კოლექტიური უსაფრთხოების აუცილებლობა. სამიტმა ხაზი გაუსვა საქართველოს პოტენციურ როლს რეგიონულ სტაბილურობაში, მაგრამ ასევე ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს მხრიდან ნატო-ს დემოკრატიული ღირებულებებისა და უსაფრთხოების ვალდებულებების უფრო მჭიდრო კავშირების აუცილებლობა.<sup>20</sup>

---

<sup>15</sup> Atlantic Council. "Georgia's Path to NATO Membership." Atlantic Council. Accessed June 17, 2024. <https://www.atlanticcouncil.org>

<sup>16</sup> Honigstein, Michael. "Will Ukraine and Georgia Join NATO?" Interview by G. Nikoleishvili, April 13, 2023

<sup>17</sup> Amnesty International. "Georgia's Foreign Agent Law: A Threat to Democracy." Amnesty International. Accessed June 17, 2024. <https://www.amnesty.org>

<sup>18</sup> Human Rights Watch. "Impact of Georgia's Foreign Agent Law on Democracy." Human Rights Watch. Accessed June 17, 2024. <https://www.hrw.org>.

<sup>19</sup> National Democratic Institute. "Georgian Public Support for NATO and EU Membership." National Democratic Institute. Accessed June 17, 2024. <https://www.ndi.org>.

<sup>20</sup> NATO Vilnius Summit 2023. "NATO Vilnius Summit: Georgia's Role in Collective Security." NATO. Accessed June 17, 2024. [https://www.nato.int/cps/en/natohq/events\\_197545.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/events_197545.htm)

ამ მხრივ, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ევროსაბჭოს გადაწყვეტილება საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ 2023 წლის ბოლოს. ამ გადაწყვეტილებამ გამოხატა ევროკავშირის ინტერესი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესისადმი, მაგრამ, პირობა ცხადი იყო - თუ ქვეყანა დააკმაყოფილებდა შესაბამის პროგრესზე დაფუძნებულ პირობითობას.<sup>21</sup>

გარდა ამისა, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ განიხილა საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები, სადაც საუბარია საარჩევნო რეფორმებისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვაზე, რაც აუცილებელია რეგიონული სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის.<sup>22</sup> შავი ზღვის უსაფრთხოების კონფერენციაზე ასევე ხაზი გაესვა საქართველოს სტრატეგიულ მნიშვნელობას რუსეთის გავლენის დაძლევისა და რეგიონული სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, განიხილეს სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებისა და ეკონომიკური მდგრადობის საკითხიც.<sup>23</sup>

## ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივები

საქართველოს არაერთგვაროვან პასუხს უკრაინის ომზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივაზე. ნატო-ში განწევრიანება მოითხოვს მკაფიო ვალდებულებას დემოკრატიული მმართველობის, კოლექტიური უსაფრთხოებისა და დასავლურ პოლიტიკასთან შესაბამისობას. საქართველოს მთავრობის ამბივალენტურობამ, განსაკუთრებით რუსეთის წინააღმდეგ სანქციებთან დაკავშირებით და „უცხო აგენტის“ კანონის მიღებასთან დაკავშირებით, გააჩინა კითხვის ნიშნები მისი, როგორც ნატო-ს მოკავშირის მზადყოფნისა და საიმედოობის შესახებ.<sup>24</sup>

ნატო-ს ოფიციალურმა პირებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ნაბიჯები, რომლებიც იწვევს დემოკრატიული ინსტიტუტების უკუსვლას და რუსეთის ინტერესებს შეესაბამება, შეუთავსებელია ალიანსის ძირითად ღირებულებებთან. კანონი „უცხოური აგენტის“ შესახებ, აღნიშნულია, როგორც რეგრესია ნატო-ში ინტეგრაციის პროცესში, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას უქმნის საქართველოს მისწრაფებებს ნატო-სკენ.<sup>25</sup> მიუნხენის უსაფრთხოების

<sup>21</sup> European Union External Action. "EU Grants Candidate Status to Georgia." European Union External Action. Accessed June 17, 2024. <https://eeas.europa.eu>.

<sup>22</sup> OSCE. "OSCE Parliamentary Assembly's Recommendations for Georgia." OSCE. Accessed June 17, 2024. <https://www.osce.org>.

<sup>23</sup> Atlantic Council. "Georgia's Path to NATO Membership." Atlantic Council. Accessed June 17, 2024. <https://www.atlanticcouncil.org>.

<sup>24</sup> RAND Corporation. "Georgia's NATO Aspirations: Challenges and Strategic Importance." RAND Corporation. Accessed June 17, 2024. <https://www.rand.org>.

<sup>25</sup> Carnegie Endowment for International Peace. "Georgia's Strategic Dilemma: Balancing East and West." Carnegie Endowment for International Peace. Accessed June 17, 2024. <https://carnegieendowment.org>.

კონფერენციაზე დისკუსიებმა ასევე გააძლიერა ეს პოზიცია, საერთაშორისო ლიდერებმა ხაზგასმით აღნიშნეს დემოკრატიული ნორმების დაცვის მნიშვნელობა, როგორც უსაფრთხოების უფრო ღრმა თანამშრომლობის წინაპირობა.<sup>26</sup>

აღსანიშნავია, რომ დასაწყისში საქართველოს მთავრობამ მოახდინა მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული დახმარების მობილიზება და გაგზავნა დაახლოებით 140 ტონა მარაგი ომით დაზარალებული უკრაინელების დასახმარებლად. გარდა ამისა, საქართველომ მხარი დაუჭირა გაეროს რეზოლუციას, რომელიც გმობს რუსეთის აგრესიას და ხმა მისცა ევროპის საბჭოში რუსეთის წარმომადგენლობითი უფლებების შეჩერებაზე.<sup>27</sup> პირდაპირი დახმარების კუთხით, საქართველოს მთავრობამ 2022 წლის დეკემბერში უკრაინაში გაგზავნა 25 მაღალი სიმძლავრის გენერატორი, რომელიც ეხმარებოდა გადაუდებელ საჭიროებებს უკრაინის ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმების შემდეგ.<sup>28</sup> ამ კუთხით მნიშვნელოვანია, უვიზო რეჟიმის გახანგრძლივებაც უკრაინის მოქალაქეებისთვის ორ წლამდე და მათთვის ისეთი აუცილებელი სერვისების მიწოდებას, როგორცაა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჯანდაცვა და მუნიციპალური ობიექტების უფასო წვდომა.

თუმცა, არის გარკვეული შეუსაბამობები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ნატო-ს პოზიციასთან შეუთავსებლად. მაგალითად, საქართველო არ შეუერთდა დასავლეთის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, ასევე, შიდაპოლიტიკური არასტაბილურობა ან დემოკრატიული ინსტიტუტების ეროზია, მტკიცე დემოკრატიული პროცესების უზრუნველყოფის პრობლემა, გარდა ამისა, საქართველოს აქვს ნატო-ს მისიებში დიდი წვლილის შეტანის ისტორიის ფონზე, მისი ამჟამინდელი სამხედრო დახმარება უკრაინაში შეზღუდულია.<sup>29</sup> ეს ყველაფერი, ბოლო დროს ქვეყანაში მიმდინარე დაძაბული პოლიტიკურ პროცესებთან ერთად შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ნატო-ს კოლექტიური თავდაცვისა და ერთიანი რეაგირების პრინციპებთან სრულ თანხვედრაში ხარვეზი.<sup>30</sup> რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ერთიანი პოზიციის მოლოდინი ემყარება რწმენას, რომ ნატო-ს წევრებს უნდა ჰქონდეთ სურვილი ერთობლივად დაუპირისპირდნენ საერთო საფრთხეებს. საქართველოს თავშეკავება ამ მიდგომის სრულად ერთგულებისადმი აჩენს კითხვებს მის პოტენციურ როლზე ალიანსში და კოლექტიური უსაფრთხოების ძალისხმევაში ეფექტური წვლილის

<sup>26</sup> Munich Security Conference. "Georgia's Democratic Reforms and NATO Integration." Munich Security Conference. Accessed June 17, 2024. <https://securityconference.org>.

<sup>27</sup> Forbes Georgia. "18 Months of War - How Did Georgia Help Ukraine So Far." Forbes Georgia. Accessed June 22, 2024. <https://forbes.ge/18-months-of-war-how-did-georgia-help-ukraine-so-far>

<sup>28</sup> Forbes Georgia. "18 Months of War - How Did Georgia Help Ukraine So Far." Forbes Georgia. Accessed June 22, 2024. <https://forbes.ge/18-months-of-war-how-did-georgia-help-ukraine-so-far>

<sup>29</sup> Umland, Andreas. "How Europe Can Help Ukraine Defeat Russia and Win the Peace in 2023." Atlantic Council, January 17, 2023. <https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/how-europe-can-help-ukraine-defeat-russia-and-win-the-peace-in-2023/>

<sup>30</sup> Honigstein, Michael. "Will Ukraine and Georgia Join NATO?" Interview by G. Nikoleishvili, April 13, 2023

შეტანასთან დაკავშირებით.<sup>31</sup> აშშ-სა და ევროკავშირის მიერ ქართველი პოლიტიკოსების დასაწესიერებაც ამის ნაწილია.<sup>32</sup> ეს სანქციები, შეერთებული შტატების კონგრესმა საქართველოს მხარდაჭერის აქტის მიღებასთან ერთად გამოაცხადა, ცნობილი როგორც „მეგობრობის აქტი“, რომელიც ხაზს უსვამს საქართველოში რეფორმების გაგრძელების აუცილებლობას.<sup>33</sup> ნატო-ს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის ვიზიტმა საქართველოში 2024 წლის მარტში ასევე ხაზი გაუსვა ნატო-სა და საქართველოს შორის მიმდინარე მხარდაჭერასა და თანამშრომლობას. ვიზიტის დროს სტოლტენბერგმა აღნიშნა ნატო-ში საქართველოს წვლილის მნიშვნელობა და დემოკრატიული რეფორმების გაგრძელების აუცილებლობა, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების გზას.<sup>34</sup>

## დასკვნა

ამგვარად, რუსეთის ომი უკრაინაში და საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივები ღრმად არის გადაჭაჭვული. რუსეთის ქმედებები უკრაინაში საქართველოსთვის პრეცედენტი და გაფრთხილებაა, რაც აძლიერებს ნატო-ს როლის მნიშვნელობას რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, NATO-სთვის შავი ზღვის რეგიონი არის უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული ერთეული, სადაც არის ალიანსის წევრი სამი ქვეყანა - თურქეთი, ბულგარეთი და რუმინეთი, და ორი სტრატეგიული პარტნიორი - საქართველო და უკრაინა, შესაბამისად ამ ორი პარტნიორის შეერთებაც მისთვის გადამწყვეტი ფაქტორია.<sup>35</sup> თუმცა, საქართველოსთვის ნატო-ში გაწევრიანების გზა რთული რჩება.

დასავლეთის მოლოდინებსა და უკრაინის ომზე საქართველოს რეალურ რეაქციას შორის განსხვავება ხაზს უსვამს მნიშვნელოვან გამოწვევებს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული საზოგადოება მტკიცედ აფიქსირებს სწრაფვას ევროპისკენ, მთავრობის ფრთხილი და ზოგჯერ წინააღმდეგობრივი პოზიცია, რომელიც მათი შეფასებით მშვიდობისა და სტაბილურობის მომტანია, ართულებს მის გზას ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ. დღესდღეობით, ევროპაში, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ნატო არის რეალური მშვიდობის გარანტი და

<sup>31</sup> Center for Strategic and International Studies. "Georgia's Role in NATO and EU Integration." Center for Strategic and International Studies. Accessed June 17, 2024. <https://www.csis.org>.

<sup>32</sup> US Congress. "Georgia Support Act: U.S. Legislative Support for Georgia." US Congress. Accessed June 17, 2024. <https://www.congress.gov>.

<sup>33</sup> US Department of State. "US Sanctions on Georgian Officials and Support for Democracy." US Department of State. Accessed June 17, 2024. <https://www.state.gov>.

<sup>34</sup> VOA News. "NATO Chief Visits Georgia to Discuss Cooperation, Path to Membership." VOA News. Accessed June 17, 2024. <https://www.voanews.com>.



უსაფრთხოების ქოლგა. იმისათვის, რომ საქართველომ წინ წაიწიოს ნატო-ში ნტევრაციის პროცესში, მან უფრო მჭიდროდ უნდა შეუსაბამოს თავისი პოლიტიკა დასავლურ მოლოდინებს, აჩვენოს მკაფიო და ურყევი ერთგულება დემოკრატიული ღირებულებებისა და კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპების მიმართ. ასეთი საგარეო სტრატეგიული კონცეფცია შეესაბამება ნატო-ს პრინციპებს და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საკუთარი სუვერენიტეტისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, არამედ რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების ჩარჩოებში ეფექტური წვლილისთვისაც.

## ბიბლიოგრაფია

- Atlantic Council. "Georgia's Path to NATO Membership." Atlantic Council. Accessed June 17, 2024. <https://www.atlanticcouncil.org>
- Amnesty International. "Georgia's Foreign Agent Law: A Threat to Democracy." Amnesty International. Accessed June 17, 2024. <https://www.amnesty.org>
- Carnegie Europe. "Georgia's Foreign Policy Shift and Its NATO Aspirations." Carnegie Europe. Accessed June 17, 2024. <https://carnegieeurope.eu>
- Carnegie Endowment for International Peace. "Georgia's Strategic Dilemma: Balancing East and West." Carnegie Endowment for International Peace. Accessed June 17, 2024. <https://carnegieendowment.org>
- Center for Strategic and International Studies. "Georgia's Role in NATO and EU Integration." Center for Strategic and International Studies. Accessed June 17, 2024. <https://www.csis.org>
- European Council on Foreign Relations. "Georgia's EU Candidate Status: Conditionality and Reform." European Council on Foreign Relations. Accessed June 17, 2024. <https://www.ecfr.eu>
- European Union External Action. "EU Grants Candidate Status to Georgia." European Union External Action. Accessed June 17, 2024. <https://eeas.europa.eu>
- Foreign Policy Research Institute. "Georgia's Path to Integration: Challenges and Opportunities." Foreign Policy Research Institute. Accessed June 17, 2024. <https://www.fpri.org>
- Honigstein, Michael. "Will Ukraine and Georgia Join NATO?" Interview by G. Nikoleishvili, April 13, 2023
- Dubovyk, V. "Ukraine and Georgia: How Much of a Common Fate?" Georgian Institute of Politics, 2016.
- Tkeshelashvili, I. "Georgia's and Ukraine's Cooperation With NATO: Past, Status Quo and Future Perspective." Journal in Historical & Political Sciences 2022: 100-112.
- Human Rights Watch. "Impact of Georgia's Foreign Agent Law on Democracy." Human Rights Watch. Accessed June 17, 2024. <https://www.hrw.org>
- International Republican Institute. "Public Opinion in Georgia: Support for Ukraine." International Republican Institute. Accessed June 17, 2024. <https://www.iri.org>
- National Democratic Institute. "Georgian Public Support for NATO and EU Membership." National Democratic Institute. Accessed June 17, 2024. <https://www.ndi.org>
- NATO. "NATO's Support for Georgia's Sovereignty and Integration." NATO. Accessed June 17, 2024. <https://www.nato.int>
- NATO Vilnius Summit 2023. "NATO Vilnius Summit: Georgia's Role in Collective Security." NATO. Accessed June 17, 2024. [https://www.nato.int/cps/en/natohq/events\\_197545.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/events_197545.htm)

- Munich Security Conference. "Georgia's Democratic Reforms and NATO Integration." Munich Security Conference. Accessed June 17, 2024. <https://securityconference.org>
- OSCE. "OSCE Parliamentary Assembly's Recommendations for Georgia." OSCE. Accessed June 17, 2024. <https://www.osce.org>
- RAND Corporation. "Georgia's NATO Aspirations: Challenges and Strategic Importance." RAND Corporation. Accessed June 17, 2024. <https://www.rand.org>
- US Congress. "Georgia Support Act: U.S. Legislative Support for Georgia." US Congress. Accessed June 17, 2024. <https://www.congress.gov>
- US Department of State. "US Sanctions on Georgian Officials and Support for Democracy." US Department of State. Accessed June 17, 2024. <https://www.state.gov>.
- Umland, Andreas. "How Europe Can Help Ukraine Defeat Russia and Win the Peace in 2023." Atlantic Council, January 17, 2023. <https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/how-europe-can-help-ukraine-defeat-russia-and-win-the-peace-in-2023/>
- Vergun, David. "Georgia Scheduled for More U.S. Military Assistance." U.S. Department of Defense, February 9, 2023. <https://www.defense.gov/News/News-Stories/Article/Article/3294179/georgia-scheduled-for-more-us-military-assistance>
- White House. "Joint Statement Following the Meeting Between President Biden and President Macron." White House. Accessed June 17, 2024. <https://www.whitehouse.gov>
- Seymour Tribune. "Biden to Make His First State Visit to France After Attending D-Day 80th Commemorations." Seymour Tribune. Accessed June 17, 2024. <https://www.tribtown.com>.
- VOA News. "NATO Chief Visits Georgia to Discuss Cooperation, Path to Membership." VOA News. Accessed June 17, 2024. <https://www.voanews.com>



სტრატეგიის და განვითარების ცენტრი  
CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

# აღიანსი და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ

ავტორი: ლიკა კობეჯავიძე



This project is supported by  
NATO's Public Diplomacy Division

## შესავალი

დასავლური პოლიტიკის შემმუშავებლების მხრიდან დიდი ხნით მივიწყებული შავი ზღვის ფართო რეგიონი ცოტა ხნის წინ ევროპის და მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა, როგორც ევროპის ყველაზე არამდგრადი ნაწილი, რომელიც ცივი ომის შემდგომ ევროპის უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს.

ისტორიის მანძილზე, შავი ზღვა და შავი ზღვის რეგიონი არასდროს ყოფილა მჭიდრო თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ოაზისი. საუკუნეების მანძილზე, შავი ზღვის უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორი რუსულ და ოსმალურ იმპერიებს შორის დაპირისპირება იყო და ეს დაპირისპირება ხშირად დაძაბულ ფაზაში გადადიოდა.

2008 წლის ომმა რეგიონის მყიფე უსაფრთხოების არქიტექტურა დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა, 2014 წელს ყირიმის ანექსიამ ეს არქიტექტურა პრაქტიკულად მოშალა, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესიის დაწყებიდან კი შავი ზღვა სამხედრო დაპირისპირების თეატრად იქცა. ამასთან ერთად, უკრაინაში რუსეთის შეჭრა შემობრუნების ის წერტილია, რომელმაც ნატოს წევრ ქვეყნებსა და რუსეთს შორის ღრმა ბზარი გააჩინა და რომლითაც გაძლიერებული კონკურენციისა და მტრობის ახალი ერა დაიწყო. კონფლიქტი არა მხოლოდ ხაზს უსვამს რუსეთის აგრესიულ პოზიციას, არამედ შავი ზღვის, როგორც გეოპოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის სტრატეგიულ მნიშვნელობას. ევროპის ცენტრალური აზიის ენერგორესურსებთან და აზიის ბაზრებთან დაკავშირების პოტენციალით, შავი ზღვის რეგიონი მნიშვნელოვანია, როგორც ეკონომიკური სტაბილურობისთვის, ასევე უსაფრთხოებისთვის.

შესაბამისად, საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორ იმოქმედა რუსეთის უკრაინაში შეჭრამ ნატოს უსაფრთხოების სტრატეგიებზე შავი ზღვის რეგიონში და რა ზომები უნდა მიიღოს ალიანსმა, რათა უზრუნველყოს რეგიონალური სტაბილურობა და რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ეფექტიანი ზომების მიღება?

კვლევაში მიმოხილულია რეგიონის მნიშვნელობა ისტორიის მანძილზე და ნატოს ქმედებები მის მხარდასაჭერად. ასევე, ნაშრომი ხაზს უსვამს შავი ზღვის რეგიონის მიმდინარე გამოწვევებსა და დასავლეთის განახლებული სტრატეგიის აუცილებლობას, რათა გააძლიეროს მისი როლი და გავლენა ამ კრიტიკულ სფეროში. ასევე, აღნიშნულია, რომ რუსეთის ეფექტურად შესაკავებლად დასავლეთმა უნდა მიიღოს ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც აერთიანებს სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ განზომილებებს.

## შავი ზღვის რეგიონის “ჩაკეტილი” ბუნება

შავი ზღვის რეგიონი ისტორიულად გეოპოლიტიკური დაპირისპირების ზონა იყო. მისი სტრატეგიული მნიშვნელობა მდგომარეობს მის როლში, როგორც ხიდი ევროპასა და აზიას შორის და განსაზღვრავს მის წვდომას გადამწყვეტ საზღვაო მარშრუტებზე. რეგიონი იყო რამდენიმე კონფლიქტისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლის ეპიცენტრი განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიის და საბჭოთა კავშირის მონაწილეობით. საბჭოთა კავშირის დაშლამ 1991 წელს და შემდგომში შავი ზღვის ქვეყნების, როგორცაა უკრაინა და საქართველო დამოუკიდებლობამ, ხელახლა განსაზღვრა რეგიონული ძალაუფლების დინამიკა.<sup>1</sup>

შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე საქართველო ერთ-ერთი წამყვანი სატრანზიტო ქვეყანაა, რომელიც ევროპას ცენტრალური აზიის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აღმოსავლეთის ბაზრებსა და ენერგორესურსებთან აკავშირებს და რომელსაც აქვს შესაძლებლობა, იყოს სტაბილურობის და დემოკრატიის მნიშვნელოვანი ცენტრი სამხრეთ კავკასიის არამდგრად რეგიონში. ენერგორესურსებით მდიდარი აზერბაიჯანი სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპას ალტერნატიული ენერგორესურსებით უზრუნველყოფს, რომლებითაც შესაძლებელია ენერგორესურსებზე ევროპის მოთხოვნაში იმ დანაკლისის ნაწილობრივ შევსება, რომელიც ევროკავშირ-რუსეთის ენერგოკრიზისის შედეგად წარმოიშვა. ბუნებრივია, სამივე ქვეყანა დაინტერესებულია მიიღოს მეტი ეკონომიკური და სატრანზიტო სარგებელი შავი ზღვის სტაბილური და უსაფრთხო სარტყლის შექმნის გზით. ამ სამ ქვეყანას შორის გაძლიერებული კოორდინაციის და თანამშრომლობის მექანიზმების ჩამოყალიბება მეტ სტაბილურობას, უსაფრთხოებას, კეთილდღეობას, ეკონომიკურ განვითარებასა და კომუნიკაციას მოიტანს შავი ზღვის რეგიონსა და მის შემოგარენში.<sup>2</sup>

შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურას დიდწილად განსაზღვრავს მისი ჩაკეტილობა. ეს “თვისება” შავმა ზღვამ 1936 წელს, ე.წ. მონტროს კონვენციის ხელმოწერის შედეგად შეიძინა. კონვენცია აწესებს თურქეთის სუვერენიტეტს სრუტეებზე, ზღუდავს როგორც გარე სახელმწიფოების, ასევე შავი ზღვის აუზის 4 ქვეყნის სამოქალაქო და სამხედრო გემებს და აწესებს სპეციალურ რეჟიმს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გავლაზე. თუმცა, ცივი ომის შემდგომ

---

<sup>1</sup> Minzarari, Dumitru . "How Can NATO Improve Its Security Strategy in the Black Sea?" *LSE*, (2024). Accessed December 6, 2024. <https://blogs.lse.ac.uk/crp/2024/06/12/how-can-nato-improve-its-security-strategy-in-the-black-sea/>.

<sup>2</sup> Emmott, Robin . "The Geostrategic Importance of the Black Sea Region: A Brief History." *Center for Strategic Studies*, (2024). <https://www.csis.org/analysis/geostrategic-importance-black-sea-region-brief-history>.

ეპოქაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ვარშავის პაქტისა და საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია მთელი რიგი კონფლიქტები.<sup>3</sup>

რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა მნიშვნელოვნად გააუარესა უსაფრთხოების გარემო შავი ზღვის რეგიონში. აფხაზეთის ოკუპაციის, ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინის რეგიონების დაკავების მთავარ მიზანს წარმოადგენს რუსეთის სამხედრო ძალის გაძლიერება აღნიშნულ ტერიტორიებზე და მისი გავლენის სფეროების გაფართოება არა მარტო შავ ზღვაზე, არამედ მთლიანად ახლო აღმოსავლეთში, რაც სირიაში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა. ყირიმი, დნესტრისპირეთი, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთმა უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილ უზარმაზარ სამხედრო ბაზებზე გადააქცია, გააფართოვა კონტროლი შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლზე, რითაც თავის სასარგებლოდ შეცვალა ძალთა ბალანსი შავი ზღვის რეგიონში.<sup>4</sup>

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისტორიის მანძილზე, ნატოს რეაქცია ამ მოვლენებზე გარკვეულწილად, არათანაბარი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი რესურსები და ყურადღება ბალტიის რეგიონისკენ იყო მიმართული, შავ ზღვას არ მიუღია ექვივალენტური ყურადღება. ეს დისბალანსი ნაწილობრივ განპირობებულია ნატოს მოკავშირეების განსხვავებული შეხედულებებით შავი ზღვის საუკეთესო სტრატეგიული მიდგომის შესახებ. მიუხედავად ამისა, 2022 წელს უკრაინაში შეჭრამ გამოიწვია გადაფასება, რამაც განსაზღვრა ახალი ინიციატივები, როგორცაა მრავალეროვნული ბატალიონების შექმნა ბულგარეთსა და რუმინეთში რეგიონული თავდაცვის გასაძლიერებლად.<sup>5</sup>

## **ნატოს ნაბიჯები უსაფრთხოების შესანარჩუნებლად რუსეთ-უკრაინის ომამდე**

ნატო, როგორც ევროატლანტიკური არეალის უსაფრთხოების მთავარი გარანტორი და ევროკავშირი, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველმყოფელი, ცდილობენ გააძლიერონ თავისი გავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე, რათა ისინი გახადონ სტაბილურები და ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოები. აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს ნატოს მიერ საქართველოსა და უკრაინის აღიარება ასპირანტ ქვეყნებად 2008 წლის

<sup>3</sup> "The 1945 Turkish-Soviet Crisis." Russia in Global Affairs. Russia in Global Affairs, April 20, 2020. <https://eng.globalaffairs.ru/articles/1945-turkish-soviet-crisis/>.

<sup>4</sup> Luke Coffey and Can Kasapoğlu, "A New Black Sea Strategy for a New Black Sea Reality," Hudson, October 9, 2023, <https://www.hudson.org/foreign-policy/new-black-sea-strategy-new-black-sea-reality>.

<sup>5</sup> LANCASTER, Lord Mark . "TROUBLED WATERS – HOW RUSSIA'S WAR IN UKRAINE CHANGES BLACK SEA SECURITY." *Defence and Security Committee*, (2023): 1-2. Accessed October 7, 2023..

ბუქარესტის სამიტზე. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, ძალზე გააქტიურდა ნატოს წევრი სახელმწიფოების სამხედრო ხომალდების ვიზიტები შავიზღვისპირეთის ქვეყნების პორტებში. საფიქრებელია, რომ საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, ნატოსა და ევროკავშირის ფრთხილი და თანმიმდევრული პოლიტიკის არსს წარმოადგენს, გამოიყენონ ე.წ. „შესაძლებლობების ფანჯარა“ გადამწყვეტი ნაბიჯების გადასადგმელად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადანყვეტილების მიღების უსაზღვროდ განვლვა ხელს უწყობს მონინააღმდეგე მხარის (ამ შემთხვევაში რუსეთის) გავლენის ზრდას რეგიონში და მისი პოზიციების გამყარებას. ასევე, ნეგატიურად მოქმედებს ნატოსა და ევროკავშირის იმიჯზე უკრაინასა და საქართველოში, ხოლო ევროკავშირის შემთხვევაში თურქეთშიც შეინიშნება იმედგაცრუება.<sup>6</sup>

შავი ზღვის რეგიონში 2014 წლიდან განვითარებული მოვლენების საპასუხოდ, ნატო-მ ევროატლანტიკური უსაფრთხოების მთავარ გამონწვევად რუსეთი დაასახელა და აღმოსავლეთ ფლანგზე მისი „შეკავების პოლიტიკა“ გააქტიურა. ამის შედეგად, შავ ზღვის რეგიონში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო წარმომადგენლობა გაიზარდა.

2016 წლის ივლისში, ვარშავის სამიტზე, მოკავშირეთა ლიდერები ალიანსის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგზე სამხედრო კომპონენტის გაძლიერებაზე შეთანხმდნენ. ამის შედეგად, შავი ზღვის რეგიონში სამხედრო კომპონენტი, Tailored Forward Presence (TFP), ხოლო ესტონეთში, ლატვიაში, ლიეტუვასა და პოლონეთში – Enhanced Forward Presence-EFP შეიქმნა. რის საფუძველზეც ოთხი მრავალეროვნული ბატალიონის ზომის საბრძოლო ჯგუფი ჩამოყალიბდა და რუსეთის საფრთხის შესაკავებლად ისინი ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთში დაფუძნდა. TFP-ის ფარგლებში ნატო-ს ჩართულობა საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო კომპონენტით განისაზღვრა, მათი სახმელეთო მიმართულების შტაბ-ბინა რუმინეთში (ქ. კრაიოვა) მდებარეობს და ბრიგადის ფორმატის მრავალეროვნულ ძალებს აერთიანებს.<sup>7</sup>

2017 წელს, ბუქარესტში, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე მიღებულ იქნა გერმანელი დეპუტატის, ულა შმიდტის ინიციატივა – „სტაბილურობა და უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“. დოკუმენტში ხაზგასმულია რუსეთის შეკავების აუცილებლობა, შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურის განმტკიცება და ამ პროცესში საქართველოსა და უკრაინის განსაკუთრებული როლი. შედეგად, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა შავ ზღვაზე სამხედრო ალიანსის ხომალდების რაოდენობის გაზრდა დააანონსა. წლების განმავლობაში, ნატო-ს ორი მუდმივ მოქმედი საზღვაო შენაერთიდან (SNGM)

<sup>6</sup> LANCASTER, Lord Mark . "TROUBLED WATERS – HOW RUSSIA'S WAR IN UKRAINE CHANGES BLACK SEA SECURITY." *Defence and Security Committee*, (2023): 2-4. Accessed October 7, 2023..

<sup>7</sup> LANCASTER, Lord Mark . "TROUBLED WATERS – HOW RUSSIA'S WAR IN UKRAINE CHANGES BLACK SEA SECURITY." *Defence and Security Committee*, (2023): 4-6. Accessed October 7, 2023.



ერთ-ერთი შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში პატრულირებაზეა პასუხისმგებელი. სამწუხაროა იმის აღიარება, რომ ნატოს ქმედებების მიუხედავად რუსეთის აგრესული პოლიტიკა არ შენელებულა, თუმცა მის პარალელურად, ნატო-ს მიერ ასპირანტი ქვეყნების პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერა გაიზარდა. ამ მხრივ აღსანიშნავია, საქართველოსა და უკრაინისთვის 2020 წელს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, „მხარდაჭერის ახალი პაკეტის“ შეთავაზება და ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება.<sup>8</sup>

## მარცვლეულის შეთანხმება და თურქეთის როლი

შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს საზღვაო ვაჭრობას. მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაიწყო ღია აგრესია უკრაინის წინააღმდეგ და მოახდინა მისი პორტების ბლოკირება, უკრაინული მარცვლეულისა და საკვები პროდუქტების დიდი ნაწილი ექსპორტზე ვერ გავიდა. ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით შეიქმნა შავი ზღვის მარცვლეულის ინიციატივა, რომელიც 2022 წლის ივნისში თურქეთისა და გაეროს შუამავლობით გაფორმდა. დოკუმენტის ხელმოწერით, რუსეთმა უკრაინის შავ ზღვაში არსებული პორტებიდან მარცვლეულის უსაფრთხო ექსპორტის უზრუნველყოფის ვალდებულება აიღო. თუმცა 2023 წლის 17 ივლისს შეთანხმების მოქმედების ვადა ამოიწურა, რუსეთმა კი ამ ვადის და შესაბამისად, შეთანხმების გაგრძელებაზე უარი განაცხადა. შეთანხმების გაგრძელებაზე უარის თქმის მიზეზი მოსკოვის მიერ ხშირად გაუღებელი პრეტენზიაა, რომ ინიციატივის მოქმედების ფარგლებში რუსეთის არცერთი პირობა არ შესრულებულა.<sup>9</sup>

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ არსებულ დასავლურ სანქციებს დღემდე არ შეერთებია. უფრო მეტიც, ომის დაწყების შემდეგ თურქეთსა და რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა უფრო გაძლიერდა. კერძოდ, თუ 2021 წელს ანკარასა და მოსკოვს შორის სავაჭრო ბრუნვა \$34.73 მლრდ იყო, 2022 წელს მან \$68.19 მლრდ შეადგინა. გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რუსეთი თავისი იარაღის, აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალის დამზადებისთვის აუცილებელი კომპონენტების შესყიდვას სწორედ თურქეთში არსებული კომპანიების მეშვეობით ახერხებს.<sup>10</sup>

<sup>8</sup> გვენეტაძე, ნათია. "შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება და ნატო." საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. NATO, March 1, 2024. <https://doi.org/>

<sup>9</sup> Putin, V. "Nothing was done for Russia as part of the grain deal", Ria Novosti, July 13, 2023. **РИА Новости**. <https://ria.ru/20230713/putin1884066085.html>.

<sup>10</sup> "The Supply Chain That Keeps Tech Flowing to Russia," Reuters, December 13, 2022, <https://www.reuters.com/investigates/specialreport/ukraine-crisis-russia-tech-middlemen/>.

# ნატოს ქმედებები რეგიონში ბალანსის შესანარჩუნებლად

ომის შემდგომ, რეგიონული თანამშრომლობა და მრავალმხრივი ინიციატივები გადამწყვეტი გახდა შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გამოწვევების გადასაჭრელად. ეს ინიციატივები არა მხოლოდ მიზნად ისახავს თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებას, არამედ ეკონომიკური სტაბილურობისა და პოლიტიკური მდგრადობის ხელშეწყობას წევრ და პარტნიორ ქვეყნებს შორის. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC), რომელიც მოიცავს 12 წევრ სახელმწიფოს, წარმოადგენს რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის ქვაკუთხედს. თავდაპირველად, ეკონომიკურ ინტეგრაციაზე ორიენტირებული BSEC-მა გააფართოვა თავისი უფლებამოსილება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად განვითარების ხელშეწყობისა და რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების გზით. დიდი აქცენტი ეკონომიკურ კეთილდღეობაზე და რეგიონულ სტაბილურობაზე აყალიბებს BSEC-ს, როგორც ნატოსა და ევროკავშირის შემავსებელ პარტნიორს, გვთავაზობს ნიუანსირებულ მიდგომას რუსული აგრესიით გამოწვეული მრავალმხრივი გამოწვევების გადასაჭრელად.<sup>11</sup>

სამხედრო თვალსაზრისით, ნატოს წევრებმა უკრაინას მოწინავე შეიარაღება მიაწოდეს. დახმარება მოიცავდა აუცილებელ ნივთებს, როგორცაა ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები, დრონები და დახვეწილი საჰაერო თავდაცვის სისტემები. შეერთებულმა შტატებმა და გაერთიანებულმა სამეფომ, სხვა მოკავშირეებთან ერთად, გადამწყვეტი როლი შეასრულეს ამ მაღალტექნოლოგიური სამხედრო აღჭურვილობის უზრუნველყოფაში, მნიშვნელოვნად გაზარდეს უკრაინის თავდაცვითი შესაძლებლობები და საშუალება მისცეს მას ეფექტურად შეინააღდეგებოდა რუსეთის წინსვლას.<sup>12</sup>

გარდა ამისა, ნატო-მ გაზარდა თავდაცვის ხარჯები და მზადყოფნა წევრ ქვეყნებში, რაც უზრუნველყოფდა მათ მზადყოფნას კონფლიქტის წინაშე. ეს სტრატეგიული გაძლიერება მოიცავს დამატებითი ჯარების განლაგებას და ერთობლივ სამხედრო წვრთნებს აღმოსავლეთ ევროპაში.<sup>13</sup>

ჰუმანიტარულ ფრონტზე, ნატოს მოკავშირეებმა კოორდინაცია გაუწიეს არსებით დახმარებას მილიონობით დევნილი უკრაინელისა და ომის შედეგად

<sup>11</sup> Asmus, Ronald D. *A Little War That Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West*. New York: Palgrave Macmillan, 2010.

<sup>12</sup> "NATO Agrees Strong Package for Ukraine, Boosts Deterrence and Defence." North Atlantic Treaty Organization. July 11, 2023. [https://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_217059.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/news_217059.htm).

<sup>13</sup> Logan, Justin, and Joshua Shiffrin. "Time for NATO to Take the Lead in Ukraine." *Foreign Affairs*. July 4, 2023. <https://www.foreignaffairs.com/united-states/dont-let-ukraine-join-nato>.

დაზარალებულთა დასახმარებლად. ეს დახმარება მოიცავს სამედიცინო მარაგს, საკვებსა და თავშესაფარს, რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სასწრაფო საჭიროებებს. რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები იყო ნატოს სტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის ეკონომიკის დაზიანებას და მასზე ზეწოლას საომარი მოქმედებების შეწყვეტისთვის.<sup>14</sup>

ეს ყოვლისმომცველი მხარდაჭერის პაკეტი ხაზს უსვამს ნატოს სტრატეგიულ გადასვლას უფრო პროაქტიული და თანმიმდევრული მიდგომისკენ, რაც შორდება კონფლიქტის პირველ დღეებში დანახული რეაქტიულ პოზიციას. მდგრადი და მრავალმხრივი დახმარების განვითარებით, ნატო არა მხოლოდ აძლიერებს უკრაინის უნარს დაიცვას საკუთარი თავი, არამედ აძლიერებს უსაფრთხოების უფრო ფართო ჩარჩოს ევროპაში, რაც ხაზს უსვამს ალიანსის მუდმივ ერთგულებას რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მიმართ.

რეალურად თუ ვიმსჯელებთ, უკრაინაში რუსეთის უკანანო სამხედრო შეჭრამ არა მხოლოდ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გარემო შეცვალა, არამედ მთლიანად ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის გადახედვა გამოიწვია. ალიანსის გაფართოებასთან ერთად, შავი ზღვის რეგიონი გადაიქცა ევროატლანტიკური უსაფრთხოების პროცესების ეპიცენტრად.

2022 წლის ივნისში, ნატოს მადრიდის სამიტზე, მოკავშირეებმა მიიღეს ახალი, რიგით მერვე სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს ალიანსის განვითარების მიმართულებებს მომდევნო ათწლეულის განმავლობაში. დოკუმენტი შედგება 49 პარაგრაფისგან და მის მნიშვნელოვან ნაწილში განხილულია ალიანსის წინაშე მდგარი უსაფრთხოების გამოწვევები. დოკუმენტში ორი მთავარი საფრთხე განსაკუთრებულად არის გამოკვეთილი: რუსეთი და ტერორიზმი. რუსეთი შეფასებულია, როგორც "ყველაზე მნიშვნელოვანი და პირდაპირი საფრთხე მოკავშირეების უსაფრთხოებისა და ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის". მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ კრემლის მტრული ქმედებებისა და პოლიტიკის ფონზე, რუსეთი არ შეიძლება აღიქმებოდეს პარტნიორად. რუსეთთან სამომავლო ურთიერთობებში რაიმე ცვლილება დამოკიდებული იქნება აგრესიული ნაბიჯების შეწყვეტასა და საერთაშორისო სამართლის ნორმების სრულ პატივისცემაზე.<sup>15</sup>

<sup>14</sup> Logan, Justin, and Joshua Shiffrin. "Why NATO Needs Ukraine." *Foreign Affairs*. July 4, 2023. <https://www.foreignaffairs.com/ukraine/why-nato-needs-ukraine>.

<sup>15</sup> "ნატოს იდენტობა და გაფართოების პოლიტიკა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე." *ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი*. <https://di.gov.ge/publications/analytical-collection/natos-identoba-da-gafarhoebis-politika-ruseth-ukrainis-omis-fonze/>.

## ახალი სტრატეგიის აუცილებლობა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების შესანარჩუნებლად

წინსვლისთვის საჭიროა ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რათა შავი ზღვა სამხედრო კონკურენციის თეატრიდან ეკონომიკური თანამშრომლობის კერად გარდაიქმნას. ეკონომიკურ ინტეგრაციასა და კულტურულ გაცვლაზე ხაზგასმამ შეიძლება შეამსუბუქოს დაძაბულობა და ხელი შეუწყოს სტაბილურობას. პლატფორმები, როგორცაა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC), გვთავაზობს შესაძლებლობას, გააძლიეროს რეგიონული კავშირები და ხელი შეუწყოს საერთო კეთილდღეობას.

რუსეთის გავლენის ეფექტურად შესაკავებლად დასავლეთის ჩართულობა ყოვლისმომცველი უნდა იყოს. სამხედრო თვალსაზრისით, ეს გულისხმობს ნატოს მზადყოფნის გაზრდას, მოწინავე თავდაცვის სისტემების განლაგებას და წვრთნების გახშირებას. ეკონომიკურად, შავი ზღვის, როგორც სავაჭრო დერეფნის როლის გამოყენებამ, შეიძლება გააძლიეროს მდგრადობა და შეამციროს კონფლიქტები.

რეალურად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთმა უკან დაიხიოს. შესაბამისად, დასავლეთის მდგრადი ვალდებულება გადამწყვეტია, რომელიც მხარს უჭერს უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას სუვერენიტეტსა და ეკონომიკურ განვითარებას. მათი თავდაცვისა და ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერებით, ნატოს შეუძლია დაიცვას შავი ზღვის რეგიონი გარე ზეწოლისგან და ხელი შეუწყოს სტაბილურ-თანამშრომლობით გარემოს. ნატოს ახალი სტრატეგია უნდა სცილდებოდეს იმ რეაქტიულ პოზას, რომელიც ახასიათებდა მას ცივი ომის შემდეგ. ამ სტრატეგიის არსი მდგომარეობს პროაქტიულ ჩართულობაში, სამხედრო ყოფნის გაძლიერებაში, რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებასა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობაში რუსეთის გავლენის ეფექტიანად დასაპირისპირებლად. ნატო უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს ფოკუსირებული უკრაინის მცდელობების მხარდაჭერაზე ყირიმზე კონტროლის აღსადგენად. ეს არის გადამწყვეტი როლი, რადგან ის უგულებელყოფს რუსეთის მხრიდან ტერიტორიის გამოყენების შესაძლებლობებს, რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს მის სტრატეგიულ პოზიციებს შავ ზღვაში.<sup>16</sup>

რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება ამ სტრატეგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ნატო მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს რეგიონალურ ორგანიზაციებთან, როგორცაა შავი ზღვის ეკონომიკური

<sup>16</sup> Minzarari, Dumitru . "How Can NATO Improve Its Security Strategy in the Black Sea?" *LSE*, (2024). Accessed December 6, 2024. <https://blogs.lse.ac.uk/crp/2024/06/12/how-can-nato-improve-its-security-strategy-in-the-black-sea/>.

თანამშრომლობა (BSEC), შავი ზღვის ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირებისა და უსაფრთხოების თანამშრომლობის გასაძლიერებლად. ეს მოიცავს არა მხოლოდ სამხედრო თანამშრომლობას, არამედ ორგანიზებულ დანაშაულთან, ტერორიზმთან და უსაფრთხოების სხვა საფრთხეებთან ბრძოლის ინიციატივებს. შეკრული რეგიონალური უსაფრთხოების ჩარჩოს ხელშეწყობით, ნატოს შეუძლია დაეხმაროს გარე ზეწოლის წინააღმდეგ მდგრადობის გაზრდას და კონფლიქტების აღბათობის შემცირებას.

მნიშვნელოვანია რეგიონალური პარტნიორების თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება. ნატომ უნდა უზრუნველყოს ყოვლისმომცველი მხარდაჭერა საქართველოსა და მოლდოვას, მათ შორის მოწინავე თავდაცვითი სისტემების, წვრთნებისა და დაზვერვის მეთოდების გაზიარების ჩათვლით. ეს საშუალებას მისცემს ამ ქვეყნებს უკეთ დაიცვან თავი რუსეთის პოტენციური შემოსევებისგან და წვლილი შეიტანონ შავი ზღვის რეგიონის მთლიან უსაფრთხოებაში.<sup>17</sup>

ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია ევროპის ქვეყნების რუსეთზე დამოკიდებულების შესამცირებლად. ნატომ მხარი უნდა დაუჭიროს ინიციატივებს, რომლებიც დივერსიფიკაციას უკეთებს ენერჯის წყაროებს და მარშრუტებს, როგორცაა ალტერნატიული მილსადენების და განახლებადი ენერჯის პროექტების განვითარება. ეს ამცირებს რუსეთის ბერკეტს ნატოს ქვეყნებზე და ამცირებს მის უნარს გამოიყენოს ენერჯია, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური იძულების იარაღი. რეგიონში ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს ეკონომიკის სტაბილიზაციას და რუსული მანიპულაციების გავლენის შემცირებას. ეს მიდგომა ასევე გულისხმობს ადრეულ ჩარევას და კონფლიქტების პრევენციას. ნატო მზად უნდა იყოს სწრაფად იმოქმედოს ახალი საფრთხეების ფონზე, ვიდრე კონფლიქტების ესკალაციას დაელოდოს. ეს მოითხოვს გაძლიერებულ სადაზვერვო შესაძლებლობებს, სწრაფი განლაგების ძალებს და წინასწარ განლაგებულ აღჭურვილობას კრიზისებზე ეფექტური რეაგირებისთვის. ნატო-ს შეუძლია თავიდან აიცილოს მცირე მასშტაბის ინციდენტების სრულმასშტაბიან კონფლიქტებში გადაზრდა.<sup>18</sup>

---

<sup>17</sup> Emmott, Robin . "Explainer: What Are NATO's Next Steps if Russia Invades Ukraine?" *Reuters*, (2024). Accessed December 27, 2022. <https://www.reuters.com/world/europe/what-are-natos-next-steps-if-russia-invades-ukraine-2022-01-27/>.

<sup>18</sup> Minzarari, Dumitru . "How Can NATO Improve Its Security Strategy in the Black Sea?" *LSE*, (2024). Accessed December 6, 2024. <https://blogs.lse.ac.uk/crp/2024/06/12/how-can-nato-improve-its-security-strategy-in-the-black-sea/>.

## დასკვნა

დღეს შავი ზღვის რეგიონი კრიტიკულ ეტაპზეა. ნატოს პასუხი გამოირჩეოდა გაზრდილი სამხედრო ყოფნით, გაძლიერებული თავდაცვის შესაძლებლობებით წვერი ქვეყნებისთვის, როგორცაა რუმინეთი და ბულგარეთი და საზღვაო უსაფრთხოების მკაცრი ზომებით. ეს ქმედებები აუცილებელია არა მხოლოდ რუსეთის შემდგომი აგრესიის შესაჩერებლად, არამედ მთელი რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

თურქეთი, როგორც ნატოს მნიშვნელოვანი წევრი და მთავარი მოთამაშე შავ ზღვაში, გადამწყვეტ როლს ასრულებს ალიანსის სტრატეგიაში. მისი სტრატეგიული მდებარეობა და სამხედრო შესაძლებლობები ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას რუსეთის გავლენის დაძლევისა და რეგიონული უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. თუმცა, ნატო ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რაც მოითხოვს მის სტრატეგიებში ადაპტაციას და ინოვაციებს. ეს მოიცავს ჰიბრიდულ საფრთხეებს, კიბერთავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებას სიტუაციის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად.

ნატომ უნდა განაგრძოს თავისი მიდგომის განვითარება, სამხედრო შეკავებასთან ერთად ეკონომიკური თანამშრომლობისა და დიპლომატიური ინიციატივების ინტეგრირებით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შავი ზღვის ქვეყნებში დემოკრატიული რეფორმებისა და მმართველობის ხელშეწყობა გადამწყვეტია გრძელვადიანი სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობისთვის.

## ბიბლიოგრაფია

- "The 1945 Turkish-Soviet Crisis." *Russia in Global Affairs*. *Russia in Global Affairs*, April 20, 2020. <https://eng.globalaffairs.ru/articles/1945-turkish-soviet-crisis/>.
- Luke Coffey and Can Kasapoğlu, "A New Black Sea Strategy for a New Black Sea Reality," *Hudson*, October 9, 2023, <https://www.hudson.org/foreign-policy/new-black-sea-strategy-new-black-sea-reality>.
- LANCASTER, Lord Mark . "TROUBLED WATERS – HOW RUSSIA'S WAR IN UKRAINE CHANGES BLACK SEA SECURITY." *Defence and Security Committee*, (2023): 1-2. Accessed October 7, 2023.
- ზვენეტაძე, მათია. "შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება და ნატო." საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. NATO, March 1, 2024. <https://doi.org/>.
- "ნატოს იდენტობა და გაფართოების პოლიტიკა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე." *ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი*. <https://di.gov.ge/publications/analytical-collection/natos-identoba-da-gafarhoebis-politika-ruseth-ukrainis-omis-fonze/>.
- "NATO Agrees Strong Package for Ukraine, Boosts Deterrence and Defence." *North Atlantic Treaty Organization*. July 11, 2023. [https://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_217059.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/news_217059.htm).
- Logan, Justin, and Joshua Shiffrin. "Time for NATO to Take the Lead in Ukraine." *Foreign Affairs*. July 4, 2023. <https://www.foreignaffairs.com/united-states/dont-let-ukraine-join-nato>.
- Logan, Justin, and Joshua Shiffrin. "Why NATO Needs Ukraine." *Foreign Affairs*. July 4, 2023. <https://www.foreignaffairs.com/ukraine/why-nato-needs-ukraine>.
- Minzarari, Dumitru . "How Can NATO Improve Its Security Strategy in the Black Sea?" *LSE*, (2024). Accessed December 6, 2024. <https://blogs.lse.ac.uk/crp/2024/06/12/how-can-nato-improve-its-security-strategy-in-the-black-sea/>.
- WEAVER, GREG , and ANDREA K. TAYLOR. "What NATO Allies Must Do to Prepare for Russian Aggression." *POLITICO*, (2024). Accessed March 5, 2024. <https://www.politico.eu/article/nato-allies-prepare-russia-aggression-defense-military/>.
- Emmott, Robin . "Explainer: What Are NATO's Next Steps if Russia Invades Ukraine?" *Reuters*, (2024). Accessed December 27, 2022. <https://www.reuters.com/world/europe/what-are-natos-next-steps-if-russia-invades-ukraine-2022-01-27/>.
- Asmus, Ronald D. *A Little War That Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West*. New York: Palgrave Macmillan, 2010.
- "The Supply Chain That Keeps Tech Flowing to Russia," *Reuters*, December 13, 2022, <https://www.reuters.com/investigates/specialreport/ukraine-crisis-russia-tech-middlemen/>.



სტრატეგიის და განვითარების ცენტრი  
CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

# ფინეთისა და შვედეთის ნაცოში გაწევრიანების გაკლენა გელსიისპირეთის ქვეყნების უსაფრთხოებაზე

ავტორი: მერიამ კასრაძე



This project is supported by  
NATO's Public Diplomacy Division



## შესავალი

ნაშრომი განიხილავს შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანების გავლენას ბალტიისპირეთის ქვეყნების უსაფრთხოებაზე. კვლევა სტრუქტურირებულია სამი ძირითადი ნაწილის გარშემო: გეოპოლიტიკური და სტრატეგიული შედეგები, პოლიტიკური და დიპლომატიური იმპლიკაციები და ნატოს ნორდული ტრაექტორიით გაფართოებისა და უსაფრთხოების თეორიული პერსპექტივები. ესეში წარმოდგენილი ანალიზი ხაზს უსვამს ნატოს როლის მნიშვნელობას ბალტიის ზღვის რეგიონში და ალიანსის მიერ უსაფრთხოების მართვას სხვადასხვა ინსტიტუციური ჩარჩოებისა და მექანიზმების მეშვეობით. ტექსტი თანმიმდევრულად განიხილავს ბალტიის რეგიონის ისტორიულ კონტექსტს, შვედეთისა და ფინეთის ნატოში გაწევრიანების მაკროეკონომიკურ ფაქტორებსა და რუსეთისა და სხვა რეგიონული აქტორების პოტენციურ და უკვე გაცემულ პასუხებს ზემოხსენებულზე. ნატოს ჩრდილოევროპული ტრაექტორიით გაფართოების ლეგიტიმურობის შესაფასებლად გამოყენებული იქნება თეორიული პერსპექტივები, მათ შორის თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმი და ნეორეალიზმი.

მთლიანობაში, ნაშრომი შეეცდება, დაამტკიცოს, რომ შვედეთისა და ფინეთის გაწევრიანებამ ნამდვილად გააძლიერა ბალტიისპირეთის ქვეყნების უსაფრთხოება, ნატოს შეკავების პოლიტიკის ეფექტურობა და ევროპის უსაფრთხოების ლანდშაფტის სტაბილურობა. ნაშრომში კრიტიკულად და დედეუქციურადაა განხილული ე.წ. „მონეტის მეორე მხარე“, რადგან მსგავსი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენები ხშირად შეიცავს გარკვეულ გამოწვევებსა და იმპლიკაციებს, როგორცაა სიფხიზლისა და მზადყოფნის პოტენციური ნაკლებობა და თავდაცვითი მოქმედებების გაძლიერებული საჭიროება.

## ბალტიის ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ლანდშაფტის ხელახალი კონფიგურაციის ზოგადი მიმოხილვა

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დიდი ხნის ნანატრი და წარსულში მრავალჯერ გადავადებული სკანდინავიური გაფართოება აუცილებელი სტრატეგიული პრეცედენტია საერთაშორისო საქადრაკო დაფაზე. წლების განმავლობაში ვლადიმერ პუტინი გამოთქვამდა მოსკოვსა და დასავლეთს შორის ბუფერის შექმნის სურვილს. სწორედ ბუფერად აღიქვამდა უკრაინას და, შედარებით ნაკლებად, საქართველოს, ნარინჯისფერ და ვარდების რევოლუციებამდე. მისი 2008 წლის შემოჭრა საქართველოში და 2014, 2022 წლებში - უკრაინაში, უბრალოდ, წარმოადგენდა პუტინის მცდელობას, აღედგინა ნანატრი გეოპოლიტიკური ბუფერი

ძალით.<sup>1</sup> შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ბოლოდროინდელი ქმედებები ყველანაირი დედუქციური ლოგიკით მართლდება, რადგან იგი მიმართული იყო რუსეთის აგრესიისაზე უკუკავშირისკენ. რუსეთის მიერ გამოცხადებულმა ომმა არა მხოლოდ ასობით ათასი რუსი ადამიანის სიცოცხლე და მილიარდობით რუსული აღჭურვილობის ხელყოფა მოახდინა, არამედ ფარდა ახადა იმ სურათს, რომლის თავიდან აცილებასაც მთელი ძალით ცდილობდა: დასავლელმა სამხედროებმა მისი საზღვრები აიღეს ხელში. 2024 წელს ფინეთისა და შვედეთის ალიანსში გაწევრიანებით, რუსეთის ნატოს ქვეყნებთან გაზიარებული საზღვრის სიგრძე სამჯერ გაიზარდა.<sup>2</sup> რუსეთის ერთ-ერთი საუკეთესოდ ფუნქციური დასავლური პორტი, კალინინგრადი, ახლა ნატოს ორ წევრ ქვეყანას ეყოლება ბალტიის ზღვის გასასვლელში (შვედეთი და დანია), რაც პირდაპირპროპორციულ კორელაციაშია რუსეთის ისტორიულ პრობლემასთან, რომელიც თავის დროზე თურქეთთან და შავი ზღვის პორტებთან ჰქონდა.<sup>3</sup> შვედეთის ნატოში გაწევრიანება გეოპოლიტიკურ სურათზე მანიფესტირდება შემდეგნაირად: პუტინის აგრესია სტრატეგიულ მარცხად იქცა, მაშინაც კი, თუ ის მოახერხებს ტერიტორიის დაკავებას აღმოსავლეთ უკრაინაში (Ibid., 3 2024)

ნატოს სკანდინავიური გაფართოების ბოლოდროინდელი პრეცედენტი ბალტიის ზღვის რეგიონს სრულიად ახალ და განსხვავებულ სტრატეგიულ პრიზმაში გვაჩვენებს. პირველად თანამედროვე ისტორიაში ბალტიის რეგიონის ყველა სახელმწიფო, გარდა რუსეთისა, გახდა ერთიანი და მტკიცე სამხედრო ალიანსის ნაწილი. მეტიც, ამ ფაქტმა მსხვილ ანალიტიკურ ცენტრებს და მეინსტრიმ მედიას იმისი უფლებაც კი მისცა, რომ ბალტიის ზღვა „ნატოს ტბად“ მოეხსენიებინათ<sup>4</sup>.

გარდა თვითონ უკრაინის ბედისა, ევროპისთვის ნატოში ჩრდილო-აღმოსავლეთ ბლოკის შექმნა სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია იმისა, რაც რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, 2022 წლის 24 თებერვალს გააკეთა უკრაინაში შეჭრის სახით.

მკვლევართათვის ბალტიის რეგიონს ასევე გააჩნია ერთგვარი ლაკმუსის ქალაქის დელიკატური ფუნქცია, საიდანაც ნატოს დღის წესრიგში დამდგარ ბევრ ყველაზე აქტუალურ კითხვაზე პასუხის გაცემაა შესაძლებელი. მაგალითად, როგორია რუსეთის შეკავების თანმიმდევრული სტრატეგია? რა გზებით შეიძლება ბალტიის ქვეყნების ეფექტიანად დაცვა? რა შესაძლებლობებია ამისთვის საჭირო და როგორ იქნება ისინი ინტეგრირებული ალიანსში? ის მოცემულობა აქსიომატურია, რომ ნატოს ახლად გაერთიანებული ბალტიის ბლოკის, კერძოდ,

---

<sup>1</sup> Coté, Mike, Garrett Exner, and Michael Lucchese. 2024. "What Does Sweden Joining NATO Mean?" Providence Magazine, January 24. Accessed March 7, 2024. <https://providencemag.com/2024/01/what-does-sweden-joining-nato-mean/>.

<sup>2</sup> John, Tara. 2023. "Finland Joins NATO, Doubling Military Alliance's Border with Russia in a Blow for Putin." CNN, April 4. Accessed March 7, 2024. <https://www.cnn.com/2023/04/04/europe/finland-joins-nato-intl/index.html>.

<sup>3</sup> Hyde-Price, Adrian. 2001. *NATO and the Baltic Sea Region: Towards Regional Security Governance?* Report. NATO. Accessed March 7, 2024.

<sup>4</sup> Carnegie Endowment for International Peace. "Is the Baltic Sea a NATO Lake?," n.d. <https://carnegieendowment.org/research/2023/12/is-the-baltic-sea-a-nato-lake?lang=en>.

სკანდინავიის, სამი ბალტიის სახელმწიფოს, პოლონეთისა და გერმანიის, წვლილი ევროპის თავდაცვაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება ალიანსის გამძლეობისთვის.

ეს ნაშრომი ანალიტიკურად განიხილავს ფინეთისა და შვედეთის ნატოში განევრიანების შედეგებს, უპირველეს ყოვლისა, ბალტიის სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოზიციიდან. პირველადი და მთავარი საკვლევი კითხვა, რომელიც ამ ანალიზს უხელმძღვანელებს, გახლავთ შემდეგი: რა გავლენას ახდენს შვედეთისა და ფინეთის ნატოში ჩართვა ბალტიისპირეთის ქვეყნების უსაფრთხოების არქიტექტურასა და თავდაცვის სტრატეგიებზე?

## **ისტორიული კონტექსტი და გეოპოლიტიკური მნიშვნელობა**

კონტექსტის გასაგებად, აუცილებელია გავიხსენოთ ისტორია, რათა შევაფასოთ მოვლენები, ღირებულებები და გეოპოლიტიკა, რომელიც შვედეთისა და ფინეთის უსაფრთხოების ნაწილია. ბალტიის ზღვის რეგიონი ისტორიულად წარმოადგენდა ევროპის რთული და ნიუანსური უსაფრთხოების ლანდშაფტის ერთ-ერთ მიკროსამყაროს, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა გეოპოლიტიკური ძვრებითა და სტრატეგიული გარდაქმნებით. საბჭოთა კავშირის დაშლამ და ბალტიისპირეთის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის სისხლის ფასად აღდგენამ გადამწყვეტი როლი ითამაშა დღევანდელი უსაფრთხოების დინამიკის ჩამოყალიბებაში. როგორც შვედეთს, ასევე ფინეთს, მიუხედავად თავიანთი ტრადიციული ნეიტრალიტეტისა, არაერთხელ განუხილია ნატოსთან და მთავარ პარტნიორებთან უფრო სიღრმისეული თანამშრომლობა თავდაცვის კუთხით, განსაკუთრებით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში. მეტიც, შვედეთი უკვე დიდი ხანია ფუნქციონირებს დასავლეთის უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ, ამიტომ ნატოში მისი ოფიციალური განევრიანება მხოლოდ არსებული თავდაცვის ურთიერთობების ფორმალიზებას ნიშნავს.<sup>5</sup>

ცივი ომის დროს ბალტიის ზღვის რეგიონი ინარჩუნებდა უნიკალურ „სკანდინავიური ბალანსს“, რაც ხასიათდებოდა ნეიტრალური პოლიტიკის მქონე შვედეთისა და ფინეთის თანაარსებობით ნატოს წევრ სახელმწიფოებთან, კერძოდ, ნორვეგიასთან და დანიასთან ერთად. აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირების მიუხედავად, რეგიონში დაძაბულობის დონე კვლავ შედარებით დაბალ ნიშნულს ინარჩუნებდა. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლამ და გერმანიის გაერთიანებამ ახალი ეპოქის გამოცხადება დააინიცირა, რომელშიც ბალტიის ზღვა

---

<sup>5</sup> "Strategic Challenges in the Baltic Sea Region: Russia, Deterrence, and Reassurance" from Project MUSE: Ann-Sofie Dahl and Anders Fogh Rasmussen, "Strategic Challenges in the Baltic Sea Region: Russia, Deterrence, and Reassurance," Project MUSE, 2018.

მონაპირე ქვეყნებს შორის დამყოფის ნაცვლად, პირიქით, ერთიანობის პლაცდარმად იქცა<sup>6</sup>.

ბალტიისპირეთის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღდგენის შედეგად, ლიეტუვამ, ლატვიამ და ესტონეთმა დაიწყეს უსაფრთხოების გარანტიების ძიება პოტენციურად აღმდგარი რუსეთის წინააღმდეგ. უსაფრთხოების ძიების ასეთმა გზამ ისინი 2004 წელს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანებამდე მიიყვანა, რითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურა. სწორედ ამ განვითარებადი უსაფრთხოების ნარატივიში შვედეთისა და ფინეთის გაწევრიანებამ ნატოში ახალი, მომდევნო ფურცელი გადაშალა, რაც, პოტენციურად, მთლიანი ნორდულ-ბალტიური რეგიონის სტრატეგიულ კალკულუსს შეცვლის.<sup>7</sup>

ფინეთისა და შვედეთის NATO-ში გაწევრიანება არის ყველაზე დიდი ცვლილება ევროპის პოლიტიკურ და სამხედრო რუკაზე მას შემდეგ, რაც 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები რამდენიმე ტალღად სამხედრო ალიანსსა და ევროკავშირს შეუერთდნენ.<sup>8</sup>

რუსეთის სრულმასშტაბიანი თავდასხმა უკრაინაზე იყო უკანასკნელი ბიძგი, რომელმაც შვედეთსა და ფინეთს NATO-ში გაწევრიანებისკენ მოუწოდა. ფინეთის უკვე ყოფილმა პრემიერმინისტრმა, სანა მარინმა და მისმა შვედმა კოლეგამ, მაგდალენა ანდერსონმა, 2022 წელსვე განაცხადეს, რომ სკანდინავიური გაფართოება რუსეთისთვის გაცემული საპასუხო ქმედება იქნებოდა. <sup>9</sup>ამ ორ ქვეყანაში საგარეო კომპასს საშინაო პოლიტიკის მიმართულებაც უპრობლემო თანწყობით მიჰყვა. ომის დაწყების პარალელურად, ფინეთის ტერიტორიაზე NATO-ში გაწევრიანების მხარდაჭერა, დაახლოებით, 30%-დან თითქმის 80%-მდე გაიზარდა.<sup>10</sup> ფინეთის მსგავსად, შვედების უმრავლესობა ქვეყნის ალიანსში გაწევრიანების მომხრე იყო და მათი ნატოსკენ სწრაფვა გაააქტიურა შიდასაარჩევნო მოსაზრებებმაც. მაშასადამე, ორივე ქვეყნისთვის, ნატოში გაწევრიანება განიხილებოდა, როგორც მათი უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერების გზა კრემლის უფრო და უფრო ხისტი საგარეო კურსის წინაშე. ნატოს წევრობამ მათ შესთავაზა უსაფრთხოების გარანტიების მე-5 მუხლის მიხედვით გათვალისწინებული პირობა მასზედ, რომ „შეიარაღებული

---

<sup>6</sup> Alyson J.K. Bailes, "The Baltic Sea Region: Northern Dimension or Regional Core?," in *The Baltic Sea Region: National and International Perspectives*, ed. Olaf Mertelsmann and Kaarel Piirimäe (Cologne: Böhlau Verlag, 2012), 23.

<sup>7</sup> Black, James, Charlotte Kleberg, and Erik Silfversten. *NATO Enlargement Amidst Russia's War in Ukraine: How Finland and Sweden Bolster the Transatlantic Alliance*. Santa Monica, CA: RAND Corporation, 2024. Accessed March 7, 2024. <https://www.rand.org/pubs/perspectives/PEA3236-1.html>.

<sup>8</sup> NATO, "Enlargement and Article 10," NATO, accessed July 11, 2024, [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_49212.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49212.htm)

<sup>9</sup> Niamh Kennedy and James Frater, "What Happens Next as Sweden and Finland Look to Join NATO," CNN, May 14, 2022, <https://www.cnn.com/2022/05/14/europe/sweden-finland-nato-next-steps-intl/index.html>

<sup>10</sup> Jason C. Moyer, "Finland's Remarkable First Year in NATO," Wilson Center, April 3, 2024, <https://www.wilsoncenter.org/article/finlands-remarkable-first-year-nato>.

თავდასხმა ერთ წევრზე განიხილება თავდასხმად ყველა წევრის წინააღმდეგ“. ხოლო, რუსეთის ქმედებებმა უკრაინაში, მის წინანდელ აგრესიებთან ერთად, საქართველოში 2008 წელს და ყირიმში 2014 წელს, ხაზი გაუსვა კოლექტიური თავდაცვის ქმედითი ჩარჩოს აუცილებლობას.

ფინეთისა და შვედეთის ნატოში ჩართვა მნიშვნელოვნად აძლიერებს „შეკავების პოლიტიკისთვის“ საჭირო პოზიციას ბალტიის ზღვის რეგიონში. ამ ქვეყნების რუსეთთან სიახლოვე, რომ აღარ ვახსენოთ მოწინავე სამხედრო შესაძლებლობები, რუსეთის პოტენციური აგრესიის ქმედითი შემაკავებელია. მათი კუთვნილი ტერიტორიების სახით მოწოდებული სტრატეგიული უპირატესობა უფრო ძლიერი თავდაცვის დაგეგმვისა და ოპერატიული მოქნილობის საშუალებას იძლევა.

უკეთესი შეკავების პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის, რომლებიც რუსეთის მხრიდან ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე დგანან. მნიშვნელოვანია, რომ ნატოს თავდაცვის გეგმებში შვედეთის და ფინეთის ძალების ინტეგრაცია უზრუნველყოფს იმას, რომ ნებისმიერ აგრესიას, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნების წინააღმდეგ იქნება მიმართული, მთლიანი ალიანსი ერთიან, კოორდინირებული და მყისიერ პასუხს გასცემს.<sup>11</sup>

უფრო კონკრეტულად, ეს შეკავება მანიფესტირდება, უპირველეს ყოვლისა, რეგიონში ნატოს ძალების გაზრდილი ყოფნით. ბალტიისპირეთსა და პოლონეთში შექმნილი ეგრეთწოდებული “Enhanced Forward Presence (eFP)” სამხედრო ჯგუფები, რომლებიც 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ შეიკრა, დღეს სარგებლობენ ფინეთისა და შვედეთის ლოჯისტიკური და სტრატეგიული მხარდაჭერით. კრიზისის დროს ამ საბრძოლო ჯგუფების დროულად გაძლიერების შესაძლებლობა ნატოს შეკავების სტრატეგიის კოლოსალურად მნიშვნელოვანი კომპონენტია.<sup>12</sup>

ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანებამ საშუალება მისცა ალიანსს, დაეარსებინა დამატებითი ბაზები და ლოჯისტიკური ჰაბები რეგიონში, რითაც გაზარდა მისი სტრატეგიული მოქნილობა და ოპერატიული შესაძლებლობები.<sup>13</sup>ნატომ ბალტიის რეგიონში თავისი გავლენა გააძლიერა შვედეთისა და ფინეთის სამხედრო ინფრასტრუქტურის ინტეგრირებით თავდაცვის დაგეგმვაში. შვედეთის გრძელი სანაპირო ზოლის სტრატეგიული მდებარეობა, მათ შორის, კუნძული გოტლანდი და კალინინგრადის რუსული ექსკლავი, გადამწყვეტი შეიძლება იყოს ბალტიის ზღვის თავდაცვის სტრატეგიისთვის. ამ უკანასკნელის ქვაკუთხედი კი, სწორედ რუსეთის პოტენციური ქმედებების ეფექტური მონიტორინგი გახლავთ. ზემოხსენებულ სამხედრო მოქმედებათა თეატრში ძალების თავისუფლად

---

<sup>11</sup> The Vilnius NATO Summit Brings Opportunities for Closer Nordic-Baltic Integration," September 11, 2023. <https://www.fpri.org/article/2023/09/the-vilnius-nato-summit-brings-opportunities-for-closer-nordic-baltic-integration>.

<sup>12</sup> McMahon, Keir. "NATO's Enhanced Forward Presence: Deterrence in the Baltic Region." *European Security* 32, no. 1 (2023): 45-68. <https://doi.org/10.1080/09662839.2022.2017200>.

<sup>13</sup> John R. Deni, "Finland and Sweden in NATO: Looking Beyond Madrid," Atlantic Council, accessed July 11, 2024, <https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/issue->

წვრთნისა და ოპერირების შესაძლებლობა ნატოს მზადყოფნაზე პოზიტიურად მანიფესტირებს.

რაც შეეხება ფინეთს, მისი ვრცელი საზღვარი რუსეთთან და აქ არსებული სამხედრო ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლოჯისტიკური ჰაბები, ახლა უკვე ხელმისაწვდომია ნატოს ძალებისთვისაც. ფინური ობიექტების ინტეგრაცია იძლევა უკეთესი კოორდინაციისა და სწრაფი განლაგების შესაძლებლობებს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბალტიისპირეთის ქვეყნების უსაფრთხოებისთვის.<sup>14</sup>

ალიანსის ნორდული მოითხოვს გაფართოება თავდაცვის გეგმების ყოვლისმომცველ გადაფასებას, რომლის რეგიონული არეალი ახლა უკვე მოიცავს ამ ახალი წევრების შესაძლებლობებსა და სტრატეგიულად უფრო მძლავრ კოოპერაციას<sup>15</sup>. აქსიომატურია ისიც, რომ ალიანსის სტრატეგიული ლანდშაფტიც შეიცვალა. რუსეთთან არსებული გამყოფი საზღვრის 830 მილამდე გაფართოება და ნატოს წევრი ქვეყნების მიერ ბალტიის ზღვის ირგვლივ შემორტყმული ალყა შესანიშნავ თავდაცვით პერიმეტრს ქმნის.

აღსანიშნავია, შვედეთის დიდი და სტრატეგიული ადგილმდებარეობის კუნძული გოტლანდი ბალტიის ზღვაში, საიდანაც კალინინგრადში მდებარე რუსეთის ბალტიის ფლოტის შტაბ-ბინამდე, მხოლოდ 300 კილომეტრამდე მანძილია.<sup>16</sup> სხვა რიგი ტერიტორიული უპირატესობები, კერძოდ, ოლანდის კუნძულები, ნატოს თავდაცვის დაგეგმვის კონტექსტში კოლოსალურ მნიშვნელობას იძენს. ეს ტერიტორიები უზრუნველყოფენ სტრატეგიულ უპირატესობას დაზვერვის, დროული გაფრთხილება-მობილიზაციისა და ძალების მობილურად განლაგებისთვის. მათი ინტეგრაცია ნატოს თავდაცვის გეგმებში აძლიერებს ალიანსის უნარს, მონიტორინგი გაუწიოს პოტენციურ საფრთხეებს რეგიონში.

არ დაგვავიწყდეს, რომ შვედეთისა და ფინეთის შეიარაღებული ძალები სკანდინავიის თოვლიან ტყეებში ინტენსიური წვრთნების შედეგად რთულ პირობებში მოქმედებას მიჩვეული არიან. ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, ფინეთისა და შვედეთის სტრატეგიული პოზიციონირება ნატოს უფრო დიდ ოპერაციულ მოქნილობას აძლევს, რაზეც უფრო დეტალურად უპირატესობების საჭაერო ნაწილში ვისაუბრებთ. რაც შეეხება ბალტიის რეგიონისთვის სუფთად სამხედრო შესაძლებლობებში უპირატესობას, ორივეს, შვედეთსაც და ფინეთსაც, აქვს კარგად განვრთნილ-აღჭურვილი შეიარაღებული ძალები რეგიონალურ უსაფრთხოების ოპერაციებში დიდი გამოცდილებით. ერთ-ერთი კონკრეტული სამხედრო კოოპერაციის ქმედითი ნაბიჯი იყო ფინეთისა და შვედეთის ძალების

<sup>14</sup> NATO, "Partnership for Peace Programme," NATO, last modified March 10, 2023, [https://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_49594.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49594.htm).

<sup>15</sup> Elina Valtonen, "Speech by the Minister for Foreign Affairs at the Europe Forum," Ministry for Foreign Affairs of Finland, September 1, 2023, accessed June 19, 2024.

<sup>16</sup> Gemma Ware, "Putin's Designs on a Baltic Island Are Leading Sweden to Prepare for War," The Conversation, July 7, 2023, <https://theconversation.com/putins-designs-on-a-baltic-island-are-leading-sweden-to-prepare-for-war-230804>.

მონაწილეობა ნატოს ყოველწლიურ BALTOPS წვრთნებში. <sup>17</sup>ეს წვრთნები სპეციალურად არის დაგეგმილი იმგვარად, რომ ასახავდეს თავდაცვის სხვადასხვა სცენარს ბალტიის ზღვაში, მათ შორის, გარანტირებდეს ბალტიის ქვეყნების ძალების მზადყოფნას და ლეგიონთა თავსებადობას. ფინეთისა და შვედეთის ძალების ჩართვა ამ წვრთნებში უზრუნველყოფს რეგიონული თავდაცვის ძალისხმევის სრულ სინქრონიზაციას, რაც ამცირებს არასწორი ოპერაციული კომუნიკაციის ალბათობას.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ნატოს ექსპანსია არა მხოლოდ აძლიერებს ბალტიისპირეთის ქვეყნების უსაფრთხოებას, არამედ გარანტირებს მათ ნატოს ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით, რომელიც კოლექტიური თავდაცვის ვალდებულებაზეა. <sup>18</sup>

ზემოხსენებული კალინინგრადის ოლქი, რომელიც პოლონეთსა და ლიეტუვას შორის მდებარეობს, ნატოს უსაფრთხოებას უნიკალურ გამოწვევას უქმნის. მოწინავე რუსული სამხედრო აქტივების არსებობა, მათ შორის „ისკანდერის რაკეტები“, რომლებსაც შეუძლიათ ბირთვული ქობინების გადაადგილება, დამატებით ხაზს უსვამს კალინინგრადის ანკლავის სტრატეგიულ მნიშვნელობას (Ibid.,8 2023). ფინეთისა და შვედეთის განვერიანებამ ნატოს შესძინა უნარი იმისა, რომ კალინინგრადიდან წამოსულ პოტენციურ საფრთხეებს დააკვირდეს და დროულად უპასუხოს.

ფინეთისა და შვედეთის ტერიტორიების სიახლოვე ასევე საშუალებას იძლევა, გაუმჯობესდეს დაზვერვისა და ინფორმაციის შეგროვება, გაძლიერდეს ალიანსის სიტუაციური ინფორმირებულობა და რეაგირების სხარტი შესაძლებლობები.

## **საჰაერო თავდაცვა, კიბერუსაფრთხოება და წყალქვეშა ინფრასტრუქტურა: შეძენილი უპირატესობები და გამოწვევები**

ფინეთისა და შვედეთის ნატოში განვერიანება ასევე აძლიერებს ალიანსის საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობებს. ორივე ქვეყანა ფლობს მსოფლიოში მოწინავე საჰაერო თავდაცვის სისტემებს, როგორცაა, ფინური NASAMS (Norwegian Advanced Surface to Air Missile System) და უმაღლესი ხარისხის ამერიკული ე.წ. “Patriot” სარაკეტო სისტემები. ამ შესაძლებლობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რუსეთის (რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად ეყრდნობა საჰაერო ძალებს საკუთარ სამხედრო ოპერაციებში) პოტენციურ საავიაციო თავდასხმებზე ადეკვატური რეაგირებისთვის. ეს მნიშვნელოვანია ბალტიის ქვეყნებისთვის,

---

<sup>17</sup> "Finnish Troops and Vessels in Exercise BALTOPS 22 in Sweden and the Baltic Sea." Last modified June 4, 2022. <https://puolustusvoimat.fi/en/-/finnish-troops-and-vessels-in-exercise-baltops-22-in-sweden-and-the-baltic-sea>.

<sup>18</sup> James Black, Charlotte Kleberg, and Erik Silfversten, "NATO Enlargement Amidst Russia's War in Ukraine: How Finland and Sweden Bolster the Transatlantic Alliance," published March 7, 2024.

რადგან სწორედ ისინი სარგებლობენ ამ მრავალშრიანი თავდაცვის სისტემით, რათა აისხლიტონ რუსეთის თავდასხმები.<sup>19</sup>

ბალტიის ქვეყნები, რომლებსაც რუსეთის მხრიდან ასევე ემუქრებათ კიბერსაფრთხე, დღეს უკვე სარგებლობენ შვედეთისა და ფინეთის გაძლიერებული კიბერძალებით. ორივე ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში აკეთებდა ინვესტიციას ამ თვალსაზრისით და, მეტიც, მათი კიბერინტელექტი დაზვერვასა და კოლექტიურ თავდაცვის მექანიზმებში უკვე ინტეგრირებულია.

ამის მნიშვნელობა რომ გავიაზროთ, უნდა გავიხსენოთ ბალტიის ქვეყნებისადმი რუსული კიბერომის შემთხვევები წარსულიდან. მაგალითად, 2007 წლის აპრილში, ესტონეთმა განიცადა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი და კოორდინირებული კიბერშეტევა ტალინში საბჭოთა პერიოდის ომის მემორიალის გადატანის საკამათო გადაწყვეტილების შემდეგ.<sup>20</sup> დღეს ნატოს საშუალებით მათი და ნორდული თანამშრომლობა აძლიერებს რეგიონის მთლიან კიბერპოზიციას, რაც უზრუნველყოფს კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და სამხედრო აქტივების დაცვას კიბერ საფრთხეებისგან.

ასევე უნდა ითქვას, რომ ბალტიის ზღვა მასპინძლობს კრიტიკული ინფრასტრუქტურის ფართო წყალქვეშა ქსელს, მათ შორის პორტებსა და ტერმინალებს, წყალქვეშა მილსადენებსა და ელექტროენერჯის გადამცემ და საკომუნიკაციო კაბელებს<sup>21</sup>. ეს ქსელები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონული სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის, მაგრამ ასევე დაუცველია დივერსიის მიმართ. 2022 წელს, სწორედ Nord Stream-ის მილსადენების წყალქვეშა დაბომბვამ გაუსვა ხაზი ამ ინფრასტრუქტურის მოწყვლადობას, ხოლო მათი დაცვის საშუალებას კოლოსალურად ამარტივებს ნატოს ბოლოდროინდელი სკანდინავიური გაფართოება. ორივე ქვეყანას გააჩნია მოწინავე საზღვაო სათვალთვალო და თავდაცვის შესაძლებლობები, რომლებიც ახლა ინტეგრირებულია ნატოს კოლექტიური თავდაცვის მექანიზმებში. მეტიც, 2023 წელს, ვილნიუსის სამიტზე, კრიტიკული „წყალქვეშა ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების საზღვაო ცენტრის“ შექმნა დაანონსდა. დღეს უკვე ქმედითი ცენტრი მიზნად ისახავს, გააძლიეროს კრიტიკული წყალქვეშა ინფრასტრუქტურის დაცვა, განსაკუთრებით ბალტიის ზღვის რეგიონში.<sup>22</sup> ეს ინიციატივა ნატოს საზღვაო უსაფრთხოების კამპანიის უფრო ფართო ძალისხმევის ნაწილია და მოიცავს 2023 წლის დასაწყისში ნატოს შტაბ-ბინაში კრიტიკული წყალქვეშა ინფრასტრუქტურის

---

<sup>19</sup> NATO, "NATO Holds First Meeting of Critical Undersea Infrastructure Network," May 23, 2024, accessed June 20, 2024, [https://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_214327.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/news_214327.htm).

<sup>20</sup> Ottis, R. (2008). *Analysis of the 2007 Cyber Attacks Against Estonia from the Information Warfare Perspective*. Cooperative Cyber Defence Centre of Excellence. Retrieved from [https://ccdcoe.org/uploads/2018/10/Ottis2008\\_AnalysisOf2007FromTheInformationWarfarePerspective.pdf](https://ccdcoe.org/uploads/2018/10/Ottis2008_AnalysisOf2007FromTheInformationWarfarePerspective.pdf)

<sup>21</sup> "NATO Moves to Protect Undersea Pipelines, Cables Amid Concern Over Russian Sabotage Threat," *VOA News*, June 16, 2023, accessed June 20, 2024, <https://www.voanews.com/a/nato-moves-to-protect-undersea-pipelines-cables-amid-concern-over-russian-sabotage-threat/7142678.html>

<sup>22</sup> NATO, "NATO Secretary General Addresses Protection of Critical Undersea Infrastructure, Support to Ukraine with EU Defence Ministers," November 14, 2023, accessed June 20, 2024, [https://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_213827.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/news_213827.htm).



საკოორდინაციო უჭრედის შექმნას ნატოს მოკავშირეებს, პარტნიორებსა და კერძო სექტორს შორის, ინფორმაციის გაზიარებისა და კოორდინაციის გასაუმჯობესებლად.<sup>23</sup> ეს ნაბიჯები გადაიდგა ფინეთისა და შვედეთის ნატოში განწევრიანების შემდეგ, რაც ასახავს ცხადად გაზრდილ ყურადღებას კრიტიკული საზღვაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რეგიონული დაძაბულობის ფონზე.

## იმპლიკაციები და რისკები

რეალურ გეოპოლიტიკურ სამყაროში ხშირია „ნულოვანი ჯამის თამაშის“ (Zero-Sum Game) კლასიკური შემთხვევები, როდესაც მძლავრი ალიანსების სტრატეგიული მიღწევები გაზრდილ რისკებთან და მსხვერპლთან ასოცირდება. საერთაშორისო საჭადრაკო დაფის რეალისტური პრიზმა საშუალებას არ გვაძლევს, ვისაუბროთ მხოლოდ მონეტის ერთი მხარიდან, ჩვენთვის მისაღები პერსპექტივებით. ამის გამო, საჭირო ხდება, ყოველთვის მივუდგეთ საკითხს მაქსიმალურად გახსნილი გონებით და დედუქციურად ვიმსჯელოთ განსხვავებულ პერსპექტივებზეც.

დავინწყით იმით, რომ ფინეთისა და შვედეთის ნატოში განწევრიანება მნიშვნელოვნად ცვლის ჩრდილოეთ ევროპის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტს, რაც იწვევს როგორც სტრატეგიულ უპირატესობას, ასევე სერიოზული იმპლიკაციების ალბათობას. ნატოს გაფართოების კრიტიკოსები, როგორებიც არიან, მაგალითად, ნეორეალიზმის ცნობილი წარმომადგენლები, ჯონ მერშიმერი და სტივენ უოლტი, ამტკიცებენ, რომ ალიანსის საზღვრების რუსეთთან დაახლოება ამძაფრებს დაძაბულობას და ზრდის სამხედრო დაპირისპირების რისკს. მერშიმერი ამტკიცებს, რომ ნატოს ექსპანსიური ზრდა იჭრება რუსეთის გავლენის სფეროში, რაც იწვევს მოსკოვის თავდაცვითი და ხშირად აგრესიული პასუხის პროვოცირებას.<sup>24</sup>

ერთი მხრივ, ამ განცხადების ერთ-ერთი სეგმენტი სრულ სიმართლეს აღწერს, რადგან გაფართოება რუსეთისთვის შეუმჩნეველი, რა საკვირველია, არ დარჩენილა. ნატოს ნორდული გაფართოების საპასუხოდ, რუსეთმა მართლაც მოახდინა რიგი სამხედრო დემონსტრაციები. მაგალითისთვის, კალინინგრადში განალაგა ბირთვული იარაღის მქონე ისკანდერის რაკეტები და ითავა ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნების ჩატარება მის დასავლეთ საზღვრებთან. ეს ქმედებები ვალიდირებს რეალისტურ პერსპექტივებს იმაზე, რომ ნატოს გაფართოებას მოსკოვი აღიქვამს, როგორც პირდაპირ საფრთხეს თავისი ეროვნული უსაფრთხოებისთვის. თუმცა, თავდაცვის სრული კონსტიტუციური უფლება ორივე მხარეს გააჩნია. ნატოს გაფართოების მომხრეები ამტკიცებენ, რომ

<sup>23</sup> NATO. (2024). *NATO Secretary General welcomes the creation of a new NATO-EU Joint Task Force*. Retrieved from [https://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_225582.htm?selectedLocale=en](https://www.nato.int/cps/en/natohq/news_225582.htm?selectedLocale=en)

<sup>24</sup> John Mearsheimer and Stephen Walt, "The Case for Offshore Balancing: A Superior U.S. Grand Strategy," *Foreign Affairs* 95, no. 4 (2016): 70-83.

ნატოში სკანდინავიელთა შესვლა, თავის მხრივ, აძლიერებს ალიანსის შეკავების შესაძლებლობებს და კუთვნილ სტრატეგიულ მოქნილობას. მიუხედავად იმისა, რომ მერშიიმერის ზემოხსენებული შეშფოთება რუსეთის პროვოცირების შესახებ მართებულია, უსამართლობა იქნებოდა, ვუგულებელყოთ ის მტკიცე და ინკლუზიური სტრატეგიული სარგებელი, რომელსაც ალიანსი თავისი თვითმყოფადი წევრებისთვის სრულუფლებიანად და დაპირებისამებრ უზრუნველყოფს. მეტიც, შვედეთის ხანგრძლივი ისტორია, როგორც საერთაშორისო დიალოგების პაციფისტი მედიატორი, მეტოქე ფრაქციებს (მეომარ სახელმწიფოებს, არასახელმწიფო აქტორებს, მემამბოხე ჯგუფებს) შორის, ნატოს სამსახურს გაუწევს იმ თვალსაზრისით, რომ ალიანსმა მშვიდობიანი საშუალებები და მოლაპარაკებების აპრობირებული გზები სტატიკურად შეინარჩუნოს.<sup>25</sup>

საბოლოოდ, აუცილებელია ხაზი გავუსვათ ფართო დასავლური სტრატეგიისთვის აუცილებელ იმპერატივებს. მომავალში, ნატოს გაფართოება უნდა გახდეს სანიმუშო შედეგი სხვა აგრესორი აქტორებისთვის. როდესაც ჩინეთი შეეცდება თაივანის, იაპონიის, ვიეტნამისა და ინდოეთის კუთვნილი სტრატეგიული პოზიციის ხელყოფას, მან საპასუხოდ უნდა დაინახოს კოალიციის გაფართოების კიდევ ერთი შემთხვევა, რომელსაც, მეორე და მესამე მოჰყვება. აგრესიის ყოველი აქტის შემდეგ კოალიციამ უნდა გადადგას ნაბიჯი იმისკენ, რის პრევენციასაც ჩინეთი ასე ძალიან ცდილობს: შეკავების პოლიტიკა.

დასავლეთს ახლა ახალი ბრძოლა ელის ცივილიზაციის უსისხლოდ გადარჩენის მცდელობისთვის. ჩინეთი, ირანი და რუსეთი ერთად უქმნიან რეგოლუციურ გამოწვევას ამერიკასა და მის მოკავშირეებს. ისინი ცდილობენ, თავისუფლება ჩაანაცვლონ ტირანიით, წესრიგი კი - ქაოსით. ნატოს ალიანსი არსებითი საყრდენია ბნელი და საზიანო ამბიციების წინააღმდეგ. ახალი წევრების მიღება, როგორცაა შვედეთი და ფინეთი, ალიანსს ბევრად აძლიერებს და, შესაბამისად, იძლევა ეფექტური ბრძოლის შანსებს ბალტიისპირეთის მიერ გმირულად მოპოვებული თვითგამორკვევისა და უსაფრთხოებისთვის.

რადგან დასკვნით დისკურსში კვლევამ უკვე გადაინაცვლა, დროა, ანალიზი აუცილებელი საფინალო ნაწილისკენ წავიდეს. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსების მიერ ხაზგასმული რისკები დღის წესრიგში აყენებს დელიკატური მიდგომის საჭიროებას, ალიანსის ჩრდილოურ გაფართოებას უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს. ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანება აგზავნის მესიჯბოქსს ერთიანობისა და გადანყვეტილების წყალგაუვალობის შესახებ, ხელს უშლის პოტენციურ აგრესიას და უზრუნველყოფს მისი წევრი ბალტიისპირეთის ქვეყნების უსაფრთხოებას. მონეტის მეორე მხარე, რომლის არგუმენტირებასაც, ვიმედოვნებ, ეს მცირედი თვისებრივი კვლევა წარმატებით მოხმარდა, ნიუანსირებულ პერსპექტივაში მდგომარეობს. იგი აცნობიერებს ნატოს გაფართოების სირთულეებს და ხაზს უსვამს მის სტრატეგიულ იმპერატივებს.

---

<sup>25</sup> "Sweden's Role on the Korean Peninsula: Protecting Power, Mediator and Peacemaker," NCNK, accessed June 20, 2024, [https://www.ncnk.org/resources/publications/Sweden's\\_Role\\_on\\_the\\_Korean\\_Peninsula.pdf](https://www.ncnk.org/resources/publications/Sweden's_Role_on_the_Korean_Peninsula.pdf).

## ბიბლიოგრაფია

- Bailes, Alyson J.K. "The Baltic Sea Region: Northern Dimension or Regional Core?" In *The Baltic Sea Region: National and International Perspectives*, edited by Olaf Mertelsmann and Kaarel Piirimäe, 23-40. Cologne: Böhlau Verlag, 2012.
- Black, James, Charlotte Kleberg, and Erik Silfversten. *NATO Enlargement Amidst Russia's War in Ukraine: How Finland and Sweden Bolster the Transatlantic Alliance*. Santa Monica, CA: RAND Corporation, 2024. Accessed March 7, 2024. <https://www.rand.org/pubs/perspectives/PEA3236-1.html>.
- Carnegie Endowment for International Peace. "Is the Baltic Sea a NATO Lake?" Accessed December 2023. <https://carnegieendowment.org/research/2023/12/is-the-baltic-sea-a-nato-lake?lang=en>.
- "Dialogue and Peace Processes." Folke Bernadotte Academy. Accessed June 20, 2024. <https://www.fba.se/en/how-we-work/Dialogue-and-Peace-Processes/>.
- Dahl, Ann-Sofie, and Anders Fogh Rasmussen. "Strategic Challenges in the Baltic Sea Region: Russia, Deterrence, and Reassurance." *Project MUSE*, 2018.
- Elina, Valtonen. "Speech by the Minister for Foreign Affairs at the Europe Forum." Ministry for Foreign Affairs of Finland, September 1, 2023. Accessed June 19, 2024.
- James Black, Charlotte Kleberg, and Erik Silfversten. "NATO Enlargement Amidst Russia's War in Ukraine: How Finland and Sweden Bolster the Transatlantic Alliance." Published March 7, 2024.
- McMahon, Keir. "NATO's Enhanced Forward Presence: Deterrence in the Baltic Region." *European Security* 32, no. 1 (2023): 45-68. <https://doi.org/10.1080/09662839.2022.2017200>.
- Mearsheimer, John, and Stephen Walt. "The Case for Offshore Balancing: A Superior U.S. Grand Strategy." *Foreign Affairs* 95, no. 4 (2016): 70-83.
- NATO. "NATO Holds First Meeting of Critical Undersea Infrastructure Network." May 23, 2024. Accessed June 20, 2024. [https://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_214327.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/news_214327.htm).
- NATO. "NATO Secretary General Addresses Protection of Critical Undersea Infrastructure, Support to Ukraine with EU Defence Ministers." November 14, 2023. Accessed June 20, 2024. [https://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_213827.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/news_213827.htm).
- "NATO Moves to Protect Undersea Pipelines, Cables Amid Concern Over Russian Sabotage Threat." *VOA News*. June 16, 2023. Accessed June 20, 2024. <https://www.voanews.com/a/nato-moves-to-protect-undersea-pipelines-cables-amid-concern-over-russian-sabotage-threat/7142678.html>.
- "Protecting Critical Undersea Infrastructure: A New Focus for NATO." CSIS. Accessed June 20, 2024. <https://www.csis.org/analysis/natos-role-protecting-critical-undersea-infrastructure>.
- "Sweden's Role on the Korean Peninsula: Protecting Power, Mediator and Peacemaker." NCNK. Accessed June 20, 2024. [https://www.ncnk.org/resources/publications/Sweden's\\_Role\\_on\\_the\\_Korean\\_Peninsula.pdf](https://www.ncnk.org/resources/publications/Sweden's_Role_on_the_Korean_Peninsula.pdf).
- "The Vilnius NATO Summit Brings Opportunities for Closer Nordic-Baltic Integration." September 11, 2023. <https://www.fpri.org/article/2023/09/the-vilnius-nato-summit-brings-opportunities-for-closer-nordic-baltic-integration>.
- "What Does Sweden Joining NATO Mean?" *Providence Magazine*, January 2024. Accessed March 7, 2024. <https://providencemag.com/2024/01/what-does-sweden-joining-nato-mean/>.



სტრატეგიის და განვითარების ცენტრი  
CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

# მითები ნატოს შესახებ უკრაინაში მიმდინარე ომის ვონზე

ავტორი: სოფიო ჭუმბურიძე



This project is supported by  
NATO's Public Diplomacy Division

## შესავალი

ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ევროპის მასშტაბით, დამკვიდრდა მშვიდობისა და კოლექტიური უსაფრთხოების ახალი ერა, რაც მეტწილად უზრუნველყოფილი იყო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) მეშვეობით. ათწლეულების განმავლობაში, არსებული თანამშრომლობისა და მშვიდობის შენარჩუნება კომპლექსური საკითხია ნატოსთვის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ აგრესიული საერთაშორისო აქტორი როგორცაა რუსეთი, 21-ე საუკუნეშიც კი ომის გაჩაღებით ემუქრება მშვიდობიან სახელმწიფოებს. 2022 წელს, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებულმა ომმა საფუძველი ჩაუყარა რუსეთის ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის ახალ და უფრო ფართომასშტაბიან ტალღას, რომლის მთავარი მსხვერპლიც, სწორედ ნატო აღმოჩნდა. რუსეთის აშკარა სურვილი, რომ იძულებითა და აგრესიით დაამყაროს კონტროლი და გავლენის სფერო სხვა ქვეყნებზე, გამოიხატება დეზინფორმაციისა და მითების გავრცელებით, რაც საფრთხეს უქმნის ნატოს, როგორც უსაფრთხოების გარანტის ქმედითუნარიანობას. პუტინის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია ასევე ემსახურება ოკუპაციის პოლიტიკის გამართლებას, რომელსაც ის ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ავითარებს. აღნიშნული საკითხის აქტუალობა გამომდინარეობს რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციიდან და სურვილიდან, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ნატოს განზრახვები და მისი ლეგიტიმურობა. დეზინფორმაციის აღმოფხვრა მნიშვნელოვანია სწორი ნარატივების შესაქმნელად, რომელიც სიმართლეს შეესაბამება. ნაშრომში განხილული მითების გაქარწყლება გადამწყვეტია ნატოს განზრახვების რეალისტური გაგებისთვის და საერთაშორისო უსაფრთხოების დინამიკაზე ინფორმირებული დისკურსის შესანარჩუნებისთვის უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე.

## ბრალდება, დაპირების შესახებ რომ ნატო არ

### გაფართოვდებოდა

ბრალდება, რომ ნატომ აღმოსავლეთით გაფართოებაზე უარი თქვა, ვლადიმერ პუტინის მიერ გავრცელებული მორიგი დეზინფორმაციაა. პუტინი ამტკიცებს, რომ 1990-იან წლებში, ნატოსა და მიხეილ გორბაჩოვის მოლაპარაკებების ფარგლებში ნატომ პირობა დადო, რომ აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა. მოსკოვში გამართულ ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე, პუტინმა ნატო ღიად დაადანაშაულა რუსეთის მოტყუებაში და ბრალი დასდო ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ სახელმწიფო მდივანს, ჯიმს ბეიკერს რის შემდეგაც გააჟღერა მისი ციტატა „ნატო არ გადავა ერთი ინიჩით უფრო აღმოსავლეთით“ (Dettmer 2022). ამასთანავე, პუტინმა 2007 წლის მიუნხენის კონფერენციაზე განაცხადა, რომ ნატომ

მოახდინა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი დასუსტებული რუსეთის მდგომარეობით სარგებლობა და ბრალი დასდო დასავლურ სახელმწიფოებს, რომ ისინი გლობალურ უსაფრთხოებას უშლიან ხელს (Presidential Address to Federal Assembly 2023). პუტინის თქმით, არსებული დაპირება მკვეთრად ფიგურირებს მის საგარეო პოლიტიკაზე, რომლის ბოლოდროინდელი ნაბიჯიც, უკრაინის ტერიტორიების შეერთება და მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაა.

ბეიკერის ციტატასთან დაკავშირებით, თავად გორბაჩოვმა გამოაცხადა, რომ მისი შენიშვნა კონტექსტიდან იყო ამოღებული და განმარტა: „ნატოს გაფართოების თემა საერთოდ არ იყო განხილული“ (Dettmer 2022). თუმცა განხილულ იქნა სხვა საკითხი, რომელიც ეხებოდა ნატოს დამატებითი შეიარაღებული ძალების, მაშინდელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგების შეზღუდვას გერმანიის გაერთიანების შემდეგ. გორბაჩოვმა მრავალჯერ აღნიშნა, რომ ბეიკერის განცხადება გაკეთდა ზემოხსენებულ კონტექსტში (Chatham House 2021).

მოცემული მითის აქტუალობიდან გამომდინარე, მრავალი ავტორიტეტული მეცნიერი და ისტორიკოსი აქტიურად იკვლევს დიპლომატიურ მემორანდუმს, შეხვედრების ოქმებსა და ჩანაწერებს, რომლებიც გამოქვეყნდა 1990-იანი წლების შემდგომ, რის საფუძველზეც ამტკიცებენ, რომ ნატოს არავითარი ოფიციალური დაპირება მის ექსპანსიასთან დაკავშირებით არ გაუკეთებია (Bailey 2023). პუტინის გამოსვლის შემდგომ, დასავლეთის ლიდერებმა გააპროტესტეს მისი მცდარი ნარატივი და განაცხადეს, რომ არასდროს ყოფილა რაიმე სახის შეთანხმება ნატოს ცენტრალურ ევროპაში გაფართოების შესახებ. ენტონი ბლინკენმა, ჟენევაში, ამერიკელ და რუს დიპლომატებს შორის ორმხრივი მოლაპარაკებების წინა დღეს, ჟურნალისტებთან ინტერვიუს დროს თქვა, რომ ნატო არასდროს დაპირებულა რუსეთს, რომ არ მიიღებდა ახალ წევრებს, გამომდინარე ნატოს „ღია კარის პოლიტიკისა“, რომელიც 1949 წლის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი დებულებაა (Dettmer 2022). ბლინკენმა იმავე ინტერვიუში გააჟღერა კითხვა, თუ რატომ არ შექმნა გორბაჩოვმა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ცხადყოფდა ნატოს ე.წ. „დაპირებას“. გარდა ამისა, მითის გაქარწყლების მიზნით, აუცილებელია ხაზგასმულ იქნას ის ფაქტი, რომ თავად მიხეილ გორბაჩოვმა, 2014 წლის 8 ნოემბერს, გერმანიის სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებაში „heute journal“ განაცხადა, რომ მსგავსი დაპირება ნატოს მხრიდან საერთოდ არ გაჟღერებულა (Pifer 2014). ამასთანავე, პუტინის სპეკულაციის მიხედვით, დაპირება მოხდა 1990 წელს, თუმცა 1991 წლის 1 ივლისამდე, ვარშავის პაქტი ჯერ კიდევ ძალაში იყო (Pifer 2014). შესაბამისად, ვარშავის პაქტის დასრულებამდე, შემდგომი პერიოდის შეთანხმების ჩამოყალიბება, არ იყო შესაძლებელი. ნატო-ს გაფართოების მითი ასევე მოიცავს მნიშვნელოვან ფაქტს: სანამ რუსეთის ფედერაცია გახდებოდა სსრკ-ს დე ფაქტო სამართალმემკვიდრე მისი დაშლის შემდეგ, რუსეთის უსაფრთხოების ინტერესები არ იყო სსრკ-ს ინტერესებთან თანხვედრაში. პოსტსაბჭოთა რუს ლიდერებს არ სურდათ, რომ დასავლეთს ახალი რუსეთი სსრკ-ს სახეცვლილ ფორმად მიეჩნია, არამედ როგორც ქვეყანა, რომელმაც დაიბრუნა სუვერენიტეტი და უბრუნდებოდა ევროპულ ფესვებს ბოლშევიზმის შემდეგ. გარდა ამისა, 1990 წლის ნოემბერში, სსრკ-მ ხელი მოაწერა

პარიზის ქარტიას ვალდებულებით „სრულიად აღიაროს სახელმწიფოთა თავისუფლება, აირჩიონ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომები“ (OSCE 1990). ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტი, რომელიც ხელმოწერილია 1997 წელს, ანალოგიურად მოიცავდა მსგავს დაპირებას ყველა სახელმწიფოს მიმართ. თეთრი სახლის გასაიდუმლოებული ტრანსკრიპტები ასევე ცხადყოფს, რომ 1997 წელს ბილ კლინტონმა უარყო ბორის ელცინის შეთავაზება „ჯენტლმენტა შეთანხმების“ შესახებ, რომ არცერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა არ შესულიყო ნატოში (NATO 2024). კლინტონმა განაცხადა, რომ არ აიღებდა ვალდებულებებს ნატოს სახელით და არ დაადებდა ვეტოს რომელიმე ქვეყანას, რომელსაც ნატოში განევრიანება მოუნდებოდა. კლინტონმა ხაზი გაუსვა ნატოს კენჭისყრის კონსესუსის პრინციპს, რომელიც ნატოს ერთ-ერთი ძირეული ღირებულებაა (NATO 2017).

## **მითი, რომ ნატო აგრესორია და წარმოადგენს საფრთხეს რუსეთისთვის**

2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის უკანონო ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინის დესტაბილიზაციის საპასუხოდ, ნატომ შეაჩერა პრაქტიკული თანამშრომლობა რუსეთთან, თუმცა მასთან პოლიტიკური და სამხედრო დიალოგი შეინარჩუნა. ანექსიასთან ერთად, ნატოსა და რუსეთის ურთიერთობის რიტორიკა შეიცვალა, რის შედეგადაც პუტინის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია და პროპაგანდა ნატოს წინააღმდეგ საგრძნობლად გაძლიერდა.

2016 წელს, ნატომ განათავსა ოთხი მრავალეროვნული საბრძოლო ჯგუფი ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და პოლონეთში, რაც მისი განცხადებით პრევენციის მიზნით განხორციელდა (NATO 2024). აღსანიშნავია, რომ 2014 წლის რუსეთის აგრესიულ ქმედებებამდე ნატოს საბრძოლო მზადყოფნის ჯარების განლაგება ალიანსის აღმოსავლეთ ნაწილში არ განხორციელებულა. 2016 წელს, რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატაში განცხადების დროს, პუტინმა საჯაროდ დასდო ბრალი ნატოს და აღნიშნა, რომ ნატო აძლიერებს აგრესიულ რეტორიკას და ცდილობს შემოსაზღვროს რუსეთი მისი შეკავების მიზნით (Presidential Address to Federal Assembly 2023). ამ განცხადებაში, პუტინმა ასევე ისაუბრა ყირიმისა და სევასტოპოლის ანექსირებაზე, რაც მან მოიხსენია, როგორც „ყირიმისა და სევასტოპოლის სამართლებრივი გაერთიანება, რომელიც რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს სამსახურის ისტორიული მიღწევაა“ (Cocoli 2016). უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, პუტინის პროპაგანდისტული გამოცხადებები გამძაფრდა. მან ნატო დაადანაშაულა დაძაბულობის ესკალაციაში და თქვა რომ ორგანიზაცია პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთის უსაფრთხოებისთვის (Cocoli 2016). პუტინი განიხილავს ნატოს სამხედრო მხარდაჭერას უკრაინის მიმართ, როგორც მის მცდელობას, დაასუსტოს და შეაკავოს რუსეთი. მან უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტი რუსეთისთვის ეგზისტენციალურ ბრძოლად შეაფასა და განაცხადა, რომ ნატოს ქმედებები მისი ძალაუფლების შემცირების გრძელვადიანი

გეგმის ნაწილია. პუტინმა ასევე გამოაცხადა ნულოვანი ჯამის პერსპექტივა საერთაშორისო ურთიერთობებზე და ვარაუდობს, რომ ნებისმიერი კომპრომისი დასავლეთთან იქნება აღქმული, როგორც რუსეთის დამარცხება. იგი ამტკიცებს, რომ ნატო უშუალოდ არის ჩართული უკრაინის კონფლიქტში, და ვარაუდობს, რომ ნატოს ქვეყნები არა მხოლოდ აწვდიან უკრაინას იარაღს, არამედ უწევენ მას პირდაპირ სამხედრო დახმარებას და გეგმავენ სტრატეგიას რუსეთის წინააღმდეგ. 2023 წლის 17 დეკემბერს, სატელევიზიო გადაცემაში „Rossiya 1“ პუტინმა გამოაცხადა, რომ ნატოს წევრმა ქვეყნებმა ხელოვნურად შექმნეს კონფლიქტი რუსეთსა და უკრაინას შორის, რათა ფინეთი „ჩაეთრიათ“ ნატოს ალიანსში. პუტინმა განაცხადა, რომ „პრობლემები შეიქმნება“ ფინეთთან და მისმა ნატოში განწვრიანებამ აიძულა რუსი ოფიციალური პირები დაეწყოთ ლენინგრადის სამხედრო ოლქის (LMD) მობილიზება და სამხედრო ნაწილების კონცენტრირება ჩრდილო-დასავლეთ რუსეთში. რუსი სამხედროები ამჟამად ამზადებენ დასავლეთის სამხედრო ოლქს (WMD) LMD-სა და მოსკოვის სამხედრო ოლქს (MMD) რეფორმირებისთვის, როგორც გრძელვადიანი რესტრუქტურისა და გაფართოების გეგმის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის მომზადებას პოტენციური მომავალი ფართომასშტაბიანი ომისთვის ნატოს წინააღმდეგ (Bailey 2023). არსებული დებინფორმაცია, რომ ნატო წარმოადგენს საფრთხეს რუსეთისთვის, ემსახურება რუსეთის არალეგიტიმური ქმედებების გამართლებას. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის უკრაინის ომში ნატო უპირველეს ყოვლისა არალეიტალური დახმარების, წვრთნებისა და დაზვერვის გაზიარების სახით უჭერს უკრაინას მხარს. აღნიშნული მხარდაჭერა მიზნად ისახავს დაეხმაროს უკრაინას, დაიცვას საკუთარი თავი რუსეთის არაპროვოცირებული აგრესიისგან და არ ემსახურება ნატო-რუსეთის ომის წამოწყებას. ნატოს ძალების განლაგება აღმოსავლეთ ევროპაში თავდაცვითი და რუტინული ხასიათისაა და მიზნად ისახავს აგრესიის შეკავებას და არა რუსეთის წინააღმდეგ შეტევისთვის მომზადებას. ეს ზომები ემსახურება ნატოს წევრი ქვეყნების მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფას, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე. მითის გაანალიზებისას, ცხადი ხდება, რომ ეს ნარატივი არის უფრო ფართო დებინფორმაციული კამპანიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ რუსეთის ქმედებების გამართლებას არამედ, შიდა მხარდაჭერის მოპოვებას. კრემლმა სტრატეგიულად შეაფასა ნატოს თავდაცვითი ზომები, როგორც აგრესიული გარემოცვა, მიუხედავად ნატოს დიდი ხნის მისწრაფებისა, რომ ევროპაში შეინარჩუნოს მშვიდობა და სტაბილურობა.

## **მითი, რომ რუსეთი დასავლეთთან ომშია: უკრაინა ნატოს მარიონეტია**

უკრაინის ომის დროს, პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და მისმა მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ ნატო პირდაპირ ებრძვის რუსეთს უკრაინაში, რომელიც მხოლოდ ბრძოლის ველის ფუნქციას ემსახურება. პუტინი ამტკიცებდა, რომ ომი არ არის



მხოლოდ შეტაკება რუსეთსა და უკრაინას შორის, არამედ სამხედრო დაპირისპირება რუსეთსა და აშშ-ს ხელმძღვანელობით ნატოს ალიანსს შორის. ეს ნარატივი კვლავ გამოიყენება ომის გასამართლებლად და საშინაო მხარდაჭერის მოსაპოვებლად. პუტინი აცხადებს, რომ ის იცავს თავს მტრული დასავლური კოალიციისგან, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთის დემონტაჟს და მის წაშლას მსოფლიოს პოლიტიკური რუქიდან (Presidential Address to Federal Assembly 2023). მცდარი განცხადება, რომ უკრაინა არის აგრესორი, არის კლასიკური კრემლის მანიპულირების ტაქტიკა, რათა წარმოაჩინონ რუსეთი, როგორც მსხვერპლი და გადაიტანოს ყურადღება საკუთარი წარმოებული ომისგან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნარატივი აბსურდულია მსოფლიოს უმრავლესობისთვის, რუსეთში გამჭვირვალე საინფორმაციო წყაროებს სულ უფრო და უფრო ჩამოშორებული საზოგადოება, კრემლის ავტორიტარული პოლიტიკისთვის მხარდაჭერის რესურსს წარმოადგენს. კრემლის დებინფორმაციული ნარატივი, რომელიც ცრუდ ამტკიცებს, რომ რუსეთი უკრაინაში დასავლეთს ებრძვის, მას შემდეგ გავრცელდა, რაც უკრაინამ წარმატებული კონტრშეტევა განახორციელა რუსი სამხედროების წინააღმდეგ. კრემლის მომხრე ექსპერტები განსაკუთრებით აქტიურად იყენებენ ამ დებინფორმაციას, როდესაც უკრაინა იღებს სამხედრო მხარდაჭერას დასავლელი პარტნიორებისგან ან როდესაც რუსეთი კარგავს კონტროლს უკრაინაში ოკუპირებულ ტერიტორიებზე. აღსანიშნავია, რომ პუტინი უკრაინასთან ომის გაჩაღების სხვადასხვა მიზეზებს ავრცელებს. პირველადი თავდასხმის დროს, პუტინმა ფედერალურ ასამბლეაზე, გოსტინი დვორში გამოაცხადა, რომ რუსეთის ისტორიულ მიწებზე ხალხის დასაცავად და ნეონაცისტური რეჟიმის საფრთხის აღმოსაფხვრელად, დაიწყო სპეციალური სამხედრო ოპერაცია უკრაინაში (Presidential Address to Federal Assembly 2023). მოგვიანებით, პუტინმა ბრალი დასდო ნატოს, და აღნიშნა, რომ მათ მხარი დაუჭირეს 2014 წლის გადატრიალებას, რამაც განაპირობა 2022 წლის უკრაინის ნეო-ნაცისტური რეჟიმის გავრცელება. მან აღნიშნა: “დასავლეთმა ამ პროექტის განხორციელება დღეს დააჩქარა 2014 წლის გადატრიალების მხარდაჭერით” (Presidential Address to Federal Assembly 2023). ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა აღნიშნული ბრალდებების საპასუხოდ, ვილსონის ცენტრის აუდიტორიაში ინტერვიუზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ პუტინის მიერ გავრცელებული პროპაგანდა რუსეთის ტერიტორიის გარდა არსად არ მოქმედებს, გამომდინარე იქიდან, რომ „რუსეთი არის ავტორიტარული ქვეყანა, სადაც ჟურნალისტებს ციხეში სვამენ და ოპოზიციის ლიდერებს წამლავენ და კლავენ, რის შედეგადაც პუტინი აკონტროლებს მედიას ისე, რომ შეუძლებელს ხდის რაიმე გამჭვირვალე ამბის გადმოცემას“ (Stoltenberg 2024). სტოლტენბერგმა ასევე აღნიშნა, რომ ნატო არის თავდაცვითი ალიანსი და აბსოლუტურად არასწორია მოსაზრება, რომ უკრაინა საფრთხეს უქმნიდა რუსეთს ან გააჩნდა რაიმე სახის ნეო-ნაცისტური რეჟიმი. მისი თქმით, ყველაფერი დაიწყო რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიით 2014 წელს, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ფაქტობრივად მოაწერა ხელი სხვადასხვა დოკუმენტებს, შეთანხმებებს, ცივი ომის დასრულების შემდეგ, და უკრაინა სუვერენულ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა, მათ შორის ბუდაპეშტის მემორანდუმში, სადაც უკრაინამ უარი თქვა ბირთვულ იარაღზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინა რეალურად ერთ-ერთი უდიდესი

ბირთვული ძალა იყო მსოფლიოში, შესაბამისად, რუსეთი და უკრაინა შეთანხმდნენ, რომ იგი დათმობდა ყველა სახის ბირთვულ იარაღს, სანაცვლოდ რუსეთის მიერ უკრაინის სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარებისა მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში (Stoltenberg 2024).

ალიანსის მრავალმა წარმომადგენლებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ არ მიისწრაფვიან რუსეთთან დაპირისპირებისკენ (NATO 2024). მოკავშირეები რუსეთთან პარტნიორობის დასამყარებლად, წლების განმავლობაში მუშაობენ, თუმცა უკრაინის წინააღმდეგ ომთან ერთად, რუსეთი უარს აცხადებს ნატოსთან თანამშრომლობაზე და აგრძელებს მის მტრად შერაცხვას. ნატოს გეგმები სამხედრო ძალების გაძლიერების შესახებ ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და პოლონეთში არის პასუხი უსაფრთხოების შეცვლილ გარემოზე. უსაფრთხოების ამჟამინდელ კონტექსტში, ნატო გააგრძელებს ფოკუსირებას შეკავებასა და თავდაცვაზე და ამავე დროს, თანახმა იქნება რუსეთთან პერიოდული, ორიენტირებული და მნიშვნელოვანი დიალოგისთვის. თუმცა, ეს ფაქტი არ ნიშნავს რომ ნატო რაიმე სახით არის ჩართული რუსეთთან ომში, ან იყენებს უკრაინას როგორც მარიონეტულ სახელმწიფოს რუსეთის დასამარცხებლად. სწორედ ამ მოსაზრების გაქარწყლების მიზნით, 2023 წელს ჩატარდა ნატო-რუსეთის საბჭოს სამი შეხვედრა გაუგებრობების, არასწორი გათვლების და გაუთვალისწინებელი ესკალაციის თავიდან ასაცილებლად, ისევე როგორც გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით. რუსეთთან საუბარი ნატოს საშუალებას აძლევს მკაფიოდ გააუღეროს მისი პოზიციები, უკრაინაში და მის გარშემო არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. პუტინის მტკიცება, რომ ნატომ კონფლიქტი შექმნა ალიანსში სხვა ქვეყნების, როგორცაა ფინეთის, განწვრიანების მიზნით, უსაფუძვლოა და ემსახურება რუსეთის სამხედრო გაძლიერების ლეგიტიმაციას. ნატოს ასახვა, როგორც აგრესორის, რომელიც იყენებს უკრაინას რუსეთის წინააღმდეგ მარიონეტად, რეალობის მკვეთრი დამახინჯებაა. ფაქტების განხილვის საფუძველზე, ცხადია, რომ ნატოს მხარდაჭერა მხოლოდ თავდაცვის მიზნებს ემსახურება, მისი განლაგება რუსეთის ქმედებებზე რეაგირების მიხედვითაა განპირობებული და დიალოგისა და გამჭვირვალობისადმი ალიანსის მზადყოფნა გამორიცხავს მის ნებისმიერი სახის აგრესიას. ეს ფაქტები ერთობლივად აქარწყლებს მითს და ხაზს უსვამს ნატოს ქვეყნებს განზრახვას რეგიონში სტაბილურობისა და სუვერენული უფლებების მხარდაჭერის შესახებ.

## **მითი, რომ უკრაინის ომის ხარჯზე ნატო რუსეთის გარშემორტყმას ცდილობს**

ნარატივი იმის შესახებ, რომ ნატო ცდილობს რუსეთის ალყაში მოქცევას უკრაინის ომის გამოყენებით, კვლავ რუსული დებინფორმაციით გამყარებული მითია. ეს ნარატივი ვარაუდობს, რომ ნატოს ქმედებები და მისი მხარდაჭერა უკრაინის მიმართ რუსეთისთვის საფრთხის შექმნის და მისი გარშემორტყმის ფართო სტრატეგიის ნაწილია (NATO 2017). აღნიშნული განცხადება არ არის გამყარებული

ფაქტობრივი მტკიცებულებებით და ეწინააღმდეგება ნატოს ფუნდამენტურ პოლიტიკას, რომელიც ქვეყნების განწევრიანების სრულ თავისუფლებას შეეხება. რუსეთის ტერიტორია უზარმაზარია, სახმელეთო საზღვარი 20 000 კილომეტრზეა გადაჭიმული. ამ საზღვრიდან მხოლოდ მცირე ნაწილი, დაახლოებით 1215 კილომეტრი, არის ნატოს წევრ ქვეყნებთან მოსაზღვრე (NATO 2017). ის ფაქტი, რომ რუსეთის საზღვრის ერთ მეთექვსმეტედზე ნაკლებს წარმოადგენს ნატოს წევრი ქვეყნები, პუტინის არარაციონალურ ბრალდებებს კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს. გარდა ამისა, რუსეთს სახმელეთო საზღვარი აქვს 14 ქვეყანასთან, რომელთაგანაც მხოლოდ ხუთია ნატოს წევრი. ეს გეოგრაფიული განაწილება ხაზს უსვამს იმას, რომ რუსეთის საზღვრების უმეტესი ნაწილი არ არის ნატოს ქვეყნებთან, რაც ეწინააღმდეგება რუსეთის ალყაში მოქცევის მითს. ამასთანავე, პუტინი აცხადებს, რომ ფინეთის ნატოში განწევრიანება სწორედ ნატოს მიერ შემუშავებული სტრატეგიაა და ემსახურება ქვეყნების ნატოში ჩათრევას, რაზეც ნატოს წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ნატოში განწევრიანება დამოკიდებულია სახელწიფოების სრულიად დამოუკიდებელ სურვილზე.

## **რუსეთის მიერ გავრცელებული მითები საქართველოს კონტექსტში**

ნატოს შესახებ აქტიური დებინფორმაციის გავრცელებასთან ერთად, რუსეთი მიზანმიმართულად ცდილობს მეზობელი ქვეყნების შიდა და საერთაშორისო დონეზე ნატოს მიმართ დამოკიდებულების შეცვლას. აღნიშნულის პირდაპირი მსხვერპლი საქართველოა, სადაც პუტინი ნატოს ნეგატიურ ჭრილში გამოჩენით ცდილობს დააშოროს ქვეყანა დასავლურ ინტეგრაციას და დანერგოს უნდობლობა ნატოს მიმართ. დოკუმენტში განხილული მითებით, რუსეთი ცდილობს შეამციროს ნატოს მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერა და მოახდინოს ნატოს ექსპანსიის შეჩერება, რისთვისაც საზოგადოებრივი აზრის ცვლილება და შიშის დანერგვა საუკეთესო სტრატეგიაა. აღსანიშნავია, რომ ნატოს შესახებ გავრცელებული დებინფორმაცია ასევე ამძაფრებს პოლარიზაციას საქართველოში, რაც კვლავ დასავლეთისგან ქვეყნის ჩამოშორებას და პრორუსული პარტიების მხარდაჭერის მოპოვებას ემსახურება. ნატოს ლეგიტიმურობის, უსაფრთხოებისა და სანდოობის ეჭვქვეშ დაყენებით, საქართველოში ინერგება მოსაზრება, რომ ნატო არ არის ქმედითუნარიანი და ვერ ახდენს კონფლიქტების სათანადოდ შეჩერებას, რაც უბიძგებს საზოგადოებას, აირჩიოს პრორუსული პოლიტიკური კურსი.

## დასკვნა

შეჯამების სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ მიმდინარე უკრაინის ომის ფონზე ნატოს შესახებ რუსეთის მიერ გავრცელებული პროპაგანდა და მითები არის სრული სტრატეგიული ფაბრიკაცია, რომელიც შექმნილია პუტინის ექსპანსიონიზმისა და არალეგიტიმური ქმედებების გასამართლებლად. აღნიშნული მითებით საზოგადოების აღქმის მანიპულირება პუტინის მრავალწლიანი ტაქტიკაა, რომლითაც ის ახერხებს რუსეთის მოქალაქეებისთვის მცდარი მსოფლმხედველობის შექმნას. თითოეულ მითზე, რომელიც ესეს ფარგლებში იყო განხილული, არსებობს მრავალი გამჭვირვალე ინფორმაცია, რომელიც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პუტინის ქეშმარიტ სახეს. პუტინის მიერ ნატოს წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები აბსოლუტურად უსაფუძვლოა, რასაც მოწმობს ნატოს პოლიტიკა და მისი თავდაცვითი ხასიათი. ამ მითების კრიტიკულად გაანალიზება და გაქარწყლება აუცილებელია კონფლიქტის ქეშმარიტი დინამიკის გასაგებად და ხაზს უსვამს ფაქტებზე დაფუძნებული, გამჭვირვალე ინფორმაციის მნიშვნელობას სწორი ნარატივების ჩამოსაყალიბებლად. ამ მითების გაქარწყლებით ცხადი ხდება, რომ ნატოს ქმედებები თავდაცვითია და მიზნად ისახავს მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.

## ბიბლიოგრაფია

- Cocoli, Isabela . 2016. *Putin Accuses NATO of 'Aggressive Actions' and 'Rhetoric'*. June 22. <https://www.voanews.com/a/putin-nato/3386909.html>.
- 2023. "Presidential Address to Federal Assembly." *Presidential Address to Federal Assembly*. Moscow: President of Russia official website.
- Dettmer, Jamie. 2022. "Russia's Putin Says Western Leaders Broke Promises, But Did They?" *VOA News*.
- Chatham House. 2021. "Myths and misconceptions in the debate on Russia." *Chatham House*.
- Bailey, Riley. 2023. "Russian Offensive Campaign Assessment." *Institute for the study of war*.
- Pifer, Steven. 2014. "Did NATO Promise Not to Enlarge? Gorbachev Says "No"." *Brookings*.
- OSCE. 1990. "CHARTER OF PARIS FOR A NEW EUROPE." *CHARTER OF PARIS FOR A NEW EUROPE*. Paris.
- NATO. 2024. *De-bunking Russian disinformation on NATO*. January 12. Accessed June 21, 2024. <https://www.nato.int/cps/en/natohq/115204.htm>.
- Stoltenberg, NATO Secretary General Jens, interview by Wilson Center Auditorium. 2024. *NATO Secretary General Jens Stoltenberg at the Wilson Center Auditorium followed by Q&A* (June 18).
- NATO. 2017. "Russia's top five myths about NATO." *Fact Sheet*. February.

